ISSN 0132-0238

ცოდნა

6

1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე – 60

ჟურნალ ცისკრის რედაქცია ულოცავს ბატონ ზაურ ბოლქვაძეს ამ დიდსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალი ნაწარმოებებით გაჰსარებინოს ჩვენი მრავალათასიანი მკითხველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

ივნისი № 6

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან ფალაფიშვილი
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მაჟუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სეხნიაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ფლორნტი
თეიმურ შავლაკე
შადიანან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
პაპა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ელზა მეტრეველი

შინაარსი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

პოეზია და პროზა

9. თედო ბექიშვილი — ლექსები
11. ზურაბ ჭუბაბრია — ბრწყინვალე ჩონჩხები. რომანი. დასაწყისი
39. ალექსანდრე გაგური — ლექსები
42. ირინე ბაკანიძე — მოთხრობები
71. ირაკლი არაბული — ლექსები
73. ჯემალ ინჯია — ტირანები გრანელის მონოლოგი. სონეტების გვირგვინი.
77. იუზა ქაჯეიშვილი — „სამეთვალყურეო საქმე“ მოთხრობა
90. გელა კიკოლაშვილი — ლექსები
92. გიორგი ფანტურია — ლექსები

„ცისკარი“ — ბავშვებს

94. ავთანდილ მეგრელიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

96. ივან გუნინი — მოთხრობები. თარგმნა ზურაბ გაიპარაშვილმა
106. სვეტლანა ალილუევა — ფიგნი შვილიშვილთათვის. დასაწყისი. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

ჩირალდანი

130. გაჩანდა გრეგვაძე — ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი. გაგრძელება

წერილები

143. თეიმურაზ შანჯიკიძე — ისლამი, წარსული და თანამედროვეობა
154. ზაურ კილაძე — რწმენის მისტერიები

160. აფხაზეთი, პირველად ფოდგული ეგრისი...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნები

ფსალმუნი 25

დავითის ფსალმუნი

1. შენკენ აღვაპყარ, უფალო, სული.
2. ო, ღმერთო ჩემო, მეიმედება — ნუ შევიქნები
აუგიანი,
ნურც ჩემი მტერი იხარებს ჩემზე!
3. ნურცა მოსავნი შენმიერნი გაწბილდებიან:
დაე, ისინი გაწბილდნენ მხოლოდ,
ამაო ცოდვით რომელნიც სცოდვენ.
4. მამცნე შენი გზა, უფალო ჩემო,
გამიცნაურე სავალი შენი!
5. წინ წარმიძეხი შენმიერი ჭეშმარიტებით,
მასწავლე, — შენ ხომ
მაცხოვარი ჩემი ღმერთი ხარ,
მე — დღენიადაგ მოსავი შენი!
6. უფალო ჩემო,
გაიხსენე შენი წყალობა
და შენმიერი გულმოწყალება,
რომელიც ჰგიეს მარად და მარად.
7. არ გამიხსენო სიჭაბუკის ჩემის ცოდვები
და ჩემეული ცდომილებანი:
შენი წყალობით მახსენე ოდენ,
შენი სიკეთით, უფალო ჩემო!
8. კეთილია და მართებული უფალი ჩვენი,
სჯულიერ გზაზე მოაქცევს ცოდვილთ.
9. სამართლისაკენ წარუძღვება შემსმენს და დამთმენს,
გზასა და სავალს ასწავლის მორჩილთ.
10. წყალობაა და ჭეშმარიტება უფლის ყოველი
ბილიკი მისთვის,
ვინც დაიუნჯა აღთქმა მისი და
გაიცნაურა მცნებანი მისნი.
11. უფალო, შენი სახელის გამო
შემინდე ჩემი
უმძიმესი შეცოდებანი.
12. **ვინ არის იგი — მოშიში უფლის? —**
აურჩევს გზას და
უჩვენებს კიდეც.
13. რომ სული მისი
სიკეთეში დაებინადროს
და მისმა მოდგმამ დაიმკვიდროს ქვეყნიერება.
14. უფლისმიერი საიდუმლო — მოშიშარს მისას,
მასვე აუწყებს საკუთარ აღთქმას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

15. მიწყივ უფლისკენ აღვაპყრობ თვალებს,
რომ ფერხნი ჩემნი განარიდოს მზაკვართა მახეს.
16. შემობრუნდი და კეთილმეწყალე,
რადგან მწირი ვარ, მარტოეული.
17. განივრცო ტანჯვა ჩემი გულისა, —
დამხსენ, გენუკვი, ურვათა ჩემთა!
18. მოხედე ამ ჩემს შეჭირვებას,
სატანჯველს ჩემსას,
შეცოდებანი შემინდე ჩემნი!
19. შეხედე ჩემს მტრებს, — როგორ მომრავლდნენ,
რა სიძულვილით შემიძულეს არაფრის გამო!
20. შენ დაიფარე ჩემი სული
და დამიხსენი:
ნუმც ვყოფილიყო აუგიანი, რაკი შენზე ვარ
გულმონდობილი.
21. ღე, სიმართლე და სიწრფოება მექმნეს მეოხად, —
გასასოებდი და გასასოებ კვლავაც.
22. გამოიხსენი ისრაელი,
უფალო ღმერთო,
ყოველი მისი გასაჭირიდან.

ᲬᲚᲐᲚᲛᲣᲜᲘ 26

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲬᲚᲐᲚᲛᲣᲜᲘ

1. მსაჯე, უფალო,
რადგან მუდამჟამ
უბიწოების ბილიკებით მიმოვდიოდი:
ვსასოებ უფალს, მეუფეს ჩემსას, და არასოდეს
წავბორძიკდები.
2. განმცადე, ღმერთო,
განმიკითხე, ჩემო უფალო,
გამომიტარე გული ქურაში
და გამოაწრთე თირკმელი ჩემი.
3. რადგან ნიადაგ თვალწინ მედგა შენი წყალობა
და შენეული სიწრფოებით ვიარებოდი.
4. არ მიცხოვრია მზაკვართა წრეში,
არც თვალთმაქცების კრებულში ვმჯდარვარ.
5. ამოვიძულე
საკრებულო ბოროტეულთა,
არ დავმკვიდრდები ავსულთა შორის.
6.უბიწოებით განვიბან ხელებს
და საკურთხეველს შენი ტაძრისა გარს შემოვუვლი,
უფალო ჩემო!
7. რომ ვახმიანო სამადლობელი
და განვაცხადო შენეული სასწაულები.
8. მიყვარს, უფალო, შენეული სახლის სავანე,
ადგილი იგი —
საბრძანისი შენი დიდების.

9. ნუ წარწყმედ ჩემს სულს ცოდვილთა გვერდით,
ნუ შეატოვებ მესისხლეებს
სიცოცხლეს ჩემსას! —
10. რომელთა ხელებს სიბილწე სცხია,
მექრთამეობით განპოხილა
მარჯვენი მათი.
11. მე კი კვლავ ვივლი ჩემეული უბიწოებით,
შემიველრე და
მოწყალედ მექმენ!
12. დგას ჩემი ფეხი
სიწმინდის გზაზე
და შენ გადიდებ კრებულებში, უფალო ჩემო!

ფსალმუნი 27

დავითის ფსალმუნი

1. უფალი ჩემი სინათლეა
და მაცხოვრობა, —
ვის შევუშინდე?
უფალი არის ციხე-ბურჯი ჩემი სიცოცხლის, —
რის გამო ვიყო შეძრწუნებული?
2. როცა ჩემს ირგვლივ შემოჯარდნენ უკეთურები,
რომ შეემუსრათ სხეული ჩემი, —
ჩემი მტრები და მაჭირვებლები
წაბორძიკდნენ და
დაეცნენ მყისვე.
3. თუნდაც ჩემდამო ლაშქრეულმა გამოილაშქროს, —
გულუშიარი ვიქნები მაინც,
თუნდაც საომრად აღიძრან ჩემდა, —
იმედიანი ვიქნები მაინც.
4. ერთს ვთხოვდი უფალს, —
მხოლოდ იმას შევაველრებდი:
რომ უფლის ვანში დამედო ბინა
და, ვიდრე ვცოცხლობ — ყოველდღისმარე
მეცქირა უფლის მშვენებისათვის
და მომეხილა ტაძარი მისი.
5. მაშინ მე იგი შემხიზნავდა თავის კარავში
გაჭირვების ჟამს,
თავისი კარვის საფარველში შემიფარებდა,
ქარაფის თავზე ამამაღლებდა.
6. და ახლა თავად ავმაღლდები მოქიშპეთადმი —
გარს რომ მერტყმიან,
რომ მის ტაძარში აღვავლინო მსხვერპლი ქებისა,
ვუგალობო და
ვუმღერო უფალს.
7. უფალო ღმერთო,
ყურად იღე ხმა ჩემეული,
შემიწყნარე და ისმინე ჩემი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ჰა, ჩემი გული მეტყველებს შენგნით: მოიძიეთო
სახება ჩემი! —
და მე, უფალო, მოვიძიებ სახებას შენსას.
9. ნუ მიაბრუნებ შენს სახეს ჩემგან,
ნუ უკუაგდებ გულისწყრომით მონასა შენსა,
შენ ჩემი შემწე იყავი უწინ, —
ნუ დამტოვებ და
ნუ განმიდგები, ღმერთო ჩემი მაცხოვარების!
10. თუმცა დედ-მამამ დამაგდო მარტოდ,
მე შემიწყნარებს უფალი ჩემი.
11. უფალო, შეგთხოვ,
მიწინამძღვრე შენეულ გზაზე
და გამიყენე სიმართლის ბილიკს
ჩემთა მტერთა და
მძალავთა გამო.
12. ნუ გადამაგებ მოშულღეთა ნება-სურვილზე, —
ჩემზე რომ აღდგნენ ცრუმოწმეობით
და ძალადობის სულისკვეთებით, —
13. ვინძღო შემომრჩეს რწმენა იმისა,
რომ მოვიხილავ უფლისმიერ კეთილმძღეობას
ცოცხალთა შორის
ამ ქვეყანაზე.
14. მიენდე უფალს, იძალმოსილე და სიმხნით გქონდეს
მორჭმული გული
და მოსავ იყავ უფლისა მიმართ!

ფსალმუნი 28

დავითის ფსალმუნი

1. შენ მოგდაადებ, უფალო ჩემო,
სიმაგრეე ჩემო!
ნუ შეიქცევი მდუმარედ ჩემგან,
ნუ განმიდგები უჩუმრად, ღმერთო,
თორემ საფლავში შთაცვენილებს დავემსგავსები.
2. ისმინე ჩემი ვედრების ხმები,
როს სასოებით შემოგღაღადებ,
როს შენი წმინდა საკურთხევლისკენ ხელაპყრობილი
აღვავლენ ლოცვას.
3. ნუ დამაწყვილებ რიოშებთან, ყალბისმქნელებთან, —
მოყვასთა შორის მშვიდობაზე
რომ ღაღადებენ,
გულში კი ბოროტს განიზრახავენ.
4. მიაგე შენ მათ
თავიანთი ღვაწლის სანაცვლოდ
და საზღაურად უდიერი მათი გარჯისა,
მიეც თვითეულს
თავ-თავისი ნახელავის წილ, —
ყველას საქმისა მისისაებრ გადაუხადე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. რადგან ვერც უფლის საქმეები გაიცნაურეს,
ვერც ხელთა მისთა ნამოქმედარი:
დე, შეიმუსროს მისგან ყოველი და აღარ აღდგეს
აღარაოდეს!

6. კურთხეულ იყოს უფალი ჩვენი,
რომ შეისმინა ჩემეული ვედრების ხმები.

7. უფალი არის ჩემი ბურჯი
და ჩემი ფარი,
მას სასოებდა ჩემი გული — და შემიწყნარა,
და ჩემი გული სიხარულით ამეტყველდება
და უფალს
ჩემი საგალობლით შევკადრებ ქებას.

8. უფალი არის ცხე-ბურჯი თავისი ხალხის,
ხოლო თავისი ცხებულისათვის
მაცხოვარების ფარია იგი.

9. იხსენ, უფალო, შენი ხალხი და
კურთხეულჰყავი სამკვიდრო შენი,
მწყემსე ისინი და მოამაღლე უკუნისამდე!

ფსალმუნი 29

დავითის ფსალმუნი

1. უძღვენით უფალს, ღმერთის შვილები,
უძღვენით უფალს ქება-დიდება.

2. უძღვენით უფალს განდიდება მისი სახელის,
უძღვენით უფალს თაყვანისცემა
მისი სიწმინდის სიდიადეში.

3. უფლის ხმა წყლებზე გაიხმიანებს:
დაიგუგუნებს ღმერთი დიდების, — უფალი გრგვინავს
მირიად წყლებზე.

4. ხოლო უფლის ხმა ძალმოსილია,
ხოლო უფლის ხმა დიდებულია.

5. და ხმა უფლისა შემუსრავს ნაძვებს, —
უფალი ნაძვებს ლიბანისას გააკამტვერებს.

6. მათ რომ ხბოსავით აათამაშებს,
ლიბან-სირიონს — მარტორქის დარად.

7. უფლის ხმა განკვეთს ალმურს ცეცხლისას.

8. და ხმა უფლისა უდაბნოს შეძრავს, —
თავად კადეშის უდაბნოსაც
შეძრავს უფალი.

9. უფალი ირმებს ნაადრევად ამშობიარებს,
ტყეებს სამოსელს შემოაძარცვავს
და მის ტაძარში არსი ყოველი მის დიდებაზე
ამეტყველდება.

10. უფალი დაჯდა წარღვნისას წყალზე
და სამეუფო ტახტზე იჯდება
უფალი ჩვენი აწ და მარადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. უფალი თვის ხალხს მიაგებს ძალას,
უფალი თვის ხალხს სამშვიდობოდ
დაამწყალობებს.

ფსალმუნი 30

დავითის ფსალმუნი. სიმღერა სახლის განახლებისა.

2. უფალო ჩემო, განგადიდებ,
რომ შემივედრე
და არ ახარე მოძულე ჩემი.
3. უფალო ჩემო, ღმერთო ჩემო, ამოგღაღადე
და შენ განკურნე სალმობა ჩემი.
4. შენ სული ჩემი ამოიხმე ჯოჯოხეთიდან,
შენ გამაცოცხლე, უფალო ჩემო,
რომ არ შთავენთქე ქვესკნელის წიაღს.
5. უმღერეთ, უფლის წმინდანებო, მეუფეს თქვენსას,
მის წმინდა სახელს აღუვლინეთ სამადლობელი.
6. რამეთუ მისი გულისწყრომა მხოლოდ წამია,
ხოლო სიცოცხლე — სურვილი მისი;
ღამით გოდება დაისადგურებს,
გამთენიის ჟამს — მხიარულება.
7. მე კი შვების ჟამს ვეზრახე ჩემს თავს: არ შევტოკდები
უკუნისამდე!
8. უფალო, შენი ნება-სურვილით
მთა შემიმოსე შენმიერი შესამოსელით,
უკუმარიდე პირი შენი
და მე შევძრწუნდი.
9. და შენ, უფალო, ამოგღაღადებ, და ჩემს მეუფეს
დავევედრები.
10. რა ხელჰყრი ჩემს სისხლს, ჩემო უფალო,
უკეთუ მე ჩემს სამარეში დავეშურები? —
განა ეგ მტვერი შეგასხამს ქებას, შენს სიმართლეზე
ილაპარაკებს?
11. უფალო ჩემო, შემისმინე
და შემიწყალე,
გესავ, უფალო, მეოხად მექმენ!
12. როკვად აქცეე გოდება ჩემი,
შემომაძარცვე ძაძა-ფლასები
და შემომასხი სიხარულის შესამოსელი;
13. რომ გიგალობო, დიდებაო, და არ დავდუმდე:
უფალო ჩემო,
მეუფევ ჩემო,
შენ განგადიდებ უკუნისამდე!

გაგრძელება იქნება

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

გამოღვიძება

გამოღვიძება მხოლოდ მაშინ ღირს
თუ თვალს გაახელ
და მზის სხივი შემოგანათებს...
თუ არადა, იქნებ, სულაც სჯობდეს
ძილქუში
ამ სინამდვილის ცხადად ხილვას,
რომელშიაც ბედმა ინება
ჩვენი სიცოცხლის
შეგინება და მოყვნება...

მაგრამ ო, არა,
გაუმარჯოს გამოღვიძებას!

მტკივნეულს, მწარეს,
გაჩენის დღეს რომ გაწყევლინებს,
ღვთისა და ბედისწერის
აუგს რომ გათქმევინებს,
სიკვდილს რომ მოგანატრებს...
მაგრამ სადღაც,
სულის შორეულ კუნჭულში
იმედის მცირე ნაპერწკალს
რომ აგიკაფებს...

გაუმარჯოს გამოღვიძებას!

1988 წ.

თავისუფლების გარდა

ცხოვრებას ბინდი ეცლება,
ვდგავართ სამოთხის კართან...
ყველაფრის ნება გვეძლევა
თავისუფლების გარდა!

ნერვთა დაჭიმულ ძაფებით
ვუმზერთ სანუკვარ სურათს
და ვიდრე დავეწაფებით
ქვებზე გვიმსხვრევენ სურას!

წყაროს წითელი ურჩხული
ვინ დაუყენა მცველად?
ჩვენი ყვირილი ჩურჩულად
გადადის მთა და ველად...

ასე გვტანჯავდა ურჯულო,
ასე გვკლავდა და გვთხრიდა,
ცეცხლისგან შემორუჯული
ჩანდი ოთხივე მხრიდან...

ბედი, თუ ესეც ბედია,
ეს ბედი გვერგო წილად,
ათას გიჟსა და ბნედიანს
აცოფებს ჩვენი ღილა.

აწ შუქი მოჩანს ცხოველი,
გადაწეულა ფარდა...
ნებადართულა ყოველი
თავისუფლების გარდა.

11 ივნისი, 1990 წ.

●

კვლავ მენატრება ივლისის ხვატი,
თუმც ვნების ტალღამ ბევრი მარწია,
სიზმარი ისევ დასრულდა ცხადით,
ვერ გადაიქცა ჩიტი არწივად!

გამოღვიძების ყველა სიმწარემ
გზები საშენო ჯერ ვერ შებურა,
ყამარის კოშკის დაკეტილ კარებს
ისევ ვაწყდები შლეგი შლეგურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენი ვცოდე — უნდა მკიცხავდეთ,
ნუ მომაცილებთ მზერას იჭვიანს,
თქვენ, ვისაც ასე გიყვართ სიცხადე,
ყოფნის უღელმა ვინც შეგიჩვიათ.

თქვენ, ვინც ჩანჩქერში ფეხს არ
ისველებთ,
ვინც ერთ მორევში ბრუნავთ მეტწილად,

გაიკლის ხანი და გაიხსენებთ
მას, ვინც კლდეებზე ჩამოლეწილა...

ვისაც გათანგულს ივლისის ხვატით
უკვე უსკდება გული ბზარებად,
ვინაც ირწმუნა სალოცავ ხატად
ტრფობით განათელა და ზიარება!

1991 წ.

●

შავმა ყორნებმა ყაშყაშით
სამშობლოს ზეცა მოჩრდილეს,
ხმალს ამოსწიე ქარქაშით,
მოსულა ქვეყნის მოცილე,

შეხედე სისხლის მდინარეს
და დედებს შავით მოსილებს...
ბნელსა და ნათელს ერთურთთან
რა ძალა დაამშობილებს!

●

გუშინ ცნობილი პოეტი
დღეს გახდა ცნობილ მსახურად,
მოხსნა სუფველა რეკორდი,

როგორც იტყვიან — „დახურა“,
სამაგიეროდ ხელმწიფის
წყალობა დაიმსახურა...

ღვინის აღარ ვარ დამლევი

წვეთის აღარ ვარ დამლევი,
ვისაც გწყურიათ, დალიეთ.
გული, ეთთ მთვარის ნამლევა,
ამაოდ ელის ალიონს...

ღვინის აღარ ვარ დამლევი,
ალბათ სჯობს, სული დავლიო!

6 თებერვალი, 1991 წ.

ღიმილი

ნონა კაკაურიძეს

როცა სიცოცხლე მართლა გწყურია
და ვეღარ გშველის მწარე აბები —
ყველა წამალზე ეფექტურია
წრფელი ღიმილი, ჩემის გაგებით!

იგი მადლია ღვთითმოვლენილი,
ძნელად საშოვნი, როგორც ნუგეში...

რაღაც განგებით შემორჩენილი
ამ ჩვენს უგულო საუკუნეში...

თვითონ უმწეო — შველასა ლამობს
და გულში გიკრავს, როგორც მშობელი...
მადლობელი ვარ ყველაფრის გამო,
ამ ღიმილისთვის ვარ მადლობელი!

13 სექტემბერი, 1991 წ.

●

ზაფხული უკვე ჩამოთავდა,
წამოიმართა მთა მელოტი.
ასე მალე თუ ჩამოთოვდა,
მაინც რატომღაც არ ველოდი...

სამარეს ჩადიხარ, ჩემო თედო,
მწარი, გაცრეცილი საყელოთი.

6 ნოემბერი, 1991 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჟუბაბრია

ბრნყინვალე ჩონჩხები

რომანი

> არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა; არა თაყვანი სცე მათ, და არცა მსახურებდე მათ.
>
> ძველი აღთქმა. „გამოსვლა", თავი XX

I. ავტორისაგან

ბეთქილაპური ერთი პატარა კუნძულია თვალუწვდენელ ოკეანეში. იმდენად მცირე, რომ იგი არც ერთ ძველ თუ ახალ რუკაზე არ არის აღნიშნული.

მართალი გითხრათ, ამ კუნძულის შესახებ არასდროს არაფერი მსმენოდა, სანამ ერთ სქელტანიან სამეცნიერო ჟურნალში ასეთ კურიოზულ ცნობას არ გადავწყდი — მბრძანებელ დინგ დოს თავის დროზე ბეთქილაპური სამყაროს ცენტრად გამოუცხადებია! შემდგომ ამისა, ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე ძველი მანუსკრიპტი, რომელშიც იმდროინდელი ბეთქილაპურელი მემატიანე უზომო ხოტბას აღავლენდა სათაყვანებელი მბრძანებლის — დინგ დოს სახელზე. დაინტერესებულმა გადავწყვიტე, უფრო ახლოს გავცნობოდი ბეთქილაპურის ისტორიას და არქივებში დავიწყე ქექვა. თქვენ წარმოიდგინეთ, არქივებში საკმაო მასალა დაგროვილიყო კუნძულის შესახებ. ამას დამატა ევროპის, აზიისა და ამერიკის ზოგიერთ მუზეუმში დაცული ექსპონატები და ჩემს თვალწინ გადაიშალა ვრცელი პანორამა მრავალტანჯული ბეთქილაპურის ცხოვრებიდან ერთი, ტრაგიზმითა და ვნებათაღელვით სავსე მონაკვეთისა, რომელიც მბრძანებელ დინგ დოს ეპოქად მოიხსენიება მეცნიერულ ნაშრომებში.

ამ პატარა ქვეყანაში დატრიალებული ამბები საგულისხმოდ მეჩვენა იმდენად, რამდენადაც ერთ წვეთ წყალში მთელი ოკეანე შეიძლება აირეკლოს.

იქნებ ეს მაგალითი მარტო ბეთქილაპურელებისათვის არ იყო განკუთვნილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. შერიგება

ვითარცა გამოვიდა იგი მუცლისაგან დედისა თვისისა შიშველი, მიიქცა იგი მისვლად მუნვე მიწად.

ეკლესიასტე

გარეუბნის დიდი სანაგვე მოურჩენელი ჩირქოვანი წყლულივით აწუხებდა ქალაქს.

ეს იყო საკმაოდ მოზრდილი და ღრმა ხევი, სადაც ერთ დროს პატარა, ცელქი ნაკადული მოედინებოდა. მერე ნაგვით შებილწული, გუუპატიურებული წყალი სიბინძურით დაიფარა და გაქრა. ქალაქის ეს ნაწილი გაუკაცრიელდა და გაერანდა. დამპალი ლეშის, ლაყე კვერცხისა და გაუსუფთავებელი გახრწნილი ნიჟარების ნაზავი სუნი მკრთალ წარმოდგენას თუ მოგვცემს იმ საზარელ სიმყრალეზე, რასაც სანაგვე მთელს იმ არემარეს აფრქვევდა. დოლბანდებით სახეახვეული მენაგვეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად დაეყარათ ნაგავი და იქაურობას გაცლოდნენ.

●

ხევი კი ნელ-ნელა ივსებოდა.

ვინ იცის, რამდენი ბორობმოქმედების კვალი წაუშლია და რამდენი გვამი შთაუნთქავს ადამიანის ხელით შექმნილ ამ ამაზრზენ ჭაობს, რომლის მძაღე და შხამიანი ანაორთქლი ქარს უკვე ქალაქის სხვა უბნებშიც გაჰქონდა.

რას არ ნახავდა კაცი სანაგვეზე — საჭმლის ნარჩენებში მოფუფფუთე მატლებსა და ბინძურ ძონძებს, დამსხვრეულ თაბაშირსა და ლითონის ბურბუშელას, მხრჩოლავ წიდასა და ჟანგიან რკინის ჩონჩხებს, დფფეთთილ ღოლბანდებსა და დამხრჩვალ კატებს.

ნაგვის გროვაზე პირაღმა ეგდო რაღაც ბრჭყვიალა საგანი, რომელიც შორიდან გატეხილ ძვირფას ხის თოჯინას ჰგავდა. არაბუნებრივად გადმოტრიალებული წვრილი ზელ-ფეხი, უკან გადავარდნილი თავი და გაბერილი მუცელი კიდევ უფრო აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას.

მაგრამ ეს არ იყო თოჯინა.

ეს გახლდათ გვამი საქვეყნოდ სახელგანძქმული მრისხანე დიქტატორისა, რომლის სახელიც წლების მანძილზე ქუხდა ცისქვეშეთში — გვამი დინგ დოსი!

მკერდსა და მუცელზე რამდენიმე ადგილას გახვრეტილ საუცხოო ძწვანე მაუდის მუნდირს შავ ლაქებად აჩნდა შემხმარი სისხლი. გათავხედებული ჭიანჭველები შბრძანებლის გაყინულ, უფერულ თვალებზე დაცოცავდნენ. გვამის შორიახლო მაწანწალა ძაღლები დარბოდნენ, ყმოდნენ და ვერ კი გაებედათ ახლო მისვლა. სანაგვის კიდეზე ჩამოსხდარი შავი ფრინველებიც ხარბად უთვალთვალებდნენ ლეშს. ბოლოს ერთმა ვეება სვავმა ველარ გაუძლო მტანჯველ ცთუნებას — პირდაპირ სახეზე დაფრინდა გვამს და თვალი ამოუკორტნა. თითქოს ამ ნიშანს ელოდებოდაო, ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ფრთების ფართქუნით დაიცხრა საკბილოს. ძაღლები ღრენით მივარდნენ მუნდირს და დორბლიანი ყვითელი ღოჯებით სულ მალე ნაფლეთებად აქციეს ტანსაცმელი. ხორცს მიადგნენ და ძიძგნა დაუწყეს.

თითქმის ერთი საათს გაგრძელდა ეს საშინელი ღრეობა.

ლეში ყველას ეყო.

გამაძღარი და კმაყოფილი სვავები ბაჯბაჯით დასეირნობდნენ სანაგვეზე.

აჯაგრული ქეციანი ძაღლები ნელ-ნელა დაიფანტნენ.

მხოლოდ ერთი დაგვიანებული, განსაკუთრებით მონდომებული ძერა არ ეშვებოდა შებილწულ ცხედარს — თავის ქალაზე აჯდა, მაგარ ნისკარტს უკაკუნებდა და იქამდე არ მოისვენა, სანამ ბზარი არ გააღრმავა და სანატრელ სასუსნავს — ტვინს არ მიადგა.

●

მოსაღამოვდა.

აცივდა და მალე გაწვიმდა კიდეც.

სანაგვეზე აქა-იქ ეყარა დინგ დოს პირწმინდად გამოხრული ძვლები.

დიდებული მწვანე მაუდის ნაფლეთები დასველდა, გაშავდა და მალე სანაგვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო მოჟამულ ფონზე რაიმეს გარჩევა შეუძლებელი შეიქნა.

ასე შეუერთდა დედა-ბუნებას დიადი და საოცარი დიქტატორი დინგ დო.

III. პატარა ქვეყნის დიდი ვეფირები

იყო დრო, როცა დინგ დო სულაც არ იყო დიადი და ძლიერი, მზისა და მთვარის ნეტარება, ბრწყინვალე ვარსკვლავი და ზვიადი ლომი და ა. შ. და ა. შ. და მისი სახელი ზარის გუგუნივით არ გაისმოდა მთელს დუნიაზე.

მაშინ ბეთქილაპურელებს, როგორც ეს ნორმალურ სახელმწიფოს შეეფერებოდა, ჰყავდათ ხელმწიფე და, რაც მთავარია, ხწამდათ ღმერთი.

არა, რა თქმა უნდა, ბეთქილაპურში იმ დროშიც იყვნენ მდიდრები და ღარიბები, კეთილშობილნი და გაიძეერანი, მხდალნი და მამაცნი, სულგრძელნი და სულმოკლენი, გულუბრყვილონი და ბრყვილი გულისანი, მთავრობის მოხელეები და მეძავები, მოსამართლეები და ქურდები, ეუონალისტები და კატორღელები, მინისტრები და მკვლელები... ყველაზე დიდი გასავალი მაშინაც ფარისეელობასა და გარეგნულ იერს ჰქონდა. ყოველად გახრწნილი დედაკაცები ისეთი სახით დადიოდნენ, უცხო თვალს ეგონებოდა, ამათ ჯერ მამაკაცის მზერაც არ გაპკარებიათო. საუკეთესო პოსტები სახელმწიფოში სულ ახოვან და ლოყებდაღაჟაჟა პიროვნებებს ეკავათ და არავინ დაგიდევდათ, ისინი სულაც წერა-კითხვის უცოდინარნი რომ ყოფილიყვნენ (სხვათა შორის, ბეთქილაპურის ისტორიაში რამდენიმე მსგავსი შემთხვევაა აღწერილი)...

ღმერთმა დაიფაროს, რომ ვინმემ იმ ეპოქას ფარდის ახდა მოუნდომოს. მაშინ ბეთქილაპურელ მამაკაცთა უმრავლესობა ქორბუდა ირემივით თავდამძიმებული აღმოჩნდებოდა, ოჯახები გამხმარი ქვიშასავით დაიფშვნებოდა და ვინ იცის, კიდევ რა საშინელება არ დატრიალდებოდა ამ მრავალტანჯულ ქვეყანაში... თუმცა, ყველაფერი ეს იქნებ სანატრელიც ყოფილიყო იმ ქარტეხილებთან შედარებით, რაც ბეთქილაპურელებს დაატყდათ თავს მოგვიანებით, მოგვიანებით...

●

რომ იცოდეთ, რა კარგი და საყვარელი ბიჭი იყო იმ დროს დიგო — გაწრიპული, ღვთისნიერი, დაუზარელი. ერთი სალამურისმაგვარი ძველი საკრავი ჰქონდა, საღამოობით მიიყუჟებოდა ხოლმე ბანზე, თვალუწვდენელ ოკეანეში ჩამავალ მზეზე მოელვარე შორეულ ლალისფერ კუნძულს გასცქეროდა და ჩუმად უკრავდა, თანაც ცდილობდა ბეთქილაპურული ჰანგებისათვის თავისი ლექსი შეეწყო. მეზობლები, განსაკუთრებით მოხუცები მის მზეს ფიცულობდნენ; „დიგო! დიგო!“-ს ძახილი იდგა ამ უბანში დილიდან საღამომდე და დიგოც მზად იყო, მეზობლების თუნდაც ყველაზე ახირებული სურვილი შეესრულებინა.

დიგოს მიმართ ერთობ კეთილი განწყობის მიუხედავად, მეზობლების უმრავლესობას დაუკმაყოფილებელი ცნობის-მოყვარეობა სტანჯავდა—უდიდესი სურვილი ჰქონდათ გაეგოთ, საიდან გაჩნდა იგი ამ უბანში, ან როგორ მოხვდა აიბასთან. ადგილობრივ ჭორიკანებს არაფრით არ აკმაყოფილებდათ მოხუცი აიბას მიერ ნათქვამი და ათასჯერ გამეორებული ვერსია — დიგო ჩემი უფროსი დის შვილიშვილიაო, რადგან ოდესღაც ვიღაცას ეთქვა, აიბას უფროსი და ისე გადაეგო, შვილი და ძირი არ ღირსებიაო. რა არ სცადეს, ვინ არ მიაგზავნეს, მაგრამ მოხუცი აიბა ის ჩიტი არ იყო, ვინმეს რაიმე დაეცდენინებინა და ბოლოს და ბოლოს დიდი სინანულით, მაგრამ მაინც აიღეს ხელი დიგოს გენეალოგიის გარკვევაზე.

მოხუცმა აიბამ კი ყველაფერი მშვენიერად იცოდა. ეს იყო ყველაზე ეშმაკი, ფხიზელი, ვერაგი და დაუნდობელი ყველა კუზ-კუდიან დედაბერთა შორის. მას სიამოვნებდა დიგოს წამება და დღე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდოდა, ბიჭს არ დამუქრებოდა — იცოდე, ყველაფერს ვიტყვიო.

რისი ეშინოდა დიგოს?

რა ჩაიდინა ასეთი საწყალმა ბიმჭა?

❀

იმ მეზობლებისაგან განსხვავებით, რომელთა სახელება ალბათ საფლავებას ხავსიან ლოდებს თუ შემორჩაო, ჩვენ ახლა უკვე ყველაფერი ვიცით და შეგვიძლია, ძველი რომანების სიტყვით, „საიდუმლოებას ფარდა ავხადოთ!“

❀

კაცმა სრული სიმართლე რომ თქვას, დიგო (მოგვიანებით დინგ დო) სულაც არ იყო დიგო! იგი იყო შვილი და ერთადერთი მემკვიდრე მთელს ბეთქილაპურში სახელგანთქმული ქალბატონისა, რომლის მარტო სახელიც კი — ბრუნგარიტა დიპლოდოკი, გულს უხეთქავდა თანამემამულეთ.

თვით ქალბატონი ბრუნგარიტა გახლდათ, არც მეტი და არც ნაკლები, პირდაპირი შთამომავალი დიპლოდოკთა სამეფო გვარისა. აქ უნდა ითქვას, რომ უსოვარი დროიდან ბეთქილაპურს ორი ტოლფასოვანი სამეფო გვარსა — დიპლოდოკებისა და სკოლოპენდერების წარმომადგენლება მართავდნენ მორიგეობით. ამ გვარებს ლეგენდარულმა გმირებმა — დიპლოდოკმა და სკოლოპენდერმა დაუდეს სათავე. ისინი თავის დროზე პირველობისა და „ბეთქილაპურელის“ სანუკვარი მეტსახელისთვის შეიბნენ და სამი დღისა და ღამის შეუდრეკელი ბრძოლის შემდეგ ერთმანეთი ამოხოცეს. სიკვდილის წინ დიპლოდოკმა გულში ჩაიკრა სკოლოპენდერი და ცრემლ-სისხლიანმა გმირებმა საზეიმო ფიცი დადებინეს იქ მყოფთ, რომ ამით შეწყდებოდა მტრობა, ქიშპობა და შუღლი ბეთქილაპურში, დიპლოდოკები და სკოლოპენდერები რიგრიგობით იმეფებდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ და „ბეთქილაპურელის“ სახელით იწოდებოდნენ ორივენი აწ და მარადის!

მხოლოდ ამის შემდეგ განუტევეს გმირებმა სული.

იდგა ერთი ფიცი, ცრემლი, ხვევნა-კოცნა და მოსისხართა შერიგება.

ამბობენ, ამ ორი მშვენიერი ვაჟკაცის უსულო გვამების დანახვაზე ერთ უცხოელს მორიდებით უთქვამს: ეგ დალოცვილები იქამდე შერიგებულიყვნენ, სანამ ერთმანეთს ამოხოცავდნენო, მაგრამ ეს სიტყვები ზარების საზეიმო გუგუნ-გრიალში ორიოდე კაცს თუ გაუგია და კიდევ უფრო ცოტას დაუმახსოვრებია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბეთქილაპურელთა თაობები და თაობები მისდევდნენ ერთმანეთს და გმირთა წმიდათაწმიდა ანდერძის შესაბამისად ტახტზე დიპლოდოკების მერე სკოლოპენდერები ადიოდნენ და პირიქით.

IV. თეთრი სასახლის დიასახლისი

ჩვენს მიერ აღწერილი მოვლენებისას ბეთქილაპურს მართავდა მოხუცი მეფე ზენგო XXXVIII სკოლოპენდერი. მან კარგად იცოდა, რომ დიპლოდოკთა დინასტიის დაჩაგრას მხოლოდ თავისი მეფობის გახანგრძლივებით შეძლებდა და ყოველსაარად ცდილობდა, ზეცას გამოკერებულიყო. დიდად ეჭვიანი კაცი გახლდათ ბატონი ზენგო და ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად იყურებოდა ბრიწეულის ყვავილივით აყვავებული ბრუნგარიტა დიპლოდოკისაკენ — ეშინოდა, ტახტი არ წამართვასო. გალალებულ ბრუნგარიტას ამ დროს გული ულონდებოდა იმის გაფიქრებაზეც კი, რომ მთელი დღეები იმ მახნიჯ ტახტზე უნდა მჯდარიყო და ქვეყანა ემართა. ხშირად ღმერთს შესთხოვდა, ზენგო XXXVIII კარგად ამყოფე და გვირგვინი დიდხანს მშვიდობით მოახმარეო. მოხუც ზენგოს კი ბრუნგარიტას წრფელი სურვილი ტახტის პრეტენდენტის ხრიკებად ეჩვენებოდა და მის ავადმყოფურ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოსახვაში შურისძიების თავდაპირველად შორეული და ბუნდოვანი გეგმა თანდათან რეალურ სახეს იღებდა.

კეთილშობილმა ბრუნგარიტა დიპლოდოკმა ზენგოს მზაკვრული ფიქრების შესახებ, რაღა თქმა უნდა, არაფერი იცოდა და ვინმეს რომ ეთქვა კიდეც, ფრთხილად იყავი, მეფე შენს წინააღმდეგ რაღაცას ამზადებსო, სიცილით მოკვდებოდა — იმ ჭიაყელამ მე რა უნდა დამაკლოსო. და საერთოდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონ ბრუნგარიტას ჭკუა-გონება სრულიად სხვა სივრცეებში დანავარდობდა.

დიპლოდოკების გვარივით მყარად იდგა დედამიწაზე ქალბატონ ბრუნგარიტას სახლეკ. მისი სიმძიმით წელში კაზნექილ ატლანტებსა და კარიატიდებს, ეტყობოდა, კიდევ მრავალ საუკუნეს მოუწევდათ ამ ტვირთით დგომა.

სპილოსძვლისფერი მარმარილოს სასახლის ერთი დანახვა სიცოცხლის ხალისს ულვიძებდა ადამიანს. აქ სიცოცხლე განუწყვეტლივ ზეიმობდა. სასახლის ეზოში, ხასხასა მოლზე ზამთარ-ზაფხულ მოელვარე თეთრი ყვავილები მბაღე ჯიგას ნახელავი და მისი სიამაყე გახლდათ. მცენარეების მარადყვავილობის საიდუმლო მბაღე ჯიგამ მოელი ცხოვრება ღირსეულად ატარა და ისე ჩავდა საფლავში, არვისთვის გაუმხელია (თუმცა ეღირსება კია საწყალს საფლავი? ვნახოთ!).

მარმარილოს სვეტებით გაბრწყინებული სასახლის ფართე და ნათელი დერეფნები მუდამ დამთვალიერებლებითა და სტუმრებით იყო სავსე.

ქალბატონი ბრუნგარიტა დიდის მონდომებით ავსებდა და ამდიდრებდა იმ დიდებულ კოლექციას, რომელსაც მისმა პაპის პაპამ — ჰომობასრო დიპლოდოკმა დაუდო სათავე. ძველეგვიპტური მინიატურები, იაპონური გობელენები, ჩინური ფაიფური, სპარსული ხალიჩები, ძველი ფლამანდიელი ოსტატების ნამუშევრები, აღორძინებისდროინდელ ფერმწერთა ნახატები, მათი შერჩევა და განლაგება თეთრი სასახლის დიასახლისის უზადო გემოვნებაზე მეტყველებდა. და მაინც, ერთი უცნაურობა სჭირდა ბრუნგარიტას — იგი არაფრით არ დუთმობდა სასახლის დერეფნებში ადგილს სამგლოვიარო ტონებში გადწყვეტილ ან დუხჭირი ცხოვრების ამსახველ ნახატს, ხეევიან პეიზაჟს ან ულამაზო ადამიანის პორტრეტს.. არ დუთმობდა, სულ რომ ხელოვუქმნელი შედევრი ყოფილიყო. ასეთი ტილოების ადგილი სარღაფში იყო და იქაც ისევე ირეოდნენ ხელოვნების მოყვარულ-დამფასებელ-მცოდნეები, როგორც დერეფნებში. განა ბრუნგარიტა დიპლოდოკმა არ იცოდა ამ ნაწარმოების ფასი? იცოდა, მაგრამ მთელი ცხოვრება იმას ესწრაფვოდა, თეთრ სასახლეში სილამაზის, სიცოცხლისა და მარადიული ახალგაზრდობის ღღესასწაულისათვის არაფერს შეეშალა ხელი.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ დიპლოდოკებს ქანდაკების ხელოვნების მიმართ. ძველი ასირიული, შუმერული, ბერძნული ქანდაკებები, იტალიელი დიდოსტატების — დონატელოს, იაკოპო დელა კვერჩას, თვით მიქელანჯელოს ნამუშევრები გულწრფელი, შურნარევი და დაუცხრომელი აღტაცების გრძნობას იწვევდნენ უკლებლივ ყველაში — მტრისა და მოყვარის ჩათვლით.

მეფე ზენგო შურით სკდებოდა, როცა ბეთქილაპურის საუკეთესო ადამიანები მის ჩაშავებულ და ჟანგიან სასახლეს თვით ბრუნგარიტასავით ბრწყინვალე და გაკაშკაშებულ სახლს ამჯობინებდნენ.

კაცმა რომ თქვას, ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ზენგოს მრავალრიცხოვანი შინაბერა დები — პრინცესა სკოლოპენდერები კვარისა და სკიპიდარის სურნელებას აფრქვევდნენ. როგორ არ ეცადა ზენგო, რა რემონტი და მშენებლობა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიწყო, რა აბრეშუმ-ხავერდი არ გაკრა კედლებზე, რა სურნელოვანი ხისგან დამზადებული ავეჯი არ გამოიწერა შორეული ქვეყნებიდან, ამ სუნს ვერაფერი მოუხერხა. ვეზრები და სეფე-ქალები სულ იმის ნატვრაში იყვნენ, მეფის სასახლეში მორიგეობა დროზე მოკათავოთ და ბრუნგარიტას ვესტუმროთო. ყოველივე ეს საღამოობით დაიკო-პრინცესებთან მარტო დარჩენილი მონარქის გუნება-განწყობილებისა და ხასიათის გაუმჯობესებას სულაც არ უწყობდა ხელს.

●

თუ მეფე ზენგო თავისი ხასიათით სრულად იმსახურებდა სკოლოპენდერთა მოსაწყენ სასახლეს, ვერც ქალბატონ ბრუნგარიტას წარმოიდგენდა კაცი მარმარილოსსვეტებიანი დერეფნისა და მშვენიერი ნივთების გარემოცვის გარეშე. ეს იყო ეშხიანი, გულუხვი, თავნება და, ამავე დროს, მხიარული მანდილოსანი, უზარმაზარი არსება, რომლის თითოეული გამოჩენა, ყესტი თუ სიტყვა ჭეშმარიტი აღტაცების, ინტერესისა და შიშის ნარევ გრძნობას იწვევდა საზოგადოებაში. მის სიცილ-ხარხარს, როგორც წესი, ზვავი, გრიგალი და მიწისძვრა მოჰყვებოდა ხოლმე. ქალბატონ ბრუნგარიტას ქცევის ერთადერთი საზომი მისი საკუთარი სურვილები გახლდათ და სხვა არაფერი. ვნებებსა და გულისოქმას აყოლილი, გარშემო არავის უწევ-და ანგარიშს. ადამიანების ყურადღებით განებივრებულს სულაც არ აინტერესებდა მათი აზრი. ამ ქალისთვის არ არსებობდა დაბრკოლება მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. მიუხედავად გიგანტური აგებულებისა, ქალბატონ ბრუნგარიტას უნაკლო თვორი კანი და ფოთლად მოელვარე თმა უკლებლივ ყველა მამაკაცს ურევდა გონებას და ბეთქილპურის გარეთაც მრავალი იტანჯებოდა მისი სურვილით. ამ დროს ქალბატონი ბრუნგარიტა ორ მეტრზე დაბალ და რვა ფუთზე მსუბუქ კაცს კაცად არ თვლიდა. თანაც, მის მიერ მოწონებულ მამაკაცს სულ ცოტა იმდენი ღონე მაინც უნდა ჰქონოდა, რომ ერთი დარტყმით გადარეული ჯაშიანი ბუღა წაექცია, რამეთუ ქალბატონ ბრუნგარიტას მოთოკვა კიდევ უფრო რთული ამოცანა ეგონდათ და მის გარეშე კი იგი არავის ნებდებოდა. მისთვის დაუნდობელი, გაშმაგებული ბრძოლა აუცილებელი პირობა იყო მამრთან ურთიერთობისაგან სრული სიამოვნების მისაღებად. ამ სიამოვნებების მრავალრიცხოვან ნაყოფთაგან ერთ-ერთი გახლდათ ჰომობასრო...

V. ჰომოგბასრო – ბმირ დიალოდოკთია შთამოვავალი

გაგიკვირდებათ, მაგრამ ისტორიულად დადგენილია, რომ ბრუნგარიტას, ამ მოწუმენტივით ქალს სულ სუსტი, უდღეური და რაქიტიანი ბავშვები ებადებოდა. მშობიარობა ყოველთვის ყველასათვის მოულოდნელად ხდებოდა, რადგან ძალზე დაკვირვებული და გაფაციცებული თვალიც ვერ შენიშნავდა მის ორსულობას. ცინდალითით მიაგდებდა ხოლმე მორიგი მშობიარობის ყოვლად უსუსურ ნაყოფს და თვითონვე უკვირდა – ეს აქ საიდან გაჩნდაო?! მერე ბებიაქალები და ექიმები დიდხანს იბრძოდნენ ახალშობილის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ჰომობასრომ გაუმართლა მათ.

შინაურებიდან ბევრს არ მოსწონდა ქალბატონ ბრუნგარიტას საქციელი, ზოგიერთი ბუზღუნებდა კიდეც, მაგრამ ქალისაგან, რომელსაც არაფრად ულირდა შიშველი სჩვენებოდა საზოგადოებას ან დაუდობლად გაემასხარავებინა ნებისმიერი მამაკაცი, ქალისაგან, რომელმაც რამდენიმე მსახურს კისერი მოუგრიხა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ისინი კარგა ხანს კისერმოგრეხილები დადიოდნენ, სანამ სული არ განუტევეს), ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ამიტომ ბუზღუნის მოყვარულნი ცდილობდნენ სულ ჩურჩულით ებუზღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ და ამით ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებინათ ჭორაკანობის დუძღეველი მოთხოვნილება, თითქმის ყოველ ბეთქილაპარულს ძვალსა და რბილში რომ ჰქონდა გამჯდარი...

ჰომობასრო, ანუ ჰომო, როგორც მას შინაურები ეძახდნენ, აღმერთებდა ედდიკო ბრუნგარიტას და, ამავე დროს, აუწერელად ეშინოდა მისი. ედდის დანახვაზე ცივი ურუანტელი დაუვლიდა ხოლმე ტანში და ლამის იყო, გონება დაეკარგა. თვით დიდი ქალბატონი ერთი ბეწო ყურადღებასაც არ აქცევდა კატის კუნტივით გაჯდებულ ბავშვს. ზოგჯერ თუ წამოუთაქებდა თავში, ეს იყო და ეს მისი ალერსიც, მზრუნველობაც და დედობრივი გრძნობების გამოხატვაც. სამაგიეროდ, ჰომოს ზეპირად ახსოვდა თითოეული ასეთი წამოთაქება და ამ ბედნიერების მოლოდინში უდრტვინველად იტანდა მსახურების გაუთვებელ, ფარისევლურ და გულისამრევ გულმოდგინებას. ო, როგორ უვლიდნენ, ეალერსებოდნენ, ელაქუცებოდნენ ქალბატონის ერთადერთ პირმშოს, შორეულ პერსპექტივაში კი ბეთქილაპარის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს. რაღა თქმა უნდა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყოველი მთვანნი ამით ქალბატონ ბრუნგარიტას გულის მოგებას ცდილობდა და წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა შხამიან ნაყოფს ახარებდა ამ ერთი ბეწო, დალეულ ბავშვში.

ძუძუმწოვარა ჰომო, რომელიც საოცრად წაადავდა სკვინჩის ახალგამოწეკილ ბარტყს, უკვე აკვანში მიეწვია ინ განსაკუთრებულ, მოწოწებულ მზრუნველობას, რასაც მის მიმართ ძიძები, გადიები, დიდი თუ პატარა ინენდა. მერე, ფეხ რომ აიდგა, იმასაც მიხვდა, რომ ეს არ იყო მარტოოდენ სუსტი ჯანმრთელობის ბავშვზე ზრუნვის გამოელინება, ან უმწეო არსების შებრალებისა და მოფერების სრულიად ბუნებრივი სურვილი. მას ეხებოდნენ, როგორც ეერაზს, ღვთაებას, უცხო სამყაროდან მოსულ არსებას. განსაკუთრებულობის ეს ნეტარი შეგრძნება მგრძნობიარე ჰომოს მთელს სხეულში ჩაებეჭდა სამუდამოდ.

ორიოდე წლისა იყო, როცა ამ განცდამ რეალური დადასტურება მიიღო.

გადია დარიმ პატარა ჰომო სასეირნოდ წაიყვანა დიპლოდოკების საგვარეულო პარკში, სასახლეს მდინარის მხრიდან რომ ეკვროდა. ბიჭი ჰიპლეს დასდევდა ხელის ყოველი მოქნევის მერე ფრიად უკმაყოფილო, განცვიფრებული სახით დასცქერდა ხელისგულს, საიდანაც, მისი აზრით, დატყვევებული ჰიპლეს უნდა გამოფაფრფატებულიყო.

ამ თამაშში კარგა ხანი გავიდა. გადიამ ის იყო, გადაწყვიტა, შინ დაბრუნების დროაო, რომ უცებ ხის ჩრდილიდან ვეება თაგვადაპარსული და წვერგაბურძგნილი სამინელება გამოჩნდა. გადიას იმწამსვე გაახსენდა დილის გაზეთი, რომელიც საატომოდან განსაკუთრებით საშიში დამნაშავის — სიკვდილმისჯილ ტატეს გაქცევას იუწყებოდა. დ აი, ახლა ეს ავაზაკი ისე დაჰყურებდა ცეროდენა ჰომოს, როგორც მუხა სოკოს. გადიას შიშისაგან გული ეკვა გადაუბრუნდა, მაგრამ მაშინვე მოაგონდა, რომ ამაყ ანნაურთა გორისა იყო და ბორკილებაწყვეტილ კაცისკკელელ თვალი თამამად გაუსწორა. ბოროტმოქმედმა სასწრაფოდ დაავლო ხელი ჰომოს და აიყვანა. ბიჭს პირველად შეეხნენ ასე უხეშად და უპატიურად. შეეხო თანაც ვინ — სიკვდილმისჯილი ავაზაკი, კაცისმკვლელი! შინდისფერბუსუსიანმა შიშმა მთელი ზერხვილის გაყოლებაზე დაუარა და ის იყო, ამ ნეტარ და მტანჯველ შეგრძნებას უნდა დანებებოდა, რომ უეცრად გადიას მოჰკრა თვალი და გაოცებული შეაჩერდა.

გადია უშიშრად მიიწევდა წინ და ავაზაკი კი უკან-უკან იხევდა.

— დასვი ბავშვი! — ბრძანა გადიამ.

— ქლიბი, ფული და ცხენი! სასწრაფოდ! ორიოდ ამ შენს ეიროხას თავს წავაწყვეტ!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბავშვი დასვი-მეთქი, უგუნურო! ეგ ჰომობასრო დიპლოდოკია — დიპლოდოკ ბეთქილაპურელის პირდაპირი შთამომავალი და ტახტის მემკვიდრე!

— ქალბატონ ბრუნგარიტას ვაჟიშვილი? — იკითხა ავაზაკმა და პატარა ჰომომ იმწამსვე იგრძნო, როგორ დაურბილდა ხელები კაცს და როგორ ჩაუდგა მათში მოწიწება.

ჰომოს შიშმა გაუარა, გული მოეცა და ავაზაკს თვალებში შეხედა.

კაცი დაბნეული უყურებდა გადიას და აღარ იცოდა, რა ექნა.

ჰომომ უცებ თავისი დალეული ხელები შემოხვია ოფლიან კისერზე კაცისმკლელს, ბანჯგვლიან მკერდზე მიეხუტა და ჩურჩულით შეეკითხა:

— შენ ჩემი მამაკო ხარ, არა?!

გადიამ ეს სიტყვები ვერ გაიგონა, მაგრამ დაინახა, თუ როგორ გამოეცვალა ავაზაკს სახე და როგორ აუციმციმდა თვალები. მან ფრთხილად დასვა ბავშვი ბალახზე, პირი მდინარისაკენ იბრუნა და ბარბაცით გაუყვა გზას.

— მოიცა! — გაისმა ქალის მგრგვინავი ხმა.

ეს ქალბატონი ბრუნგარიტა იყო.

მთელი სამი დღე და ღამე დაჰყო სიკვდილმისჯილმა დიპლოდოკების სასახლეში.

ისტორიკოსებისთვის უცნობია თუ რა მოხდა ამ სამ დღეში კეთილშობილ ბრუნგარიტასა და ავაზაკ ტატეს შორის. ის კი ფაქტია, რომ კაცი ამის შემდეგ თავისი ნებით ჩაბარდა მართლმსაჯულებას.

ყოვლისშემძლე ქალბატონი ბრუნგარიტას შუამდგომლობის შედეგად მეფე ზენგო XXXVIII-მ ავაზაკს სასჯელი შუმსუბუქა და ათი წლის კატორღა მიუსაჯა. სამაგალითო ყოფაქცევისათვის ტატეს ეს ათი წელიც გაუნახევრეს და ხუთი წლის თავზე გაათავისუფლეს. ყოფილმა კაცისმკვლელმა სადღაც მწირის ძონძები იშოვა, წელზე ბაწარი შემოიკრა, ხელში კომბალი აიღო და ცოდვების მოსანანიებლად წმინდა ადგილებისაკენ გასწია.

VI. ᲭᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲣᲐᲓᲐᲛᲘᲡᲐᲡ ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘᲐᲜ

ზემოთ აღწერილი შემთხვევის შემდეგ უშიშარი გადია დარი იმდენად აღზევდა ქალბატონ ბრუნგარიტას კარზე, რომ ჰომობასროს აღზრდა მთლიანად მას მიანდეს. ამის გამო ერთ ძიძას ჯავრისაგან გული გაუსკდა, ხოლო მეორეს — აიბას კუზი ამოუვიდა და იძულებული გახდა, დიპლოდოკების სასახლეს დამშვიდობებოდა, რამეთუ მისი არავსეტიური გარეგნობა უარყოფით ემოციას აღძრავდა ბავშვში. წასვლის წინ აიბამ საშინელი ფიცით დიფიცა — მოვკვდები და დიპლოდოკებს ამას არ შევარჩენო...

გადია დარი ერთი კუდაბზიკა ბეთქილაპურელი აზნაურის ქალიშვილი გახლდათ და სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვულმა მამამისმა, როგორც კი გაიგო მისი გმირობის ამბავი, მშვიდად და ამაყად მიაბარა უფალს ცოდვილი სული.

დარის დანახვაზე ნორმალურ ადამიანს აუცილებლად გაბაფზული, მარწყვი, ატმის ყვავილი ან სხვა რამ, კიდევ უფრო სასიამოვნო უნდა გახსენებოდა უთუოდ.

ვინ მოთელის, რამდენ მამაკაცს — აზნაურსა თუ უაზნოს, სამეფო გვარის წარმომადგენლებიდან დაწყებულსა და მებალე ჯიგათი დამთავრებულს დასწვია ჯიგარი მის დანახვაზე, რამდენს შეუთავაზებია მისთვის ხელი და სიცოცხლე. ამაოდ! დარი მამაკაცებს საერთოდ არა თვლიდა ყურადღების ღირსად და თავი-

სი მკაცრი და გულგრილი გამომეტყველებით ყოველგვარ იმედს უწუროვდა თაყვანისმცემლებს.

საკვირველია, მაგრამ ამ მშვენიერი ქალშვილისათვის არსთა გამრიგეს ქალური კეკლუცობის ერთი ცელქი სხეიც არ გამოეტეტებინა. გოგონას კოხტა თავა სრულიად არაბუნებრივი და შეუფერებელი აზრებით ჰქონდა დატვირთული. მაგალითად, იგი დარწმუნებული იყო, რომ უკლებლივ ყველა მამაკაცი მხეცია და ნადირი, რომ სიყვარულზე დიდი სიტუტუცე ამქვეყნად არაფერია და რომ მისი მოვალეობაა ცხოვრება შესწიროს დიპლოდოკთა იმედის — ჰომობასროს სწორ და ღირსეულ ალზრდას. მაგრამ ამ მართლაც რომ დუზარელ და უერთგულეს გადიას ერთი ყველასგან დაფარული ნაკლი ჰქონდა — ერთმანეთზე უფრო საზარელი და შემაძრწუნებელი მრავალი ასეული ზღაპარი იცოდა. და ამ ზღაპრებს ჰომოს უყვებოდა ძილის წინ. პატარა ბიჭი ამ აურაცხელი გველეშაპების, ურჩხულების, ჩინჩხებისა და სასაფლაოდან წამომდგარი მიცვალებულების, ავი სულებისა და მოლაპარაკე თავის ქალების წარმოდგენაზე შიშისაგან სულ ერთი ბეწო ხდებოდა, ლოგინში იკუნტრუშებოდა, ცივ იოლში იწურებოდა, მაგრამ ერთხელაც არ შეუწყვეტინებია სიტყვა გადიისათვის და ყველაზე უფრო იმისი ეშინოდა, დარიმ არაფერი არ შემატყობოდა...

სამაგიეროდ მერე, გადიის დასაძინებლად წასვლის შემდეგ იწყებოდა საზარელი მოლანდებები. ჩაძინებამდე ჰომო ხან კარის ჭრიალზე ფრთხებოდა, ხან საკუთარი საწოლის ჭრაჭუნზე და ხანაც მდინარეში თევზის დგაფუნზე. გადია დარიმ იმდენი მოახერხა, რომ ორიოდ წელიწადში ბიჭს „განსაკუთრებულობისა და განუმეორებლობისაგან“ ისედაც დარღვეული სულიერი წონასწორობა საბოლოოდ დაურღვია და მოუშალა.

●

მოგეხსენებათ, დიპლოდოკების სასახლეში ქანდაკებების სრულიად უნიკალური, უვიერფასესი კოლექციაა იყო გამოფენილი. შუადამისას, რაცა ფეხის წვერებზე მოსიარულე მსახურები უკანასკნელ სანთლებს აქრობდნენ და დასაძინებლად ემზადებოდნენ, ის ქანდაკებები მთვრის მკრთალ შუქზე იდუმალ ელფერს იძენდნენ. და მოცახცახე შუქ-ჩრდილები ლანდებივით დაფარფატებდნენ... მერე ქანდაკებები ცოცხლდებოდნენ, გახევებული მოძრაობებით დაეხეტებოდნენ დერეფანში და იქაურობას შიშით ავსებდნენ. სწორედ ამ დროს იპოვეს რამდენჯერმე ჰომო გამოცდილ დერეფანში. გადიის ზღაპრებისაგან, სიზმრებითა და მოლანდებებით სასოწარკვეთილი ბავშვი სწორედ იმ გაცოცხლებულ ქანდაკებებს ეთამაშებოდა და ელაპარაკებოდა... იმ ღამესაც ერთ-ერთი ქანდაკების კვარცხლბეკზე ამძვრალიყო, მწოლიარე მარმარილოს ჰერაკლეს (რომელიც ძალიან ჰგავდა ავაზაკ ტატეს) გვერდით მოკალთებულიყო და ნამძინარევი ხმით — ხომ ვიცოდი, მამიკო, რომ დაბრუნდებოდეო, ებუტბუტებოდა...

●

და თანდათანობით ბიჭის სხეულის ყოველ უჯრედს საზიზღარი, ცივი და სლიპი შიში დაეატრონა. მეორეს მხრივ, ჰომოს ყველა ძველებურად ეთაყვანებოდა, მან კარგად იცოდა, რომ დიდი, ლამაზი და ყოვლისშემძლე ქალბატონის ვაჟიშვილი გახლდათ... ეს ორი გრძნობა — შიში და „ერთადერთობაი“ გამოწვეული სიამაყე ვერაფრით ვერ დატეულიყო ერთად. განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლა ბავშვს სახეზეც დაეტყო — საკმარისი იყო, სადღაც რაღაცას გაეფაჩუნებინა, რომ ჰომოს ნერვიული კანკალი ატყდომოდა. ერთი უცნაურობაც სჭირდა — რაც უფრო მეტად ეშინოდა, მით უფრო ლამაზდებოდა შინდისფერი

ბურუსი, მით უფრო ტკბილად უვლიდა ზურგში ჟრუანტელი.; სწორედ შიში იყო მისი არსებობის განმსაზღვრელი მაშინაც, როცა პატარა გახლდათ და ჰომობასრო ერქვა, და მერეც — როცა გაიზარდა და დიადი დინგ დოს სახით მოევლინა ქვეყნიერებას. შიში იყო მისი ყველაზე დიდი სატანჯველი და სალხინებელი, ამ შიშის მოთოკვა და დამალვა— მთელი ცხოვრების მიზანი. გაწლილულ პატარა ჰომობასროსა და მრისხანე დინგ დოს ერთნაირად ეშინოდათ დღისა და ღამის, სეტყვისა და ქარის, მზისა და მთვარის, ბოროტისა და კეთილის, ჭექ-ქუხილისა და ვირთხის, შინაურისა და გარეულის, მტრისა და მოყვარის, კაცისა და ქალის... როგორც ვთქვით, უბრალო შიშზე უფრო მტანჯველი უკიდურესად თავმოყვარე ჰომო-დიგო-დინგ დოსათვის ამ შიშის გამოაშკარაევების შიში გახლდათ. ამიტომაც ეს შიში საგულდაგულოდ იყო შეზეული, შეფუთული და სადღაც, სულის მიუწვდომელ სიღრმეებში გადაკარული.

●

ვერავინ ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს თუ რას განიცდიდა უჯიში წრუწუნასავთ დალეული ჰომო, როდესაც ერთ საღამოს ლოგინში შემთხვევით მარტო დარჩენილმა გადაწყვიტა, ფდოს საწოლ ოთახში შესულიყო.

ეს იყო მთელი მოგზაურობა — ფათერაკებითა და იდუმალებით აღსავსე.

გარეთ ქარი ქროდა, უკუნეთი სიბნელე იდგა და ტოტები ლაწუნით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს.

ვეება სასახლეში მიჩვენებები დაძრწოდნენ.

აი, კარი გაიღო ჭრიალით.. თავისით გაიღო, არავინ მიჰკარებია. ბიჭს ფეხებზე რაღაც რბილმა გადაუსრიალა... მერე დაინახა, რომ კარადიდან ვოლაცის დიდი თვალი უმზერდა... ჩვეულმა ცივმა ჟრუანტელმა დუარა ხერხემალში და გაოგნებულს, არც კი ახსოვდა, როგორ ამოჰყო თავი ქალბატონ ბრუნგარიტას საწოლ ოთახში, შემეკრა საწოლის ქვეშ და გაიტრუნა... თუმცა, შეეძლო სულაც არ გატრუნულიყო, ისე ნაკლებად აინტერესებდა დედამისს ბიჭის იქ ყოფნა-არყოფნის საკითხი...

VII საპოვნელა

ეტლი გაჩერდა ალუჩიდან ორი ადამიანის — ლედიკაცისა და მამაკაცის მძღავრი ხარხარი მოისმა. ამ, უკაცრაული პასუხია, სიცილმა ქარიშხლის ხმა დაფარა და ბროლის ჭაღებს წკრიალი დაწყებინა. ქალბატონ ბრუნგარიტას ამ შუადამისას ერთი გრძელლვაშიანი, ღეკვივით მოსული და მხარბეჭიანი კავალერისტი დაეთრია.

სადარბაზოში შემოვიდნენ თუ არა, მარმარილოს სასახლე დაიზნიქა და ატორტმანდა!

მოდიოდნენ... არა, მორბოდნენ ერთმანეთთან ყოფნის სურვილით ატაცებულნი. კაცი ქალს შესცინინებდა თვალებში, ქალი — კაცს და უფრო შესაფერის წყვილს ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი.

არც კარი დაუკეტავთ, არც სინათლე ჩაუქრიათ, ისე დაეტაკნენ ერთმანეთს...

და დაიწყო ვაი-უშველებელი: სპილოების ჯოგის ცელქობა და ბულრაობა ტყუილია, მეტ ხმაურსა და დავი-დარაბას ვერ გამოიწვევდა. საწოლი ისე ჩაიზნიქა, რომ ცოტაც, და შიშისა და ბედნიერებისაგან აცახცახებულ ტახტის მემკვიდრეს იატაკს მიახრეხდა და წრიაპა ჰომოს თავის მრავალრიცხოვან დაიკო-ძამიკოთა სვედიან და მოსაწყენ გზას გაუყენებდა.

ხარხარი, ღმუილი და ჭიდაობა კარგა ხანს გაგრძელდა, მერე კი გულგაგეოქილი ბავშვის სმენას ქალის ძალიმი ქშენა და კაცის ღრუტუნი დაეძგერა. საწოლის რეკვა სახლს გადაედო, სახლისა — მიწას და აღელვებულმა მიწამ კი ბოსელი და მეზობლის ქოხი იმსხვერპლა...

ჰომოს მთელი სულითა და გულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა მის თავს, მაგრამ ისევ ის დაწყვეული შიში არ აძლევდა ამის საშუალებას... მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, როცა მიწისქვეშა მაწყენარდა, გაბედა ბიჭმა და საწოლის ქვეშიდან თავი გამოყო. ჰომომ ჯერ წარმოუდგენელი ზომის შავი ბანჯგვლიანი ფეხი დაინახა და დედამისის მსუქან თეთრ ხელს კი მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი, როცა უკვე ძალიან გვიან იყო — ქალბატონმა ბრუნგარიტამ ბიჭს ყურში ჩაავლო ხელი და აუწია... გულგრილად, თამაშ-თამაშით, ლეკვს რომ ყურს აუწევენ ხოლმე, ისე... გულშიაც არ გაუვლია, შერცხვენოდა ან უხერხულობა მაინც ეგრძნო საკუთარი ვაჟიშვილის წინაშე. პირიქით, ფრიად გამხიარულდა და ძალის პირს ერთი კარგი, ომახიანი ხარხარიც გამოაცხო. ამ ხარხარს კავალერისტი ოფიცრის როხროხი შეუერთდა და თვით ჰომმაც გაბედა, თავისა კანკალა წრეპინა ხმით გაეცინა. ერთხანს ასე შეწყობილად იცინოდნენ სამივენი. ჰომოს სიცილისა და ნეტარებისაგან თვალებზე ცრემლი მოადგა და აქსუტუნდა. ქალბატონმა ბრუნგარიტამ არც აცია, არც აცხელა, ლოგინზე მიგდებულ ვარდისფერ საცვლს დაავლო ხელი და იმით მოპხოცა ცხვირი შვილს. ჰომოს სრულიად უცხო და გამოუცნობი თბილი სისველე მოხვდა ცხვირში, მთელი ძალით გაიბრძოლა, დედის მზრუნველობისაგან თავი გაითავისუფალა და ძლივს მოასწრო საპირფარეშოში გაქცევა. მთელი საათი ერეოდა გული და, ისედაც ცეროდენა, იქიდან სულ ერთი ბეწო გამოვიდა...

ამის შემდეგ ბიჭს ყოველად უდროო დროს ცხვირის ქსუტუნი დასჩემდა და სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ხოლო ის გულისამრევი სველი სითბო უკლებლივ ყველა ქალის დანახვაზე ახსენებდა თავს.

VIII. ხისლის ყივილი

დრო გადიოდა.

თითქმის არაფერი იცვლებოდა ჰომობასროს ცხოვრებაში. ეს იყო მხოლოდ — მკაცრად აუკრძალეს ღამღამობით დერეფნებში ხეტიალი და ქანდაკებებთან ძილი. ამან კიდევ უფრო გაუმძაფრა შიშის შეგრძნება. ძველებურზე უფრო ხმამაღალი პაკაპუკით დაიარებოდნენ სხვენზე მოჩვენებები, უფრო ავად სისინებდა ქარი ხვებში, უფრო მეტი ჭინკა უთვალთვალებდა მთვარის ამოსვლისთანავე... და იყო კიდევ ერთი, ჰომის წარმოსახვაში ფრიად საშიში და ცბიერი არსება, რომელიც სწორედ მაშინ გამოცხადდებოდა ხოლმე ბაშვის ოთახში, როცა სასახლეში სანთლებს აქრობდნენ და მორიგი ზღაპრის მოყოლით ვალმოხდილი გადია დრიც დასაძინებლად მიდიოდა...

ეს იყო დიდი ხოჭო, შავი და ჰრიალა; იგი მრისხანედ არხევდა ულვაშებს და დროდადრო მშრალი ტკაცუნისმაგვარ ხმებს გამოსცემდა.

მერე ეს ხოჭო განუზომლად იზრდებოდა და ბიჭის სიზმარეული თავგადასავლების ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი და დაუნდობელი მონაწილე ხდებოდა. ყოველ ღამე ერთსა და იმავე დროს დაბარებულივით ცხადდებოდა შავი ხოჭო და სიამოვნებით ასრულებდა ღამეული საფრთხობელას როლს...

დიდხანს იომინა ჰომომ ეს საზიზღარი ხოჭო. ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია მისი ტკარცალისათვის, მაგრამ უშედეგოდ. ჩაძინებისთანავე უზარმაზარი მწერის პანჯგვლიანი სახსრების მაკარვის გრძნობდა და უკვე აღარ იცოდა, სად ერჩივნა ყოფნა — ცხადში თუ სიზმარში...

ბოლოს ამ არსების მიმართ შიშმა ყველა სხვა შიში დათრგუნა.

თავმოყვარეობა იმის ნებას არ აძლევდა, ვადა დარისთვის გაეზიარებინა თავისი ვასაჭირი, არადა, მეტის გაძლებაც აღარ შეეძლო... და აი, ერთ დამეს ჰომობასროს გადაწყვეტა! და ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ისეთი მტანჯველი სიცივე და, ამავე დროს ნეტარების შინდისფერი ჟრუანტელი ჩაეღვარა სხეულში, როგორიც ჯერ, აქამდე არ გამოეცადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ჰომობასრომ ხოჭო მოკლა!

ეს იყო პატარა ბიჭის დიდი გამარჯვება საკუთარ განცდებზე, დიპლომატიკების უძლეველი სისხლის აჩქეფება.

ბუნდოვნად ახსოვდა, რა მოხდა — სიცივისაგან და ნერვიულობისაგან აკანკალებული ლეგინიდან ადგა, ბუხართან კედელზე მიყუდებული ცეცხლის სანჯრეკი აიღო და საკვირველად გამოზომილი მოძრაობით ზედ კედელს მიასრესა სამუდამოდ მტერი.

თვითონაც არ მოელოდა, ისე ადვილად მოხდა ეს ყველაფერი. გაჭყლეტილი მწერის შიგნეული დიდ სველ ლაქად იყო კედელზე განთხლეული და მხოლოდ გრძელი შავი ულვაში ტოკავდა უაზროდ.

ჰომომ გულისრეკა შეიკავა და ლოგინში ჩაწვა.

ღამე შედარებით მშვიდად ეძინა და გამოიღვიძა თუ არა, ზღაპრულ დევ-გმირად წარმოიდგინა თავი, თუმცა კი მანც ცდილობდა, ხოჭოსაკენ არ გაეხედა.

●

ამ დღიდან ბიჭის პატარა, მაგრამ ჭკვიან თავში ერთი აზრი მომწიფდა საშვილიშვილოდ „თუკი აღარ იქნება ის, რისიც ან ვისიც გეშინია, შიშიც თავისთავად გაქრება...“

IX. HOMO SENTIMENT

ეს ბავშვი ცარიელი გრძნობაა — ზშირად იტყოდა ხოლმე ვადია დარი ჰომობასროს მისამართით. მენტორმა ფიდუს ტიტინ-კარნახმა კი ივივე აზრი ლათინურად გამოხატა — ბიჭს „Homo Sentiment“ — მგრძნობიარე ადამიანი შეარქვა და საკუთარი გონებამახვილური კალამბურით ერთობ კმაყოფილი დარჩა.

ფიდუს ტიტინ-კარნახი გახლდათ ფილოსოფოსი, რომლის გენიალობაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა (ყოველ შემთხვევაში, ბეთქილაპურში მაინც). ამ კაცზე ასეთმა დირსშესანიშნავმა აზრმა მეარად გაიდგა ფესვი მიუზედავად იმისა, რომ ბეთქილაპურელი ფილოსოფოსის თხზულებანი ერთ-ორ მეცნიერს თუ ჰქონდა წაკითხული. საერთო აღტაცებას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ტიტინ-კარნახმა სადოქტორო დისერტაცია თვით ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დაიცვა. მისმა სადისერტაციო ნაშრომმა „იდეისა და მატერიის ჰარმონიული შერწყმა პანტა-გრუეს დიდაქტიკური პოემის „შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა!“-ს მიხედვით“ საუნივერსიტეტო ქალაქის სამეცნიერო წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე ის იყო, რომ ბეთქილაპურული ლიტერატურის კლასიკოსის უზარმაზარი, ზუთიათასგვერდიანი დიდაქტიკური პოემა არც ერთ სხვა ენაზე არ იყო ნათარგმნი. დისერტანტს კი ნაშრომის მეზუთე ტომიდან, რომელიც პოეტს ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაემთავრებინა, ძირითადი აზრის მატარებელი მხოლოდ ერთი ტაეპი ეთარგმნა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის მეცნიერთათვის გასაგებ ენაზე. დანარჩენი ციტატები კი უცვლელად, ანუ ბეთქილაპურულად იყო გადმოტანილი. აი, ის ფუძემდებლური ტაეპიც:

ბაობაზე ჩნავის ყვავი,
სულებს უხმობს ტამტამი,
ერთი თავი არის თავი,
ორი თავი — თავთავი!

აქ მეცნიერი „თავს“ განიხილავდა, როგორც აზრის, იდეის, სულიერების სიმბოლოს, ხოლო „თავთავს“ მატერიალური საწყისის გამოვლენად მიიჩნევდა. იმ ფაქტიდან, რომ დიდაქტიკოს ჯერ „თავი“ ჰქონდა ნახსენები და მერე „თავთავი“, ფიდუს ტიტინ-კარნახს ვრცელი მსჯელობისა და წიაღსვლების შემდეგ და მათ შედეგად გამოჰქონდა ლოგიკური დასკვნა — ბეთქილაპურელი პოეტი-დიდაქტიკოსი პანტა-გრუე როგორც ფილოსოფოსი, იდეალისტური დუალიზმის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოსო.

კეთილსინდისიერებით თვით გერმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში გამორჩეული ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლეგია დიდ საგონებელში ჩავარდა — ბეთქილაპურამდე ორი ოკეანე და რამდენიმე ზღვა იყო გადასალახავი, ხოლო გერმანიაში...

და აქ ერთ მხცოვან მეცნიერს გაახსენდა, რომ სწორედ მან ქალაქში ცხოვრობდა ერთი ნაკლებად ცნობილი გეოგრაფოს-ორიენტალისტი, რომელსაც ასე, ორმოცდაათიოდე წლის წინ ბეთქილაპურის შესახებ რამდენიმე სტატია გამოექვეყნებინა. სასწრაფოდ აფრინეს კაცი და სამეცნიერო კოლეგიის წევრებს ეულს ლოდი გადავარდათ, როცა გაიგეს, რომ ის სწავლული დღესაც ცოცხალი და საღ-სალამათი ყოფილა.

დარბაზი, სადაც კოლეგიის სხეია ტარდებოდა, დიდი პატივისცემით, ფეხზე წამომდგარი შეეგება უხუცეს გეოგრაფოს-ორიენტალისტს. ეს უკანასკნელი მხიარული ღიმილითა და თავის ქიცინით შემოფარფატდა, კოლეგიის წევრებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი და საგანგებოდ მისთვის მომზადებულ ღრმა და ფართე სავარძელში ჩაკარგა.

სხდომა დაიწყო.

საზეიმო მომენტის შესაფერისად გაფთრებული ფილოსოფიის მაგისტრის წოდების მაძიებელი ფიდუს ტოტინ კარნახი თანდათან შედიოდა ეშხში, თავის ნაზრევს უხვად ურთავდა ვრცელ ნაწყვეტებს ბეთქილაპურელა კლასიკოსის პოემიდან და გზადაგზა იპონენტებს საკმაოდ გეწლიანი პასუხებით უმასპინძლდებოდა

ოდესღაც, სადღაც ყურმოკრული ბეთქილაპურული სიტყვების გაგონებაზე უხუცესმა გეოგრაფოს-ორიენტალისტმა ჯერ ყურები ცქვიტა, მერე სავარძელში აწრიალდა და ბოლოს, ისეთი ქვითინი გააბა, რომ შეძრწუნებულმა სწავლულებმა გულამოსკვნილი კოლეგა სულ ფერეგ-ფერებით გაიყვანეს გარეთ.

ამ შემთხვევის შემდეგ დისერტანტის ოპონენტებმა, რომლებიც ამ გეოგრაფოს-ორიენტალისტის იმედით იყვნენ, „იქნებ რაღ გაგვაგებინოსო“, საბოლოოდ ჩამოყარეს ყურები და ოდნავი წინააღმდეგობაც აღარ გაუწევიათ კოლეგიის გადაწყვეტილებისათვის ბატონ ფიდუს ტოტინ-კარნახისთვის ფილოსოფიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების თაობაზე.

ბედნიერი ტოტინ-კარნახი გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ ბეთქილაპურს.

შეებით ამოისუნთქეს ჰაიდელბერგელმა ფილოსოფოსებმა, რომლებიც ბოლო ხანებში თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს და შეეცადნენ, რაც შეიძლებოდა სწრაფად დაევიწყებინათ ბეთქილაპურული მეცნიერული აზრის თვალისჩინი და მისი დისერტაცია.

●

ბავშვის მენტორობაზე თანხმობა ისეთი პიროვნებისა, როგორიც იყო ფილოსოფიის მაგისტრი ფიდუს ტოტინ-კარნახი, თვით დიპლოდოკთა წარჩინებული გვარისათვისაც დიდი პატივი გახლდათ. ამისათვის ბატონ ფიდუსს არნახული პირობები შესთავაზეს და თუ პირველად, ცოტა არ იყოს, გაინაზა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პატიოსან, თანაც უშვილძირო კაცს პედაგოგიკაზე და, საერთოდ, ბავშვების აღზრდაზე უკიდურესად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

●

ფილოსოფიის მაგისტრი ტოტინ-კარნახი პირველი გაკვეთილისათვის რამდენიმე კვირა საფუძვლიანად ემზადებოდა. პედაგოგიურ იარაღად ვაიშეშიკების სკოლის პრინციპები აირჩია და...

პატარა ჰომოსასრო, რომელსაც წინა ღამით გადია დარი განსაკუთრებით საშინელი ზღაპრების მორიგი სერიით გაუშასპინძლდა, დილაუთენია უკვე მერხს უჯდა და თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა ყანწსასვით მაღალფეხება მონოკლიან კაცს, რომელიც საჩვენებელი ჯოხით ხელში დაფის წინ დაიარებოდა და მოწაფეს ძველბერძნული ფილოსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიის ერთ-ერთი მამამთავრის — თალესის მოძღვრების საფუძვლებს აცნობდა...

ლექციის დამთავრების შემდეგ ვალმოხდილმა მაგისტრმა ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა, შეგრძნ მკაცრად გადახედა და დაავალა დაეწერა თხზულება: „რა ფიქრებს აღგვიძრავს სიტყვა „წყალი“ თალესის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობისთანავე?!“

მენტორის წასვლის მერე ჰომობასრო კარგა ხანს გაოგნებული იჯდა და ამაოდ ცდილობდა გაეგო, რას მოითხოვდა ეს კაცი მისგან... საქმე ის იყო, რომ ბავშვმა ჯერ წერა-კითხვა არ იცოდა.

●

მიუხედავად ასეთი უიღბლო დასაწყისისა, მენტორისა და მისი მოწაფის ურთიერთობა მალე თავის კალაპოტში ჩადგა. სანატრელი საყურებელი იყო, როგორ ცდილობდა ტატინ-კარნახი თავისი ზელით ხის მოძრავი ანბანი გამოეჭორკნა ბავშვისათვის. ამ საქმიანობას მეცნიერმა მთელი ხუთი საათი შესწირა და ლამის თითიც თან მიაყოლა. ბრუნგარიტამ დიდხანს იმხიარულა ამ ანბანის ნახვისას და სასახლის დურგალს უბრძანა, მენტორს დახმარებოდა. ამ დღიდან მასწავლებელს თვალსაჩინოება აღარ დაკლებია...

ისწავლა თუ არა ჰომომ ანბანი, მენტორმა მაშინვე თალესისა და თავისი საყვარელი პანტა-გრუეს თხზულებები მიაჩეჩა...

X. თეთრი სასახლის ქრონიკები

კავალერისტი ისე მიეჩვია ქალბატონ ბრუნგარიტას სასახლეში ცხოვრებას, თითქოს აქ ყოფილიყო დაბადებული. მთელი დღე ჩიბუხს ეწეოდა, ლაზღანდარობდა და რიხრიხებდა, პალმების ხეივანში დასეირნობდა და მწიფე ანანასებს უცნაურ ლექიორებს აყოლებდა. ერთადერთი მისი საზრუნავი სადილისათვის მზადება იყო. გულკეთილი ბუმბერაზი უკვე ყველას უყვარდა სასახლეში. მზარეულები ოფლში იწურებოდნენ, რომ ქალბატონ ბრუნგარიტასა და კავალერიის ოფიცრის ზღაპრული მადა დაეკმაყოფილებინათ. ევროპის ერთ-ერთ მუზეუმში აღმოჩენილ იქნა თიხის გაქვავებული ფირფიტა, რომელზეც უფროსი მზარეული კეთილსინდისიერად აღნუსხავს ამ ოჯახში ერთ ჩვეულებრივ დღეს გამართული სადილის გასაადილს:

1. პალმის ღვინოში მოხარშული ანტილოპა გნუ — 1 ცალი.
2. შამფურზე შემწვარი ზაქი — 1 ცალი.
3. ნესვის ხის ფოთლებში შემწვარი სარაქლემას სუკები — 1/2 ფუთი.
4. ქოქოსის კაკლები, ზვიგენის ღვიძლის პაშტეტი — 22 ცალი.
5. ბეჰემოტის ფეხების მუჟუჟი — 1/2 ფუთი.
6. ლოქო — 2 ფუთი — 1 ცალი.
7. ხოხობი ნიგვზის საწებლით — 6 ცალი.
8. კუკურედუ — 12 ულუფა.
9. ბოსტნეული — 1/2 ფუთი.
10. თხილი — 2 კალათა.
11. ხილი — (წარწერა წაშლილია).
12. ტკბილეული — (წარწერა არ იკითხება).
13. ლიქიორი — 4 ბოთლი.
14. შარაბათი — 6 დოქი.
15. პალმის ღვინო — 24 ბოთლი.

ფირფიტის აღწერა შეასრულა ლონდონის სამეფო აკადემიის ნამდვილმა წევრმა, არქეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა ლორდმა საუთჰემპტონმა. ამავე სწავლულის უეჭველი მტკიცებით, სადილს ესწრებოდნენ ქალბატონი ბრუნგარიტა, კავალერიის ოფიცერი, ბატონი ფიდუს ტიტინ-კარნახი, ყმაწვილი ჰომობასარო და მისი ვაჟია დარი. თუ ამ სამი უკანასკნელის მადასა და საერთო ჰაბიტუსს გავითვალისწინებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ზემოთ ჩამოთვლილი ნუგბარ-ნუგბარი ვინ მიერთვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი ადგილი დიპლოდოკების ოჯახში, სადაც გოლიათ ოფიცერს მტრულად ზვედნდენ, საჯინიბო იყო. ყველაზე გამძლე და მოსული ცხენებიც კი კავალერისტის დანახვაზე ყალყზე დგებოდნენ, საშინელ ჭიხვინს იწყებდნენ და დუქმორეულნი საბელის გაწყვეტას ცდილობდნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რამეთუ საწყლებს ხერხემალი გამრუდებოდათ დევკაცის ორევით. ეს პრობლემა ქალბატონმა ბრუნგარიტამ სწრაფად და უმტკივნეულოდ მოაგვარა — ფლანდრიიდან გამოიწერა იქაური ჯიშის ბუმბერაზი ცხენები, რომელთაც კაცის კი არა, მძიმე ზარაზნების თრევა არაფრად უღირდათ და საჯინიბოც დაწყნარდა. ფლანდრიული ცხენზე ამხედრებული კავალერისტი იმდენად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, რომ თვით გამოუსწორებელი ათეისტებიც კი პირველივარს იწერდნენ და მზურვალე ლოცვას იწყებდნენ — „ღმერთო, შენ გვიშველე, ღმერთო, შენ დაგვიფარე!“

კავალერისტი ჰომოს ჩვეული გულგრილ-დაფაშტული სიკეთით ეჭვრობოდა და ისევე ნაკლებად ფიქრობდა მის ფაქიზ სულიერ წყობაზე, როგორც თვით ქალბატონი ბრუნგარიტა. ამ დროს ფარისეველებით გარშემორტყმული ბიჭი უკვე სერიოზული დაავადების ნიშნებს აჭყლავნებდა — იგი არაბუნებრივი ეჭვით აცქერდებოდა ყოველ ადამიანს, დამეები თითქმის არ ეძინა, თუ ჩაიძინებდა, მაშინვე ცივ ოფლში იწურებოდა ისე, რომ მისი ზეწარი ღილაობით მშიერი სპილოს ნაღეჭსა ჰგავდა...

თვით უშიშარი კავალერისტიც შეძრწუნდებოდა, რომ ცოდნოდა, როგორ და რა ძალით ეჯავრებოდა იგი ჰომობასროს. ბიჭი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სწორედ ამ გრძელულვაშა მაიმახმა წაართვა დედიკო ბრუნგარიტას სიყვარული და ყურადღება. სიამოვნების თრთოლვა დაუვლიდა ხოლმე ჰომობასროს, როცა წარმოიდგენდა, რომ კავალერისტმა ნადირობისას კისერი მოიტეხა ან შემთხვევით პალმის ღვინის ნაცვლად საწამლავი დალია, ან სამთვრალეში ნიანგ ვერონკასთან მოინდომა ბანაობა... მაგრამ დრო გადიოდა და კავალერისტს არათუ სასიკეთილო საფრთხე, ერთი უბრალო სურდოც არ შეერია. ეს იყო ეშვეთად ჯანმრთელი კაცი და ჰომობასრო იძულებული შეიქმნა, დამშვიდობებოდა თავის ყველაზე დიდ და ლამაზ ოცნებას კავალერისტის უდროოდ გარდაცვალების შესახებ... მისი ერთადერთი ნუგეში ამ უსიხარულო ცხოვრებაში ის შორეული კუნძული იყო, ლალისფრად რომ ელავდა ჩამავალი მზის სხივებში. როგორ უნდოდა, მალე დამდგარიყო ის დღე, როცა აღარ დაინახავდა აღარც კავალერისტს, აღარც მენტორს, ყველა ამ ძიძასა და გადიას, ამ ტკბილ ღიმილიან სახეებს, სტუმრებსა და დამთვალიერებლებს, როცა დედა ბრუნგარიტა დაბერდებოდა და მიბეზებოდა, რომ არავის არსდროს ისე არ ჰყვარებია, როგორც ჰომობასროს და როცა ერთად დასახლდებოდნენ იმ ლალისფერ კუნძულზე...

ასე გადიოდა დრო დიპლოდოკების ბრწყინვალე სპილოსძვლისფერ სასახლეში... თუმცა, კი არ გადიოდა — მიგრიალებდა, მიჭეანობდა, გრგვინვითა და ჭექა-ქუხილით, ღმუილითა და სიცილ-ხარხარით მიექანებოდა...

XI. დაბადების დღე

თოთხმეტი წლისა სრულდებოდა ჰომობასრო და თავის ტოლს ეკერაც არ დალაპარაკებოდა. ეს ღირსსახსოვარი მოვლენა სწორედ მის დაბადების დღეს დაემთხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

უმრავი სტუმარი მოაწყდა იმ დღეს დიპლოდოკების სასახლეს.

პირმოთნე ბეთქილაპარელები შიშნარევი ღიმილით ულოცავდნენ ქალბატონ ბრუნგარიტასა და კავალერისტს ჰომოს დაბადების დღეს. ბიჭიც იქვე იდგა, ორ ბუმბერაზს შორის ჩაკარგული. სტუმრები ჯერ მასპინძლებს ართმევდნენ ხელს და მერე ბიჭიც ახსენდებოდათ:

— გამარჯობა შენი, ბიჭუნა!

— გამარჯობათ.

— რამდენი წლის გახდი?

— თოთხმეტის, ბატონო.

— ყოჩაღ!

ამას ლოყაზე, ნიკაპზე ან ყურზე ხელს მოთათუნება მოჰყვებოდა და ვალმოხდილი სტუმარი გაბრწყინებულ დარბაზში იკარგებოდა.

მომსვლელთა ნაკადი არა და არ წყდებოდა.

— ნუ ქსუტუნებ! — წამდაუწუმ აძლევდა შენიშვნას უკან მდგარი გადაა დარი და ბიჭს დიდი სურვილის მიუხედავად იმის საშუალებაც არ ჰქონდა, ჩვეული მოძრაობით საჩვენებელი თითი ცხვირზე გაესვა.

სიტყვა „ბიჭუნას“ გაგონებაზე ჰომო მზად იყო ეკიელა. ისიც ვერ გაეგო, რა ასეთი სიყოჩაღე და ვაჟკაცობა გამოჩინა იმით, რომ თოთხმეტი წლისა შეიქმნა...

●

ერთადერთი სტუმარი, ვისაც ჰომოსთვის სახეზე ხელი არ მოუთათუნებია და წლოვანება არ უკითხავს, ახალგაზრდა მოქანდაკე ლი-ლი იყო. მან მხოლოდ მეგობრულად გაუღიმა ბიჭს და საჩუქარი — ლურჯი ბაფთით კოხტად გადანასკვული დიდი მუყაოს ყუთი გადასცა. ჰომომ იმ წამსვე დიდი სიმპათია იგრძნო ამ კაცის მიმართ, მით უმეტეს, რომ, როცა დარისაგან მალულად ბიჭმა ცხვირზე თითი გაისვა, მოქანდაკემ თვალი ჩაუკრა. ჰომობასრომ იცოდა, რომ ზრდილობის წესის მიხედვით საჩუქარი მოვვიანებით უნდა გაეხსნა, მაგრამ ყუთის სიმძიმემ ფრიად დაიინტერესა და ბაფთას წასწვდა.

— არ შეიძლება, სირცხვილია! — წაუსისინა გადაა დარიმ და ყუთი სხვა საჩუქრებს შორის დადო. ამ მომენტში გადიისადმი თბილ გრძნობებს, ვეჭვობ, თვით მამალმერთიც ვერ აღმოაჩენდა ბიჭის გულში, მაგრამ რა ექნა საწყალს, ბოლმა ჩაიკლა და რატომღაც ის აბეზარი ხიჭო გაახსენდა, თავის დროზე ისეთი სიამოვნებით რომ მიაჭყლიტა კედელს... ამასობაში მოქანდაკე ლი-ლი ქალბატონ ბრუნგარიტასა და მის გვერდით მდგომ კავალერისტს წარუდგინეს. სიტყვა „მოქანდაკის“ გაგონებაზე კავალერისტმა, რომელსაც უკვე კარგა ხანია, ყელში ამოსვლოდა ქანდაკებები კერძოდ და სახვითი ხელოვნება საერთოდ, შუბლი შეიჭმუხნა და სამზარეულოს მიაპყრო მოუთმენელი მზერა თვისი.

სამაგიეროდ დიასახლისი ძალზე თავაზიანად შეხვდა ლი-ლის და დაინტერესდა, როცა აცნობეს, მოქანდაკემ თავისი ნამუშევარი გიძღვნაო.

— ნუ დამძრახავთ, შვენიერო ქალბატონო! ვიცი, რომ დიდი თავხედობაა დიპლოდოკების ასულს საკუთარი ნაცოდვილარი მიუძღვნა, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს არის ჩემთვის ძვირფასი ყველაზე, რაც კი რამ მაბადია ამქვეყნად.

— ვნახოთ, ვნახოთ! კარგია, თუ ეს სითამამე საკუთარი ნიჭის შეგრძნებით არის გამოწვეული.

მოქანდაკე აღელდა. მან ახლაღა იგრძნო თუ რას ნიშნავდა ბრუნგარიტას — დიპლოდოკების სახელგანთქმული გვარის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლის, ხელოვნების უებრო დამფასებლის წინაშე საკუთარი ნამუშევრის ვამოჩენა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ იყო და ლი-ლიმ მსახურს ანიშნა, ქანდაკებისათვის საბურველი აეხადა.

ეს იყო უბრალო ქვისაგან გამოთლილი მამაკაცის პორტრეტი. თეთრი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის თვალისმომჭრელ ფონზე ახალგაზრდა მოქანდაკის ნახელავი სადღაც დაიკარგა და დასახლისს საკმაო დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ღირსეულად შეეფასებინა ნაწარმოები. თუმცა კი ბრუნგარიტამ ერთი დათვალიერებით შეძლო დაენახა ამ მოკრძალებულ ნამუშევარში ის, რის აღმოჩენასაც შემდგომში ხელოვნებათმცოდნეებმა მრავალი წელი მოანდომეს.

— მადლობა, ბატონო ლი-ლი. თქვენი ნახელავი თავის ღირსეულ ადგილს დიაკავებს ჩემს გალერეაში. ახლა კი გთხოვთ, ნადიმზე გვეწვიოთ!

ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი მოქანდაკის ნამუშევარი — დიპლოდოკების გალერეაში! ეს სკულპტორ ლი-ლის უდიდესი აღიარება გახლდათ და თუ არა მოშურნენი, რომლებიც მრავლად დაფუთფუთებდნენ ბრუნგარიტას კარზე და რომლებსაც სრულიად არ აძლევდათ ხელს ახალი ფავორიტის გამოჩენა, ლი-ლის გაცილებით ადრე გაიცნობდა საზოგადოება. მათ ჩვეული ხელოვნებით ჩაახშეს და მიაფუჩუჩეს ამ წარმატებას ამპავი და არც მოქანდაკე გახლდათ ის კაცი, ტრაბახი დაეწყო...

უხვი ნადიმიდან შინ დაბრუნებულმა ლი-ლიმ თავის თავს შეჰფიცა, დღე და ღამე გაესწორებინა და გაემართლებინა ესოდენ მაღალი შეფასება ყველაზე მომხიბლავი ქალბატონისა, რომელიც კი მას ამქვეყნად ენახა.

●

შეწყდა თუ არა სტუმრების ნაკადი, ჰომობასრომ შვებით ამოისუნთქა და მოქანდაკის ნაწუქარ მუყაოს დიდ ყუთს ეცა. გაუმართლდა იმედი ბიჭს — ყუთი სავსე იყო თუთიისაგან ჩამოსხმული ჯარისკაცებითა და იარაღით:

ფეხოსნებით!

ცხენოსნებით!

მედოლეებით!

დროშებით!

ზარბაზნებით!

თოფებით!

ხმლებითა და ხიშტებით შეიარაღებული მეომრებით!

ფართედ გაშლილ მწვანე მაუდზე ერთმანეთის პირისპირ იდგა სპრძოლველად გამზადებული ორი არმია და ჰომობასროს ნიშანსდა ელოდა, რომ ერთმანეთს დატაკებოდა.

პატარაობიდან რამდენჯერ უოცნებია ასეთ რამეზე, მაგრამ თეთრ სასახლეში აბა ვის ეცალა ბავშვის სათამაშოებისთვის...

●

გაისმა ბუკ-ნაღარის ღრიალი და ეს ორი არმია ერთმანეთს დაეკახა.

ერთმანეთში აირია სხვადასხვა ფერის მუნდირები და დროშები!

მზეზე ელავდნენ მოქნეული ხმლები!

ყალყზე დგებოდნენ და ერთმანეთს ტორებს სცემდნენ გაგიჟებული, დუჟმორეული ცხენები!

დაჭრილები კვნესოდნენ და შეწყალებას ითხოვდნენ.

სისინით დაეძებდნენ მსხვერპლს ტყვიები!

ავად გრუხუნებდნენ გაბორტებული ზარბაზნები!

ოფლში გაწურული დევ-ვმირი ჰომობასრო დაუნდობლად მუსრავდა ყველას და ყველაფერს. ხან ერთ ფრთაზე გამოჩნდებოდა, ხან მეორეზე. მერე ყველაზე ცხელი წერტილი აირჩია შუაგულში და სასტიკი იერიშით უკუაგდო მტერი! თვით ბუმბერაზმა კავალერისტმა ბრუნა პირი და გაიქცა ბრძოლის ველიდან!..

ამ წუთში ვერავინ დაიჯერებდა ბიჭს, რომ ეს ყველაფერი მის წარმოსახვაში ხდებოდა და არა სინამდვილეში.

●

რიდის-რიდის გამოერკვა ბრძოლის ჟინით ატაცებული, აცახცახებული ჰომობასრო. გამოერკვა და დაინახა ორი ბავშვი, რომლებიც დაბნეულები შესცქერიდნენ დიპლოდოკთა შთამომავალს.

როგორც ვთქვით, აქამდე ჰომოს თავისი ტოლები მხოლოდ შორიდან თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდა ნანახი, ახლა კი მოულოდნელად პირისპირ შეეჭრა მათ.

— ესენი ჩვენი სტუმრები არიან, ჰომობასრო, თავად კავალოს ქალ-ვაჟი! — დამტკბარ-ჩაშაქრული ღიმილით თქვა გადაა დარიმ, — აბა, ბავშვებო, მიეულოცოთ ჩვენს საყვარელ ჰომოს დაბადების დღე.

— მომილოცავს! — ძალიან სერიოზულად მიმართა ჰომოს ბუთხუზა, ჩაფსკვნილმა ბიჭმა და ხელი ჩამოართვა.

— მეც გილოცავ! — კეკლუცად გაუღიმა გოგონამ და ლოყაზე აკოცა.

სიამოვნებისა და ესოდენ მოულოდნელი ბედნიერებისაგან ჰომოს ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ თავი შეიკავა და ღირსეულად გაუძლო მოზღვავებულ გრძნობებს.

გადაა ბავშვებს ხილით, ტკბილეულითა და საგანგებო შარბათით გაუმასპინძლდა. მერე პალმების ხეივანში გაისეირნეს...

მხიარულად ზანზარებდა სტუმრებით სავსე ბრუნვარიტას თეთრი სასახლე.

ბაღი იყო ედემივით მშვიდი და ლამაზი.

ფერად-ფერადი ჩიტები ფრთხიალებდნენ და ყლორტულებდნენ ბუჩქებში.

ველური ყვავილებისა და რძიანი ბალახის სურნელება იფრქვეოდა ირგვლივ.

სელენა ერქვა თავად კავალოს პატარა ასულს და მისი სილამაზითა და მიხრა-მოხრით მოხიბლული ჰომობასრო სხვას ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა გარშემო.

როცა დამალობანას თამაშისას ერთი დაბურული ხის ქვეშ მარტონი აღმოჩნდნენ, ჰომომ გოგონას თლილ ვარდისფერ ხელზე ხელი მოჰკიდა და თავისკენ შეატრიალა:

— შენ ფერია ხარ!

— ფერია კი არა, სელენა ვარ. — გაიცინა გოგონამ.

— ჩუმად, შენი ძმა გაიგონებს... შენ ჩემი ფერია ხარ.

— მართლა? — შუბლი შეიჭმუხნა სელენამ.

— მართლა! და ყოველთვის იქნები. გინდა?

გოგონამ არაფერი უპასუხა და ლოყაზე ლოყა მიადო. ერთხანს ასე გატრუნულები იდგნენ. ჰომობასრო თავის ლოყაზე გრძნობდა სელენას ატმისფერი, ხავერდოვანი ლოყის სითბოს და სიამოვნებით ისუნთქავდა მწიფე ხორბლის სუნს, მის ოქროსფერ თმებს რომ ასდიოდა.

— ალბათ ეს არის სიყვარული, არა?

— ჰო.

— და მერე, რომ გავიზრდებით, ცოლად შემორთავ?

— რა თქმა უნდა.

— არ მიყვარს თეთრი კაბები! — ტუნაიბზუა თავადის ქალმა და მოხდენილი, მოძრაობით ხელიდან გაუსხლტა ჰომობასროს.

მოსაღამოდა.

აგრილდა.

სტუმრები ნელ-ნელა იფანტებოდნენ.

მთავარ სადარბაზოსთან ერთიმეორის მიყოლებით ჩერდებოდნენ მდიდრული კარეტები, შიგ შეწითლებულ-ვამხიარულებული ქალები და მამაკაცები სხდებოდნენ და სიცილ-კისკისით ემშვიდობებოდნენ მასპინძლებს.

და აი, თავად კოვალოს ქალ-ვაჟსაც უხმეს — შინ წასვლის დროაო.

ვერავინ წარმოიდგენს, რა მწუხარებამ დარია ხელი ჰომობასროს... და მხოლოდ სელენას ჩურჩულმა გაამხნევა:

— მე შენ ყოველთვის მეყვარები.

— მეც, გეფიცები!

— მალე მნახე, იცოდე, ეს ყვავილი გქონდეს სახსოვრად! — გოგონამ თმიდან ლამაზი თეთრი ყვავილი გამოიძრო და ჰომოს გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახვამდის!

კარეტაში ჩაჯდომამდე ბუთხუზა ბიჭმა კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი, თავადმა კოვალომ და მისმა მეუღლემ თავზე ხელი გადაუსვეს, ხოლო სელენამ კარეტის ფანჯრიდან ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა.

XII. შაოსანი კაცი

ეშმაკს „ზენობით“ ესაუბრება,
შენ შეგაშინებს ცეცხლი და ალი?!

ბოეთი, „ფაუსტი“.

ქალწულის თვის ოცდამეოთხე დღე ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩეოდა სხვა დღეებიდან. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

ჰოდა, იმ დღეს დიპლოდოკების თეთრი სასახლის წინ ერთი შავტახსაცმელიანი, საშუალოზე დაბალი, წმინდად თავგადაპარსული კაცი სეირნობდა. სეირნობის ამ ეტაპზე იგი სასახლის სადარბაზოს პირას იდგა და მკაცრი გამომეტყველებით გასცქეროდა ცის დასალიერს.

სასახლის წინ გაჩერებულ უზარმაზარცხენებიან ეტლს ლივრეიანი მსახურები შემოხვეოდნენ. ის ეტლი ბორბლებზე შედგმულ სახლს უფრო წაგავდა.

სწორედ ამ დროს მარმარილოს კიბით თვით ქალბატონი ბრუნგარიტა ეშვებოდა მისთვის ჩვეული ზათქითა და ხმაურით, რომ იტყვიან, ცა და ქვეყანა მოჰქონდა თან. ბუნებრივია, დიდიან-პატარიანა ყველა ცდილობდა, გზა დაეთმო მისთვის, თუნდაც თავდაცვის მიზნით... ახლა კი, ეტლისაკენ მიმავალი, გზად იმ შავებში ჩაცმულ კაცს გადაწყდა და, ჰოი საკვირველებავ, ძვრაც ვერ უყო. წამით გაშეშდა ელდანაცემი ბეთქილაპური — მას, დიდებულ ქალბატონ ბრუნგარიტას გზა გაუბრუდა ვიღაც უცნობმა!

ვითომც აქ არაფერიაო, შაოსანი კაცი დინჯად შემოტრიალდა და აბრიალებულ ქალბატონ ბრუნგარიტას მშვიდად ახედა:

— მაპატიეთ ქალბატონო, ვერ შეგამჩნიეთ. — მერე თავაზიანად დახარა თავი და გვერდზე გადგა.

— თქვენ ვერ შემამჩნიეთ მე?! — ქალბატონ ბრუნგარიტას სიცილი აუტყდა, — რა პატარა და რა თამამი!

გამხიარულებული ქალბატონი ბრუნგარიტა შეეცადა პრაალა თავზე ხელი გადაესვა უცნობისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი გაიწია და თავიდან აიცილა ყოკლად უტაქტო „ალერსი“.

— თქვენ რომ მამაკაცი იყოთ, სხვანაირად მოგელაპარაკებოდით! — ჩუმად, მაგრამ გასაგებად თქვა კაცმა და წასვლა დააპირა.

— აქა ვარ კაცი, იქნებ მე მომლაპარაკებოდით, ჰა?! — კავალერიის ოფიცრის ბრჭყვიალა მუნდირში გამოწყობილი ულვაშაპრეხილი ბუმბერაზი დოინჯშემოყრილი იდგა და უცნობს მხიარულად უბრიალებდა თვალებს.

— სიამოვნებით! — კვლავ აუღელვებლად თქვა შაოსანმა და წინ აღუდგა ვოლიათს.

— მაშ სიამოვნებით, არა?! ახლა აქედან მოუსვი და მადლი შეწირე უფალს, რომ ახლახან ვისაუბრე და კარგ გუნებაზე ვარ, თორემ აი, ბიჭებმა იციან რა ხანია, კაცის ხორცი არ მიჭამია!

ამ საყვარელ ოხუნჯობაზე სასახლესთან უკვე ბლომად მოქუჩებული ხალხი კინაღამ სიცილით გადაფიჩინდა, თუმცა სეირის მომლოდინეთ, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუდათ კავალერისტის ამ მეკობრული დემარშის გამო.

— კარგად ბრძანდებოდეთ. სამადლობელი კი არავისი არაფერი მჭირს!

ეს უკვე უცნობი კაცის მხრიდან გამოწვევას ჰგავდა. პასუხის მოლოდინში ყველა გაისუსა.

— ამას დამიხედეთ! — აჭარხლდა კავალერისტი,—ეტყობა, მაინც უნდა ვასწავლო ჭკუა... ღმერთია მოწამე, მე ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდოდა... აბა, ბიჭებო, წრე შეკრით, არსად გაგექცეთ ეს თავხედი!

მაგრამ შავებში ჩაცმული უცნობი სულაც არ აპირებდა გაქცევას. ივი გულგრილად იდგა ერთ ადგილზე და თვალები ისე არაბუნებრივად უელავდა, რომ მათ დანახვაზე უშიშარი მეომარი კანკალმა აიტანა. კავალერისტმა საერთოდ არ იცოდა, შიში რა იყო და ამიტომ ყოველივე სიცილეს გადაბრალა... მხოლოდ ის ვერ გაეგო, აქედან გაქცევის სურვილი საიდან დაებადა.

თუმცა ამდენი ფიქრისა და განსჯის დრო არ იყო — შეკრებილნი მზიარულ სანახაობას მოელოდნენ მისგან.

ბრუნგარიტა დამცინავად უყურებდა ორიეს.

კავალერისტმა სიამოვნებით დაიხედა კომბოსტოსხელა მუშტზე, მერე თავისი საკმაოდ ტანმორჩილი მეტოქე ჩაათვალიერა და უკვე ჩვეული თავდაჯერებით გაიფიქრა — ამ შავ ტიკინას ცოცხლად გადავყლაპავ და ეგ იქნებაო...

●

სასახლის ბალიდან შაშვის სტვენა გასმა და თითქოს ამ ნიშანს ელოდებოდაო, ბუმბერაზი უცნობს ეკვეთა გასანადგურებლად, გადასაქელად...

მოხდა საოცრება: ჩია კაცმა გოლიათს მუშტი ჰაერში გაუშვეს! ერთხანს უკიდურესად დაძაბულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ თანდათან ჩაუქრა კავალერისტს თვალში ნაპერწკალი, უკან გადაიზნიქა და ნელ-ნელა მუხლებამდე ჩაეფლო მიწაში...

მერე ფერი დაკარგა, ტანი გაუხევდა და მაღლა აწეული ხელება მსხვილ ტოტებად გადაექცა.

იდგა ფესვმაგარი, ჯანსაღი, ცდაზიდული ხე და ბრუნგარიტას თეთრ სასახლეს ამშვენებდა.

— არაფერია. ოღონდ წყალი არ მოაკლოთ ხოლმე... მაპატიეთ, მშვენიერო ქალბატონო და თქვენი მონა-მორჩილი დარჩები ყოველთვის! — გამარჯვებული უცნობი ბრუნგარიტას მიეახლა და ხელზე ეამბორა.

— არა უშავს, უწყლოდაც გაძლებს... თქვენ კი დღეს საღამოსვე მესტუმრეთ. აუცილებლად!

და ბრუნგარიტა დიპლოდოკი ისე კეკლუცად შეტრიალდა ეტლისაკენ, როგორც ერთხელ, ძალიან დიდი ხნის წინ, როცა ახალგაზრდა ქერათმიანი ჰერკულესსა ბაბაზ სკოლოპენდერი გაიცნო და იმავე წუთიდან თავდავიწყებით შეიყვარა... მერე ის იყო, ბაბაზზმა საკუთარი ძმის, ბეთქილაპურის მეფის ზენგო XXXVIII-ის დაუფიქრობით შემოხვევით ბანოს ნაცვლად მშიერი ვეფხვების გალიაში ამოჰყო თავი და... ქერა, აბრეშუმივით რბილი წვერის ნაფლეთიდა მიუტანეს ბრუნგარიტას დახვევიანებულმა მაჭანკლებმა, რომელთაც ცისფერ და ესოდენ ახლოგელ ნატვრად ჰქონდათ გადაქცეული დიპლოდოკებისა და სკოლოპენდერთა ვეარების ამ ორი უმშვენიერესი წარმომადგენლის ბეთქილაპურის ტახტზე აბრძანება საქორწინო ზარების გრიალში და ამით ქვეყანაში სამუდამო მშვიდობისა და ღვთიური ნეტარების დამკვიდრება...

ბამბაზის ქალეხზე მეფე ზენგოს (რომელიც ოცდათხუთმეტი წლით უფროსი ვახლდათ თავის ძმაზე) ისე შეეცოდა მიცვალებული, რომ მერე სართულის ფანჯრის რაფაზე ამერა და იქიდან ოლეანდრებით მოფენილ ნაწვიმარ მოლზე გადმოხტა...

ფეხგაშეშებული ზენგოს დანახვაზე ბეთქილაპურელი ლდოკაცები ცრემლს ვერ იკავებდნენ, მაინც რა უცნაურად უყვარდა უმცროსი ძმაო.

როგორც უკვე ვთქვით, დიდი ხნის წინათ მოხდა ეს ყველაფერი.

დღეს კი ერთი დაბალი, მელოტი კაცის ბედს შენაბერდა მთელი ქვეყანა.

და გულწრფელად ჰკვირობდნენ მრავალსმნახველი მანდილოსანნი, რამეთუ კაცი იგი ნახევარი ადლით მაინც ჩამორჩებოდა ბეთქილაპურში ბრუნგარიტას მიერ დამკვიდრებულ მამაკაცის იდეალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ იცოდა, საიდან მოვიდა შაოსანი.

არავინ იცოდა, რა ძალები იყო მასში თავმოყრილი.

არავინ იცოდა მისი გვარი და წარმომავლობა.

მას არავინ იცნობდა ბეთქილაპურში.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბრწყინვალე ქალბატონ ბრუნგარიტას სისხლი აუჩქროლა არა გარეგნულმა შშვენიერებამ, არამედ რადაც სხვამ.

ან იქნებ საკუთარი ბედისწერა დაინახა ქალმა შაოსანი მამაკაცის გაყინულ თვალებში?

არ ვიცით.

იმ კაცს კალენდულა ერქვა.

და ისე ჰგავდა მოქანდაკე ლი-ლის საჩუქარს, თითქოს მისი სახე გამოეძერწოს ოსტატს.

XIII თაფლობის თვე

დიპლოდოკების სასახლეში კალენდულას შემოსვლის დღიდან ერთი თვე გავიდა.

ქალბატონი ბრუნგარიტა თავისი საყვარელი კალენდულას გარდა ვეღარავის აძლევდა გარშემო. იგი ბედნიერების მწვერვალზე იდგა და აღარც აპირებდა იქიდან ჩამობრძანებას. ყოველ დღე და, განსაკუთრებით, ყოველ ღამე სატრფოში სულ ახალ და ახალ ღირსებებს პოულობდა, ღმერთის ტოლა კაცად აღიქვამდა და უკვირდა, როგორ შეიძლებოდა მე, ბრუნგარიტა დიპლოდოკს ვინმე სხვა შემყვარებოდაო. რაც შეეხება კავალერისტს, იგი ისე უცებ დაივიწყა ყველამ, და პირველ რიგში ბრუნგარიტამ, თითქოს თეორ სასახლეს სურდა რაც შეიძლება სწრაფად ჩამოერეცხა მისი აქ პარპაშით გამოწვეული სამარცხვინო ლაქა. ზოგჯერ ბზარეულთუხუცესი თუ გაიქნევდა ხოლმე თავს სინანულით აყვავებული ხის დანახვაზე. ეს იყო და ეს.

❦

მთელი ეს თვე ბრუნგარიტასა და კალენდულას შორის სრული თანხმობა და ჰარმონია სუფევდა. ერთხელ შენიშნა ბზოლოდ კალენდულამ — „ყოველდღიურად ამდენი სტუმრის მიღება განურჩევლობისა და ცუდი ტონის მაუწყებელიაო", მაგრამ ქალმა ყურადღება არ მიაქცია და სულ ცოტა ხანში მიხვდა, რა საშიში ყოფილა ამ კაცის სიტყვების უგულებელყოფა.

❦

— ღღესაც სტუმრები გეყავს?!—იკითხა კალენდულამ, როდესაც მასხურთუხუცესმა ბრუნგარიტას მოახსენა, გრაფი იადონე ვესტუმრათ მეუღლითა და თორმეტი შვილიშურთო.

— რა თქმა უნდა, — მხრები აიჩეჩა ბრუნგარიტამ და სარკეში ყურება განაგრძო, — გრაფი იადონე პაპაჩემის ძმის შვილიშვილის დეიდაშვილის შვილია.

— მე მგონი ერთხელ უკვე ვთქვი, არ მიყვარს სტუმრიანობა-მეთქი. ვფიქრობ, ეს საკმარისი უნდა იყოს.

— სამაგიეროდ მე მიყვარს. ესეც საკმარისია!

— მაშინ მე წავალ.

— მიბრძანდით! — მამაკაცებისგან უაღრესად განებივრებულ ქალბატონ ბრუნგარიტას ვერ წარმოედგინა თუ ასე ადვილად შეძლებდა ვინმე მის მეტოვებას.

კალენდულა ფეხზე წამოდგა, ხელთათმანები აიღო და კარისკენ გასწია.

შეუმცდარმა ქალურმა ალღომ ბრუნგარიტას უკარნახა, რომ ეს კაცი უკან არასგზით აღარ დაბრუნდებოდა.

— მოითმინეთ! — ეს ბრწყინვალე ქალბატონი პირველად აღმოჩნდა ასეთ სულელურ მდგომარეობაში. არადა, ახლა-ღა იგრძნო მთელი სიცხადით, რას ნიშნავდა ეს კაცი მისთვის.

— გისმენთ, ქალბატონო!

— ნუთუ ვერ ხედავთ, რომ... — საშინელ ღღეში იყო ქალბატონი ბრუნგარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა, მაგრამ კალენდარა ისე გულგრილად იდგა, თითქოს ყოველივე ეს მას არ ეხებაო, — მე... მე არ შემიძლია ასე, დიახ, არ შემიძლია. თქვენ არსადაც არ წახვალთ... მე ამას მოვითხოვ!.. არა... არა... ძალიან გთხოვთ, გესმით, ძალიან გთხოვთ!

— ერთი პირობით, თუ ის თქვენი გონებასუსტი ნათესავები და სტუმრები არ შემაწუხებენ.

„გონებასუსტი ნათესავებიო“, ქალბატონი ბრუნგარიტა ის ქალი არ იყო, ვინმესთვის მსგავსი თავხედობა შეერჩინა. ერთბაშად იმძლავრა მრისხანებამ და სიძულვილმა დიპლოდოკების ამაყი ასულის გულში, ორივე ხელით დასწედა ვეება ორლესულ მახვილს, რომლის ტარება თვით დიპლოდოკ ბეთქილაპუერელს უჭირდა და მთელი თავისი საშინელი ძალით მოუქნია კალენდულას, მაგრამ კაცი ცივი ღიმილით შეევება მის წმინდად გაპარსულ თავზე დანდობით დაშვებულ ავად ალესილ ჯავარდენს და თვალებიდან გამოსხივებული უზარმაზარი ენერგიის წყალობით შეძლო შუბლიდან რამდენიმე გოჯის დაშორებით გაეშეშებინა მახვილი. ბრუნგარიტამ ისევ არამქვეყნიური არსება დაინახა ამ კაცში, იარაღი შორს მოისროლა და ძლივს დაიოკა სურვილი კალენდულას წინაშე დაჩოქებისა.

— მომიტევეთ, ბატონო.

— პირიქით, თქვენ უნდა მომიტევოთ, შშვენიერო, ასე რომ გამოგიყვანეთ წონასწორობიდან. იმედია, დღეიდან ჩვენს შორის არავითარ გაუგებრობას აღარ ექნება ადგილი.

— რა თქმა უნდა! — გაიხარა ბრუნგარიტამ, მაგრამ უცებ ისეთი საშინელი დაღლა იგრძნო, რომ ცხოვრებაში პირველად დაფიქრდა თავის ჯანმრთელობაზე.

XIV. ბედი ცხენია გაუხედნავი...

გრაფ კოვალოს ასულ სელენასთან ურთიერთობამ, მისმა რბილმა და თბილმა ტუნებმა ჰომბასარო ერთბაშად გამოაფხიზლა. ბიჭის აქამდე მღვრიე, ბუნდოვანმა სურვილებმა, ტანჯვამ და წუხილმა სრულიად გარკვეული მიმართულება მიიღო. მას ისე ძლიერ აღარ ეჯავრებოდა კალენდულა, როგორც მისი წინამორბედი კავალერისტი. ჰომო ღრმად იყო დარწმუნებული, სელენა მოყვარსო და მით უფრო განცვიფრდა, როცა აღმოაჩინა, რომ ეს მისი სურვილები მარტო ამ ვოგონაზე არ ვრცელდებოდა...

ცივ ნიავს არ აკარებდა გადია დარი საყვარელ ჰომოს — თავისი ხელით აჭმევდა, ვარცხნიდა, ბანდა და აძინებდა; წყლები გადიოდა, ჰომობასრო იზრდებოდა და ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული პროცედურა კი უცვლელად მეორდებოდა ყოველ საღამოს. დარი ვერ ამჩნევდა, რომ უკვე ბავშვს კი არა, მომწიფების ზღვარზე მდგარ თოთხმეტი წლის ბიჭს აბანავებდა. ჰომოს სულ უფრო და უფრო უჭირდა, ქალაქველის ნაზი ხელის თითოეულ შეხებაზე სიამოვნებისაგან უკვე მუხლები ეკვეთებოდა, თავბრუ ეხვეოდა და მტანჯველი სურვილი ეუფლებოდა, რადაც მოემოქმედა, რომ ერთბაშად გათავისუფლებულიყო თავში ავარდნილი ოხშივარისაგან... ჰოდ, ერთ საღამოს, ბანაობისას ჰომომ თავი ვეღარ შეიკავა, ჩახლეჩილი ხმით „კიდევ, კიდევო“, დაიგმინა, თვალები გადაატრიალა, მთელი ტანით აცახცახდა, ბოლოს რამდენჯერმე შეტოკდა და გულშეყონებული აბაზანაში ჩაკარდა. გაკვირვებულმა და დამფრთხალმა დარიმ „მიშველეთო“, დაიძახა და საბაზანოდან გავარდა.

მსახურები როცა მოცვივდნენ, ჰომო უკვე სრულ გონზე იყო, იდგა და დარცხვენილი იღიმებოდა.

ამის შემდეგ დარიმ ხელი აიღო დიპლოდოკთა პირმშოს მექისეობაზე და აღარც ლოგინში უწვებოდა ძილის წინ.

ბიჭმა აღარ იცოდა, რა ექნა — სელენა შორს იყო და ამ სასახლეში მისთვის არავის ეცალა, რომ გრაფ კოვალოსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაეყვანა სტუმრად, გადია დარი გაურბოდა... და ჰომობასრომ უკეთესის ძოლოდინში ძველ მეგობრებს — ქანდაკებებს მიაკითხა... ვერც ამან უშველა. ცივ მარმარილოს არ შეეძლო შეეცალა სელენას ტუჩები და დარის ხელების სითბო. ბიჭს გავიყვებით უნდოდა, ძველი დღეები დაბრუნებულიყო, ერთხელ მაინც ებანავებინა დარის... სულ ამაზე ფიქრობდა. ფიდუს ტიტინ-კარნახის გაკვეთილებზე ზოგჯერ ისეთი გაოცებული სახით აღმოაჩენდა ხოლმე მენტორს, რომ სახელოვანი მეცნიერი იბნეოდა და შეცბუნებული სულ სხვა თემაზე იწყებდა ლაპარაკს.

●

საბაბანაში მომხდარმა ამბავმა დარიზეც იმოქმედა. ბიჭის აღტყინებამ უკვე კარგად მოწიფული ქალიშვილიც აალელვა. მან იგრძნო, რომ ქალი იყო და ეს შეგრძნება იმდენად მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ მამაკაცებსაც სხვა თვალით დაუწყო ყურება... მაგრამ კალენდულას ამ სახლში დაფუძნების მერე დიპლოდოკების სავანე დაცარიელდა და ერთადერთი ღირსეული მამაკაცი, ვისაც დარის ყურადღება შეეძლო მიეპყრო, ფიდუს ტიტინ-კარნახი გახლდათ.

როცა შეატყო ჰომობასრომ, გადია დარი და მენტორი ერთმანეთს რაღაც განსაკუთრებული ღიმილით ხედებიანო, ბიჭში, როგორც ყოველთვის, ეჭვიანობის გრძნობამ იხეთქა და თუ კავალერისტსა და კალენდულაზე შურისძიებას გულშიაც ვერ გაიელბდა, „ამ ოხერ მასწავლებელს მაინც გავუშრობ სისხლსო“, ფიქრობდა.

ორჯერ დაუგო ჰომომ თავის მენტორს ხაფანგი და ორივეჯერ ღმერთმა დაიბადო პატიეცემული ფილოსოფიის მაგისტრი, რომელიც ბაბაურშიც არ იყო, რას გადაურჩა.

ჯერ იყო და ნემსები ჩაუყარა სასმისში, საიდანაც ტიტინ-კარნახი წლების განმავლობაში იაპონურ ტრადიციულ საკეს მიირთმევდა. ბედად, სწორედ ამ დღეს ატკივდა ყელი და ცივი სითხის დალევას მოერიდა. მეორედ მოწამლული ისრით გაუფუჭაჭნა მასწავლებელს კანი და გულისფანცქალით მოელოდა, როდის მოკვდებაო, მაგრამ შხამი ძველი აღმოჩნდა და პედაგოგი მხოლოდ ოთხი თვით ჩაავდო ლოგინად.

●

იმ ღამით ვერაფრით ვერ მოისვენა ჰომობასრომ. გავიდა თუ არა დარი თავის ოთახში, ჰომოც წამოხტა, ფანჯარაში გადაძვრა, ლავგარდანზე გაცოცდა და პირდაპირ დარის ფანჯარასთან ამოყო თავი. ქალი დასაძინებლად ემზადებოდა. მან ტანსაცმელი გაიხადა და ყოველ ნივთს ფაქიზად თავისი ადგილი მიუჩინა. სრულიად შიშველი დარის დანახვაზე ჰომომ ნდომისაგან კინალამ დაიყმუვლა, მაგრამ დროზე მოეგო გონს და წონასწორობის დასაცავად ფანჯრის ჩარჩოს ჩაეჭიდა...

დიდხანს ტკბებობდა სარკის წინ ქალიშვილი თავისი გამოსახულებით და სულაც არ ჩქარობდა დაწოლას. მერე ფანჯრისაკენ წამოვიდა. ჰომობასრო იმწამსვე ჩაიკუზა, მაგრამ დარის მუცელს ქვემოთ მუქი სამკუთხედი სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში.

...კალენდულამ, როგორც ყოველთვის, ყველაფერი იცოდა.

დაბნეული ჰომობასრო, რომელიც უგვანო საქციელში გამოიჭირეს, ხმას ვერ იღებდა.

— რაო, მოგეწონა ქალი?

— არა! — ძლივს ამოღერღა ჰომობასრომ.

— რატომ, მე მომწონს! — განაცხადა კალენდულამ.

„მერე, ბრუნგარიტა?!“, შინაგანად აიჯაგრა ბიჭი, მაგრამ კალენდულას აბა რას გაუბედავდა და „მახინჯი ყოფილაო“, ჩაიბურტყუნა.

— მახინჯი?

— ჰო, მუცლის ქვეშ ულვაშები ეზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ კი კალენდულამ ვეღარ შეიკავა თავი და ისეთი ხარხარი ატეხა, მოსამსახურეებს ნეტარხსენებული კავალერისტი გაახსენდათ.

●

მოიწყინა, ძალზე მოიწყინა დიდმა ქალბატონმა.

ყოველთვის ფაფარაყრილ და შემართულ ბრუნგარიტას შავნაღვლიანი განწყობილება მოეძალა.

კალენდულა მეცნიერი კაცი იყო და თვეების მანძილზე ხან ტყე-ღრე დაეხეტებოდა, ხან სარდაფში იკეტებოდა. აქ მან ლაბორატორია გამართა და იქიდან ხშირად მოისმოდა უცნაური ხმები, რომელთა წარმოშობა ყველასთვის გამოცანა იყო.

ბრუნგარიტას კი თავისი კერპის გარდა აღარაფერი აინტერესებდა — აღარც შინაური და აღარც გარეული, აღარც მტერი და აღარც მოყვარე, აღარც სტუმარი და აღარც ქანდაკებები... იჯდა მთელი დღე უკანა აივანზე და სევდიანად გაჰყურებდა დაბურულ ბაღს — იქნებ ამაღამ გამახსენოს ჩემმა კალენდულამო, მაგრამ ასეთი ღამეები სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა.

ჩაქრა ბრწყინვალე ბრუნგარიტა, აქამდე ასე რომ ანათებდა ბეთქილაპურის ცხოვრებას.

ჰომობასრომ იფიქრა, ახლა მაინც მომაქცევს ყურადღებას დედაჩემიო... თქვენც არ მომიკვდეთ! პირიქით, შეილის დანახვამ ისე გააღიზიანა ქალი, რომ მკაცრად ბრძანა, ჩემი ნებართვის გარეშე აქ არ ენახო ვინმე შემოსულიო.

დედის გულგრილობამ კიდევ ერთხელ დაწყვეტა ჰომოს გული, მაგრამ მას უკვე სხვა რამ ჰქონდა სანუგეშო და სასიხარული — რამდენიმე დღეში თხუთმეტი წლისა ხდებოდა! ეს კი იმას ნიშნავდა, რომ როგორც იქნა გაიარა ერთმა დაუსრულებელმა, მტანჯველმა წელიწადმა და ბრუნგარიტას სასახლეს კვლავ ეწვეოდა საოცები სელენა, თავად კოვალოს პირმშვენიერი ასული!..

●

რომ იცოდეთ, რა იმედიანად დაიძინა ჰომობასრომ თავისი დაბადების დღის წინა ღამეს...

●

მეორე დილას გაფითრებული მსახურთუხუცესი ბრუნგარიტასთან შეკარდა და აცნობა — დარი მგონი გაგიჟდა, დადის თმაგაშლილი და ყველას ეხვეწება, ეშმაკი გაგიდვთო! ხოლო ჰომობასრო უგზოუკვლოდ დაიკარგო.

ბრუნგარიტამ მხრები აიჩეჩა მხოლოდ და ფიქრით ისევ თავის კალენდულას მიუბრუნდა...

XV. ძველ უბანში

ორი თვე გავიდა ჰომობასრო დიპლოდოკის თეთრი სასახლიდან გაქრობის დღიდან.

ზუსტად ორი თვის თავზე გამოიღვიძა ბიჭმა (ჰომობასრომო, ეველარ ვიტყვით და თუ რატომ, ამას ქვევით დავინახავთ!). გამოიღვიძა და გარშემო მიმოიხედა. მას ჯერაც არ სძინებია ასეთ დაბალჭერიან ოთახში. ნისაგან გამოჩოჩკნილი ტაბლა, ჯორკოები, ხელოვნური ყვავილები თაროზე, ჭვარტლიანი ბუხარი, ქუჩიდან შემოსული ხმაური — ყოველივე ეს ფრიად უჩვეულო გახლდათ მისთვის... დაფიქრდა. თავში ორად ორი გამოკვეთილი აზრი უტრიალებდა — მან იცოდა, რომ ერქვა დიგო და რომ არავისთან, არასდროს და არსად არ უნდა წამოსცდენოდა თავისი წარმოშობის საიდუმლო, წინაადმდეგ შემთხვევაში უეჭველი და საზარელი წამებით სიკვდილი ელოდა.

მთელი წარსული ცხოვრება — სასახლე, ბრუნგარიტა, გადია, ქანდაკებები, სელენაც კი შორეულ ბურუსში მიმალულს ჰგავდა და ამ წუთას ბიჭი სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ ყოველივე ამას სინამდვილესთან რაიმე კავშირი ჰქონდა. დიგომ (მას უკვე ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარ წარმოედგინა, რომ ოღესღაც სხვა სახელი ერქვა) რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ მეხსიერების ასეთი სახეცვლილება იყო შედეგი უძლიერესი შთაგონებისა, რომლის გამოწვევაც ბეთქილაპურში ერთადერთ ადამიანს შეეძლო.

●

ოთახში არავინ ჩანდა.

ბიჭს ძალიან შიოდა. ბუხარში გამურულ ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ქოთანში რაღაც კერძი იხარშებოდა და ისეთ მადისმაღძვრელ სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ, რომ მშიერს კი არა, ნასადილევ კაცს მოადგებოდა ნერწყვი. დიგო მზად იყო, კოეზი აეღო და პირდაპირ ქოთნიდან შედგომოდა ჭამას, მაგრამ არ იცოდა, სად იყო და, საერთოდ, რა ხდებოდა მის თავს. ბუხრის თავზე გაბზარული პატარა სარკე იყო მიყუდებული. ბიჭმა შიგ ჩაიხედა და უცებ უნებური ყვირილი აღმოხდა — სარკიდან მას სრულიად უცნობი სახე უმზერდა.

ყვირილზე ოთახში მოხუცი კუზიანი დედაბერი შემოფრატუნდა.

— ჩუმად, რა გაყვირებს?! თუმცა, ჩემი ბრალია, ვერ შეკამზადე, არ მეგონა ასე ადრე თუ გაიღვიძებდი...

— ადრე? რა დროა?

— თორმეტი ხდება.

— რამდენ ხანს მძინებია.

— გაცილებით უფრო მეტ ხანს, ვიდრე შენ გგონია.

— მშია. — მორიდებით თქვა დიგომ. მას ეჩვენებოდა, რომ ეს დედაბერი ადრე უკვე ჰყავდა ნანახი.

— კი მოგშივდებოდა. ორი თვეა, წყლისა და ფაფის გარდა არაფერი ჩაგვლია პირში.

— ორი თვე?

— ასე იყო საჭირო! — მკაცრად უთხრა დედაბერმა,— — ნუ გეშინია, ნურაფრის ნუ გეშინია, შენ უძლიერესი კაცი გმფარველობს. ოღონდ ერთი რამ უნდა კარგად და სამუდამოდ დაიმახსოვრო — შენ დიგო ბქვია, მე — აიბა. შენ ჩემი დის შვილიშვილი ხარ. მორჩა, გთავდა! ერთი ზედმეტი სიტყვა წამოგცდება და...

— ვიცი. — დიგოს ბუნდოვანად გაახსენდა კუზიანი მოხუცი გადაა აიბა. იგი თავის დროზე სასახლიდან გააგდეს.

— სადილი კი მალე იქნება.

აიბა ქოთანთან მივიდა და კერძის შეკაზმვა დაიწყო.

დიგომ გაბედა და კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში. ღია ვარდისფერი ნაიარევები და თვალების ჩალურჯებული უჯეები რომ არა, ეს სახე წინანდელს ნამდვილად ემჯობინებოდა: გრძელი ცხვირი და ნიკაპი ვიღაცას დაემოკლებინა და გაეშალაშინებინა, ყურები, ტუჩ-პირი, ცხვირი ერთმანეთისთვის მოერგო, გაელამაზებინა. ამ აღმოჩენამ დიგო დააწყნარა და ლამის იყო გამხიარულდა კიდეც.

— ეგ იარები სანამ გაგვლის, ლოგინში იწვები. ვინმე თუ შემოეხეტა, თავზე საბანი წაიფარე და კედლისაკენ შებრუნდი, — გააფრთხილა აიბამ და სუფრის გაშლას შეუდგა, — ერთ თვეში ისეთი ბიჭი დაგაყენო, ავ თვალს არ ენახებოდეს!

XVI. ტატე

ბეთქილაპურის ერთ-ერთი გარეუბანი — ძველი უბანი, სადაც აიბამ და დიგომ დაიდეს ბინა, ძირითადად მუშებით, ხელოსნებითა და წვრილი მეწარმეებით იყო დასახლებული. ამ უბნის ვიწრო, ქვაფენილით მოკირწყლულ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაბანდებში ბევრი საინტერესო ამბავი ხდებოდა. აქ ოჯახები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ გვერდ-გვერდით და თითქმის ყველაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ. ძველ უბანში ახალი ადამიანების დფუნება არარეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა და რამდენიმე ათწლეული მაინც უნდა გასულიყო, რომ ისინი „ჩვენუბნელებად“, ან „ძველუბნელებად“ მოეხსენებინათ. მეზობლების ცნობისმოყვარეობაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ...

უნდა ითქვას ისიც, რომ ძველ უბანს ერთობ ცუდი სახელი ჰქონდა ბეთქილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურში. აქედან აფრენილ თავზე ხელაღებულ არამზადებს მთელი ქვეყანა იცნობდა და მათი შიშით სხვა უბნების მცხოვრებლები სათოფეზე არ ეკარებოდნენ აქაურობას.

უბნის ბიჭებს სასახელოდ და საამაყოდ მიიჩნდათ ასეთი მდგომარეობა და თავგამოდებულნი ცდილობდნენ, არაფრით ჩამორჩენოდნენ უფროსებს. ასე იზრდებოდნენ და მწიფდებოდნენ აქ მძარცველების, ბანდიტების, მკვლელებისა და ქურდების თაობები და უხვად ამარაგებდნენ მთელ ბეთქილაპურს.

❀

ერთ მშვენიერ დღეს (თუ აკვირდებით, ამქვეყნად ყველა მოვლენა ერთ მშვენიერ დღეს იწყება) თავის მშობლიურ უბანს დაუბრუნდა ბოროტმოქმედთა სამყაროს მშვენება და სიამაყე, საქვეყნოდ განთქმული ავაზაკი და კაცისმკვლელი ტატე.

საღამო ხანს ტატეს ეზოში შეიკრიბა ძველი უბნის უსაქმელივ ყველა ნაძირალა, თორმეტიოდე წლის ცხვირმოუხოცავი ჯიბგირებიდან დაწყებული, დამთავრებული ასაკის გამო საქმეს ჩამოცილებული ბოროტმოქმედებით, რომლებიც უმცროსი თაობის ავაზაკების მიერ ტრადიციისამებრ გაღებული ხარკით ირჩენდნენ თავს.

ო, რა სიფათები შეგროვდნენ აქ. დიდოსტატის კალამმა თუ შეძლოს ამ საკრებულოს აღწერა. ამიტომ ნუ დავიჩემებთ შეუძლებელს და მარტო ის აღვნიშნოთ, რომ ამ მასალაზე დაყრდნობით მწიგნობარი კაცი თავისუფლად შეადგენდა ბოროტმოქმედთა ტიპების უნიკალურ, სრულ და საფუძვლიან ნუსხას.

— საზოგადოებას გაუმარჯოს! — ღიმილით მიესალმა ტატე შეკრებილთ.

— ტატე!

— ტატეს ვახლავართ!

— როგორ ბრძანდებით, ტატე ბატონო?!

— სადა ხარ, სად დაიკარგე?!

— მოგეხედე, ტატე!

ატყდა ერთი სალამ-ქალამი, ხვევნა-კოცნა, მოკითხვა და სიხარული.

მერე ტატემ შინიდან ჭიქები და პალმის ღვინო გამოიტანა და ავაზაკები ეზოში ჩადგმულ გრძელ მაგიდას მიუსხდნენ. ყველას თავისი ჰქონდა სათქმელი და გასაზიარებელი, მოსაყოლი და გასახსენებელი. უმთავრესად ჩადენილი გმირობებით იწონებდნენ თავს და ყოველ ნამბობში ძირითადად საკუთარ სიყოჩაღეზე ლაპარაკობდნენ.

❀

თენდებოდა.

უამრავი პალმის ღვინო დაილია იმ ღამეს ტატეს ეზოში.

ტატე ოდნავ წრუპავდა სასმელს და ყურადღებით უსმენდა ქურდობების, ყაჩაღობების, ძარცვის, გუპატიურების, ჩხუბის უკვე ათასჯერ მოსმენილ ამბებს, გულისამაჩუყებელ ქურდულ სადეგრძელოებს, ბავშვობიდან ყურში ჩარჩენილ სიტყვებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

გამთენიისას უკვე ყველა ერთად ლაპარაკობდა და ერთმანეთს კაციშვილი აღარ უსმენდა.

— მორჩით? ახლა მე დამიგდეთ ყური! — ხმადაბალა, მაგრამ გარკვევით თქვა ტატემ და შეზარხოშეული საზოგადოება ამ წამსვე გაჩუსა.

— მიმუნები დგტოვეთ და მაიმუნები დამიხვდით. დღეს ამას იქით ჩემი სახელი აღარ ახსენოთ. რომელიმე თქვენგანმა პური რომ მოიპაროს ან უმიზეზოდ კაცი გალახოს, ურჩევნია ამ უბანში აღარ გამოჩნდეს! ამას ვეუბნებით მე, ტატე! ყურებს ავახვევ, ვინც არ უნდა იყოს. გაიგეთ? ჰოდ, ახლა აქედან მოუსვეთ!

ავაზაკებმა ნელ-ნელა გაიცნობიერეს ნათქვამი, სახეები დაუგრძელდათ და ტუჩებზე ღიმილი შეაშრათ.

— რაო, რაო?!

— რა ბრძანე, ტატე ბატონო?!

— რაღაცა შეგეშალა, ტატე!

პირველად ყველაზე უფროსმა და „მაგარმა“ ავაზაკებმა ამოოღეს ხმა, მერე სხვებიც აყვნენ.

სუფრა აიჯავრა.

— ბოლო-ბოლო ვინ მიგდია ეგ ოხერი! — გაიკაჩა მოზვერივით ბიჭი — ალია, რომელსაც ტატეს სახელი კარგა ხანია ყელში ამოსვლოდა და ერთი სული ჰქონდა, მისთვის თავისი ძალა ეჩვენებინა.

ტატემ ერთი ისეთი გაარტყა ალიას ხელუკუღმა, რომ იმხელა კაცი ღობეს გადაეკლო და ეზოს გარეთ აღმოჩნდა.

ძალას ასეთმა თვალსაჩინო დემონსტრაციამ კეთილნაყოფიერი გაელენა იქონია საზოგადოებაზე. რამდენიმე ბანდიტმა მომარჯვებული ბებუთი ისევ უკან, ჯიბეში ჩაიბრუნა.

— მე თქვენთვის ვირჯები, თქვე უბედურებო, იქნებ რომელიმე თქვენთაგანი ადამიანად ვაქციო-მეთქი. რა გინდათ? თავში ქვა გიხლიათ და მუცელში სამარეთელი. და თუ მაინცდამაინც ვაჟკაცობაზე დებთ თავს, მე გამომყევით!

ტატე ადგა, ეზოდან გავიდა და აღმართს აუყვა. არამზადებმა ერთმანეთს გადახედეს, მხრები აიჩეჩეს და იმავე გზას დაადგნენ. გაიარეს ეკლესიის შემოგარენი. ცოტა ხნის მერე ტატემ შარაგზიდან ერთ ძნელადშესამჩნევ ბილიკზე გადაუხვია.

— აქეთ რა გვინდა, ტატე ბატონო? — მორიდებით იკითხა დამსახურებულმა ბანდიტმა, ცალთვალა აკომ.

ტატემ არაფერი უპასუხა და გზა განაგრძო.

ავაზაკები ცოტა ხნით შეყოყმანდნენ, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, ერთმანეთისა შერცხვათ და წინ წასულს დაედევნენ.

საქმე ის იყო, რომ ეს ბილიკი კეთროვანთა სოფლისაკენ მიიკლაკნებოდა.

●

სოფლის განაპირას ერთი საცოდავი ფარდალალა ქოხი იდგა, რომელშიც საშინელი სენით სრულიად დაუძლურებული, დაბრმავებული მოხუცი კაცი ცხოვრობდა.

ტატე ქოხში შევიდა.

ავაზაკებმა ეზოში შესვლა ვერ გაბედეს და მეჩხერ ბუჩქნართან შეჩერდნენ.

ტატე მათ არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა — შეშა დაჩეხა, ცეცხლი გააჩაღა, მერე წყაროდან თუნგით წყალი მოიტანა, ქვაბში ჩასხა და ეს ქვაბი ზედადგარზე დადგა. ბოლოს უბიდან კვერება ამოიღო და ცეცხლს მიუფიცხა...

ავაზაკები სულგანაბულნი შეჰყურებდნენ ტატეს და თანდათან ფხიზლდებოდნენ. მათ ჩაეანგებულ არსებაში რაღაც იწყებდა მოძრაობას და ვერ გაეგოთ, რა.

წყალი რომ აღუღდა, ყოფილმა კაცისმკვლელმა ქოხიდან ბავშვივით ხელში ატატებული მოხუცი გამოიყვანა და ხის ძირში ჭილოფზე მოხერხებულად დასვა.

— რაო, ვაჟკაცებო, რატომ არ გვეკარებით, გეშინიათ?! მე კი არ მეშინია, არც თქვენი, არც კეთრისა და არც ეშმაკისა. არ მეშინია, რადგან უფალია ჩემთან, მაგის სახელს ვენაცვალე!

სწორედ ამ დროს ამომავალი მზე ღრუბელს გამოექცა და ტატეს სიტყვებს რაღაც განსაკუთრებული მადლი მოაფრქვია.

●

არ შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ ძველ უბანში ქურდობა და ავაზაკობა შეწყდა, მაგრამ ერთი კი იყო — ხალისი, რომანტიული ალტყინება დაიკარგა. ბოროტმოქმედებას, აქამდე რომ ვაჟკაცურ საქმედ ითვლებოდა, შარავანდედი შემოეცალა და თუ ტატეს ძველად გადაბრუნებულ სიტყვას შიშით ვერ აკადრებდნენ, ახლა უკვე ღრმა პატივისცემის გამო მიმართავდნენ „პატონობით“.

●

დიგო თანდათან ეწვეოდა ახალ ცხოვრებას. თეთრ სასახლეში დამკვიდრებულ ფარისევლობას მოცილებული, გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს. სახეზე ნაიარევები გაუქრა და თავის ახალ გარეგნობასაც შეეჩვია. ეს კია, პატარა აღელვება საკმარისი იყო, რომ აქსუტუ-

ნებულიყო და თითი იმ ადგილას გაესვა, სადაც წინათ ცხვირის წვერი ეგულებოდა.

სასიკეთო ცვლილებების მიუხედავად, ღამეგამოშვებით მაინც რაღაც სისაძაგლე ესიზმრებოდა, ზოგჯერ ისევ ის გაცოცხლებული ქანდაკებები ელანდებოდა, თანატოლებთანაც ბოლომდე თავისუფლად ვერა გრძნობდა თავს, სულ იმის ეშინოდა, არ დამეინონო.

მარტო ყოფნა და ლექსების წერა ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ მეზობლები და აიბა არ ასვენებდნენ — ხან წყალზე აგზავნიდნენ, ხან წამალზე, ხან მეპურესთან, ხან მეწაღესთან და ხან სად და ხან სად.

ღამე, დაძინების წინ წყაროზე ჩასვლა უყვარდა. გარინდებული უსმენდა წყლის ჩხრიალს და თავის უცნაურ ბედზე ფიქრობდა ხოლმე. სწორედ აქ იჯდა ერთ ბნელ საღამოს, როცა უეცრად უმიზეზო შიშმა აიტანა, ტანში ძველებურად გააცია და გონება აერია. თვალწინ დაუდგნენ ალები, ჭინკები, წყლის ხმაური ერთბაშად ეშმაკის ჩურჩულად მოეჩვენა, ავად აშრიალდნენ ფოთლები... ბიჭს ზმამაღალი კვნესა წამოცდა, წამოხტა და შინისაკენ გავარდა... გზაში ხის ტოტი გამოედო პერანგზე, ვიღაცა მაკავებსო, იფიქრა, თოელი ძალით გაიქნია ხელი, პერანგის ნაფლეთი ხის ტოტს შეატოვა და უფრო სწრაფად მოკურცხლა, მაგრამ მოულოდნელად ვეება, გაცოცხლებულ ქანდაკებას დეეჯახა და ცივ ოფლში გაწურული უგონოდ ჩაუვარდა მკლავებში.

ის „ქანდაკება“ ტატე იყო, წყლის დასალევად წყაროზე ჩამოსული.

მან გაყინული, აკანკალებული ბიჭი ისევ წყაროსთან მიიყვანა, შუბლი წყლით დაუსველა და გონს მოიყვანა.

დიგომ დიდი კოჟრიანი ხელის ლოყაზე მიკარება იგრძნო, თვალები გაახილა და ტატეს სახეში შეხედა

— ნუ გეშინია, შვილო.

— არა, თქვენი არ მეშინია. — ტატეს შესახე ლეგენდები დადიოდა და, ბუნებრივია, მის გაცნობას დიგოც დიდ ბედნიერებად თვლიდა.

— სწორია, შიში ერთი არსებისა — ღმერთისა უნდა ჰქონდეს კაცს და ისიც მაშინ, როცა ცუდს გაიკლებს გულში.

— პატარაობიდან მესმის ღმერთის სახელი და ერთხელაც არ მომიკრავს თვალი. — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა დიგომ.

ტატემ გაიცინა.

— ღმერთის დანახვა არ არის ადვილი. მე ერთი უბირი კაცი ვარ და ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, შევეცდება შენც გაგაგებინო. შინ გამაცილე.

დიგომ თავისი სახლისკენ გაიხედა.

— არაფერია, აიბას მე მოველაპარაკები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გაბური

●

რაღა არ გითხარ, რა არ ვიღონე,
ვგალე მიწა და ვკაწრე ცისპირი,
შენ კი არა და არ გამიგონე,
არ დაუჯერე ტკივილს სიმცირით.

იმედზე იმედს ვადებდი დღე-დღე
და გახვედრები სამყაროს შეცვლილს.
გზა ვამტვერე და ოცნების ბერტყე
გუდა და კედელს ვაყარე ცერცი.

გულმა და ნატვრამ მრავალჯერ გამოქვა,
მრავალჯერ მიმტრო მზერამ საყორნემ.
გადავიარე ცხრა ცა და ცხრა მთა,
მივედ-მოვედე ღობეს და ყორეს.

ცისკრის ჟამს გული ზარივით ვრეკე,
მოვაოქროვე სავალი მთვარით,
უგზოზე გზანი დავსხენი შენკენ,
ავიტალახე ეზო და კარი.

და მიბრუნებდა ჩემივე ექო
შენს ხმას და დუმილს მზით და
ჟამთასვლით.
ათასი „არა“ ვანაცვლე ერთ „ჰოს“,
უჭიროს ჭირი გჭამე ათასი.

ახლა ერთიან სურვილს ვიჩემებ
და სიახლოვის ფასიც მატულობს...
რაც არ მისმინე, იმით გიჯერებ,
რითიც შორი ხარ, იმით ვნატრულობ.

ᲛᲗᲐᲝ...

მოვსულვარ, ჩემიც დამდგარა რიგი,
შენს გზას ვაცვითოთ ლტოლვა და გეში,
საცისპირტეხე გულით და ფიქრით,
სასიმაღლეო ქარით და თქეშით.

ენაცვლებიან ერთმანეთს დღენი —
ხელჩაქნევის და რწმენის ზიარად
და გულთან მტკივა სიმაღლე შენი —
პირშეუკრავი ზეცის იარა.

და ვიდრე რწმენას სიშორე უღირს —
მე მეციხოვნედ რწმენასთან ვდგები...

●

მაღლი ღმერთს, ისევ მეღირსა
ფხიტუზე მთვარე — ბერხენი.
მე და წკვარამი ტერღისა
ერთმანეთს შევეჩეხენით.

შენს ადმართს უნდა ვაზომო მუხლი,
შენს სიშორეზე დავგეშო ფრთები.

აქედან უნდა დავხედო ჩემს თავს,
ჩემი სიცოცხლის გათელილ მინდორს,
რომ ერთხელ მაინც **ვიხილო ერთად**
ამაღლების და დაცემის ჯილდო.

ვამოკლებ მანძილს და თავთან ვდავობ
და დროს ვუსინჯავ დღეების სიღრმეს
და როცა მიჭირს გაძლება, მთაო,
სიმაღლეს შენსას ნისლებით ვიხვევ!

დრო მოდგაფუნობს ხალისით —
სრულად რომ დაგისაკუთრო.
წყალმა წაიღო თავისი,
წადმა შებრუნდა საწუთრო...

●

აქ თუ ვერავის ვერ გარგეთ,
შეჭირვებით და შენატვრით,
ვერც თოვლი ზამთრად შეგარგეთ
და გაზაფხულად — ვერც მარტი...

სიღრმე არ ჰქონდა შეღერილ
ღილას, ცრემლებით ანავსებს...
მცირობდა ჩემი ბეღელი
კაცის და ლექსის სამანზე.

ვერ ვუთხარ რხეულ დალალებს
ბინდის და მთვარის საწილო.

ღამე თუ ღამედ განანეთ,
მზე ვერ დაგინთეთ საჭიროდ!

სარწმუნო ვერ დაგითბილეთ
და ვერც მდარენი მეგევრეთ,
თქვენ კი მტრობის წილ მითმინეთ,
უარყოფის წილ მეფერეთ!

ერთს მაინც ვიზამ წვა-დაგვით.
გულღრძო საწუთროს უარად —
ავალ, დავხედავ, არაგვი
ისევ ჩადმა დის თუ არა!

●

ისევ ვართ და ისევ გვიღირს
ჩემი შენით, შენი ჩემით.
მიდის ჟამი ღიღინ-ღიღინ,
უკმარობის განაჩენით.

ნაკლულობა ჩვენვე მოგვგავს,
სისავსისაც ისევ გვმართებს:
იმიტომაც, რაიც მოგვაქვს,
იმიტომაც, რაიც დავმეთ.

დავიწყებას არ გვაღირსებს
ჩემი შენით, შენი ჩემით;

თუ გადავრჩით, ისევ ისე
ერთმანეთში გადავრჩებით.

სიხარულიც გავიმეტეთ,
არც სიმწარეს დავაკელით,
თუ ახდენილ ნატვრას ვენდეთ,
აუხდენელს გადაკვევით.

ვუთვეთ სურვილს გადარჩენილს,
გინდა ოქროდ, გინდა ვერცხლად.
შენს დღის იქით ჩემი დღენი,
ჩემს ცის ზევით შენი ზეცა.

●

საზეცისო დამძიმდა
კინდღით, კეხვით, შინდისით...
თუ კაცობა გაძვირდა,
გაიაფდა სინდისი.

საფიქრალს და საძებარს
ჩვენ ჩვენს ნათესს ვიმკიდით...
თუ სიცოცხლე გაძნელდა,
გაიოლდა სიკვდილი.

რა ტკივილიც არ მჭირდა,
დამიმძიმდა ასწილად;

თუ დანდობა გაჭირდა,
გაადვილდა განწირვა.

გვიმძიმს ისევ ქართულად
მეგობრობა და ძმობა.
თუ ცხოვრება გართულდა,
გამარტივდა დათმობა.

ვჭირისუფლობ რტოდაზრილ
ბაღებს, ბეღსაც ასევე.
გულო, გაძელ ცოტა ხნით,
მერე სულ დაგასვენებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

❁

დგას და იფერებს წარსული ნადავლს:
„მე შენ მიყვარდი!..“ სიმდიდრით
წელთა
ნოემბრის მწუხრი შენს სევდას გავდ,
მარტის ყვავილი მორცხვობდა შენთან.

ეს იყო სულთქმა ქარების მიჯნის,
ენა ჩამწყდარი ზარების რეკა
და ახლა შენი სიშორე მისჯილს
არ მამადლიან უვარდო ეკალს.

რა შეიცვლება აქით დილამდე?!
არც რას გამადლი, არც არას გვედრი...
შენთან დასახარჯ გულს და სინათლეს
სიკვდილის წილად ვინახავ მკერდით.

❁

ტრიალებს ქვეყნის ცოდვა მორევად,
მაგრამ განგებაც გვწყალობს სანაცვლოდ.
მე შენი ხსოვნის მეციხოვნე ვარ
და გადარჩენილ წუთებს ვდარაჯობ.

ვფიზღლობ — არ დამრჩეს კარები ღია,
არ გახდეს ბედი მომხდურის წერა,
ვიდრემდე „ჩემი“ რაღაცას ჰქვია,
ვიდრემდე უკან მიქცევის მჯერა.

სათოფურებში დნება და იწვის
თოფის ნიშანზე დასმული წუთი,
რომელმაც ხსოვნის გატანა იცის
და გულგამსკდარ დროს ნაბიჯებს
უთვლის.

წარსულით უნდა დარჩე მართალი,
ამქვეყნიური ლექი და მწიკვლი
რომ არ შეგეხოს... რაღაც გამთბარი
როგორც ნუგეში — ეკუთვნის სიკვდილს.

შენ კი... შენ უკვე ვეღარ გიშველი,
შენი გამოხსნა მე აღარ ძალმიძს:
ვერც ხორასნული ხმალით შიმშერით,
ვერც სოსხლის ტბაში ნაწები კალმით.

დღეს — დროსთან მებრძოლს, — ძმასავით
ვაარგავ
და შენი გულით ვამძიმებ მიწას...
კი... როგორ არა, აქა ვარ, მაგრამ
აფსუს, რომ მხოლოდ შენს ხსოვნას
ვიცავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე ბაქანიძე

მოთხრობები

ნათელო, ნათელო ჩემო...

— აღარ ადგები? როდემდე უნდა იწვე და, საერთოდ, მიშასთან წასვლას არ აპირებ?

— რომელი საათია?

— ცხრა ხდება უკვე.

ბიჭი ერთხანს გაყუჩებული იწვა, მერე ერთბაშად გადაიხადა საბანი, საწოლზე წამოჯდა, გრძელ, დალურჯებულ-დახოკილ ფეხებზე წამოიმართა და საბაბანაოში შევიდა.

— საჭმელი არის რამე? — იქიდან გამოსძახა დედას.

— მე რას მეკითხები? — ჩაეკითხა ქალი.

— როგორ რას გეკითხები?

— მე რას მეკითხები? — გაიმეორა ქალმა დ. საბაბანოს მომიჯნავე სამზარეულოს ყვითელ შპალერგაკრულ კედელს გაბრა. ტებული მიაჩერდა, — ჯერ ის ფული მი ოტანე, დათოს რომ მიეცი და მერე მელაპარაკე საჭმელზე.

— რა უნდა მოგიტანო? — აყვირდა ბიჭი, — რა უნდა მოგიტანო? ასჯერ არ გითხარი, ხელი მოიტეხა, სამსახურში აღარ დადის და ფული არა აქვს-მეთქი? რა უნდა მოგიტანო?

— შენც რას აძლევდი?

— როგორ თუ რას ვაძლევდი? რამდენჯერ უნდა გითხრა, ფეხსაცმლის შესაკეთებლად წავედით-მეთქი; ნახა, ფული რომ მქონდა, ჩემს ბოგოს დაბადების დღე აქვს და მასესხეო. მეც ვასესხე.

— ასესხე არა, ისა კიდევ... — დაუყვირა ქალმა. — შეგაწერა, არიფი გნახა და შეგაწერა!

— მოკეტე მანდ, — გამოსძახა ბიჭმა, — და საერთოდ, ფეხსაცმელი რომ შემეკეთებინა, ის ფული ხომ აღარ იქნებოდა?

ქალი დაიბნა. ერთხანს დუმდა.

— არ ვიცი, — წყნარად თქვა მერე. — არა მაქვს ეს ოხერი ფული, რა გიყო, ქენი შენც რამე. გაანძრიე ხელი, ან დათოს გამოართვი, ან სულაც, ბოლოს და ბოლოს, გადი იმ მიშასთან, ხომ დაგპირდა სამუშაოს.

— მიშასთან კი არა, გრიშასთან, — გამოსძახა ბიჭმა.

— რა თქვი? — ვერ გაიგო ქალმა.

— მიშა კი არა, გრიშა დამპირდა-მეთქი სამუშაოს.

— კი ბატონო, გრიშა იყოს, ერთი ჭირი არაა, სულ ერთი არაა? გადი და იმუშავე. მე რა გიყო, აბა?

საბაბაზანოს კარი ხმაურით გაიღო. მაღალი, განსაპული, ელამი ბიჭი სამზარეულოში შემოვიდა, ხაოიანი პირსახოცით სველ, ჩამოგრძელებულ თმას იმშრალებდა.

— სულ არა გაქვს ფული? — იკითხა.

— ახი მანეთი დამრჩა. კაი, ერთ-ორ დღეს პურის ფულად მეყოფა, მერე? მერე რაღა ვქნა?

— ხელფასს როდის მოგცემენ?

— თვის ბოლოსო, ემზარმა.

— კაი, ჰო, — ბიჭმა პირსახოცი სკამზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაგდო. — გაეცალა გრიშასთან, იქნება ჰქონდეს რამე.

— ხომ კი? — გაეხარდა ქალს. — შენ, მამაშენთანაც ხომ გაზვალ? ფულს ხომ გამოართმევ?

— მამაჩემთან არა, იმასთან კიდევ...

— მაშინ ეგდები ესე. — ისევ გაღიზიანდა ქალი. — ეგდები ესე.

— ჰო, გეყოს. გამოვართმევ, თუ მომცა რამე. — ბიჭი წაბლისფერ ჩარჩოში ჩასმულ, ალაგ-ალაგ გაცრეცილ და დალაქავებულ სარკესთან მივიდა და თმის ვარცხნას შეუდგა.

— რა არის ეს? — ჰკითხა ქალმა, — თმა რას გიგავს?

— რას მიგავს და შესაჭრელი მაქვს.

— მოიცა, — ქალი სარკეს მიუახლოვდა, — მომე სავარცხელი.

— არ გინდა, მე თვითონ, — ბიჭმა ხელი აუკრა.

— მომე, რომ გეუბნები. — პატარა, შუაზე გადატეხილი სავარცხელი გამოართვა, სარკეში, ბიჭის მხართან, წამით დალანდა ცივი, გალეული პროფილი — ნაადრევად მობერებული, საღებავებისაგან გამოფიტულ-გამომშრალი საზე, პირის კუთხესთან ჩამოშვებული სიმწრის ნაოჭი, და ისევ შვილის გაბურძგნილ თავს მიაჩერდა. — რამდენჯერ გითხარი, კეფაზე ნუ იტყაპნი-მეთქი თმას. მობრტყელებული გიჩანს თავი. დღეს, მამაშენი თუ ფულს მოგცემს, შეიჭერი, ოღონდ მრგვლად, ის ნანეტია თუ რაღაც ოხრობა, გაიკეთე.

— ნანეტი არა, ისა კიდევ... — თქვა ბიჭმა.

— რატომ რა? — გაუკვირდა ქალს, — ცუდი რითაა, თავს ალამაზებს, სახესაც გამოგიჩენს.

— მერე თვალები?..

ქალმა შვილს შეხედა. ერთხანს მდუმარედ უვარცხნიდა თმას.

— თვალები თორემ... — თქვა მერე. — სულაც არა ხარ ელამი. შენ თვითონ დაგიჟინია რაღაც და, საერთოდ, რას აიჩემე ეს... მშვენიერი, ირიბად გაჭრილი თვალები გაქვს, ნუ გააწყალე გული, მართლა და მართლა.

— მე ვიცი, რაცა მაქვს, — თქვა ბიჭმა, დედას გაეცალა და ოთახში შეეიდა. ქალმა მიყოლა დაუპირა, მაგრამ გადაფიქრა, სამზარეულოში გავიდა და ბიჭს გასძახა:

— ეგ პერანგი გაიხადე. ვერ ხედავ, ჭუჭყიანი როა?

ბიჭი არ გამოეპასუხა, მაგრამ სამზარეულოში გამოსულს სუფთა პერანგი ეცვა და გზადაგზა ყავისფერი სვეტერის სახელოში ლამობდა ხელის გაყრას.

— შარვალს გამირეცხავ დღეს? — იკითხა.

— ამ ამინდში რა გაგირეცხო, გაშრება რო? — ქალმა ფანჯრისკენ გააქნია თავი: ჟინჟღლი, წვრილი წვიმა მოდიოდა.

— შენც გაზზე გააშრე.

— კაი, ჰო, ვნახოთ... — ქალი ფანჯარასთან მივიდა, მოყვითალო, რეცხვისაგან გაუფერულებულ-გაწყალებული ფარდა გასწია, მინას მიადო შუბლი და თვალმოწკურული მიაჩერდა წვიმისგან ჩამრუმბული კორპუსების თავზე წამომდგარ, ჯანღიით გადდახნილ ორიალეთის ქედის წინამთებს.

ბიჭმა ჩაადანი გადმოდგა გაზქურიდან, ჩაი დაისხა, ცელოფანის პარკში გახვეულ პურს ყუა მოაჭრა და ჭიქის გვერდით დაიდო.

— ჩაის დალევ? — ჰკითხა დედას.

— არა, დავლიე უკვე, — ქალმა მინაზე მიბჯენილი თავი მკვეთრად აიქნია, შემობრუნდა და ზურგით მიეყრდნო ფანჯრის ჩარჩოს. ერთხანს შვილს უყურებდა.

— გინდა, მაკარონს მოგიხარშავ? — ჰკითხა მერე.

— ნწუ, — თავი გააქნია ბიჭმა.

— არა, მართლა, ხუთი წუთში მოვხარშავ.

— ხომ გითხარი, — მწყრალად წაუგდო ბიჭმა და ისევ გააქნია თავი. — ჩაის დავლევ.

— კარგი აბა. — ქალი ფანჯარას მოსცილდა, მაგიდაზე დაგდებული, დასრესილ-დაჭმუჭნილი სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო, გაზქურასთან მივიდა, ნოტიო, მაგრად დატენილი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეტი ცეცხლის ალზე გააშრო, თითებით მოსრისა, მერე დაიხარა, ალზევე მოუკიდა, განჯინას მიეყრდნო და ისევ შეილს მიაჩერდა. ერთხანს ასე იდგა, უყურებდა — როგორ ხვრეპდა ბიჭი ჩაის, როგორ კბენდა პურის ყუას, მერე განჯინას მოსცილდა, სკამის საზურგეზე გადაკიდებული, ტყავაქერცლილი ჩანთა აიღო, შიგ ხელი მოაფათურა.

— ფული აიღე აქედან? — იკითხა.

— არაა? — ბიჭმა უცოდველი სახე მიიღო, მაგრამ ბოლოს, დედამ დაჟინებული მზერა რომ აღარ მოაცილა, წამოიყვირა: — აუ, დედა, უკანსკნელი ვიყო, თუ ამელოს!

— აბა, კევი საიდან?..

— კევი? კევი დათომ მომცა.

— რას მეუბნები? — ყისიდად გაიკვირვა ქალმა.

— რაც გაიგე, იმას.

— რას მეუბნები? — ისევ გაიმეორა. — ეს დათო მაგარი ვინმე გყავს: გაჭმევს, გასმევს, კევსაც ყიდულობს, არა?

— მე გითხარი, — ბიჭმა ხმაურით მოხვრიპა ჩაი. — მე გითხარი, შენ რაც გინდა, ის იფიქრე.

— ეეჰ, — ქალმა ხელი ჩაიქნია, ჩანთა მიაგდო და ისევ ფანჯარასთან მივიდა, ისევ გრილ მინას მიადო შუბლი.

ბიჭმა ჩაი მოითავა, ქურთუკი ჩაიცვა, სიგარეტის კოლოფს ხელი წამოუსვა და კარისკენ გაემართა.

— მიდიხარ? — გამოერკვა ქალი. — მოიცა: როდის მოხვალ?

— რა ვიცი, დამაგვიანდება, — ბიჭმა კარი გაიჯახუნა.

ეს! მამაშენთან გასვლა არ დაგავიწყდეს! — მთელი ხმით დაიყვირა ქალმა, ერთხანს ამაოდ დაიყურადა პასუხს, მერე გულგრილად მოაყლო თვალი აყრილ-დაყრილ სამზარეულოს, ნიჟარაში ჩაყრილ ჭუჭყიან ჭურჭელს, მაგიდაზე დაფენილ ალაგ-ალაგ სიგარეტით ამომწვარ სუფრაზე დაღვრილი ჩაის მუქ თაფლისფერ ნაყენში ჩაყრილ პურის ნამცეცებს, დუნედ გააპარა ხელი ტილოსკენ, მაგრამ უცებ გაანება თავი. წინკარში გავიდა და საწვიმარი ჩაიცვა. ისევ შევიდა სამზარეულოში, გასაღებს დაუწყო ძებნა, ჯერ ზანტად, უნიათოდ ირჯებოდა, სკამზე მიგდებულ პირსახოცს წაეტანა, ისევ მიაგდო, მერე გაღიზიანდა, ნერვულად განაგრძო ძებნა, ყველაფერი აიფორიაქა, სანამ საწვიმრის ჯიბეშიეე არ იპოვა გასაღები. კარისკენ გააბიჯა, მაგრამ მისული არც იყო, უცებ უკანეე გამობრუნდა, ოთახში შევიდა, ფანჯრის ფარდა გასწია, შორეულ გზეიდა და აჩქარებით გადაწერა პარჯვარი. გამოვიდა წინკარში, კარი გამოიჯახუნა და კიბის ზიგზაგებს ჩაუყვა.

ცივი წვიმა ცრიდა, უღიმღამოდ და უნუმრად დასდიოდა ასფალტაყრილ, ამოღრუტნულ, ატალახებულ, მანქანის საბურავებით დაკვალულ ქუჩას, გზისპირებზე ამოყრილ ლორთქო ბალახს, კანტიკუნტად მდგარ, აქა-იქ ტოტებშეტეხ-ვრეულ, დაგვალულ ქალაქურ ხეებს, კინწ-წახრილ, სწრაფად მიმავალ ადამიანებს, ირიბად კაწრავდა დამრეც ქუჩაზე მობჯენილი, წაგრძელებული და გატყლაპული, ბრტყელ სახურავზე ალაგ-ალაგ გუდრონდაღვრილი საქსოვი ფაბრიკის რუხ სილუეტს, მის გადაღმა, სადღაც, შორს სისე ცაში აჩრილ ქარხნის გრძელი, მუქწითელი მილების მრუმე ხვეტებს, ფაბრიკის გრძელი, აქა-იქ ბათქაშრამაოშ-ლილი, წყლისა და ნესტისაგან შავად დალაქული კედლის გაყოლებაზე დახორავებულ ნაგავს — ამ გახრიოკებული, ერთსახოვანი სახლების ბინადართა ნახორხალ-ნამუსრევს, დროდადრო ქარი რომ შეუტევდა, მიმოფანტავდა, ქოლადის გაზინზლულ ნაფლეთს რომ აიტაცებდა და ააფარფატებდა, აბორიალებდა წვიმით გაწუმპლული რუხი სახლების მღვრიე ფონზე, სადღაც, სხვაგან გადაატანდა და უკვე იმ სხვა ადგილსაც ამ უწმინდური, ბილწი დაღით დატვიფრავდა.

ქალმა ჩაუარა დაბალ, თავგისფრად შეღებულ, ასევე ბათქაშრამაზოგლეულ სასადილოს (ტურტლიან მინებს მიღმა ცალ ფეზზე შეყუნცული თეორი, მრგვალი მაგიდების ირგვლივ მდგარი კაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ლუდს წრუპავდნენ), შემოუარა თავისი რიგის მომლოდინე მანქანებით შემოჯარული ბენზინის წერტს — გრძელ, მართკუთხა აუზს, რომლის თავზეც გამყოდველის მომცრო, კუბივით ჯიხური შემოესკუპებინათ; გზაჯვარედინი გადაჭრა, ფართო, ლამის შეკულად ალმართულ ქუჩას აუყვა, ათავა და გაშლილ, მრგვალ მოედანზე გავიდა. მოედანზე სახელდახელო და სტაქიური ბაზრობა ამ წვიმაშიაც არ ჩამცხრალიყო, კვლავაც უუთფუთებდა, ყიყანებდა, აბამდა ქოელებს, იწვდიდა უხლიკ საცეცებს — ქალს ფეხი უსხლტებოდა გადაყრილ თუ დავარდნილ, დამპალ თუ გახრწნილ რაგინდარა ხორაგეულ-ხილეულ-ბოსტნეულით აზელილ სლიპინა მიწაზე. ჩაუარა ამ მწვირეში ჩაყუნცულ მეწვრილმანეებს, მიწისქვეშა გადასასველელის ჩაბინდულ ხახასთან მოზიმზიმე ბრბოს, სიცივისაკან დაწითლებულ ხელ და დაძაგრულ ხელგამოშვერილ მათხოვრებს. ბევრ მათგანს იცნობდა კიდეც: ზოგი მისი მეზობელი იყო, ზოგი ნაცნობი თუ ნაცნობის ნაცნობი; დროდადრო ახალი სახე, „დამწყები“ მათხოვარი გამოჩნდებოდა, მოკრძალებით რომ იდგა, ნაცნობის დალანდვისთანავე კედლისკენ რომ იზამდა პირს, მერე კი, თანდათან, ცხოვრებას მძლავრი იერიშებით გასავთებული და ღონემიხდილი, ჭიტლაყამოკოკული და ამ ცისფერი შორნეკეცით მოჭიქული, ჭუჭყიან კედელთან მოგდებული ნელ-ნელა ხმასაც კი შეუწყობოა ოარძღვა-ვინებთან მოგნიასე და მოყაყანე მასას, გაუშინაურდებოდა, თავისად დაიგულვებდა ამ გადასასველელს, ბაზარს, მთელს ამ არეშარეს, დამშეული ქალაქის ამ გასაცოდავებულ გარეუბანს, ოღესდაც კიდევ ერთი ახალი უბნის ბალავრის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალზე მოწვეული ქალაქის მამების თვალგასახარად აგებულ უფუნქციო, უაზრო შენობებს, რაღაც სულეკლურ ქანდაკებებს და, ბოლოს და ბოლოს, ისე გაისაკუთრებდა, რომ თამამად მოშარდავდა და მოიიმასქნებდა კიდეც ამ ნაგებობებისა თუ ქანდაკებების ჩრდილში.

ქალმა მოედანი გაიარა და მრავალსართულიან სახლებს შორის ჩაჭუჭკნილ პატრიარქალურ ოაზისში შევიდა, ძველი უბნისა თუ სოფლის ამ ციცქნა ნაშთ-ნაფლეთში, სადაც ყოველივეს ნაუცბათევი, შემთხვევითი, დაუმთავრებელი იერი ედო, ყოველივე ხელდახელ და ზერელედ აგებული ჩანდა, მაგრამ ამ ზერელობის მიღმა მარადიულობა, უწყვეტობა, მდგრადობა და არქიტექტურული წესრიგიც კი იგრძნობოდა, რასაც, ალბათ, აქაური ხალხი იწვევდა, აქ მობინადრენი, რომ ცხოვრობდნენ, ჯახირობდნენ, ყოველნაირად გაჭქონდათ თავი, ერთთავად რომ აშენებენ, აფართიებდნენ, ავრცობდნენ თავიანთ საცხოვრისს — ჯუჯა ქოხებს და ხუხულებს, და თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რომ სულ მალე აქაურობასაც დანგრევდნენ, მთაც მიაბრძანებდნენ აქედან და შეკეტავდნენ, შესალტავდნენ ამ ყიმრალი სახლების ვეება, ერთსახოვან ლაბირინთში, მაინც შეუპოვრად, დაჟინებით — ფიცრით, თუნუქით, მავთულხლართებით, ეკალბარდებით ან სულაც უვარგისი, ფეხებმომტვრეული ტახტებისა თუ ზამბარიანი საწოლების კომბინაციებით ღობავდნენ, რაკავდნენ თავიანთ მიწას, ეზოებს, და კვლავაც ამრავლებდნენ თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს — დიდრონთვალება, შავტუხა ბავშვებს, ახლაც რომ არ ეპუებოდნენ ქარსა და წვიმას და დატანტალებდნენ ამ ტალახიან, გალავფულ შუკებში.

ქალი ამ ქოხმახების უკან გრძლად გაწოლილი, დაბალი ქარხნის შენობაზე მიბჯენილი ბეტონის კედლის კუთხეში მიყუჟული, ცისფრად შეღებილ სასადილოში შევიდა. ჯერ ადრე იყო და კლიენტები — ქარხნის მუშები არ ჩანდნენ, მხოლოდ შესვენებისას, პირველ საათზე მოაშურებდნენ აქაურობას; გაიარა სასადილო ოთახი და ვიწრო, გრძელ სამზარეულოში შევიდა, სადაც დაბზარული თეთრი ფილებით მოპირკეთებულ კედელში ჩასმულ ვეება როფთან მიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვარი ქალი ჭუჭყიან, წინადღეს გაურეცხავ უზარმაზარ ქვაბებს ცხელ წყალს ავლებდა. მაღალი იყო, ხელებდაწითლებული; ფიცხლად შემობრუნდა.

— ნინო?.. სად ხარ აქამდე? — მწყრალად იკითხა.

შემოსულმა საპასუხოდ მხოლოდ გაურკვევლად გაქნია ხელი.

— მოდი, მოდი, — თქვა ქალმა. — ემზარი მალე მოვა, მის მოსვლამდე კარტოფილი დთალე.

ნინომ სამზარეულოს შემოსასვლელში, კუთხეში მიჭედებულ კაუჭზე ჩამოკიდა გალუმპული საწვიმარი, მერე საკუჭნაოში შევიდა, იქიდან პლასტმასის მწვანე ვედროში ჩაყრილი კარტოფილი შემოიტანა, განიერ, მასიურ მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და უხალისოდ აიღო დანა.

— რა არის ეს? — თქვა უკმაყოფილოდ, — უფრო დიდები ვერ იყიდეთ?

— რაც შეგვეძლო, ის ვიყიდეთ, მეტი რა ექნათ, — მშვიდად მიუგო ქალმა. — მადი, მადი, დათალე, — ისევ თავის ქვაბებს მიუბრუნდა.

ნინომ კარტოფილი დთალა, მერე ისევ შევიდა საკუჭნაოში, იმავე ვედროთი ხახვი გამოიტანა, ისიც გაფცქვნა და სასადილოში გავიდა, ფანჯარას მიადგა.

— ციცო, დღეს გამიშვებ ადრე? — იკითხა ხმაგაბზარულმა.

— რატომ რო? — სამზარეულოდან გამოსძახა ქალმა.

— რა ვიცი, ვერ ვარ კარგად.

— ბიჭმა ხომ არ გაგაბრაზა? — ციცო სამზარეულოს კარს მოადგა.

— არა, ისე... ვერა ვარ კარგად.

— არ მუშაობს ისევ?

— რა ვიცი, დღეს დავიწყებო.

— ანა რას შვრება, ისევ მამამისთანაა?

— ჰო, — ნინომ უხალისოდ დაუქნია თავი.

— რას შვრება, აკეთებს რამეს?

— აკეთებს არა... გდია ესე. — ნინო გაჩუმდა. ერთხანს ასე იდგა და მოხშირებულ წვიმას გაჰყურებდა. მერე ციცოს გასძახა: — სიგარეტი არა გაქვს?

ციცომ კოლოფი გადმოუგდო. ერთი ცალიღა დარჩენოდა.

— შენ რას იზამ? — ჰკითხა ნინომ.

— არაფერია, ემზარი მოიტანს.

ნინომ სიგარეტს მოუკიდა და ბოლი ფანჯრის მინას შეაორთქლა. იდგა, მინას ბოლს აფრქვევდა და უყურებდა, როგორ თანდათან იშლებოდა და მინას ადნებოდა კვამლის ბოლქვები.

— ნანა ვნახე დღეს, — თქვა მერე.

— ჰო? სად? — კვლავ კარს მოადგა ციცო.

— გადასასვლელში.

— გადასასვლელში რა უწდოდა?

— რა ვიცი, ყიდდა რაღაცას.

— რას მეუბნები? — გაუკვირდა ციცოს. — რაო, როგორ ვარო?

— რა ვიცი, არ მიესულვარ ახლოს. — ნინო სამზარეულოში დაბრუნდა, სკამზე ჩამოჯდა. ციცოც იჯდა და მწვანილს არჩევდა. დაკვირვებით შემოხედა.

— რას მობეზულხარ? — ჰკითხა. — ისევ სიცხე გაქვს?

— რადაც მაცივებს, ციცო.

— წამალს მოგიტან: ნემსებია, დაირტყამ და კარგად იქნები.

— არ მინდა, იქნება მავნოს.

— ეხლა, ცუდი რომ იყოს, ძოგცემდი? დაირტყამ და მორჩა, კარგად გახდები.

— ციცო, ვზურვარ სულ.

— გაგიელის, — დაიამედა ციცომ. — ნემსებს დაირტყამ რამდენჯერმე და გაგიელის. თუ გაუძლებ ოღონდ.

— ეგ არაფერი, — ნინო გაბორტებული დაშტერდა მაგიდას. — ეგ არაფერი. — გაიმეორა. — ნუ ეგ შინია, გაუძლებ. ათას ოხრობას ვუძლებ და ნემსი ვინ მიგდია?

— ჰოდა, გაუძელი. მოდი, ეს მწვანილი დაჭერი და წადი მერე.

— ემზარი რას იტყვის?

— ემზარს მე მოვუვალი.

ნინომ მწვანილი დაკეპა და წამოდგა. საწვიმარი ჩაიცვა, წასასვლელად გაემზადა, მაგრამ უძნელდებოდა სითბოსმეუფროვის დატოვება, ახლა სასადილო ოთახში ჩამოჯდა ერთ-ერთ სკამზე, სამზარეულოს კართან, ფანჯრის ახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმას მიაჩერდა — აღარ აპირებდა გადადგრებას.

— აღარ მიდიხარ? — გამოსძახა ციცომ.

უცებ სადღაც, მოედნის მხარეს, ავტომატების კაკანი ატყდა. მთელი ერთი წუთის განმავლობაში ისმოდა, მერე უეცრადვე ჩაცხრა.

— წაიღეს ტვინი, — ჩაილაპარაკა სასადილოში გამოსულმა ციცომ; დანიანი ხელით, ზედ რომ მწვანილის მწვანე ნაკუწები შერჩენოდა, გამწარებით იფხანდა მარჯვენა წარბს. — ნეტა, სად იყო?

— სადღაც, მეტროსკენ.

— ალბათ, რომელიმე საკომისიო გაძარცვეს ანდა მანქანა წაიყვანეს.

— რას გაიგებ... — ნინო წამოიტტა, თითქოს უცებ გონს მოეგოო. — გავიქეცი.

იმავე გზით დაეშვა უკან, ბაზარში ჩავიდა. წვიმა შესუსტებულიყო, ცრიდა მხოლოდ. მაგრამ სახლების სახურავებიდან თხლეშინით ჩამოდიოდა წყალი და გუბეებად ტბორდებოდა. ერთხანს იყიალა აქეთ-იქით — კუთხეში მდგარი ბეჩავი შესახედაობის გრძელცხვირა სომეხისაგან ტელევიზიის პროგრამა იყიდა, მერე სიგარეტის ყიდვა დააპირა და მოედანზე ჩარეგებულ საკომისიო ჯიხურებს მიუახლოდა. ერთ-ერთიდან დაუძახეს. მიეიდა წითლად შეღებილ, სისველისაგან მოლაპლაპე ჯიხურთან და გამყიდველ ქალს მიესალმა.

— სიგარეტი მინდოდა. — უთხრა. — მაგრამ საჩემო აქ არაფერი გაქვს.

— შემო, შემო, — ქალმა ხელი დაუქნია. — მოწიე და წადი.

ნინო ერთხანს ყოყმანობდა, მერე შეაღო რკინის მძიმე კარი და შეეიდა. ჯიხურის კუთხეში, მარცხენა მხარეს მაცივარი მიედგათ. თაროებზე დაფვნილ კიღეებჩამოფლეთილ, გაყვითლებულ ქაღალდებზე აქა-იქ თუ იდო საქონელი: საღეჭი რეზინები, სიგარეტები, კრემი, ქალის წინდები, რამდენიმე სვანური ქუდი; კედელთან არყის ბოთლები გაემწკრიალებინათ. გამყიდველმა ხის გადანაჭერზე გაზეთი დაუფინა და თავის დაქნევით ანიშნა, დაჯექიო. ნინო დაჯდა.

— რას შვრები? — ჰკითხა ქალმა, — სად დადიხარ?

— რა ვიცი, — მიუგო ნინომ. — გავიარე აქეთ-იქით.

— იყიდე რამე?

— არაფერი.

— რეზოსგან რაო, რა ისმის?

— არაფერი.

— გუშინ მანანა ჩამოვიდა.

— ხომ არ უნახავს?

— ვინა, რეზო? არა, რიზეში არ ყოფილა, სტამბოლში იყო.

ქალი დახლზე დაგდებულ „ლესტერის“ კოლოფს დასწვდა, ორი ღერი ამოიღო, ერთი ნინოს გაუწოდა, მეორეს მოუკიდა სანთებელათი, ბოლი სარკმელში მიუშვა და სანთებელაც გაუწოდა.

— ისე, როგორ ვარო, რას ამბობს?

— რა ვიცი, კარგად არის.

— სად მუშაობს?

— რაღაც მშენებლობაა.

— ჰოო, — გაიგრძელა ქალმა. — მაგისი ვერაფერი გამიგია. კაცმა თუ მოინდომა, სამუშაოს შოვნა აქაც შეიძლება, რა დარჩენია ამ მყრალ თურქეთში?

ნინომ არ უპასუხა, სიგარეტის ცარიელი ყუთი გამოართვა, შიგ ჩააფერფლა, ფეხები გაწვართა, რკინის ცივ კედელს მიეყრდნო და კელავ მოზშირებულ წვიმას გახედა. ბაზრობისათვის ჩვეული ჩოჩქოლი თანდათან ცხრებოდა, წვიმის ყრუ, მონოტონური ხმაინობა მოისმოდა.

— შენ რასა შვრები? — ჰკითხა ქალს. — მოგება არის რამე?

— რატომაც არა. აი, დღეს ეგეთი ამინდია, ვაჭრობა არაა და არაფერი, ერთი ათასხუთასი მანეთი მაინც გავაკეთე ჩემთვის.

— საქონელი რათაა ასე ცოტა, — ნინომ თაროებს შეავლო თვალი.

— ბიჭები რუსეთში არიან მოსატანად. ეს დღეები ეხე ვარ.

— ისე, ხომ იყიდება?

— კი. დღეს ცოტაა ხალხი. ბიჭებიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან, თორემ აქამდე გამისალებდნენ ამ არაყს.

— სად არიან რო? — გულისგარეთ, გონებადაფანტულად იკითხა ნინომ.

— არ ვიცი, პანაშვიდზე არიან.

— ეს ვისი? ბიჭი რომ მოკლეს ამას წინათ?

— არა, სხვაუბელი იყო. ბაქოში მოკლეს ბენზინის გულისთვის.

ჯიხურისაკენ ვიღაც ჩამობრანძული, სახენაიარევი ლოთი წამობანცალდა. ნინომ იცნო, ზშირად ხედავდა უბანში. კარის მეზობლის ბინაშიც კი ნახა, იმ ქალის ყოფილ ქმარს ამოჰყვა, თავადაც ლოთს. ჩვეულებრივი ჩხუბი და წიოკობა რომ ატყდა, მეზობლები კარღია ბინაში შეცვივდნენ სასეიროდ თუ მოჩხუბართა გასაშველებლად და ეს ლოთიც. აქამდე მოკრძალებით რომ იდგა კარის ხლურბლზე, შიგნით შეიძურწა. და მაშინვე ყველამ, ვინც კი ბინაში იყო, დაუყვირა — გაეთრიე, შე პედერასტოო. პროტესტი არ გამოუთქვამს, მიბრუნდა და გარეთ გავიდა. ახლა კი აქ იდგა, მხრებაწურული, მობუზული, თავშიშველი, დსველებული. ქალებს შემოჰყურებდა.

— რაო, რა მინდაო? — ჰკითხა გამყიდველმა. ლოთმა არ უპასუხა. იდგა და იყურებოდა.

— რა უნდა ამ ჩემისას? — ნინოს მიუბრუნდა გამყიდველი.

— მოიცა, არ გაიგოს.

— გაიგოს, თორემ... — ქალმა სიგარეტი კოლოფში ჩასრისა. — ვიღაც ოხერი რუსია.

ნინომ არაფერი თქვა, დახლზე შემოდებულ სვანურ ქუდს დასწვდა, დაიხურა და თვალებზე ჩამოიფხატა. ერთხანს ასე იჯდა.

— თამაზის რა ისმის? — ჰკითხა მერე ქალს.

— ჩამოვიდა თამაზი.

— ასე რატომ დაგვიანა, მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი, საბაჟოზე დაუკავებიათ ცოტა.

ნინომ ჩამქრალ სიგარეტს სანთებელა მიუმარჯვა. ისევ ისე იჯდა, თვალებზე ქუდჩამოფხატული.

— ეე, — ხელი გაჰკრა გამყიდველმა, — შეხედე!

ნინომ ქუდი მოიხადა, თაროზევე შემოდო. ჯიხურისაკენ ქალი მოდიოდა, უკან კაცი მოჰყვებოდა. საღებავებით სახეწაოხიანილ ქალს თმა მჭახე ყვითლად შეეღება; თუმცა შავტუხა იყო, დაქანცული, მომჩვარული ადამიანის იერი ედო, მაინც ცდილობდა მხნედ, დარდიმანდულად, მოდურად წარმოჩენილიყო. კაცს უფერული წარბები, მრუნი, ცივი გამოხედვა და ჭირვეული, ქალური ტუჩპირი ჰქონდა. ქალი სარკელს მოადგა.

— როგორა ხარ, ჯიგარო? — ჰკითხა გამყიდველს.

— ვარ რა, როგორცა მხედავ. რამე ხომ არ გინდა?

— „მალბორო“ გაქვს?

— არა, — გამყიდველმა დახლზე ანიშნა, — „ლესტერი“ და „ქინგზი“ მაქვს.

— მაშინ „ქინგზი“ მომე.

ამასობაში კაციც მოვიდა, სარკელში შემოიხედა და ქალს ფულიანი ხელი დაუკავა.

— აქ არ იყიდი არაფერს! — თქვა მკაცრად.

— ეე, რატომ? — ქალმა ხელი აუკრა.

— არ იყიდი, რო გეუბნები, წამოდი აქედან, — მკლავში ხელი წაავლო და წაადგა.

— არ იყიდის ეს ჩემისა, — ჩაიცინა გამყიდველმა. — რა შვილი იყიდის რო?

— რატომ? — ჰკითხა ნინომ.

— ამას წინათ სიგარეტი აიღო და მაგუთს არ მაძლევდა. ისეთი ხიბაში აგუტეხე, შენი მოწონებული. ქალი ვინ იყო თუ იცი?

ნინომ მხრები აიჩეჩა, არ ვიცი.

— ეგაა ზიზი, — თქვა ქალმა და ნინოს შეხედა, აბა, რა რეაქცია ექნებაო.

— ზიზი? — გაუკვირდა ნინოს, — ეგაა ზიზი?

— რა გაგიკვირდა?

— რა ვიცი, მე სხვანაირი მეგონა.

— სხვანაირი არა, ისა კიდევ... — ქალმა ხელახლა მოუკიდა სიგარეტს. — ზედვე ეტყობა, რა დახადნაკიცაა.

ნინომ არაფერი უპასუხა, ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე ზანტად წამოდგა.

— მე წავალ, — თქვა.

— იჯექი მანდ, სად გეჩქარება?

— არა, წავალ უკვე, — ნინომ მაცივრის სახელურზე ჩამოკიდებული ჩანთა ჩამოხსნა, ქალს გამოემშვიდობა და ჯიხურიდან გამოვიდა. კელავ წვიმდა და ფეხს აუჩქარა, იმავე გზით დაუშვა თავ-ქვე, ისევ გადაჭრა გზაჯვარედინი, ჩაუარა ბენზინის წერტს, სასადილოს, საქსოვ ფაბრიკას (აქ ერთხანს ემუშავა და ცისფრად შეღებილ კარში გამოჭრილ პატარა სარკმელში თავგამოყოფილ დარაჯს მიესალმა), მოაღწია თავის სახლს, შევიდა სადარბაზოში და მზოლოდ ახლა იგრძნო უსაშველო დაღლილობა, მარცხენა ფეხი გაუცხელდა როგორღაც, გული აუფრიალდა. ნელა აიარა კიბე, სველი ხელით გასაღები მოიძია ჯიბეში, გააღო კარი და შევიდა წინკარში. აქ ფეხსაცმელები გაიხადა, კუთხეში მიყარა. საწვიმარი იქვე მიაგდო. მარცხნა ფეხის თითებზე წინდა დასველებოდა და ვიდრე სამზარეულოში მიგდებულ ფლოსტებამდე მივიდოდა, ძაღლის ნაკვალევის მსგავსი სამთითა ანაბეჭდები დატოვა იატაკზე. ბინაში თბილოდა. წასვლისას გაჩქერა ანთებული დარჩენოდა და დახუთული იყო ჰაერი. ერთხანს შემცივნული, მხრებაწურული იდგა და დაკვირვებით თვალს ავლებდა იქაურობას, ბიჭი ხომ არ დაბრუნდაო. არაფერი ამხელდა მის აქ ყოფნას და, რა შეიღი, დაღამებამდე მობრძანდებაო, — ბოდმიანად ჩაილაპარაკა. მერე ფანჯარა გამოაღო, ბინა გაანიავა, მაგრამ კვლავ შესცივდა და ისევ მიხურა. ერთხანს უძრავად იჯდა, სიგარეტს ეწეოდა, მერე ადგა, ფანჯრისკენ პირმიქცეულმა სწრაფად გადაიწერა პირჯვარი, ჩანთიდან სამუშაოდან წამოღებული ხუთი კარტოფილი და ორი თავი ხახვი ამოიღო, სადილის მომზადება დაიპირა, მაგრამ წყალი არ მოდიოდა ონკანში და ისევ დაჯდა, ისევ მოუკიდა სიგარეტს. უაზროდ, თვალგაშტერებით მიჩერებოდა კედელს და ფერფლს იქვე, გაზქურაზე ყრიდა. სიგარეტი მოსწია, ნამწვი ონკანის ნიჟარაში მოისროლა და ოთახში შეიყარა. გაუხდელად შეწვა საწოლში, საბანი წამოიფარა, თავი ბრილ კედელს მიადო და გაირინდა. ნეტა, ვინმე არ მომადგებოდესო, გაიფიქრა და თვალები დახუჭა, მაგრამ ვერა ღა ვერ მოეკიდა რული.

უკვე საღამო იყო, კარზე რომ დააკაკუნეს. მძიმედ წამოდგა, წინკარში გაბარბაცდა, კარი გააღო. დაბალი, ყარაჩა ქალი იდგა ზღურბლზე.

— შეიძლება? — ჩმაგანაზებით იკითხა.

— აჰ, შენა ხარ? — ნინო ცდილობდა თავაზიანად ელაპარაკა, მაგრამ ხმაში მაინც გამოუკრთა სიცივე და ქალმაც უკან დაიხია.

— ხომ არ შეგაწუხებ? — იკითხა.

— არა, არა, რას ამბობ, შემოდი.

ქალი წინკარში შემოვიდა.

— რას აკეთებდი? — ჰკითხა ნინოს.

— რა უნდა ვაკეთო, ვზივარ და ვარ. შემო, შემო. — კარის დაკეტვა დააპირა, მაგრამ ქალმა შეაჩერა:

— მოიცა, არ დაკეტო. დალიც მოდის.

— სადაა რო?

— კიბეზე მანანას ელაპარაკება, — ქალმა თვალმოწკურვით შეხედა ნინოს. — გეძინა, მგონი, ხომ არ გაგაღვიძე?

— ნუ სულელობ, რა გამაღვიძე. აგერ, ვზივარ და არ ვიცი, რა ვქნა: წყალი არ მოდის, არადა საჭმელი მაქვს გასაკეთებელი, ჭურჭელიც დასარეცხია; მოკლედ, ვზივარ და გულზე ვსკდები. შემო.

— წყალი მოვიდა უკვე.

— ჰოო?

სამზარეულოში შეეიდნენ. ქალი მაგიდას მიუჯდა, ჯიბიდან კარტი ამოიღო და პასიანსის გაშლას შეუდგა. ნინომ ონკანი მოუშვა, ჭურჭლის რეცხვა დაიპირა, მაგრამ კარი დაუკაკუნებლად შემოაღეს: მაღალი, შავთმიანი ქალი გამოჩნდა და ჯიქურ შემოვიდა სამზარეულოში.

— სად ხარ? — ჰკითხა ნინოს, — სად იმალები?

— რას ვიმალები? — ცივად, იქით ჰკითხა ნინომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ხალხი მოდივართ, რამე, შენ კი არა ხარ. სად დიარები? მკითხაობ, მაკა? — ჰკითხა მის წინ შემოსულს, მერე ისევ ნინოს მიუბრუნდა: — იმალები და დაიმალე, შენვე რჩები ესე. გუშინ მოვედით, არ იყავი, ნანა იყო თავის პაჟონთან ერთად. დავთვრეთ — Д.О. სულ გამოვაჩერჩეტეთ.

— შენ დღესაც გადყლაპულში ჩახ-ხარ, ხო იცი? — ნინომ სკამი გამოსწია და ქალი დაჯდა.

— ჰო, მე მაგის... ეს დღეები გადავბი, გუშინდლიდან ვსვამ.

— გუშინ სად დალიე? — ისე, ზრდილობისათვის ჰკითხა ნინომ.

— რა ვიცი, ვალიკომ შეგვაფრია თავის გარაჟში მე და მარინა. ვიჭუკჭუკეთ, ვიგრიალეთ, რამე.

— მოიცა, — ჰკითხა მაკამ, — ნანა რასა შვრება? არ მიყვება ზურას?

— არა, ზურას არ უნდა ეგ შენი ნანა.

— ჩემი თორემ... ძალიან მეხატება გულზე. მართალიცაა, რა იხრობად უნდა. — მაკამ კარტი წამოხვეტა და ჯიბეში ჩაიდო.

დალიმ იაფფასიანი სიგარეტი აიღო მაგიდიდან. — სხვა არაფერი გაქვს? — ჰკითხა ნინოს, პასუხს არ დაუცადა, კვამლი მაკას შეაბოლა ცხვირში. — მაგათი ცხოვრებას ვერაფერი გამოგიგია. ნანაც გადარეულაა, არ ვიცი, რა ექნაო. გასცილდეს იმ თავის ცოლს და ვიყოთო, მაგრამ ზურა არ შვრება ცოცხალი თავით.

— ისე, უყვარს? — ჰკითხა მაკამ.

— ვინ? ნანა? უყვარს არა, ისა...

— ეგ ზურა იხხარავს, ხო იცი?

— ჰო-ო?

— შენ რა, არ იცოდი? მე ერთი-ორჯერ, ატეხალი რო ოო, შევამჩნიე. ეტყობოდა, გაკეთებული რო იყო.

ნინო კარტოფილს თლიდა. ერთხანს ყურს უგდებდა ქალების ლაპარაკს, მერე ინკანი მოუშვა, წყლის ჩხრიალს შეაჩვია ყური და ხმებიც თანდათან ჩაყრუვდა, დაიბინდა, შორს დარჩა. ზოგჯერ თითქოს კვლავ გაეხსნებოდა ეონება და მაშინდა მოსწყდებოდა საუბრის ნაწყვეტები.

— არ უნდა დაერტყა...

— არა, შალიკო, მე ეუფხარი, ძალიცია უნდა მოვიდეს აკა-მეთქა...

— ძალიან კარგი, ერთი აფრენა უნდოთ მაგათ...

მაკა წამოდგა, აივანზე გავიდა, — ქეთი! — დაიძახა მთელი ხმით და ნინოც დაუბრუნდა აქაურობას, ამ დახუთულ, თამბაქოს ბოლით ჩახუთულ ოთახს, ამ უცხო, თითქოსდა სხვა ცხოვრებიდან შოსულ ადამიანებს.

— ქეთის ეძახი? — ჰკითხა მაკას, — არ არის სახლში.

— შენ რა იცი?

— კიბეზე შეეხვდა ამ ღილით, ლენას ორმოცზე მიდიოდა.

— დღესაა ორმოცი?

— რა ვიცი, ასე მითხრა.

— ვაჲ, ყავას მოგვიტანდა, — მაკა სამზარეულოშიე დაბრუნდა, დაჯდა განაწყენებული, ისევ კარტის დასტა აშიოდი.

— ეგ არაფერი, — თქვა დალიმ. — ყავას ჯულიას შეავწერთ. ნანა, ზურიმე, ჯულიასთან გაეუნეულდი, უთხარი: ჩემთან დალი ზას, ყავაო, თორემ ავუკარდებიო, ესაო, ისაო...

— ეოიცა რა, დალი, — ნინო ეოფანობდა, არ უნდოდა წასვლა.

— მიდი, მიდი, თქრო.

ნინო უსიტყვოდ გავიდა. კიბეზე ჩაუყვა. კიბის ბაქანზე ერთხანს მანებჩაღეწილ ფართო ფანჯარაში გაყო თავი, ნაწვიმარ ეზოს გადახედა. სიგარეტის პრიალა, უცხოური კოლოფი ეგდო რაფაზე და წკაპურტი ჰკრა, გადაგდო. ყური მიუგდო დავარდნისას გამოცემულ ბლაგე ხმას და, თითქოს ახლიდა გადაწყვიტაო, ერთოთახიანი ბინის კარზე დაკაკუნა.

— ნინო? — შილიფად ხალამოსხმული, თმაგაწეწილი, გაჩხიკული ქალი გამოვიდა. — სად იყავი ამ წვიმაში?

— შენ რა იცი? — გაუკვირდა ნინოს.

— ქუჩაში განავ.

— ჰოო? — ნინომ თავზე ვადაისვა ხელი. — სამუშაოზე. შენ: ჩემთან დალია, ყავა თუ აქვს ჯულიასო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ არის ვინმე?

— მაკა.

— მაკა, რა, ჩამოვიდა უკვე? აკი თურქეთში იყო.

— რამდენი ხანია. არ იცოდი?

— არა. მისმინე: ცოცა დასაფქვავია, დავფქვავ და ამოვიტან.

— თუ გინდა, მე დავფქვავ.

— არა, არა, აგერ, ბავშვი დამიფქვავს. — კარში შაეტუხა, ომახუჯუჯა, ცნობისმოყვარეობისაგან თვალებდაჭყეტილი ბიჭი გამოჩნდა.

— კარგი მაშინ, — ნინო მობრუნდა.

— მოიცა, — უთხრა ქალმა. — გაბრაზებული ხომ არა ხარ?

— რატომ უნდა ვიყო გაბრაზებული?

— რა ვიცი, სახე გაქვს ისეთი.

— არა, მშვენივრად ვარ. რა მაქვს გასაბრაზებელი. — გამობრუნდა და კიბეს ამოუყვა. კარის მაკეტვა არ გაუგონია და გრძნობდა, როგორ უყურებდა ქალი. მკვეთრად მიბრუნდა და შეხედა.

— რა? გინდა რამე? — ჰკითხა მკაცრად.

— არა, არა, არაფერი, — ქალი დაიბნა, ბიჭს ხელი ჰკრა, შიგნით შეაყენა და თავადაც მიჰყვა, კარი მიხურა.

— შენი... — კბილებში გამოსცრა ნინომ. კიბე აიარა, კარი შეაღო.

— რაო? იყო? აქეს ყავა? — აფოფინდა მაკა.

— ჰო, ეხლავე მოვა, ყავასაც თვითონ მოიტანს. — ნინომ სკამი მოიწია, ჩამოჯდა.

მოულოდნელად ყურში ჩაჰკივლეს, გულზე იტაცა ხელი. მიიხედა.

— რა არის? რა უბედურებაა? — დაიკივრა.

— მე ვარ, ჯიგარო! — თავზე კარის მეზობელი ქალი წამოსდგომოდა. მთვრალი იყო. — რაო, შეგეშინდა? — მხარზე გადაჰხვია ხელი, თვითონაც სკამი მოიჩარა და გვერდით მიუჯდა. — ნინო, გეგაცვალე სულში! — უთხრა და ახლა ქალებს მიუბრუნდა; ენა ეპმოდა: — აი, ასეთები მოიტანეს ჩათლახ სამხედროებმა, — ხელით რაღაც გაურკვეველი ფიგურა მოხაზა, — ხუთს აფასებდნენ და სამად ავიღე. ლადოს უნდა წავუღო, მაგისი დედაც.

— რა ნაწილებია? — ჰკითხა მაკამ.

— ფარებია. ყვითელი, წითელი, რამე, შენნირ გოიმებს რო უყვართ, ისეთი.

— მოიცა, შენ, — შეაწყვეტინა დალიმ, — ისინი გაყიდე?

— რა, ტრუსიკები? არა, გავაჩუქე, რაც კი შიხფრენიკი მყავდა, ყველას დავურიგე.

— არა, მართლა, ყიდვა მინდა, ალარ დაგრჩა?

— არა, ყველა გავასუხარე. ნინო, — ნინოს მოუბრუნდა, — იცი, რა კარგი რამეები მოაქვთ სამხედროებს?

— ამას წინათ სამასკალი ჰქონდათ, — ჩაურთო დალიმ.

— სამასკალი რა ფეხებად მინდა, ვის შეეტენო. ფარები ვიყიდე.

— შენ თვითონ გაყიდე? — ჰკითხა მაკამ.

— არა, რა ჩემად მინდა, ლადოს მივცემ, გაუშვებს შოკოლადივით. გიჟის უნდოდა, მე მომეცით, ფული არ გინდაო, ესაო... ვუთხარი ИДИ ТЫ, ვუთხარი: შენ მარტო ფული იცი, აგროვებ და ზედ აჯდები-მეთქი.

— ფულს ფასი აღარა აქვს ეხლა, — დაფიქრებით ჩაურთო მაკამ. ცხვირს იქექავდა, მაგრამ ყველამ რომ შეხედა, ვითომ ვისრესო, ზედ მოისვა თითები და სიტუაციის გასანეიტრალებლად უთხრა შემოსულს:

— მაგარი მთვრალი ხარ დღეს, მარინა, ხო იცი?

— მე ვარ მთვრალი? — პროტესტი გამოთქვა მარინამ, მაგრამ მერე დაეთანხმა: — ვიყო, რა. ნუ გეშინია, მაინც არაფერი მეშლება. — მერე თავისი სათქმელი გაგრძო: — ფული არ გინდაო? მაგის ფული რა ფეხებად მინდა. ნინო, — ნინოს მიუბრუნდა, — ხომ იცი ჩემი ამბავი? ხომ იცი, რა ცუდი ხასიათის ქალი ვარ, ხომ იცი, რა დამპალი ვარ? ჰოდა, წადი შენი ფულით-მეთქი, შენი წონა ფული მქონია, მაგით მაბამ-მეთქი?

— ეგ როდის, მარინ? — ჩაეკითხა მაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იყო დრო, შენ ნუ გეშინია, შენ შენს...

კარზე დაკაკუნეს. ნინო წამოდგა, კარი გააღო. პატარა ბიჭი იდგა ზღურბლზე.

— მაკა აქაა? — იკითხა.

— აქაა, ჰო, რა გინდა?

— ზაზა მოვიდა, ანრეევს ყველაფერს, შუშები სულ ჩალეწა.

მაკა ადგა, ქურთუკი ჩაიცვა.

— ეე, გინდა გამოგყვევი? — ჰკითხა მარინამ. — მაგ შენს პედერასტს დედას ვუტირებთ.

— ოჯექე მანდ, — ცივად მიუგო მაკამ. — ოჯექე, როგორცა ზიხარ. — გავიდა.

— წადი, შენი... — მიაყოლა მარინამ, მერე მთვრალის ჟინიანი მზერით შეაჩერდა ნინოს.

— შენ რას უშვებ მაგ კრახს აქ? — ჰკითხა.

— როგორ თუ რას ვუშვებ?

— სხვა დროს არ შემოუშვა, ვაიგე? მაგისი ფეხი არ ვნახო აქ!

— ეე, მარინა... — ნინომ ხელი ჩააქნია და ოთახში გავიდა.

ფანჯარა ღია დარჩენოდა და ცივდა. დახედა თავის აულაგებელ საწოლს, ზედ მიგდებული სვეტერი აიღო და გადაიცვა. ოთახის სიღრმეში, კედელთან, სტანდარტული კარადის გვერდით ბიჭის საწოლი იდგა, ისიც აულაგებელი. ეს ერთი ოთახი იყო მთელი მისი ბინა, ეს ერთი ოთახი და სხვა სათაუსოების ხარჯზე გადაკეთებულ-გადიდებული სამზარეულო. ერთხანს იდგა, ფანჯარაში იყურებოდა. წვიმას გადაეღო, მაგრამ ნისლი ჩამოწოლილიყო. არაფერი არ ჩანდა შორეთში, მაგრამ იცოდა: სადღაც, პირდაპირ, მთის წვერზე ეკლესია იდგა. ცხადად წარმოუდგა კიდეც კამკამა ლურჯი ცის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი ჰორიზონტის დაკბილული ხაზი და ზედ ამოსვეტილი სამრეკლო. ისევ გადაიწურა პირუკვარი და სამზარეულოში დაბრუნდა. მოწმენდილ ამინდში ეკლესია აქედანაც კარგად მოჩანდა.

— სადა ხარ? — ჰკითხა დალიმ. წინკარში, სამზარეულოს კართან იდგა და სარკეში იყურებოდა.

— არსად, ფანჯარა იყო ღია.... აგერ, სვეტრიც ჩავიცვი...

— შენ რა, ჩვენი მოსვლა ხომ არ გეწყინა? — დალი სარკეს მოეშვა და სამზარეულოში შემოვიდა, ნინოს ჭირვეულად შეხედა, თითქოს ჩხუბი უნდა და მიზეზს ეძებსო.

— რას ამბობ, დალი, ფანჯარა მივხურე მზოლოდ. მარინა სად არის, წავიდა?

— არა, ტუალეტშია, — შემრიგებლურად მიუგო დალიმ და მთელი ხმით დაიყვირა:

— მარინ, მანდ როგორა ხარ?

— წიწკვივით! — გამოსძახა მარინამ.

ნინო მოყანყალებულ ძველ სკამზე ჩამოჯდა და თავის ხელებს დაჩერდა. შუა თითზე შავად აჩნდა დანის განასერი. ასე იჯდა თავჩაკიდებული, სანამ ისევ არ დაკაკუნეს კარზე. თავი აიღო, გავიდა და ჯულიას შემოუძღვა.

— სადა ხარ? — უსაყვედურა დალიმ შემოსულს, — დავწყდით ხალხი შენს ლოდინში!

ჯულიამ გაიცინა, — მარინა? — იკითხა, — წავიდა?

— ტუალეტშია, — თავის გაქნევით ანიშნა დალიმ.

— ვინ არის? ვინ მოვიდა? — მოისმა ტუალეტიდან.

— მე ვარ, — გასძახა ჯულიამ, — პრიეეტ!

— ყავა მოიტანე?

— ჰო, ვამო ჩქარა. — ხელსახოცში გახვეული ჩაის ჭიქა, შიგ რომ დაფქვული ყავა ეყარა, ნინოს გადასცა, მაგრამ ნინო შეწუხებული, პირზე უაზრო ღიმილშერჩენილი იდგა კედელთან, თითქოს სხვის სახლში იმყოფებოდა.

— ეე, ნინო, — უთხრა დალიმ, — შენ საქმე, საქმე!

ნინო კედელს მოშორდა, განჯინიდან ყავადანი და მინის ნახევარლიტრიან ქილაში შუამდე მოყრილი შაქრის ფხვნილი გამოიღო, გაზქურასთან დადგა. ასე, ქალებისაკენ ზურგმიქცეულს, უკვე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეზე ვერავინ შეხედავდა და თანდათან, კვლავ აქაურად, აქაურობის პატრონად იგრძნო თავი.

საბაბანოდან მარინა გამოვიდა. სახეზე ცივი ფყალი შეეხო და გამოფხიზლებულიყო. ჯულიას გადაეხვია.

— სადა ხარ, შე ჩემა? — ჰკითხა, — ასე უნდა?

— შენ რასა შვრები? — ჰკითხა ჯულიამაც, — ისევ იქა ხარ?

— ჰო და მიჰქარე, რომ წამოხვედი. იცი, რა ფულს ვაკეთებ?

— აკეთებ ჯრა... — ჯულიამ ურწმუნოდ გააქნია ხელი, — ფულის კეთება რომ ყოფილიყო, მაგ ადგილს, რა შვილი, გავშვებდი ხელიდან.

— სულელი ხარ. — უთხრა მარინამ. — რა მოხდა, ერთ-ორ საათს მოხვიდოდი, მიალაგებდი. აბა, თურქეთში წანწალი ჯობია?

— ჩემი საქმისა მე ვიცი, — მოუჭრა ჯულიამ. — ხალხი როგორაა? ვახო რასა შვრება? ვაჟა?

— უჰ, ვახოს ვენაცვალე! — შესძახა მარინამ.

— რატომ რო? — ჰკითხა დალიმ.

— რატომ?—აქეთ ჰკითხა მარინამ, — მე და იმან ვიცით, რატომ. ჯიგარია და მიტომ. მაყვალას კარება ხომ იცი? ჰოდა მაგ კარების გასაღება მთხოვა, მიეცი და...

— გასაღება რა ოხრობად უნდოდა?

— რა ვიცი, ქალებს მოათრევს ხოლმე. ჰოდა, მისმინე: მეორე დღეს, მივდივარ, ვხედავ, მაგიდაზე ყავა დაუდია, ქვეშ წერილია, წერია: შენია. ვაა! — მარინას გაკვირვება აღებეჭდა სახეზე, წარბები აწკაპა, ვითომდა აი, ასე გავიკვირვეო. — უჰ, ჯიგარი ხარ! — ნინოს მიუბრუნდა, ყავის ორთქლადენილი ფინჯანი ჩამოართვა. — მეორე დღესაც ყავა, მაგრამ წერილში წერია, პარკში რაცაა, ხელი არ ახლოო.

— კი, კაი ბიჭია ვახო, — დაეთანხმა ჯულია.

— იმ დღეს მეუბნება: მარინა, რამდენი დამლაგებელი გვყოლია, შენნაირი ჯერ არავინ ყოფილაო, მეთქი-რატო. გასაღები რო მომეცი, იმიტომაო, — მეუბნება. გუშინაც მივედი, ვხედავ, ორი ბოილი არაყი დევს, ქვეშ წერია: დალიე. ამას წინათ კიდევ წიწაკები, რამე, დევს, წერილში წერია: დარჩი. ვიამე? მეთქი-რა უნდა ამ ჩემას. მეორე დღეს შევედავარ მაყვალას ოთახში. ვხედავ, ვიღაც ტიტლიკანა ქალი ვდია ტახტზე. что ты-ო, იკივლა. მეთქი-შენი-მეთქი. გამოვედი, ვახო მხვდება, ნახეო? — მეკითხება. წამოო. არა-მეთქი. აბა, მარტო მაგ კრახს ვაჭამოო? — იმ გოგოზე მეუბნება. ამას წინათ ვაჟა მოიყვანა და ეუბნება, შენ როგორ თქვი მარინაზე — გოთვერანიაო?

— კი, კარგი ვახო, — კვლავ კვერი დაუკრა ჯულიამ.

— ვახო რომელია? — დალიმ იკითხა.

— აქ რომ იყო ჩემთან ერთად, არ გახსოვს? — მიუგო მარინამ.

— აჰ, ეგაა, — მიხვდა დალი. — მაგ ვახოს ყოველდღე ახალ ქალებთან ვხედავ, თან რა ქალებთან.

— ჰო, — დაეთანხმა მარინა, — სადგურიდან მოყავს ხოლმე. ვეუბნები, ფრთხილად იყავი, რამე არ აიკიდო-მეთქი. ვინ გისმენს. შენზე რაო, იცი? — ჯულიას მიუბრუნდა, — შენზე გაბრაზებულები არიან, ეგ თუქსუსი რატომ არ მოდისო.

— მკითხულობენ, აბა, მარინა? ვინ მკითხულობს?

— ვასიკო.

— ეგ რომელი, ყარაული?

— არა, შოფერი როა.

— კარგი ბიჭია; ჩემგან მოკითხვა.

— ვეტყვი.

— ვასიკოს უთხარი, ჯულიას ყავა უნდა-თქო. უთხარი: გოთვერანი, ჯულიას ყავა უნდა-თქო.

— თქვენ. — უცებ სხვა თემაზე გადახტა დალი; ყავიანი ფინჯანი მაგიდაზე დადვა, — რა უნდა გითხრათ: იმ დღეს მე და ავთო ბაზართან მივდივართ და ვხედავთ: აი, ასე წამოწოლილი კაცი გდია, — დალი ადგა, მაგიდაზე წაიხარა.

— აი, ასე, უკანასკნელი ვიყო. მე მოვკვდე. ისეთი კოხტა პუტკუნა უკანალი ჰქონდა. — გადაიხარხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალგაზრდა იყო? — ჰკითხა ნინომ.

— არა, რუსი იყო ვიდაც. ალბ? ამ დღეს არაფერი, გავიარეთ. მეორე დღეს მივდივარ. ვზედავ. ისევ იქა გდია, ოლონდ მკვდარი.

— რა, ერთი დღე ეგრე იწვა? — ჰკითხა მარინამ.

— ჰო, უკანასკნელი ვიყო. მე მოვკვდე. ერთი ეგა და ერთი ბაქოში ვნახე.

— ისიც კაცი?

— ჰო, ტულეტში ვნახე, იწვა და ცხვირი პირდაპირ იმაში ჩაედო.

— ბაქოს ტულეტებს ვერ ვიტან, — შენიშნა ჯულიამ.

— ჰო, — დაეთანხმა დალი. — ყველაზე კარგი ერევნის ტულეტებია. სუფთა, ჩაწკრიალებული.

ნინო ადგა, ისევ ოთახში შეეიდა, კართან გაჩერდა, „უაზროდ მიაშტერდა კედელს. ნახევრად ღია კარიდან ესმოდა ქალების ლაპარაკი, მაგრამ მხოლოდ დროდადრო ეხსნებოდა გონება, დროდადრო აცნობიერებდა სიტყვებს, ცალკეულ ფრაზებს.

— მართლაც: ძალლია ადამიანი...

— აგერ გითხრა: კარგად რო ჭამო შუადღეზე, კონსერვი, კარტოფილი, რამე, მეორე დღესაც გინდება, გთხოვს კუჭი... მე, აგერ, ცარიელი ჩაი დავლიე და გონია მინდა რამე? არაფერი. მაგრამ, ალბ, მაგრად ვითოხლაო დღეს? — ხვალაც მომინდება...

— ეგრეა...

— ფული როგორ არა მაქვს, რასაც მე ვჩალიჩობ, მაგრამ ხომ არის: ზოგჯერ ალარა გაქვს ეს ოხერი ფული...

ნინო ფანჯარასთან მივიდა. უფორმო, უსაგნო სევდა შემოსწოლოდა გულზე. ფარდა გასწია, შუბლი სველ მინას აუსვ-დაუსვა. მერე თავი აიღო და მაჩერდა მიმწუხრის ყრუ ნაფეველით გაჯერებულ შორეთს — ნისლიან, შებინდულ სივრცეს. სწრაფად გადაიწერა პირჯვარი და სამზარეულოში დაბრუნდა. მარინა წასვლას აპირებდა.

— ხვალ გნახავ, მოკლედ, — ეუბნებოდა დალი ჯულიას, — რუსთაველ ამბებზე. ხაბურთალზეც გასასველელი ვარო: ტრუსიკი, რამე.

— რა ტრუსიკი? — ჩაეკითხა მარინა.

— ერთი ყოდის. ოპტომ. ჰო: პასტა მინდა კიდევ, კბილის, რამე.

— თქვენ ახურეთ, მაგრამ მე უნდ წავიდე, — თქვა მარინამ.

— ეგდე აქ, — უთხრა დალიმ. — მისმინე, მარინა: ხვალ მე და შენ ბაზარში რომ გავიდეთ, იცი, რა ფულს გაგაკეთებთ?

— რა, რა, დალი? — აფოფინდა მარინა.

— წამლებია, ქალი მაძლევს იაფად. მოვიტანო ხვალ? წამომყვები?

— რატომაც არა, მაგრამ მეშინია, არ გავცივდე.

— შენც ობილად ჩაიცვი.

— დალი, პალტო რომ ჩავიცვა?

— მერე რა. — დაეთანხმა დალი.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, — უთხრა ჯულიამ. — რა დროს პალტოა.

— მეშინია, ტო, არ გავცივდე. — აწუწუნდა მარინა. — აი, ჯულია წაიყვანე.

— მე არ შემიძლია ხვალ, — თქვა ჯულიამ.

— შეგეძლება, — უთხრა დალიმ. — ორიათასს მოგცემ. გამოვა ათი ცალი. ოთხასად გაუშვი.

— ხუთასად ჯობია.

— არა, ხუთასად ძნელად იყიდება. ოთხასად ჯობია. შუსტრად, რამე, გაუშვებ. წამოხვალ.

— ხვალ რომ არ შემიძლია? — თავისაზე იდგა მარინა. — ზეგ? ზეგ იქნება?

— არა, მარტო ხვალაა ვარიანტი. ნინო, — ახლა ნინოს მოუბრუნდა, — წამოხვალ?

— ნინოს ჯერ ეკითხები? — უთხრა ჯულიამ.

— შენ გაჩუმდი მანდ. ჰა? ნინო? წამოხვალ?

— არა, დალი, — ნინომ თავი გააქნია.

— ვითომ რათა, შე ჩემა? — დალი ცივად შეაჩერდა ნინოს თვალებში.

— არ ვიცი, დალი. მომეშვი.

— ვითომ რათა, შე ბოზო?

— გეყოს ახლა! — მკაცრად თქვა ნინომ. — ნუ აჭყდი.

— დალი, დალი, — ქალები მკლავზე მოეჭიდნენ დალის, — წამო, წამო, დაწექი.

კარი გაალეს, გარეთ გაიყვანეს.

— ვინ მიგდია ეგ ბიზი, ეგა! — ყვიროდა დალი, — რა მინისტრის ცოლი ეგა მყავს!

ნინომ კარი ჩაკეტა. ერთხანს თავზარგული, თვალგაშტერებული იდგა, კიბეზე ჩამავალი ქალების ჩხუბს აყურადებდა. მერე ისევ სამზარეულოში შევიდა, სკამზე დაჯდა, სიგარეტი მოწია და ისევ იდგა, მაგიდაზე მიგრილ-მოყრილი, სიგარეტის ნამწვავებით სავსე ფინჯნები, ლამბაქები, საფერფლეები მოხვეტა და ონკანის ნიჟარაში ჩაახვავა, გარეცხა. არყის სუნი იდგა და საბაბანისა და სამზარეულოს კარები გაღო, აივანზე გამავალი კარიც მოაღაო. ოთახში ნოტიო სუნსა შემოეფი. შვილის სკელი, ნაქსოვი სვიტერი მოიგდო მხრებზე და აივანზე გავიდა. უკვე შებინდებულიყო. თვალი გაადევნა კანტკუნტად ჩამოვლილ მანქანებს, რკინის ვეება ცოცნათელებივით რომ აშუქებდნენ თავისთავს, შორიდანვე რომ გამცნობდნენ, რომ სწორედ აქეთკენ, ამ ბნელეთისაკენ გამოიკვლევდნენ გზას, თანდათანობით, ნაბიჯნაბიჯ გამოაჩენდნენ ბინდის ფარდაგდაფარებულ ტალახს, ქუჩის ოღრო-ჩოღროებს, ნაგვის ეროვებს და ისევ მიატოვებდნენ ამ გადაკარგულ, ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ გარემოს. აგერ, ნაგვასაფრელისაკენ ჩამავალ ბილიკზე ნაცნობი დედაბერი გამოჩნდა. კოჭლი იყო, ცალ ხელში ყავარჯენი ეჭირა, მეორეში — ნაგვის ვედრო და რწყვა-რწყვით, ფრთხილად მიაბიჯებდა, თანდათან მკვეთრდებოდა მოახლოებული მანქანის შუქის ნაკადში. იქ, იმ ბილიკთან, ბალახში მკვდარი ძაღლი ეგდო, ნინო ვერ ხედავდა აქედან, მაგრამ ის სუნიც კი იგრძნო, ცხვირში რომ ეცემოდა ხოლმე ლეშთან ჩავლისას. ჩამოიარა მანქანამ, დედაბრის მოქანავე ჩრდილი სახლის წამიერად გათეთრებულ კედელზე უკუოქცა და სიბნელეს შეერია. ნინოს ისევ შემოწვა უსაგნო, ბაუცნობიერებელი ნაღველი, მთელს სხეულში გაუჯდა, ყელში ამობჯენას და ამოსვლას ითხოვდა, მაგრამ ქალმა თავს დაუყვავა, უკანვე ჩაიგუნა ტკივილი და გააყუჩა. სადღაც, შორს, „ნამდვილი“ ქალაქის მხარეს ავტომატების კაკანი ატყდა და მაშინვე, თითქოს ამას გამოეპასუხაო, ყრუდ გახმიანდა თოფის ტყეპი ბათქი. და ისევ სიჩუმე ჩამოდგა. „სად აგდია ქამდე?“ — სიმწრით, გაბოროტებით ჩაილაპარაკა და კისერი წაიგრძელა, სივრცეს მიაჩერდა. ერთხანს ასე, თვალგაფაციცებული ჩაბღაუჭებოდა აივნის მოაჯირს, მერე ოთახში შევიდა. შიმშილი იგრძნო, მაგრამ ისევ სიგარეტს მოუკიდა, სამზარეულოს კუთხეში მიდგმული ტელევიზორი ჩართო და გონებადაფანტული მიაჩერდა ეკრანს. ერთი ორჯერ წამოდგა, გაზქურაზე მოთუხთუხე ქვაბს მიხედა. მერე მთელი ნახევარი საათის განმავლობაში იჯდა ასე, სანამ კარზე არ დაკაკუნეს. ბიჭი იყო, გიჟივით შემოვარდა ოთახში.

— რა არის, რას ზიხარ ამ სიბნელეში? — ჰკითხა დედას. სინათლე აანთო.

ქალმა არ უპასუხა, თვალებზე ხელი აიფარა მხლოდ.

— რა ფილმია? — ბიჭმა ეკრანისაკენ გადააქნია თავი.

— რა ვიცი, — ზანტად თქვა ნინომ, მერე გალიზიანებულმა შეხედა შვილს. — მე რას მეკითხები? აბა, მე რა ვიცი?

ბიჭმა მოხედა, — რა მოგივიდა? — ჰკითხა, — მოგიარა ისევ?

ნინო უსიტყვოდ წამოდგა, გაზქურასთან მივიდა, ჩაიდანი შემოდგა.

— ხვალ სად მივდივარ თუ იცი? — ჰკითხა ბიჭმა.

— სად? — უხალისოდ გაეპასუხა.

— ბიჭებმა ფული დავდეთ. უნდა ვიგრიალოთ.

— სად? აქ ხომ არა? — ბიჭს შეაშტერდა.

— არა, დათოს სარდაფში. შენ რაღაცეებს გაგვიკეთებ, შეწვავ, რამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფული მერე?.. შენ რა დადე, ფული რომ არ გვაქვს?

— მამამ ხომ მომცა.

— რა? მოგცა? რაო, ფული მოგცა? ხადაა მერე?

— ფშიკ, აღარ არის, — ბიჭმა სულელურად შესცინა. — ფაფუ! — დაუმატა, თითები გაპარჭყა და ხელისგულს სული შეუბერა: — ფაფუ, იოხთურ, ჩკა, თენე, нету.

ნინომ სიტყვა ვერ დასძრა. გაზვებული იყო. სიგარეტს მოუკიდა ისევ, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა.

— ჰოო... — მერეღა ამოიზმუვლა.

ჩხუბის, ყვირილის მომლოდინე ბიჭი ცინიზმით შეიარაღებულიყო, თავდასაცავად მომზადებულიყო, ასეთ რეაქციას არ ელოდა და დაიბნა. არ იცოდა, რა ეთქვა, რა ექნა და ამიტომ ხტომა-ტლინკაობას მოჰყვა დედის წინ, მოდური ცეკვის ილეთებს აცოდვილებდა.

— რეპ! — დაიყვირა, — რეპ! მღერის ჰამერი!

— გაიწი იქით, — დედამ ხელი აუქნია.

— მღერის მადონა! — გამოაცხადა ბიჭმა და კიდევ უფრო მიუახლოვდა: იმანჭებოდა, იგრიხებოდა, აქაოდა კაბა წამოეხადეო, — მისხლეპილი უკანალი მიუშვირა, შეაქან-შემოაქანა.

— გეყოს, — ისევ თქვა ქალმა, — მომეშვი, არა ვარ შენს ხასიათზე.

— რატომ მერე? — ბიჭი ისევ ცეკვავდა, პირში სიგარეტი გაეჩარა. — რატომ არა ხარ ჩემს ხასიათზე?

— გეყოს. — დამარცვლით, მუქარით უთხრა ქალმა.

— რომ არ მეყოს? — ბიჭი გაჩერდა.

— ინანებ!

ბიჭმა იცოდა, რომ ინანებდა, მაგრამ მაინც წაადგა თავზე, სახე ცხვირთან მიუტანა, გაიმეორა:

— რომ არ მეყოს? ხოში თუ მაქვს?

ქალმა მოწყვეტით მოიქნია ხელი, პირზე გაულაწუნა, სიგარეტი ზედ შეალეწა.

— რას ირტყმევინები, მე შენი!.. — შეიკივნა ბიჭმა.

— რა თქვი? — ქალი წამოდგა, — რაო, რა თქვი? გაიმეორე: რა თქვი?

ბიჭმა იცოდა, რაც მოხდებოდა. ის, რისკენაც გაუცნობიერებლად ისწრაფოდა დედამისი, ყოელისმომცველი, გიჟური თავდაცვწყება იქნებოდა, როცა ყველაფერი შეეძლო, ყველაფერი: დაამტვრევდა, დალეწავდა, სულ ერთ წამში, ხელის ერთი მოქნევით დაამსხვრევდა ყველა ამედს და სურვილს, ყველაფერს, ყველაზე ძვირფასსა და სანუკვარს, აქამდე რომ შემოენახა, ათასგვარი დამცირებით, წვითა და დაგვით, დათმობებით, ტანჯვით, წვეთ-წვეთობით, მისხალ-მისხალ რომ შეენარჩუნებინა — ამ ყველაფერს გესლივით ამოანთხევდა საიდანღაც, თავისი არსების სიღრმიდან და იმ თავის იმედ-სიყვარულს შეაფურთხებდა. ეს წამი უყვარდა ქალს, თავისი ყოელისშემძლეობა უყვარდა, თავისი დათრგუნული, ათასგვარი უბედურებითა და ოხრობით გატეალებული არსების ამონთხევა-გამოთავისუფლება უყვარდა, საშველივით ელოდა ამ წამს, სამერმისოდ ინახავდა, წვრილმანებზე არ ხარჯავდა, იმ უკანასკნელი მიჯნისათვის იტოვებდა, საიდანაც უკვე აღარსად ექნებოდა უკანდასახევი გზა... ბიჭმა იდუმალი გუმანით იცოდა ეს, მაგრამ ვერაფერი მოეხერხებინა თავისი არსების წიაღში ატროკებული ეშმასათვის, რადგან თავადაც სადისტური სიამოვნებით ელოდა თავის წამს, იმ გრძნობას, ყრუ, უსასოო, ყელში ამობჯენილ საკუთარი თავის სიყვარულსა და სიბრალულს, მაშინ რომ დაეუფლებოდა, როცა ნაცემი და გათელილი, საბაზანის ცივ, მოწითალო-ჭუჭყისფერი ფილებით მოგებულ იატაკზე ჩაცუცქული და მოკრუნჩხული, ვიწრო, დალაქავებულ კედლებში მომწყვდეული ჩაბინდულ, ნესტისა და საპნის სუნით გაჯერებულ სიმყრალეში მოიბუზებოდა და თავის თავს, თავის საყვარს მახინჯი, უშნო ტირილით უჭირისუფლებდა. ელოდა იმ ყოელისმომცველი სიცარიელის შეგრძნებასაც, მერე, უკვე ტირილით გულმოჯერებულს რომ მოიცავდა და არ ეცოდინებოდა, რომ ამ გრძნობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, საკუთარი თავის ამ სიყვარულ-სიბრალულში, როგორღაც, დედისადი სიყვარულ-სიბრალულიც ერია, რადგანაც თვითონაც მისი სისხლი და ხორცი იყო, მისი გაძაღლებული ცხოვრების მონაწილე და ავად თუ კარგად მტვირთველი... ბიჭმა იცოდა ყოველივე ეს, ნაწილობრივ მაინც იცოდა, მაგრამ თავი დაბარა, სახე დაქაბა, უბლზე ძარღვი ამოებერა, ფერწასულმა მანჭვით შესცინა დედას და მკვეთრად, მკაფიოდ თქვა, — შენიო... მაგრამ ვერ დაამთავრა სათქმელი, რადგან ქალმა გზა მისცა ამდენი ხნის განმავლობაში შეკავებულ, დაგუბებულ ბოღმა-ნაღველს და ხელი გაარტყა, თუმცა ბუნდოვნად იცოდა, რომ ბიჭს ნაკლები ბრალი ედო იმაში, რაც ხდებოდა, ყველაფერი უფრო ღრმა და რთული იყო — ამას ვერ ეტყოდა შვილს, ვერ გაგებინებდა, იმდენად უსაგნო, უაზრო და ჩვეულებრივი იყო ყოველივე, იმდენად პრიმიტიულად, გულისამრევად ზოგადი, რომ ვერ იტყოდა — რა უნდოდა, რა სურდა, მხოლოდ ის იყო, რომ ამ ერთადერთი გზით იცილებდა ბოღმა-ნაღველს, გულს იოხებდა, ყველაზე უხეშ, ბილწ სიტყვებს ეძებდა, თუმცა არც ეძებდა, თავისით ამოსდიოდა მთელი ის სიტყვიერი ღიმხალი, ცხოვრებასთან კავშირში რომ შეეძინა, მას შემდეგ რომ შეეთვისებინა, ქმართან განქორწინების შემდგომ ბინაც რომ გაიყვეს და ამ ახალ, უცნობ გარეუბანში გადმოვიდა და დამკვიდრდა, — ჰოდა ფორმის აძლევდა ყოველივე ამას, ღრიალებდა, უკანასკნელი სიტყვებით ოგინებოდა, დაძაგრული ყელი უხეშად, შემზარავად ეკრუნჩხებოდა, ძარღვები ასკდებოდა და ჩახრინწული ხმით ხაოდა, — შენი დედაც!.. — ყვიროდა, — მე შენი ნაბოზარი დედაც!.. — ღრიალებდა. ბიჭს შეეშინდა, — კარგი, ჰო, — ჩურჩულებდა, — დაწყნარდი, გეყოს. — რა მეყოს, შე ჩემა! — ყვიროდა ქალი, — რა მეყოს, რა მეყოს? — ბოლოს ამასღა ამბობდა, ამ კითხვითაც ბიჭს კი არა, ვიღაც სხვას, უსაგნო-უფორმოს მიმართავდა; გრძნობდა, რომ შემზარავი სანახავი იყო და ეს რომ მიეჩქმალა, ბიჭს რომ არ შემოეხედა, ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდა, იტაცებდა და მისკენ ტყორცნიდა, გიჟური სიხარულით უყურებდა. როგორ იმალებოდა ბიჭი, როგორ იცილებდა მისკენ გამოფრენილ საგნებს, ეფარებოდა ყველაფერს, სადაც კი შეიძლებოდა შეკუზვა თუ არა, თავის შეყოფა მაინც, და ქალიც ესროდა ყველაფერს, ეშხით, ალტკინებით ძირს ახეთქებდა სკამებს, მაგიდას, ცხელი წვნიანით სავსე ქვაბს, კედელს ალეწავდა ყველაფერს, რასაც კი მოიხელთებდა, ზედაც სარეცხის გასაფენ დიდ, მრგვალ ჯოხს უხათქუნებდა და ყოველივეს, რასაც კი მისწვდებოდა, ამტვრევდა თავისი თავით მოზეიმე და საკუთარი ძალმოსილებით ბედნიერი, და დაზაფრულიც, რადგან ყველაფერი შეეძლო ახლა, შეეძლო დაეჩეხა ბიჭიც და საკუთარი თავიც, მაგრამ რაღაც არ აკეთებინებდა ამას და რიცა ტელევიზორის ჩალეწვაც მოინდომა საიდანღაც ხელში მოგდებული სალესი ქვით, მაშინვე შეაჩერა რაღაც ძალამ, და მოეშვა, და საკუთარი თავისა შერცხვა, და უნაათობის, უილაჯობის ის წამი ინატრა, როცა ამ ნაბიჯსაც, როცა იქნებოდა, გადადგამდა. სარკეში შეხედა, შეაჩერდა ნაკვთებშეშლილ, დამახინჯებულ, გაყინულ ნიღბად ქცეულ თავის სახეს, უყურებდა თავის თავს, წიოლად აფორიაჯებულს, დამახინჯებულს, სასოწარკვეთილსა და გიჟურს. თვალებში ვედრება ედგა, რაღაცას ითხოვდა, იმდენად შემზარავი, გულისამრევი თავდამცირებით, რომ — შენიო, — შეეგინა, — შენი საცოდავი დედაო, — თქვა, — მე ყველა უბედურის, წვინტლიანის და ცინგლიანის, მუნიანის და ტილიანის, ყველა მათხოვრის და ნაბუშრის დედაო, — თქვა. დაღლილი სკამზე დაჯდა. მკლავები სტკიოდა და ვერ იძროდა. ბიჭი შემოვიდა, კედელს მიეყრდნო და ელამის მისტიური მზერით მიაჩერდა დედას.

— გადი აქედან! — თქვა ქალმა. — გადი, ცოტა დავშვიდდები და მერე შემოდი. ნუ მიყურებ, შენი!.. — დაუყვირა.

ბიჭი ისევ იდგა, შემოსცქეროდა. ქალმა იცოდა, რომ არ უნდა ეთქვა ის სიტყვა, ვეფინილის, სიგიჟის დროსაც არ უნდა ეთქვა, მაგრამ ახლა ცივად, ზიზღით მიაჩერდა ბიჭს და ხახვასმით, ნელარად უთხრა:

— ვადი აქედან, ნუ მაყურებ, შე ელამო, შე ბრუცაანო, მომაშორე ეგ შენი შაშუბეშა თვალები!

ბიჭი გაწითლდა, დაიმაბა, ცდილობდა მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ თვალებში ცრემლი აუბრჭყვიალდა და სამზარეულოში შეეფარა.

ქალი ისევე ისე იჯდა. გამოცარიელებულიყო. თავი შესძაგდა. იჯდა ნელში მოხრილი, მერე გულვრილად შეათვალიერა იქაურობა — რა გატყდაო. წაქცეული სკამები, ყიარაკვებული მაგიდა, ოეფშების, ჭიქების ნამსხვრევები... მოკუზული, მხრებჩამოყრილი ეწეოდა სიგარეტს, მერე ნამწვი იატაკზე დაღვრილ წენაანში — კარტოფილის ნაჭრებში, მაკარონისა და ხახვის ნაკუწებში ისროლა, წამით მიაყურადა მას ფეოქებად შიშინს, მერე წელმოწყვეტილივით წამოდგა და აივანზე გავდა, კარის წირთხლს მიეყრდნო და ისევ სიგარეტს მოუკიდა. შორს შავად ილანდებოდა მთავრეხილის მღვრიე ჰორიზონტი.

სახლის წინ აღმართულ ფიჭვის ხის ტოტებზე ჩრდილის გატოკება შენიშნა, სწრაფად გადახარა წინ და მომიჯნაე ბინის აივნიდან თავგამოყოფილ, ყურადღებად ქცეულ ქალს ჰკითხ:

— რაო, რა ხდებაო? ხდება რამე?

— არა, არა, არაფერი, — ქალმა მაშინვე ოთახში შერგო თავი.

— არა, იქნებ არის რამე, საინტერესო, ჰა? — კვლავ იკითხა ლა წეიაზე შემდგარი, გაფაციცებული დელოდა პასუხს, მაგრამ აივნიდან ჩამიწუმი არ ისმოდა. მაშინ ზღურბლზე ჩამოჯდა, წვიმას შეუშვირა გახურებული სახე, დაბუჟებული, მოცახცახე ხელები. ჩუმად, შეუმჩნეველად დასდიოდა წვიმა. გაღმით, იმ ადგილისაკენ იყურებოდა, სადაც ეკლესია ეგულებოდა. არაფერი ჩანდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, სადაც იყო, თითქოსდა თვალსათლივ ხედავდა ქედზე ამოსვეტილ სამრეკლოს, წამიერად გაკრთა ეს ჩვენება და წაიშალა ბინდში. — რაო? — თქვა ისევ, — ხდება რამე? რამე, საინტერესო, ჰა? — უაზროდ იმეორებდა. მერე თავი დახარა, ის წერტილი რომ არ დაენახა, სადაც ეკლესია ეგულებოდა, მაგრამ მაინც გრძნობდა რაღაცას, და მუხლებში ჩამალა თავი, მოიზღარბა და უმწეოდ, გათელილი, ნაცემი ძალლივით აკვესდა, კრუნჩხვით, გაუაზრებლად ისვამდა მუხლზე იაფფასიანი სიგარეტის ცხელი ბოლისგან ჩაყვითლებულ თითებს და უშნო მისტირდა თავის თავს, თავის უნიათობას, უპატრონობას, სიღარიბეს, უსაშველოდ ებრალებდა თავისი დამცირებული, სანაგვეზე გადაგდებული არსება. მერე ამითაც დაიღალა — საკუთარი თავის შებრალება-გამოტირებითაც, სიცარიელე დაეუფლა, ყრუ და ცივი, გულგრილობა, განურჩევლობა. და ამ დროს რაღაც გახმანდა უკან: ბიჭმა მაგიდა წამოაყენა, სკამები თავ-თავის ადგილას დდგა; ესმოდა, როგორ მოხვეტა ათასი ხარახურით მოფენილი იატაკი, სანაგვე ვედროში როგორ ჩაყარა ჭურჭლის ნამსხვრევები, როგორ შემოიტანა წყლიანი ტაშტი და იატაკის მოწმენდას შეუდგა. ცივი, გულგრილი, უაზრო ცნობისმოყვარეობით უსმენდა ამ ხმებს. მერე წამოდგა, აივანს გადაეყუდა, თავი ცას შეუშვირა და უზეულო ძალით შეიგრძნო მისი უსასრულო, დამთრგუნველი სიმძიმე და უსაზღვროება. შესცივდა, ოთახში შემოვიდა, გაზქურას მიადგა და ხელი, დაწითლებული ხელების შეშრობა დაიწყო, დაუშტერდა ხელებს, უაზროდ ათვალიერებდა, იკვლევდა, დაჭიკარებდა თითოეულ წერტილს, ნაოჭს, ნიკოტინის ყვითელ ნაკვალევს, სამზარეულო დანის ჩაშავებულ, წვრილ ჭდეებს. მერე კედელს მიაყრდნო მხარი, ხელი კიდევ გრილ კედელს მიადო და მიაშტერდა ბიჭს. ბიჭი გრძნობდა ამ მზერას და გახევებული, შებოჭილი ირჯებოდა, მაგრამ თავისი საქმიანობის მართებულობის შეგნებით გულმოცემული და ატანილი წმენდდა იატაკს, ჭუჭყიან წყა-

მოთხრობები
ბავშვებისა
ბიბლიოთეკა

ლში უშვებდა იატაკის საწმენდ ჯოხზე წამოცმულ ტილის, ამ წუნწუხიანად ამოათრევდა და არიალებდა ჭრელ, გაცრეცილ ლინოლეუმზე. კვლავ საბაზანოში შევიდა, ახლა სუფთა ტილი მოიტანა, ისევ მოუსვა იატაკს. ვიიტანა ტაშტი, კვლავ შემოვიდა. დედას თვალს არიდებდა. შუა ოთახში დადგა, ყოყმანობდა. ვერ გაეშვა, მაგრამ ბოლოს მაინც მივიდა გაჩქარასთან, ჩაიდანი შემოდგა ალზე. ქალი კედელს მოშორდა, მაგიდას მიუჯდა. დაინერდა დალაქავებულ სუფრას და მხლოდ მაშინ გამოერკვა, როცა, უცებ, ჩაიდანმა შიშინი დაიწყო. შიშინი თანდათან ძლიერდებოდა, ოთახს ავსებდა და, როგორდაც, ოჯახური სიმყუდროვის, ჩვეულებრივი, ყოველდღიური, სანდო და საიმედო ცხოვრების შეგრძნებას იწვევდა, თითქოს შორს გადახვეწილი ფუძის ანგელოზი დაბრუნდა და აღარსად წავა, გულს არ აიერის აქაურობაზეო. ბიჭი განჯინას მიადგა, ჩაის ჭიქებს ეძებდა. ვერ იპოვა, სულ დამტვრეულიყო, ოთახში გავიდა, ახალი ჭიქები გამოიტანა. ერთი ულამაზოდ დადო მაგიდაზე, წამით შეყოყმანდა და მეორეც დადგა. მერე ჩაის ჭყეტელა, რკინის ოთხკუთხა კოლოფიც გამოიღო, ნახევარი კოვზი ჩაი ჩაყარა თავის ჭიქაში, მეორეშიც უნდა ჩაეყარა, მაგრამ გადაფიქრა, ცალკე, პატარა ჩაიდანში შეუდგა ჩაის დაყენებას. ბიჭი არ სვამდა ასეთ ჩაის, მაგრამ დედას უყვარდა მისი დაყენებული მუქი, მაკარი ჩაი, ბიჭი ამით ამაყობდა კიდეც, და ქალიც მოიღეენთა, მოლბა, მერე კი, როცა შეილმა ჩაი მოუმზადა და უსიტყვოდ მიუნიხა სავსე, ოროქლდენილი ჭიქა, თითები შემოაჭდო ცხელ, მუქი თაფლისფერი სითხით გამკვეთრებულ წახნაგებს, ითბობდა ხელებს და სვამდა. ბიჭმა პურის ნაგუნრი დაუდო სუფრაზეკენ, თავისთვისაც ჩამოიჭრა, მაგრამ პურისთვის პირი არ დუკარებიათ. ასე, მდუმარედ დალიეს ჩაი. მერე ბიჭი წამოდგა. ერთხანს ვერ გაუბედა, მაგრამ ბოლოს დაძახულად, ხმის კანკალით, თვალგამტერებით თქვა:

— შენ იქნები კიდევ?

ქალმა თავი დაუქნია, მაგრამ მერე ეკრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა, გახვევებული ბაგეები გახსნა: — ჰო, დავრჩები ერთხანს...

— კარგი აბა. — ბიჭი გავიდა, კარიდან გამოხედა. — დამე მშვიდობისა. — თქვა ლამის რიტუალური, წლების განმავლობაში ათასჯერ თქმული და შინაარსისაგან დაცლილი ფრაზა, რომელმაც თითქოს ახლა შეიძინა ჭეშმარიტება ბრი.

— დამე მშვიდობისა, — თქვა ქალმა და როცა ბიჭმა კარი მიხურა, სიგარეტს მოუკიდა. ესმოდა, როგორ დაწვა ბიჭი, როგორ გაიჭრაჭუნა საწოლმა. მოამთავრა სიგარეტი, წამოდგა, სუფრა აალაგა, გაზი და შუქი გამორთო და ოთახში შეეკიდა. ბიჭი კედლისკენ მიბრუნებულიყო, თავიც კედლზე მიედო, მაგრამ ქალმა ივრძნო, რომ არ ეძინა. მივიდა საწოლთან. ერთხანს იდგა, მერე დაიხარა და თავზე გადაუსვა ხელი; უხეშ, ჯაგარა თმაზე მოუალერსა და ივრძნო, როგორ დაიძაბა ბიჭი, როგორ მოიკუნტა. მოსცილდა, თავის საწოლთან მივიდა, შუქი გაძორთო, გაიხადა და დაწვა, საბანი საგულდაგულოდ შემოიხვია ტანზე. ერთხანს გაუნძრეველად იწვა, მაგრამ მერე, ეტყობა, ვერ მოეწყო მოხერხებულად, რადგან მკვეთრად წამოიწია, ცალი ხელით საბანი დაიჭირა, მეორეთი ბალიში გაისწორა, ახლა, დაეყრდნოლია და მიწყვეტით დაეცა ზედ.

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲠᲩᲝᲔᲚᲐᲫᲔ

მარიამი იზოს შვილი გახლდათ, სწორედ იზოსი და არა, ეთქვათ, პეტრესი, ივანესი, ოლიფანტესი, იმ იზოს შვილი, მალაზიაში, თამბაქოს ნაწარმის განყოფილებაში გამყიდველად რომ მუშაობდა. თხელი, განსაპუული ბავშვი იზრდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ტანთან შედარებით, მოკლე ხელ-ფეხი და ასიმეტრიული სახე ჰქონდა. ლამაზიაო, ვერ იტყოდით, მაგრამ თბილი, მშვიდი თვალები და ალერსიანი ბა-გეები თავისებურ მომხიბვლელობასაც კი ანიჭებდა. ბუნებრივია, სწავლობდა და საკმაოდ უფერულადაც, რაიმე განსაკუთრებულ ნიჭს არ ამჟღავნებდა, თუმცა, მერე უკვე, წლების შემდეგ მორცხვად იტყოდა ხოლმე, — რა ვიცი, სკოლაში ოთხებზე ვსწავლობდიო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დედამისმა იმ თავისი სიგარეტების დახლქვემოდან გაყიდვით მოქუნებული ფული ფაატრიალა და შვილი სამედიცინო პროფტექნიკუმში მოაწყო. ავადმყოფთა მომავალ ფერად ამზადებდა. პარალელურად ოფიცერთა სახლთან გახსნილ რაღაც ჭრა-კერვისა და კულინარიის კურსებზეც შეიყვანა, ასე რომ, მისი მომავალი ბედნიერი ცხოვრების საფუძველი ჩაყარა, მერე თავისი დედური ვალის ჯეროვნად აღსრულების გრძნობით აღვსილმა ხელი დაიბანა და აწ უკვე ყოველმხრივ შეიარაღებულ შვილს ისღა დარჩენოდა, მთელი თავისი არსენალი — ბუნებით ბოძებულიც და შეძენილიც — მართებულად გამოეყენებინა. და გოგოც, რაც შეეძლო, ირჯებოდა. გარშემო მყოფთ, თანატოლებს, უბნის ბიჭბუჭობას, მართალია, ზემოდან აბრეზით არ დაჰყურებდა, მაგრამ დიდად არც თავს უყადრებდა, რაღაც მიჯნას ყოველთვის ავლებდა მათსა და თავის პერსონას შორის. დროდადრო ექსცესები ხდებოდა: ხან მავანი ყმაწვილი შეაგდებდა მანქანაში, მოტაცებას დაუპირებდა, ხან ქუჩაში დახვდებოდა ვინმე. მაგრამ რაიმე საგულისხმო შედეგი ყოველივე ამას თან არ სდევდა. გოგო ტრადიციისამებრ განიხილავდა ამ ამბებს და პრეტენდენტთა ავ-კარგს თავისი უახლოესი ყველაზე ერთგული და სანდო „დაქალების“ წრეში, რომელთა რიცხვი ათს მაინც აღწევდა. ასე ცხოვრობდა, საკმაოდ უფერულად და ბანალურად, სანამ ასევე ბანალური რამ არ მოხდა, კერძოდ კი — კაცი გამოჩნდა. ვერ იტყოდით, კაცმა თავგზა აუბნია გოგოსო, საამისო არაფერი სჭირდა, მასზე საკმაოდ ასაკოვანი იყო, კლასიკური მექალთანის ტიპი, წვრილფეხა კაზანოვა, ერთი იმათთაგანი, გამალებით რომ დაეძებენ საკბილოს სხვადასხვა, მეტწილად — პრესტიჟიულ სასწავლებლებში, თუმცა ხანგამოშვებით, მრავალფეროვნებისათვის, პროფსასწავლებლებსაც მიაკითხავენ ხოლმე; ერთი იმ კატეგორიის კაცთაგანი, ზერელე შეხედვით ძლიერნი რომ ჩანან, თავის თავში დაჯერებულნი, სინამდვილეში კი სუსტნი, უნებისყოფო და უნიათონი არიან. კაცის გარეგნობის მიღმა მთელი კონვეირი იგრძნობოდა ქალებისა: დედის, დების, ცოლის თუ საყვარლის — მის ირგვლივ მოფუსფუსეთა, მასზე მზრუნველთა, მის ნებას დაქვემდებარებულთა, მასზე მლოცველთა. თითქოს ის სიტყვებიც კი ჩაეესმოდა, მასთან დაკავშირებთ რომ ითქმოდა: „გოგიტა მოვა“, „გოგიტა იტყვის“, „გოგიტას დავეკითხოთ“. ეს „გოგიტაც“ რაღაცნაირი, შინაგანი პატივით დაყურსული ჩანდა, მის მიღმაც მთელი სამყარო მოჩანდა იმ ადამიანებისა, ოცდათუთმეტ-ორმოცი წლის კაცს რომ მიმართავდნენ — გოგიტაო. ჩანდა თვით ამ კაცის ხასიათიც, ასე დარდიმანდული ხელგაშლილობით, ასე მოწყალე რომ გრთავდა ნებას — გოგიტა დამიმახეთო. ესეც იმათთაგანი იყო, იმ იღბლიან და ქუდბედიანთაგანი, საკუთარ თავში, საკუთარ გამორჩეულობაში ღაღად და უყოყმანოდ დაჯერებულნი ხელს რომ გამოგიწვდიან და გეტყვიან — თიკუნა მქვიაო, ნიკუშა ვარო, მანნო გახლავართო; არც ფიქრობენ ხოლმე ამაზე, იმდენად ბუნებრივი და მათა შესატყვისი ჩანს ეს ენინობითი სახელი. მოკლედ, კაცს გოგიტა ერქვა და გოგოს ესეც მოსწონდა. მოსწონდა ის სამყაროც, ამ კაცის იერის, ქცევის, მისი თითოეული ჟესტის, მისი პერანგების, კოსტიუმების, ავტომანქანის, წინდების, თუნდაც მისი ლაპარაკის მანერის მიღმა რომ იგრძნობოდა. ყოველივე ამის უკან სხვა, მარიამისათვის უცნო, იდუმალი და, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარია, რამდენადმე „უწესო“ ცხოვრება მოჩანდა, მაგრამ სწორედ ეს იზიდავდა, რადგან ეს უწესობა თუ უხამსობაც სხვაგვარი იყო, სხვა ხიბლის მქონე, ეს სწორედ ის იყო, რის მისაღწევადაც სწავლობდა და ჩალიჩობდა მარიამი, რის მოსაპოვებლადაც სჭირდებოდა ის თავისი ჭრა-კერვა თუ მედდის თეორი ხალათი. მთელი არსებით, ისე, რომ გულიც კი ეწურებოდა, სურდა ამ სამყაროში შესულიყო, თავდაჯერებულობის, სითამამის, განთავისუფლების ეს ხიბლი შეეტკბო, ეს ახალი ჰაერი ეყნოსა, თუნდაც ჩაყურყუმალებულიყო ამ უწესობასა თუ უხამსობაში, თავიდან ფეხებამდე ამოგანგლულიყო, ოღონდ გაქცეოდა დედის, მეზობლების, ნაცნობ-მეგობრების ღარიბი, ბენავი, უფერული ყოფის არტახებს, პატრიარქალური უბნის მარადიულ, შეუვალ წესებსა და კანონებს. და მარიამიც ცდილობდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, ყიენებდა ყოველივეს იმას, რაც დაენახა, გაეგო, ფილმებიდან ამოეკრიფა, ვინმესგან გადმოეღო, კინოს და მოდების ჟურნალებში მოეძია თუ თავის მწირ ბიბლიოთეკაში ამოეკითხა. კაცს რესტორნებში დაჰყავდა, სადაც მარიამი იმ თავისი ცხრა თუ ათი „დაქალისაგან“ მიღებული გულუხვი რჩევა-დარიგების, თანახმად მოქმედებდა, იმ თავის ჭრა-კერვის სამყაროში შეძენილი ცოდნით შეკერილი კაბებით კოხტაობდა. კაცი მესაკუთრესავით უყურებდა, თუმცა ისიც ეტყობოდა, რომ მარტო ამ ხილს არ შესწვდენოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, კაცი არ გაქრა. გოგოს უკვე, რბილად რომ ვთქვათ, შეეტოპა დაუკრეფავში. ბუნებრივია, თავს უდიდესი სიყვარულის მსხვერპლად თვლიდა, ბავშვის გაჩენასაც აპირებდა, მაგრამ დედამისმა, ჩუმად რომ ბეგავედა ხოლმე უკვე ორ სულად ქცეულ შვილსა და შვილიშვილს და თავის თავს, თავის ბედისწერას წყევლიდა, ერთხელ ფეხქვეშ გაიგდო, მუცელში წიხლი ჩაუხლა და მარიამსაც მოეშალა მუცელი. მერე კი, იყნოსა თუ არა ყოველივე ეს, უბანიც გაფაცოცდა, მოემზადა, ახალი ჰეტერის დაბადებას დაელოდა, რადგან, წესის თანახმად, სადაცაა ახალი აფროდიტე უნდა ამოსულიყო ამ ხახლების წინ დაყრილი ნაგვისა თუ ნატისუსლის ფერფლიდან, უნდა შეერყია და ხელახლა დაეკომპლექტებინა ქუჩის კახპების იერარქიული კიბე, მეტეორივით უნდა გაევლო ამ მრუმე, ყომრალი ყოფის ფონზე. მაგრამ მარიამი ყოყმანობდა, აყოვნებდა, რაღაცას ელოდა. დედამისი — ანჩხლი, დაღლარა ქალი, თავადაც ყოფილი ტურფა, შეეგუა ბედს, თუმცა რაღაცას კიდევ იმედოვნებდა, სანამ ერთმა იმ ცხრა თუ ათ დიბილთაგანმა, მეზობელ სახლში მცხოვრებმა, შინ არ მიიპატიჟა მარიამი და იქაური მილიციელი არ გააცნო. აქაც მთელი ჩახლართული სიტუაცია იყო: ამ ქალს ქმარ-შვილი ჰყავდა, მაგრამ ხსენებულმა მილიციელმა კუს ტბაზე ვიღაცასთან შეიხსწრო ბუჩქებში და ულტიმატუმი წაუყენა — ან მარიამი მოამგდებინე ხელში, ან ახლავე შენს ქმარს ეუპატაკებ ამ ამბავსო. მოკლედ, დაიხარჯა ფული, გაიშალა სუფრა, დაითრო მარიამი და ხსენებულმა მილიციელმა ხომ შეისრულა გულისწადილი, ის დაღიც გამომზეურდა, ბავშვობდანვე რომ დაატრებდა მარიამი — მაღაზიის კუთხეში ჩაცუცქულ ბავშვზე რომ ჩურჩულებდნენ: აგერ, იზოს რა გოგო ჰყავს, მაგრამ რად გინდა, ესეც, დედამისივით, კახპა იქნებაო. მაგრამ არა, მაინც ვერ დადგა მისგან ნამდვილი კახპა, მაინც გლახაკი და დაბდური იყო, რადგან ამ ოხერ კახპობასაც თავისი შნო და ლაზათი, თავისი ნიჭი უნდოდა, ამან კი ვერ შეიშნო, ვერ მოიხდინა, ვერ დაეუფლა კლასიკურ ჟესტებს, ვერ აადირა თავი ყველაფერზე ხელჩაქნეული ადამიანივით, თავის თავსა და თავის სახლში ჩაიკეტა. იშვიათად გამოდიოდა გარეთ. კლიენტურაც შინ დაუდიოდა. დედამისი იმ ხანებში უკვე კუჭ-ნაწლავის წყლულით დაავადებულიყო (მარიამმა დამაავადმყოფაო, შესჩიოდა მეზობლებს თუ ნაცნობებს, თუმცა კაცმა რომ თქვას, მისი ავადობა ლოთობის ბრალი უფრო იყო), ჩაშავებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალეული, გაძვალტყავებული იყო ფანჯარასთან, ფეხებს ძლიას უწვდენდა ია-ტაკს, ზედზედ ეწეოდა სიგარეტს და ამ თავისა ტანჯვისა და სიკვდილის სამყაროდან გაპყურებდა შვილის ყოფა-ცხოვრებას. შვილი კი ერთთავად დალურჯებული და დთოქეული დაიარებოდა, ენელი სათქვეფია — რატომ, მაგრამ ყველა სცემდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ მეტისმეტად უმწეო და უსუსური იერი ჰქონდა და არა ის ყალბი, მრავალთაგან ხოტბაშესხმული და ვანდიდებული უმწეობა-სისუსტის შარავანდედი, ნაზი ქალწულის უცილობელ თვისებად რომ ითვლება და მის ღირსებას ქმნის. რაღაც ჰქონდა ისეთი, ეულისამრევად მფრთხალი და ბეჩავი, რომ. ვაუცნობიერებელ დანაშაულის შეგრძნების ბადედ კაცებში, და ისინიც სცემდნენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ოღონდ კი არ შემოხვიდა ასე, წუთით მაინც შეცლილ სახე... მოეკვაჟდნენ, იმ ჩრიოკ ტანს სულ დალურჯებდნენ და მოკუნტული, თავზე გალეული მკლავებწაფარებული მარაბიც ნუმად წამოდგა ტკივილისაგან, მერე კი, კაცი წასვლას რომ დაპირებდა და მისი უსასოო შემოხედვით კვლავაც გაუცნობიერებლად გულშემძრული ზიზღით, კიდევ ერთხელ ჩასცხებდა თავში, უშნო ტირილი წასდგებოდა, უკვე ალარ ძალადა ცრემლებს, იწვა ასე, თავის თავს შესტიროდა და ეინგლებს იწმენდდა. მერე კი, ეს მაშინ, როცა უკვე მესამე კატეგორიის კიბეებში გადაწერილიყო, უკვე სკოლის ბიჭებუჭობასაც რომ ულოცავდა გზას ახალი სამყაროსაკენ, ეიღაც ლაწირაკმა კორპსაძრობით ფაფარა სახე და ზიგზაგივით კვალი დაუტოვა. ასე დარჩა — ცხვირის ნესტოდან ნიკაპამდე სახეზაარიკეი. ისედაც დამბინჯებულიყო უკვე. იმ თავის ყვავილობის ხანაშიც კი სუსტი, მწარი ტანი ჰქონდა, ახლა კი სულ დაილია, ლავწეები ამოეწარა, ჭკერდი ჩაუვარდა, სახე ნეწილი ნაოჭებით დაესერა, კბილები დასცვიდა, ზედა ყბაზე ორი ეშვიდა შემორჩა. მერე დედაც მოუკვდა და დარჩა სულ მარტო. სწორედ იმ ხანებში იყო, სიარული რომ დაიწყო. გავიდოდა ავტოსადგურში, გარეუბნის ავტობუსში ჩაჯდებოდა, ჭუჭყიან მინას მიაღებდა ცხვირს და გაპყურებდა ვაზისუბანსა თუ ვაშლიჯვარს, გლდანსა თუ იმ გადაკარგულ, ვახრიოკებულ უბანს, „ამერიკა" რომ შეარქვეს ქალაქელებმა; ათასლიერებდა უბადრუკ შენობებს, უდაბურ ადგილებს, ნარგავებს, ადამიანებს. ან სულაც დავაოთაშვილის ქუჩაზე ავიდოდა, სოფლებისაკენ მიმავალ ძომცრო ავტობუსში ჩაჯდებოდა, თუ ხალვათობა იყო, ისეთ ადგილს ამოირჩევდა, ნაიარევი სახე ფანჯრისკენ რომ ჰქონდოდა მოქცეული და აუვვებოდა დაკლაკნილ გზებს. იქამდე იკლიდა, სანამ ფული ეყოფოდა. სამოც კაპიკზე ან მანეთზე მეტს არ დახარჯავდა და მეტი არც ღირდა იმ დროს. ნამივიდოდა ავტობუსიდან, გაღმიფრიდა გზას, ისევ ავტობუსს დაუცდიდა და ქალაქში ბრუნდებოდა. ასე ცხოვრობდა ერთხანს, დედის სიკვდილის შემდეგ, ბინის გადაცვლას ცდილობდა, ამ სახლიდან, ამ უბნიდან წასვლას, რადგან ეს სახლი, აქაურობა მის უბედობასა და უნაათობას უკავშირდებოდა, რადგან ეს ის საჭირო იყო, საიდანაც თავის დღეწევას ლამობდა და საიდანაც ვერ გაქცეულიყო. მერე შეეშვა ამ ჩალიჩს, რადგან ამასობაში წავკისელი ბიჭი გამოჩნდა. ნათესავებთან, მის მეზობლად ცხოვრობდა, პატარა, ჩია ბიჭი იყო, ინსტიტუტში სწავლობდა, ეკონომიკის თუ სოფლის მეურნეობის მეცნიერებას ეჭიდებოდა. დროდადრო ხვდებოდა ქუჩაში, გაცნობით კი მადაზიაში, გაიცნო — ფული დაკალდა და ბიჭმა მისცა სამი მანეთი. იმავე დღეს მივიდა ბიჭის ნათესავების სახლში, კართან იდგა, შიგნით არ შედიოდა. თოვდა იმ დღეს და სველი იყო სულ. სიცივისაგან ჭრილობას შემზარავი სილურჯე დაჭკრავდა. ფული, ეტყობა, ხელში ჩაებღუჯა მთელი გზა და ისიც დასველებოდა. ბიჭი არ არიმევდა ფულს, როგორ გეკადრებათო, მეზობლურადო, სამი მანეთი რა ფულიაო, მაგრამ მარამი ხელში აჩეჩებდა იმ ღარიბის სიამაყით, ვალს რომ არაფრისდიდებით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეარჩენს, თუმცა სიამაყის ამ სურვილშიც უმწეობა იგრძნობოდა დ ბიჭს ბუნ-ლი მოეწურა, თან იმასაც მიხვდა, აუცილებელი რომ იყო ამ გაცრეცილი სამანეთიანის გამორთმევა: ეს თანასწორობის ნიშნი იქნებოდა, ბინაშიც შეიპატიჟა. მაგრამ ქალი არ შედიოდა, უკვე აღარ ჰქონდა ის ბეჩავი იერი, უბრალოდ — არ უნდოდა ამ ბიჭის შეწუხება, არ უნდოდ კიდევ ერთი ახალი, რთული ხ-მაარო შემოსულიყო მის ცხოვრებაში, რაც ძალთა ახალ დაძაბვას მოითხოვდა მისგან. მერე, რა თქმა უნდ, ბიჭთან დაიწყო სიარული. ბიჭიც ნაიავებას ბინიდან მის დარიბულ ბინაში გადმობარდდა, აქ ცხოვრობდა და სოფლური კომპლექსებისგან თავისუფლდებოდა, ამასთან ამ თავისი ტრადიციული, მამაპაპური ოჯახის სიმაყრასაც არდაეცდა ალბათ ესეც, ეს თავისი ჯანყიც ეფოენებოდა გულზე. მარიამს მოსწონდა ბიჭი, მოსწონდა მისი სიმორცხვე (თუმცა ამ მორცხვობის უკან პატიმეფვარეობა და არასრულფასოვნების კომპლექსი იმალებოდა), ისიც მოსწონდა, ბევრს რომ კითხულობდა — მეტწილად ქართულ ლიტერატურას, „უქარქაშო ხმლებს", „გმირთა ეარამს" და ამისთანებს, თუმცა ერთი-ორჯერ მოპასანის „სიყვარული" და ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენიც" უნახა. მერე გოგოც ეყოლათ: ყეიანი, უფერული ბავშვი, აქერცლილი სახე და მუდმ ცინელანი ცხვირი რომ ჰქონდა და აქედანვე რომ ეტყობოდა — ლმაზი ქალი დადგებოდა; ის ბებიასეულ-დედისეული დამღაც უკვე ალბეჭდოდა შუაღზე. მარიამიც დამშვიდდა თითქოს, იმ დთრგუნულობამაც გაუარა, რაღაცნაირი, საკუთარი თავისადმი მიმართული თბილი ირონია გაუჩნდა, მზერაც დელიკატური გაუხდა — თითქოს კრძალვით გთხოვდა არ შეხებოდი, მის სამყაროში არ გადასულიყავ, ხოლო თუ მაინც გადახვედიდი, მაშინაც აღარ ითრგუნებოდა — მშვიდი, შემწყალე ღიმილი გაუკრთებოდა სახეზე. მერე, ეს უკვე იმ დროს, რელიგია მოდური რომ გახდ, პირველად შევიდა ეკლესიაში. თავადაც არ იცოდა — რა უნდოდა, მაგრამ რაღაც ახლის შეკრძნება კი სურდა. მაშისაკენ თავლებგაფართოებული, თვალებდაჭყეტილი იყურებოდა აქეთ-იქით, პირველის გადწერაც კი არ იცოდა მაშინ, ეკ ვიდაც ნაა, მაისანი დედაბერი მოუახლოვდა, ეკლესიის დამლაგებელი, და მკაცრად მისაკი შენიშვნა. პირველის ახე ნუ იწერო. მარიამს შერცხვა, თითქოს მისი ადგილი აქ იყო აქ, თითქოს არც უფლება ჰქონდა აქ ყოფნისა — და გამოიქცა. მერე, პირველის წერა როგორ უნდოდ, გაიკითხ-გამოიკითხა, ძალი მოიცა და ისევ მივიდა ეკლესიაში. მოსწონდ რელიგიური დღესასწაულება, ღვთისმსახურების ფდორე რიტმი, გალობა, კათალიკოსის სალამაზე: ხელზე რომ ეთხვეოდ, უცნაური, ნერეული სიხარული მოეფინებოდა მთელს ტანში, ეკლესიიდან გამოსულსაც აღტყინება მოიცავდა, დაძაბულობისგან დაკრუნჩხულ თითებს გაშლიდი, თავის თავს უღიმოდა და სულელივით ბუტყუნებდა რაღაცას. სადაც დდეებშაც ბედნიერი და მოზეიმე იდგა ხოლმე. იმდენად რელიგიური გრძნობა არ ეუფლებოდა, რამდენადაც საკუთარი თავით კმაყოფილება, თავი მოსწონდა, მხურვალედ რომ კოცნიდ ხატებს, სასოებით რომ ელეერსებოდა ეკლესიის კედლებს, მუხლსაც იმიტომ არ იყრიდა მხოლოდ, რომ გაქექილი, ლანჩებდაკერებული, ქუსლებგადაყალეფილი ფეხსაცმელები ეცვა და არ გამომჩნდეს — ეხირცხვილებოდა. მერე სახარება იყიდა, კითხვა დაიწყო, ხელებს დაიბანდა და ამაყად გადაშლიდა წიგნს, მაგრამ ვერ წაიკითხა, ვერაფერს მიხვდ და მოსაწყენიც ეჩვენა. ვერ წაიკითხა ბოლომდე, მაგრამ ვინმე რომ მოვიდოდა და თვალებს გაბუცეებული დაჭყეტდა, — ვაჰ, მარიამ, სახარება საიდანო, თან ხელს რომ წაატანდა, მარიამი უხეშად დაუყვირებდა, — ჯერ ეგ ტურტლიანი ხელები დაიბანე და მერე შეეხეო. რელიგიამაც ვერ მიიზიდა, რადგან რაღაც მარტივი, კონკრეტული უნდოდა, სახარება კი გარდაქმნას მოითხოვდა, თავის თავთან ყოველწუთიერ ბრძოლას, რის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიც უკვე აღარა ჰქონდა, საამისოდ მეტისმეტად დაღლილიყო. მაგრამ როცა ნაცნობმა ქალმა — სვეტამ შესთავაზა, მოგნათლავო, მოინათლა. მერე გამოირკვა — ეს სვეტა სომეხი ყოფილიყო და თურმე გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია. ამ ნათლობაზე საკმაოდ ფული დაიხარჯა, მაგრადაც გამოტყვრნენ და მარიამმა, აქამდე ჩუმად რომ იჯდა, ჩხუბი აუტეხა სვეტას, თმებით დაითრიეს ერთმანეთი. სვეტა ზორბა, ჯანიანი ქალი იყო და მარიამიც მაგრად მითეთქვა. მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ, რელიგიურმა აღტყინებამ რომ გაიარა, ნათლიდედობის ახალი, კიდევ ერთი პრეტენდენტი გამოჩნდა — ეს უკვე ბაპტისტი ქალი, რომელიც მთელი გულმოდგინებით შეეცადა მარიამის „ჭეშმარიტ“ სარწმუნოებაზე მოქცევას. მაგრამ მარიამი არ იყო რელიგიური, მორწმუნე იყო, ყოველგვარი ფანატიზმი სძულდა და, რაც მთავარია, მთელს თავის არსებაში ღრმად და ინსტინქტურად გასჯდომოდა წინაპართა სარწმუნოების პატივისცემა. მერე საერთოდ დაანება თავი ეკლესიაში სიარულს, თუმცა დროდადრო გამწარებული მივარდებოდა ხოლმე ოთახის კუთხეში ჩამოკიდებულ პატარა ხატთან, ნაკუთხი რომ არც იყო, დაეცემოდა მუხლებზე, პარკეტამოყრილ, დალაქავებულ იატაკს თავს ურახუნებდა და ღმუილით რაღაცას ეხვეწებოდა ღმერთს. მერე, ცოტა რომ დაწყნარდებოდა, „მამაო ჩვენოს“ წაიკითხავდა, რაღაცის თქმას დაიპირებდა, მაგრამ მისი სიტყვები მეტისმეტად უბრალო და ყოფითი იყო და არც ეკონა, თუ ღოცულობდა, სათქმელს ვერ ალაგებდა და — შენ ზომ იცო, — იტყოდა, — შენ ზომ ისედაც იცო. მერე ისევ დააპირებდა რაღაცის თქმას, ქართული ფილმებიდან დამახსოვრებულ ფრაზებს ჰიოშველიებდა, მაგრამ მაინც ვერ ამბობდა იმას, რის თქმაც ეწადა და ესოდენ სისხლხორცეული, თითქოსდა ენაზე მომდგარი სათქმელის ვერთქმით გადარეული — მიშველე, ღმერთო! — ამოიგმინებდა. ეკლესიაში სიარულსა და ღოცვას სწორედ მაშინ დანება თავი, იმ წვეკისელმა ბიჭმა სწავლა-განათლება რომ დაამთავრა და იქაურმა ოჯახმაც მისი დაქორწინება განიზრახა. წვეკისელ ბიჭს უკვე მობეზრებოდა თავისი ჯანყი, კომპლექსებისგანაც განთავისუფლებულიყო, მარიამთანაც ვერ ჰქონდა დიდი მატერიალური სტიმული და მშობლებს შეურიდდა. და მარიამმაც მკითხავებში დაიწყო სიარული, მთელს თავის ფულს მათ ახარჯავდა, ერთხანს დაიამებდა ხოლმე გულს, როცა ეტყოდნენ, შენი მურაზი შენთან დარჩებაო, ბიჭვედი ჩანს, დაქორწინდებით, ვიღაც დიდი კაცი დახმარების ხელს გიწვდისო. მართლაც ჰყავდა დიდი კაცი — მისი ბიძაშვილი მინისტრის მძღოლი გახლდათ. მაგრამ ფეხი ჰკრა გულის მურაზმა, იმ თავის წვაკისს დაუბრუნდა, თუმცა მარიამთანაც მოდიოდა, საბოლოდ არ აყრილიყო აქედან, ისევ აქ ჰქონდა თავისი მცირე ავლადიდები, ტანსაცმელი თუ წიგნები. ქალაქში წოლის შეტანას აპირებდა კომერციულ მაღაზიაში და ბინა აქაც რომ ჰქონდა — ხელს აძლევდა. მარიამი ახლა მარნეულში, ვიღაც თათრის მოლასთან დადიოდა, გაქონილ ფურცელზე აჩხა-ბაჩხად აწერინებდა რაღაც სიტყვებს და შავ ჭინჭში გახვეულ, თმით შეკრულ ამ „ჯადოს“ ბიჭს სასთუმალქვეშ უდებდა. ამანაც რომ არ უშველა, სვეტამ, იმ ძალად-ნათლიდედამ ურჩია, ვირის ტვინი აჭამე მაგ შენს ხიხოს და აუცილებლად დაგაბამო, მაგრამ აქამდე არ მისულა საქმე, რადგან ერთ მშვენიერ დღეს წვეკისელმა ხაბოლოდ მოკრიბა თავისი ხაბაკ-ხუბაკი და სამუდამოდ დუკრა თავი. მეტი რა გზა ჰქონდა, მოაკლდა სოფლური ნობათი, დროდადრო მაინც რომ ჩამიჭერდა ხოლმე წვეკისელს, და მუშაობა დაიწყო, დამლაგებლად მოეწყო მილიციაში. კარგ ადგილად ითვლებოდა და ეამაყებოდა კიდეც, დიდ ხალხს ვიცნობო, ამბობდა, გამავლობა მაქვსო. მართლაც იცნობდა უბნის ინსპექტორს და მისთანებს. იმ პერიოდში გოგო უკვე წამოჩიტული ჰყავდა და მისი მომავლის გარანტირება გადაწყვიტა, პიონერთა სახახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეში, ცეკვის წრეში მიიყვანა, რადგან ცეკვა მომავალი, ბედნიერი და წელგამართული ცხოვრების სიმბოლოდ ითვლებოდა. სამუშაო ორსათიანი ჰქონდა, საღამოს მივიდოდა ხოლმე, დროც ჰქონდა და მიჰყავდა ბავშვი სასახლეში, ჩამოჯდებოდა ვესტიბიულში, კედელთან მიდგმულ მერხზე, ელოდებოდა ბავშვს და გაჰყურებდა ქალთა მარაქას, რადგან რომ პუტუნებდნენ ერთმანეთში. ქალები ამ თავიანთ მარაქაში არ რევდნენ მარიამს და მარიამსაც არ უნდოდა მათში გარევა, რადგან ეს ხალხი სხვა ფენა იყო მისთვის, ცხოვრებისეული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგარ ხალხად მიაჩნდა. მერე ამასაც მოედო ბოლო: სამუშაოდან დაითხოვეს, სხვა სამუშაო უცებ ვერ იშოვა, ცხოვრება გაძვირდა, ფასებმა კატასტროფული სისწრაფით იწყეს ზრდა, საცეკვაო კოსტიუმებსაც ვეღარ ყიდულობდა და წამოვდა იქიდან, მაგრამ მთავარი, რასაც ბავშვს ვერ უუბნებოდა, აღრიალებული რომ ეხვეწებოდა, ცეკვაზე წამოყვანეო, ის იყო, რომ თავად მარიამს არ შეეძლო იქ ჯდომა, ქალების ამპარტავნული გამოხედვის ატანა. ამაყი იყოო, ვერ იტყოდი, სიამაყე თუ ჰქონდა ოდესმე, უკვე სადღაც დაკარგოდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ ეს არ იყო მისი ადგილი, არ უნდა ეკლო აქ, არ უნდა მჯდარიყო. მერე სამუშაოც იშოვა – ბაზარში, გამყიდველი გახდა, უფრო სწორად – გადამყიდველის ადგილი დაუთმეს ერთი თვით. იჯდა მეტროს გადასასვლელში, პატარა სამფეხა სკამზე და უკვე ლაღად გრძნობდა თავს, ჭაუტელა, პრიალა, გამჭვირვალე ქაღალდში გახვეულ უცხოურ სასუნაკებს ყიდდა. თითქოს ისევ დამშვიდდა, კბილის სამკურნალოდ ფულის შეგროვებაც დაიწყო, ტელევიზორის ყიდვაც უნდოდა, მაგრამ ამასობაში ადგილის პატრონი დაბრუნდა, მალე კიდევ უფრო გაძვირდა ცხოვრება, შეგროვილი ფული უცებ შემოხარჯა, ზოგჯერ ცარიელა პურს თუ ყიდულობდა, გაჭირვებამ კიდევ უფრო წაუჭირა ხელი ყელში, და იკადრა, ბავშვიც წაიყვანა გადასასვლელში, დასვა კიბეზე, კედელთან, და გულზე დაფა ჩამოუკიდა წარწერით: „მიშველეთ! ვარ ქართველი. მამა აფხაზეთის ომში გმირულად დამეღუპა. დედა მძიმე ავადმყოფია. ღმერთი შეგაწყვათ“. დაკარგა ხელახლა მოპოვებული სიმშვიდეც. კიდევ უფრო გასაცოდავდა, გაუხეშდა და წინათ თუ წყნარად იდგა ბალიშაში, პურის რიგში, ახლა, რაკი მორიდებით და მორცხვად დგომით არაფერი გამოდიოდა და უპუროდ რჩებოდა, გამწარებით ეკვეთებოდა ხოლმე ხალხს, ბავშვს მუჯლუგუნით ვაიდგებდა წინ და გაყვითლებულ, დამჭკნარ, დასერილ ხელს სასურველი მიზნისკენ–ცხელი, ახალგამომცხვარი პურისკენ იწვდიდა, ლამის თვალში ჩრიდა გამყიდველს, მერე კი, შინ მოსული, თმაგაწეწილი და ჯერაც მბორგავი შეაჩერებდა ბავშვს, გახარებული რომ ილუკმებოდა, შეაჩერებდა და ზიზღი, სიძულვილი ჩაუდგებოდა თვალებში, რადგან ბავშვი რაღაცას მოითხოვდა, არა მარტო პურს, არამედ კიდევ რაღაცას, რის მიცემაც მას არ შეეძლო, და გამწარებული, საკუთარი უმწეობით და სასოწარკვეთილებით ატანილი მოულოდნელად, გამეტებით გაულაწუნებდა სახეში, მერე კი მივარდებოდა აღრიალებულსა და გადაფიჩინებულს, გიჟივით ჩაიკრავდა გულში, დალოშნიდა და დააწყნარებდა. ასე ცხოვრობდა, მიაჯახირებდა თავის წუთისოფელს, სანამ, ერთ საღამოს მაყვალამ – მაღალმა, შავ თმაში ტალღებად ჭადარაშერეულმა, მასავით ჩამოწერილმა, თუმცა ჯერაც საკმაოდ თვალმისაჯალმა მეზობელმა ქალმა არ მოაკითხა და შესთავაზა: ქვევით, ბაზართან ერთი ვარიანტია, კარტოფილი მოიტანეს, მე და რიზა ვმუშაობდით, ვარჩევდით, დამპალს მანქანიდან ვყრიდით, მაგრამ უამრავი საღი კარტოფილიც გადავაყოლეთო; ეს წუთია რიზამ მითხრა: ყარაული, რეზო, მთვალი ყიფილა, ქალები ჰყოლია მოთრეული, თან ის ოხერი ძაღლიც მოუკვდა, ჰოდ, იცოცხლე, ახლა ერთი ბნელი დამე, ტომარა, გაცუნცულება, მოტანა და მისი ჯანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

იყო ბნელი დამეც, ტომრებიც წამოიღეს, მაგრამ სახლიდან გამოსულებმა ო�იოდე ნაბიჯი გადადგეს თუ არა, მარიამი შეჩერდა.

— მაყვალ, იქნებ არ გვინდა?

— როგორ თუ არ გვინდა? — მაყვალა შედგა, მოიხედა. — ისევ დაიწყე?

— რა დავიწყე. უბრალოდ, მეშინია, რაღე არ მოხდეს.

— რა უნდა მოხდეს? აბა, რა უნდა მოხდეს? — მაყვალა ხმადაბლა, სიფიცხეშერეული ჩურჩულით ლაპარაკობდა, მაგრამ მერე თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა თქვა: — კი მაგრამ, ხომ გითხარი, არაფერია საშიში-მეთქი. მიავლთ, ავიღებთ და მორჩა. რაა საშიში.

მარიამი ხმას არ იღებდა, ნერვულად ისვამდა ხელს ბიჭურად შეჩორკნილ ჩალისფერ თმაზე.

— ჰა? — ჩაეკითხა მაყვალა. — რაა საშიში-მეთქი?

— რა ვიცი, მაყვალ, — მარიამმა უხერხულად აიწურა ცალი მხარი. — ვინმე რომ იყოს? დარაჯმა რომ დაგვინახოს?

— ეე. დებილო, ნუ დაიწყე ისევ შენებური, დაგვინახოს არა!.. რა უნდა დაგვინახოს? ხომ გითხარი, ქალები მოიყვანა-მეთქი, ვილაცეები მოათრია ბაზრიდან. სვამენ — ასპროცენტიანი ვიცი. ეხლა უკვე მთვრალებიც არიან ალბათ, რისი უნდა გეშინოდეს?

— რომ დაგვინახონ მაინც?

— რა უნდა დაგვინახონ, რას აიჩემე, — მაყვალა ახლოს მოსულიყო, სიბნელეში მარიამის მფრთხალ, დფეთებულ თვალებში ჩახედვას ლამობდა. — ეხლა უკვე გალეშილები გდიან-მეთქი, შენი თავი ვის ექნება? მივლთ, გადავლთ და ავიღებთ. სხვა რა?

— მეშინია მაინც, მაყვალ, — მარიამმა თავი გააქნია, ფეხი მოინაცვლა, უკან დაბრუნება დაუპირა.

— მაშინ დარჩები ხახამშრალი! — მაყვალას მობეზრდა ღიჯინი, გადააფურთხა და წინ წავიდა. — რას მოიგებ მაგით, იმასაც ნახავ! — გამოსძახა.

მარიამი ერთხანს გაჰყურებდა აჩქარებით მიმავალს, მერე ზანტად, გულდაწყვეტით მობრუნდა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა, ისევ შეჩერდა, დადგა და მაყვალას გაყოლა თავი. იგი უკვე გასცდა მიჯრით მიწყობილ დბალ, ძელსმაცეულ სახლებს, ტელეგრაფის ბოძზე ჩამოკიდებული ერთადერთი ნათურის შუქით მკრთალად განათებულ ჩიხს მიადგა, ჩანდა რუხი ტყავის ვაქექილ ქურთუკში ბეჭებამოყრილი მისი ზურგი, მალე კიდეც შეერეოდა წყვდიადს, ვაქრებოდა, და მარიამიც ვაიქცა, დაედევნა.

— მოიცა! — დაუყვირა, — რას მირბიხარ!

— ეე, — მაყვალამ ალმაცერად გამოხედა მოახლოებულს, აქოშინებულს. — გადამრეე შენ მე, ასეთი მშიშარა თუ იყავი, არ შეგონს.

— არა, არ მეშინია, მაყვალ, გვიანია ძალიან.

— გვიანი არა, ისა. რა გვიანი ეს არის, ოთხის ნახევარია, თენდება უკვე და, საერთოდ, ჩემთან ნუ გეშინია, ჩემთან ნურაფრის ნუ გეშინია, ისე დავიფრენ ყველას რო... — მხარზე ხელი მოჰხვია.

უსიტყვოდ, ჩუმად მიდიოდნენ, მაღალ კორპუსებს შორის, მოქცეული გაპარტახებული ბაღი ირიბად გადაჭრეს, ქუჩა გადაიარეს და რუხ, ძმიმე ბალავანს გაუყვნენ.

— საიდან ჩავიდეთ? — იკითხა მაყვალამ, — რკინიგზით თუ როგორ?

— როგორც შენ იტყვი, — მარიამმა მხრები აიჩეჩა.

— მაშინ, რკინიგზით ჯობია, მოკლეზე გადავალთ.

ვიწრო ბილიკს ჩაუყვნენ, გრძელ, კედლებდაბზარულ სახლს რომ ყოფდა რკინის ბადეშემოვლებული სპორტული მოედნისაგან, გაგლეჯილ ბადეში გაძვრნენ, მოედანი გადაიარეს და მრავალსართულიანი სახლების წინ ფართოდ გაშლილ-ჩაბინდულ ბილიკებზე წითელი აგურის ფხვნილდაყრილ ბაღში შევიდნენ. მარიამი კვლავ შიშმა აიტანა.

— მაყვალ, იქნებ არ გვინდა?

მაყვალა მკვეთრად შეჩერდა, გაღიზიანებული მოუბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ დაბრუნდი! — ბმისცრა კბილებში, — მარტო წავალ. მერე, ღიჯინს რომ დამიწყებ, ჩემ ფეხებს მოგცემ! — გაწიწმატებული გაუყვა ბილიკს.

მარტო დარჩენილი მარიამი კიდევ უფრო აიტანა შიშმა. შემზარავი იყო გარშემო დაყურსული მდუმარება და იდუმალებას შერთული ეს უკაცრიელი, ალაგ-ალაგ თითქოს შემოხვევით ამოსული, ტოტებდაღლილარჭნილი ხეებით გამოლიანებული ღამეული სივრცე, და ისევ გაიქცა, ისევ დაეწია წინწასულს. მაყვალა არ მობრუნებულა, ისე უთხრა:

— შენთვის მინდა ეს ოხერი, ჩემთვის ხო არა. მე რაღაცას მოვახერხებ კიდევ, მიეულეგები-მოეულეგები, გავეძერები-გამოვეძერები, — შენ რას იზამ? რისი თავი გაქვს?

ტრასას მიაღწიეს და ქუჩის აქეთა მხარეს ჩარიგებულ, რაგინდარა ფერის თუ ზომის ჯიხურებსა და ბუდრუგანებს ჩაუარეს.

— აი, ესაა გოგის, — მობრუნდა მაყვალა და მარიამს წითლად შელებილი ჯიხურისკენ გაახედა.

— შენ, — ჰკითხა მარიამმა, — რატომ არ ეუბნები არაფერს? იქნებ გვიშოვოს რამე.

— წავიდეს, მაგისი, — გადააფურთხა მაყვალამ, — გვიშოვის არა!..

— თხოვე მაინც.

მაყვალამ ხელი ჩაიქნია. ჩუმად მიაბიჯებდა. უცებ მობრუნდა:

— მარო, შენ ხომ იცი, არა? ხომ ვერ იტყვი, არაო. რაც მე მაგას ვაჭამე, რაც მე მაგას ვტენე და ვტენე... ვისი ტრაკით იჯდა ციხეში? ჩემი ტრაკით არ იყო? მე რომ არა, ჭლექი დაეტაკებოდა და ეგრევე ჩაძაღლდებოდა იქ. ან, რომ გამოვიდა, ვინ აჭმევდა, მაგისი გომბიო ცოლი ხომ არა? — მაყვალამ ისევ გადააფურთხა: — ყელი მიშრება რაღაც.

— მაყვალ, მე ხელი მიიფლიანდება, შენ?..

— ხელი არა, ისა! რა უნდა გამიიფლიანდეს. — მაყვალამ ტრასის შუაგამყოფ რკინის ღობურს გადალაჯა, მარიამს მოხედა და ჰკითხა: — ეხლა ვინ ყავს გამყიდველად, თუ იცი? — და როცა მარიამმა არ უპასუხა, დაუყვირა: — რას შვრები მანდ?

მარიამი კენჭს იღებდა ფეხსაცმლიდან.

— ეგ რომ არ ჩაგეცვა, მოკვდებოდი, არა? რა, საცეკვაოდ ხომ არ მიდიოდი? რამე, დაბალქუსლიანი ვერ ჩაიცვი?

მარიამმა ფეხსაცმელი ჩაიცვა, ტრასა გადაიარა.

— ვინ დასვა საკომისიოში, თუ იცი-მეთქი, — გაუმეორა მაყვალამ.

— ვინაო?

— მერი! — გამქირდავად, გესლიანად თქვა მაყვალამ და მისი მოწკურული, კითხვით აღსავსე თვალები რომ დაინახა მთვარის შუქზე, რატომღაც გადიზიანდა. — მერი როგორ არ იცი? ფაბრიკიდან, იზიკას ცოლი რო იყო.

— არ ვიცი და რა ვქნა, — მხრები აიჩეჩა მარიამმა.

მაყვალა მკვეთრად შეჩერდა, წინწასულ მარიამს გაბრაზებულმა მიაყვირა:

— როგორ არ იცი, შე ჩემა!

— რა მოგვიდა, რას ატყდი? — მარიამმა გაკვირვებით მოხედა.

— არ გადამრეო ეხლა! — ტლანქი, ჩახრინწული ხმით ყვიროდა მაყვალა, — მაკასთან რომ მოეთრა, თავს რომ დებდა — ესა ვარ, ისა ვარ, პატიოსანი ქალი ვარო და მეორე ჭიქაზევე რომ დაითესა ზურასთან ერთად!

— ჰო... ეგაა... — მიხვდა მარიამი.

— ძლიან არ მოხვედი აზრზე, — მაყვალამ სიგარეტი ამოიღო ქუთუკის ჯიბიდან, ასანთს გაკრა. — აი, ეგ მერი უზის ეხლა პატარძალივით.

— უჰ, გაყვლეფს გოგის, — გაეცინა მარიამს.

— კარგი რა-ა? — მაყვალა ისევ გაღიზიანდა. — შენც იტყვი რაღაცას! — თქვა უკმეხად. — გოგის გაყვლეფა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მე გაყვლეფდი აქამდე. ნუ გეშინია, ვერავინ დამასწრებდა. გოგის ვინ გაყვლეფს, მაგისი თავი ვისა აქვს! სჭირდება ეხლა ეგ მერი. იზიკას ქონებას ჩახეთქავს და მერე ჭიტლაყს ჰკრავს იმ გასიებულ კოხლაზე. აი, შენ გაიხსენებ ჩემს სიტყვებს, ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცადე, ჭირიმე, და მერე გაიხსენებ მაყვალას სიტყვებს!

ქალებმა ტრასა უკან მოიტოვეს და რკინიგზაზე გავიდნენ. ფეხი ღრმად ეფლობოდათ ხვინჭაში, სიარული უჭირდათ; რამეს რომ არ გადაწყდომოდნენ, მუხლებჩაბრილნი მიდიოდნენ და ეეგონებოდა, რაღაც წარმართულ, რიტუალურ ცეკვას ასრულებენო. მარიამი წარამარა ჩერდებოდა, ფეხსაცმლიდან ხვინჭას ყრიდა და ისევ, ქოშინით მისდევდა მაყვალას. შორს, წყდიადში ლიანდაგები ერთიანდებოდნენ, ერწყმოდნენ ძმიმე, თავის თავში ჩაყურსულ სივრცეს და მარიამს ისევ წამოუარა შიშმა.

— ნაღდად იცი, რეზო რომ მთვრალია? — კვლავ იკითხა.

— ნაღდად, — თავი დაუქნია მაყვალამ. — როზამ მითხრა, ზომ გითხრი: ქალები მოყავდთ მაგას და ვახიკოსო. ეხლა, მაგათი ამბავი რომ ვიცი, ღვინით გახეთქილები ვდიან. ეს ოზერი ძაღლიც ზო მოკვდა და რა გინდა, ყველაფერი ისეა, ვერც ინატრებ. ეხლა რიხინ-რიხინით ჩასვლა, წამოლება და მისი ჯანი. აქეთ წავიდეთ, — თქვა და წინ აყუდებულ გრძელ შემადგენლობას გაუყვა, ვაგონებში საფეხურებიან, ღია ბაქანს ეძებდა. გადავიდნენ მეორე მხარეს, ლიანდაგისპირა მიწაყრილი გადაიარეს და ქვევით, ტაფობზე მიყუჟული პატარა დასახლების შუკაში ჩავიდნენ. ფეხის ხმაზე ძაღლებმა წამოყეფეს თავი და ყეფა მორთეს. ქალები გაიქცნენ, უეცრგილოდ, უშნოდ გარბოდნენ თითო-ოროლა ნათრით მკრთალად განათებულ ატალახებულ შუკაში და, წონასწორობა რომ შეენარჩუნებინათ, ხელებს აქნევდნენ, დაფეთებულ ჩრდილებს არიალებდნენ სახლების კედლებსა თუ ყორეებზე. შუკა რომ ჩაათავეს და მომრგვალებულ, აბალახებულ, მთვარით მოსხეებულ პატარა მინღორზე გავიდნენ, მარიამს უცებ ფეხი დაუცურდა, გასრიალდა და რაღაც ბლანტსა და წებოვანში ჩავარდა.

— შენი! — დაიყვირა, — შენი!.. — წამოდგა და ხელ-ფეხზე დაიხედა: სულ სისხლით მოსვრილიყო. — რა ოხრობაა! — აკანკალდა. — რა უბედურებაა!

— რა იყო, რა მოგივიდა? — მიუახლოვდა მაყვალა. — რა არის, რას გავხარ? — მთვარის შუქზე დაჩერდა და თქვა: — სისხლია.

მარიამი ხმას არ იღებდა, შეძრწუნებული ზიზღით ისვამდა ხელს ტანზე, იწმენდდა მიწაზე, ბალახზე, ქვებზე, გიქვითი კრუნჩხავდა თითებს, უსაზღვრო ზიზღით და ძრწოლვით დასჩერებოდა მიწას. — შენი, — გმინავდა გაფითრებული, — შენი...

მაყვალამ რაღაც ჯოხი მოიძია და ბალახი გაქექა.

— ცხვარი დაუკლავთ, მე მაგის. ქორწილი ექნებოდთ ან რაღაც ოხრობა. წამო, წამო, რას დგეხარ.

მარიამი გახევებული, დაზაფრული იდგა. ზიზღის გრძნობა გაჰქრობოდა, ამდენ წაწყლასა და წყვეტებაში დაღლილიყო, ტანი მოეშჩარა, ფეხები დაუმძიმდა.

— რა, არ მოდიხარ? — ჰკითხა მაყვალამ. — წამო, წამო, — მხარზე მოალო ხელი, ეახუხს არ დაელოდა, ისე წავიდა.

მარიამი იდგა ერთხანს, მერე წელმოწყვეტილივით მიჰყვა. ნელა, უზომრად მიდიოდნენ. გრძელი, ფართო ქუჩა გადაჭრეს და ბაზარს მიადგნენ, გადაიარეს დაბალი სახლებით შემორაგვული, ათასვავარი ნაყარნუყართ მოფენილი მოედანი, ვიწრო, ატალახებულ შესასვლელში შევიდნენ და რკინის ჭიშკართან შეჩერდნენ. მხარმარცხნივ ფინური ქოხის მსგავსი, სახურავდაფერდებული საგუშაგო იდგა, პატარა სარკმლიდან სინათლე გამოდიოდა; თვით ჯიხურზეც მიემგრებინათ პროჟექტორი, ცივი და შიშნეული შუქის გრძელ, ჩახნახა ზოლად რომ ეფინებოდა საწყობის ეზოს. მარიამი ჟანგიან გისოსებს ჩაეჭიდა, ცხვირი ჭიშკრის გლუე, ცივ რკინას მიადო და მოშიშრებით მდგარ საბარგო მანქანას მიაჩერდა.

— არ უნდა მოვსულიყავი,— თქვა მერე.

— მაგას აზრი აღარა აქვს, — უთხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალამ, — მოხვედი უკვე. — ხელი წაკერეთ:—მიდი, მიდი, ნუ იფახები.

ქალები რკინის გისოსებს მოეჭიდნენ, ჭიშკარზე აფოფხდნენ, გადავიდნენ და უნუმრად, ფეხაკრეფით გაიარეს პროექტორით განათებული ზოლი, მანქანის ჩრდილი იფარეს, მიადგნენ ნაყარი კარტოფილის, ამყრალებულ გროვას.

—ხელთათმანები წამოიღე? — ჩუმად იკითხა მაყვალამ.

— რა ხელთათმანები? რისთვის?

— აბა, დებილო, ასე ხომ არ დაიწყებ ქექვას ამ მყრალ კარტოფილში. გადამრევ შენ მე, ყველაფერში ასე გამოტვინებული როგორ უნდა იყო!

რეზნინის ხელთათმანები წამოიცვა, ერთხანს იქექებოდა, მერე მარიამს შეხედა, იქვე რომ ჩაყუნცულიყო და მას შეჰყურებდა.

— რას დაყუდებულხარ? — გაუკვირდა. — მიდი, მიდი, ქენი რამე!

მარიამმა ერთხანს იყოყმანა, მერე აშმორებულ გროვაში ჩაყო ხელი.

— რას ინახები? — წაუსისინა მაყვალამ, — მიდი, გაინძერი!

მარიამმაც დაიგიწყა ზიზღი და ამ სიმყრალეში ახალი, მაგარი კარტოფილის ძებნას შეუდგა. ერთი-ორჯერ ფეხი დაუსხლტა დამპალ კარტოფილზე, ერთიანად იშმორებოდა მძაღე სუნით, მაგრამ უკვე რაღაც ცივ-ცხელებით ატანილივით ეძებდა, არჩევდა და პოულობდა სად, მკვრივ საუნჯეს, ერთხანს სიმშვიდეს და ხვავს რომ შეიტანდა მის ოჯახში. ტომარა ნახეკრამდე აავსო უკვე, და გახალსდა, ჩაეცინა კიდეც.

— რაო? — წასჩურჩულა მაყვალამ, — როგორაა საქმე?

— ნახვევარი ავავსე უკვე, შენ?.. შენ რა ქენი?

— ჯერ ადრეა.

— მეტს ვეღარ წავიღებთ, მაყვალ.

— შენ ნუ გეშინია, რა შვილი ვერ წაიღებ, — ხალისით თქვა მაყვალამ.

— მაყვალ, ჭიშკარზე როგორ გადავათრევთ...

— ეგ არაფერი, — ისევ ხალისიანად თქვა მაყვალამ, — რა შვილი ვერ გადავათრევ. — ერთმანეთს შეხედეს და ხითხითი აუტყდათ. — როგორ იყო, ჰა? — ნაშინსმოვებით განაგრძო მაყვალამ, — მეშინიაო, ესაო, ისაო, რომ იფახებოდი. „მაყვალ, არ გვინდა, მაყვალ, მეშინია“, — გამოაჯავრა და ისევ წასკდათ სიცილი.

— რა ხდება მანდ! — დასჭექა უცებ ვიღაცამ, — მე თქვენი!..

პროექტორის შუქში საიდანღაც გამომტყვარალი კაცი თითქოს არარეალური, უსხეული იყო, მისი ჩრდილი ყოველ მხარეს მიაწყდა — არაალდა კედლებზე, გალავანზე, ჭიშკარზე, საბარგო მანქანაზე, ასფალტზე.

მაყვალა უმალვე, ტომრიანად გაიქცა ჭიშკრისკენ, მარიამი კი წამით დაიბნა და გახევდა. ჯიხურიდან ვიღაც ჩია, სამხედრო ქუდიანი კაცი გამოხტა და ორი, ლამის ტიტლიკანა ქალი გამობარბაცდა. მართლაც, ყველა მთვრალი ჩანდა, ყეოდნენ, იგინებოდნენ. პირველად გამოსულმა ქვას დასტაცა ხელი და გამოისროლა, თან — ხელები მაღლად! — დაიღრიალა. მარიამიც გონს მოეგო, მოეჭიდა ტომარას, ჭიშკრისკენ წაარჩიალა და მაყვალას მიაწყდა, მუხლით ტომრის წამოწევას და ჭიშკარზე მის გადაგდებას რომ ლამობდა. მჭახედ გაიყღრიალა ქვანაკრავმა ჭიშკარმა. მარიამმა ტომარას ხელი უშვა, გისოსებს ჩააფრინდა. ძხოლოდ ერთი რამ ეწადა — გადაევლებოდა ამ ჭიშკარს, ამ გალავანს, გაქცეულიყო, გაერბინა უკვე სინათლეშეპარული ქუჩები და ამქვეყნად ერთადერთ თავშესაფოს და თავშესაფარს, თავის გახრეკილ ბინას შეფარებოდა. როგორც ექნა, აბობდა, გაიგონა, როგორ დაითრიეს მაყვალა, ტომარას მაინც რომ ვერ შელეოდა, მოასწრო, ჭიშკრიდან გალავანზე გადახტა, გაირბინა, უსაფრთხო ჩასახტომს ეძებდა და დაუხლტა ფეხი, მოწყვეტით გადავარდა, გალავანთან დაგდებულ ბეტონის ბლოკს დაასკდა. ერთხანს მაინც იცოცა გალავნის გასწვრივ, ნაწვიმარი წყლის ოხელ გუბეში ჩაიკეცა და გონება დაენისლა.

●

ქალი მომჩვარული, მობოშებული იწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა ჭუჭყიან გუბეში. სისხლის მსხვილი, ღია წითელი ძაფი წყალს ერთვოდა და ასფალტაყრილ ქვაფენილზე გასასვლელს ეძებდა, და პოულობდა კიდეც. მდორედ მიიწრიტებოდა ოღრო-ჩოღროებში. იწვა მოუხეშავად, უსირცხვილოდ გაჩაჩხული, რაღაცნაირად, არაბუნებრივად მეეყარა ხელ-ფეხი. იქვე გაქუცული, ქუსლგაყვლეფილი, ჭვინტაბრეცილი ყავისფერი ზამშის ფეხსაცმელი ეგდო. ადგილობრივი წრმოების, რამდენიმე იარლიყდაკრული, ჭყეტელა ბიჭური ქურთუკი ეცვა. ცალ წინდაზე თვალი წასვლოდა, ქუსლთან სულაც დახეოდა, მაგრამ, ეტყობა, ამ ზადის მისაჩქმალავად, წინდა ჩაეწია, ამოეკეცა და ფეხსაცმელი ასე ჩაეცვა, ახლა კი, უფეხსაცმლოდ, წინდას ცხვირი წინ დასთრევდა. პირველ ყოვლისა უცნაური, ზიზღაგვით ნაიარევი გეცემოდათ თვალში, ცხვირის ნესტოდან ნიკაპამდე რომ ჩამოსდევდა. თმა ბიჭურად შეეჭრა და დანაოჭებული, გამსლეული ყელი უჩანდა. პირის კუთხეში მკაცრად გახაზული ნაოჭი აჩდა — სიმწრის ან ავხორცობისა. პერანგზე ღილი ასწყვეტოდა და ხამი, ცისფერი ყვავილებით მოჩითული ლიფი მოუჩანდა და ეს ქალს — უსახელოს, უპირვნოს — პირადულობას, ინტიმურობას სძენდა. მშვიდად იწვა, ისე მშვიდად, რომ ვინმეს შეიძლება კიდეც ენატრა, ნეტა მეც შემეძლოს აი, ასე გავწვე ამ ჭუჭყიან ქვაფენილზე, სირცხვილდავიწყებული, ყველაფრისადმი გულგრილი და განურჩეველიო. ეტყობა, ცოცხალი იყო, რადგან სახე შეუკრთა, თავის წამოწევა სცადა და ეს რომ დაინახა გარსმოხვეულმა ბრბომ, კიდევ უფრო ახლოს მივიდა და შემოეჯარა. თითქოსდა აუცილებელი იყო ეს მომქრალი, ბეჯრიე თვალები დაენახათ, თითქოს რაღაცნაირი, ლამის სადისტური გაღიზიანება და აფორიაქება ესაჭიროებოდა მათ უდაბურ სულებს, მაგრამ როცა თვალებში ჩახედეს, უცებ რაღაც ნაცნობი და ახლობელი დაინახეს, ისეთი რამ, ყოველი მათგანის რომ იყო, სადღაც რომ ენახათ, შემთხვევით რომ წაწყდომოდნენ სარკეში, მაღაზიის ვიტრინებში, იმ წამს, როცა ვერ მოასწრებდნენ საკულდაგულოდ მორგებული ნიღბების მიღმა თვალების დამალვას. და ეს ნაცნობი, საყოველთაო, ადამიანური, მარადიული რაღაც რომ დაინახეს, გაცბუნებულები გაფაციცებით, თანალმობით დაჩერდნენ ქალს, რათა გამოეცნოთ — რა საერთო ჰქონდა მათთან ამ უპატრონო, მიწაზე გაშოტილ ქალს, რადგან ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ ეს „რაღაც“ საშველივით სჭირდებოდა მათივე სულს, მათივე სისხლსა და ზორცს და უნდა გაესაკუთრებინათ, თავიანთ თავში აღმოეჩინათ და აეღორძინებინათ, გენეტიკურად გადაეცათ თავიანთი შვილებისათვის, ჯიშისა და მოდგმისათვის. და აი, ქალმა ძლივს, გაჭირვებით წამოსწია თავი, თანდათან აზრრამდგარი თვალები მიაპყრო ერთსახოვან ლაქად ქცეულ ადამიანთა ამ მასას და რაღაცის თქმა დაუპირა; მოიკრიბა მთელი ძალა, რაც კი შერჩენოდა, და საკუთარი ძალა რომ არ ეყო, ყველა ძალას მოუხმო საშველად, მიწიერ თუ ზეციურ ძალებს, ოთხივე მხრივ გადაყრილი კიდურებით, სხეულის ყველა წერტილით გამოსწოვა სამყაროს ენერგია და საიდანღაც, ამ მიწისა და ცის წიაღიდან, თავისი ახლანდელი და ყველა წინანდელი ცხოვრების სიღრმიდან უნაპირო საყვედურითა და ზიზღით, მკაფიოდ და საოცარი სიმშვიდით, იმ სიმშვიდით, რასაც ყველა ეს ძალა ანიჭებდა, ყველას გასაგონად ამოთქვა:

— წადით, თქვენი...

და როცა ისევ გადააგდო თავი სველ ასფალტზე, როცა ისევ დახუჭა თვალები, შვებასაც გრძნობდა და შიშნეულ სასოწარკვეთილებასაც: შვებას იმიტომ, რომ რაც უნდა ეთქვა, რაც უნდა ექნა ახლა, მაინც არავინ დაარტყამდა, არავინ ჩაეზელდა წიხლს; სასოწარკვეთილებასა და შიშს იმიტომ, რომ არა, არ დაადგა საშველი, არ დამთავრდა ეს ცხოვრება, კვლავაც უნდა ეცოცხლა, კვლავაც უნდა ეწამწალა და ეემუვლა ამ ხროვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი არაბული

ციკლიდან: „თამარი – სევდა“

●

გულზე მედება ალი უშენოდ,
ო, ერთხელ კიდევ, ერთხელ მეხილე!..
აწ ამ სტრიქონებს რადა ვუშველი –
შენს წამწამებზე გადატეხილებს?
დავალ მოღლილი ასე უცალოდ,
ეხში შევეხზნე ლექსის ნახირი.
დარბეულ ფიქრებს რადა ვუწამლო,
რით დავიყუჩო ჩუმი სახმილი?
სტრიქონებს შორის გაწვება ბინდი
და შენკენ სავალ ბილიკს მიღობავს.
ვით დასასრული შორეულ მითის,
ეს გზებიც ბოლოს ორად იყოფა...
  და გულმა ახლაც გუმანით გვამცნო,
რაც იგრძნო, სიზმრად რაც კი დალანდა.
არასდროს, არც როს, არასდროს,
  არც როს
გული სადარდელს არ გვიმალავდა.
და სიყრმის დღეებს, უთეთრეს გედის,
ოცნება ჩვენი ცისფრად ხატავდა...
რა დრო გასულა!.. სამანი ბედის
რარიგ ჩამდგარა გზის გასაყართან!..
ღმერთო მადალო, ისე ნუ წამლეკ
(თუ ბედ-იღბალში მეზიარები!) –
იმ სიყვარულის დღეებს უწამლე
და მომირჩინე მეც იარები.

ადარას ვითხოვ...

ის წლები კვლავაც ტორავენ მითხოს,
თან წალებული ლმადის ქართა...
მე შენგან ახლა ადარას ვითხოვ,
სულ ადარაფერს, იმ დღეთა გარდა...
არაფერს-მეთქი, იწამე ღმერთი,
სიზმრებსღა ველტვი ფერად საუნჯის...
შენ დამიტოვე ბილიკი ერთი,
ხედავ? იმასაც ვერ გადავურჩი!..
და დავალ ასე, ცეცხლი მიმქრალი
სულს სასოებით უხმობს ისევე,
მივჯარე ძველი ტრფობის ჭიშკარი
და თეთრი წლები ეჭვებს მისევენ.
ახლა იმ წლების ამარა დავალ,
გული საწადელს ვეღარ მიატანს:
დამაგვიანდა მე შენთან, თამარ,
ო, რა უღმერთოდ დამაგვიანდა!

●

ნუ გამამტყუნებ: მე შენს გარეშე
ღმერთმა ცხოვრების არ მომცა ნიჭი;
რაც გავიარე, ის გზაც მაეჭვებს,
ფეხის აწყობა ამ გზაზეც მიჭირს.
რა გზას დავადგე? რომელი ვსინჯო?
რა ავირჩიო? – ჩრდილი თუ მზვარე?
ვინ იცის, ეგებ დუმილი მიჯობს,
ეგება დროა, ვრეკავდე ზარებს.
ახლა ჩემს სულში სიცივე სახლობს,
სუსხი, ლმადის ქარით ნაცემი...
ხან ნაავივით ჩამივლი ახლოს,
ხან ტაძარივით თავზე დამცქერი.
ასე თენდება, ასე ღამდება,
მე მლოცველივით დავდგები კართან
და მჯერა, ღამეს შენი ხატები

ჩამოხსნის, როგორც დუმილის ფარდას...
და მე არ ვიცი, რაგვარ ვედრებით,
რაგვარად ქრიან ფარულ ქარები;
შენ ჩემში დარჩი, როგორც ბეთლემი —
მაღალი, ცივი და უკარები...
მაინც სიშორით სულს მოენატრე,
არავინ უწყის, გიპოვის სადმე?..

ეგებ ტყუილად ვანთებ კელაპტრებს,
ეგება დროა, ვაქრობდე სანთლებს!..
შენ მოეახლე ამ საყდარს ისევ,
შიგ ანთებული წმინდა სანთელო,
არ დამიმსგავსო ცხოვრება სიზმრებს,
ბედკრულ ზმანებებს არ დამადევნო!..

●

ღმერთი არა გწამს? სადა ხარ? მოდი!
შუქს ველი შენი თმების გიშრიდან.
ველარ გაუძლო ამაო ლოდინს, —
ლოდინმა თვალი ამომიშრიტა.
ძნელი ყოფილა... შენი არ ვიცი...
მე კი ნუგეშად არა დამრჩა რა.
ისე გამოჰყვა მზერა თავისით
შენკენ გუმანით გაჭრილ ფანჯარას.
აწ შენს ხატებას გამოკკვეთ ქვაში
და სიმარტოვის დავდგამ კარავთან...
როგორ ამაღლდა ოცნება მაშინ,
უშენოდ რარიგ დაპატარავდა!..
ჩახვეულ ხილვებს იმ ტოტებს ვბალთავ,
რომელთაც აწევს დროის სიმძიმე.
უცხო ჩვენება მომნუსხველ თვალთა
ვერ იქნა, დღემდის ვერ მოვიცილე.

არ მინატრია სხვა რამ ქონება,
თუმცა ამ გზაზე მომაქვს იარა,
მაინც ის წლები შერჩა გონებას,
მენს გამო ტანჯვას რომ მაზიარა.
მო, მომეახლე ჯვართავს თუ ასტას,
მო, გაზაფხულით მიწა აჭრელდა.
ერთი ლოცვა თქვი საფლავის ქვასთან —
მიესაფაროს ჩემთა ნაჭრევთა.
მო, მომაშორე შამში და ღოლო,
ღლეებს ნისლიანს ველარ ვიცილებ.
გარიყული ვარ წარვანის ბოლოს,
ერთხელ მომხედე და გამიცინე!..
თორემ, ჰე, ჟამი ულმობლად გვზაფრავს,
არყოფნის ფერებს გვიფენს ჭილოფად;
თორემ ბილიკი მისჯარდა საფლავს —
ჩემთა იმედთა ღია ჭრილობას...

●

ჩემს დას ძილუკას

ამ სოფელს შევრჩით ორანი,
საწუთრო რაებს შვრებისა!
აღარსად მამის ყორენი,
არსად ბიძის და ძმებისა,
„თავსა ზის შავი ყორანი,
გველი ლიბუჩი ძვრებისა“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ინჯია

ტმრენტი გრანელის მონოლოგი

(სონეტების გვირგვინი)

1

ჩემს წინააღმდეგ დუმილით ომი
გამოცხადების გარეშე ატყდა.
ზოგი თავის წიგნს უკეთებს ათ ყდას.
ღმერთო, საზღვარი სად არის ძღომის?!

სადამდე გასტანს ყუათი ღომის,
ყველის ნამეცის — საკვების ბარტყთა?
ვალამებ ძელქვის აქოჩრილ ბარდღთან
ცუდი ოსტატი ხოხვის და ძრომის.

სამყარო ბრუნავს, თენდება მერე.
ერთურთში ურევს აისი ფერებს,
აღარც მთვარე ჰგავს თუშურ გუდის
ყველს,

ვერ შეაკავეს ბავშვნი თხრილებმა,
დაწოიკეს ხის ბინადრები.
ჩხართვო, მშველელად ვის ინატრებდი,
საცოდაობის შენის მხილველად?!

2

შენ გაჩენილხარ, რა ქქნათ, ფრინველად,
ხედ — ეს ძელქვები და ის ჭადრები.
კაცი რომ იყო, სადმე ჩათვრები,
მოგენატრება ერთი ნინველა,

მაგრამ შენ არ სვამ... ბავშვებს ეუხვდები
და ვეუბნები: რატომ სწუხდებით?!
არ მოელოდნენ დასტურ ცელქები

ჩხართვის დაცვა რომ კაცმა ინება.
მკაცრად ვამხილე „მტრები“ ძელქვების,
მაგრამ რას მშველის მათი მხილება.

3

მაგრამ რას მშველის მათი მხილება,
როცა თვალებზე მადგას კურცხალი
და მენატრება მშიერს პურ-წყალი,
რომ არ გამახმონ შეძახილებმა.

არ მიმითვალოთ მე ახირებად,
რომ გალაქტიკა არის ურწყავი,
„ხბო“ — ფურუნკული 'გამოურწყავი,
მე კიდევ მისი „მენახირე“ ვარ.

შუქი მომფინა ცის კაბადონმა,
სადაც მნათობი ზის ქალბატონად.
მაგრამ მზის სითბოს არ ვარ ნაჩვევი,

შემალული ვარ ბუდეში — წრომი.
არაფერს ნიშნავს შენთვის ამ ჩემი
ლურჯი თვალების ბრიალი წყრომით.

4

ლურჯი თვალების ბრიალი წყრომით
ალბათ მასწავლეს ქუჩის ძაღლებმა.
ნეტა ვიცოდე — უჭირს წალება,
ლოკოკინა რომ მიათრევს ომიდს?

მე კი მიჭირს გზა და მინდა, რომ ის
გამიადვილონ მამის წაღებმა.
ვერ გამოვდექი დასამაღებლად,
ვერც მონაწილედ საერთო შრომის.

მე ჩამითრია ფსკერზე ბოჰემამ,
დარდმა დამიხრა ძვლები ოხერმა
და სულერთია, ბედის მომგონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაჯვარედინზე რას მიზამს ლტოლვილს,
გამისვრის ისეთ მხარეს, როგორიც
შურის ქვეყანას ამშვენებს ტომი.

5

შურის ქვეყანას ამშვენებს ტომი
მარადიული და გამძლე ჯიშის.
მე ერთ პატარა სოფელში ვიშვი,
სიზმრადაც კი არ მინახავს რომი.

ძუ მგლის ნაშობი ქალაქი-ლომი
იმავე შურმა ჩააგდო ჭირში,
რასაც თბილისში შეჰყურებს შიშით
ჩემი ლექსების პატარა ტომი.

ვისაც ნებავდა, რომ სულ გაექრო
ჩემი სანთელი, მასთან ვპაექრობ
საკუთარივე თავის ვექილი.

მე ნუ მაბრალებთ წაფორხილებას —
შურის ქვეყანა დღის დაზნექილი.
მისი მცხოვრებნი მიჩანს მღილებად.

6

მისი მცხოვრებნი მიჩანს მღილებად,
ხანდახან მიტომ ვიფხან ფაფარსაც.
ბარე არ უნდა ამ თმას გაპარსვა,
მაგრამ მკაცრია მოთხოვნილება.

ვჭამ პურის ნაჭრებს ორცხობილებად,
არ მეგულება ვროში აღარსად.
ცხოვრებამ თითქმის ყრმა დამახავსა,
თუმც შევესწარი ორ წყობილებას.

ქარი ტირილით შემოდის ბზარში,
როგორც დედისგან ნაცემი ბავშვი
და მანუგეშებს — არ ხარ მარტოო,

მოშურნეთათვის ღამე, მღვიმე ვარ.
ეს რა ხალხია, რა უგვარტომო.
ვიხსენებ იმ ხალხს და მეღიმება.

7

ვიხსენებ იმ ხალხს და მეღიმება
ჩემს გულუბრყვილო იდეალებზე,
თუმცა კალამი კიდევ ავლესე,
მსურდა რითმისთვის რითმა მიმება.

ვერ გამიტაცეს მთაგრეხილებმა,
ღამე იზიდავს უფრო ამ ლექსებს,
პრომეთეს ცეცხლით ჯერ ვერ აღვეგზნე,
თვალები როდის ამეხილება.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
არა რონინი ბრმული სიფრთხილით,
არამედ სულ სხვა — რაღაც მესამე.

რას გამიგებდა ათასი გნომი,
გონებას მიტომ გამოვესალმე,
რომ ვიყავ მათი სიკეთის მდომი.

8

რომ ვიყავ მათი სიკეთის მდომი —
ამას მაღალი ღმერთი შემინდობს.
ის დიდსულოვნად მეტყვის: „შენ იმ დროს
ძეს ჩემსას ძალზე მოჰგავდი ცდომილს“.

ძალი წამერთვა სიღრმეში წვდომის
და მხოლოდ ვხედავ გაშლილ ველ-
მინდორს.
ახლა ჩემივე მიწა ვერ მანდობს.
საიდანა მცემს სურნელი ბრომის?

ან ეს ხალათი ვინ გადამაცვა?
მკერდს უთვალავი ჭინკა დამაწვა.
ჯალაბს ასეთი როგორ ვეჩვენო,

ვინ გადამიხდის ახლა წვრილ ვალებს,
როდესაც, ღმერთო, ჩემს გარეშემო
ისევ დუმილით ომი მძვინვარებს.

9

ისევ დუმილით ომი მძვინვარებს.
მე დავმარცხდები, ვიცი, ამ ომში.
დრო პოეტების წრიდან ამოშლის,
ის ვერ ერევა მხოლოდ მყინვარებს.

თუნდაც მგოსანი იყავ ბრწყინვალე,
ველარ გიცნობენ შენს ნამდამოში,
გიყიჟინებენ, რომ დროს ჩამორჩი,
დავამსგავსებენ ეაჭარს ცხინვალელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმიურ სევდას გაგიგებს ვერვინ
და დაგაწყდება სუყველა ნერვი
მარადიული ცის მოლოდინში.

გამრავლდა სახე ყალბად მცინარი.
თუმცა წერა ვარ მათი, ბოდიში,
მაგრამ მე თავს ვერ მოვიმძინარებ

10

მაგრამ მე თავს ვერ მოვიმძინარებ,
ორპირი ქარით ცნობილ გამზირზე,
სადაც კინაღამ ფეხით გამსრისეს
დაცინვის ზღვამ და ხალხის მდინარემ.

გადამარჩინა, ო, უწინარეს
კუბომ, დაცლილმა ღვინის კასრისებრ.
ამაოდ ვეძებ თიხის სასმისებს,
შეჩვეულებს და მოუწყინარებს.

მიცურავს კუბო ხალხის თავებზე,
წამოვიწევ და ჩემს თავს დავეძებ,
მაგრამ სად არის ხალხი თბილისში?

ვინც არის, ისიც ცრემლდაწრეტილი.
არ მჯერა ჩემი ლექსის ფინაში,
თუმცა დასვა ჩემს გზას წერტილი.

11

თუმცა დაესვა ჩემს გზას წერტილი,
ქართული სიტყვა კვლავ იარსებებს.
კიდევ ვაუჭრით მკლავი არსენებს,
რომ გაამეფონ ტახტზე კეთილი.

ხოლო თლილ ქვაზე ამოკვეთილი
ჩემი თვალები არ მოასვენებს
ყარიბს, ვინც ღვინით ხმიადს ასველებს

და მუსაიფობს მამა-ღმერთთვითან.
ამ დროს დაუშენს წვიმა ლანქერად
და ჩემს ალვის ხეს მოხრის ტანკენარს,
აქვე რომ დარგო ატოცის გლახამ.

ჭირისუფლები, ჩანს, მეც მივიან
და, პანთეონო, როდისმე განახავ, —
ეს სასაფლაო ძალზე ცივია.

12

ეს სასაფლაო ძალზე ცივია
და მენატრება ბედი ფრთოსნების,
რომლებიც მარილა, განა ოცნებით
თბილი ქვეყნების გზებს გასწიეან.

გახედავ ცას და თითქოს მძივია,
გგონია თვლები პატიოსნები.
მიდის წამსვლელი, მოდის მომსვლელი,
რა სიმაღლეა! რა მანძილია!

დიდება თვითონ სანამ მოვიდა,
აფრენა ვცადე სამაროვნიდან
დუმილით ომში შეჭრილი ფრთებით.

თითქოს არტახი მბორკავს ღვედივით
და მე, ვარსკვლავი, ახლაღა ვქრები,
მილიონი წლის წინ მოწყვეტილი.

13

მილიონი წლის წინ მოწყვეტილი
რომ გამესინჯა ვაშლის ნაყოფი,
არსს გავარკვევდი ყოფნა-არყოფნის.
იქნება მჯობდა ბედი მეტივის.

თუ რატომ იწვევს ჩემი სვე ტირილს,
ის ვერ მიხვდება, ვისაც არ ყოფნის
ნიჭი დასტურის ან უარყოფის
და მერყეევა პიზას სვეტივით.

აიდის მხარე მარჩენს ავ ქნარს,
მეორედ მოსვლა მწადია, რა ვქნა.
ვინც დააყოვნა მოსვლა, იქ იცდის.

ეს უთვალავი რამე სხივია,
თუ სამარის ქვის მოზაიკისთვის
ვარსკვლავები ძირს ახლა ცვივიან.

14

ვარსკვლავები ძირს ახლა ცვივიან,
შევეცქერით ხალხი და პლანეტები.
ასე ველური თავგამეტებით
ცას არასოდეს არ უწვიმია.

ეს სწორი სხივი მთვარის წვივია
და, მთვარის წვივო, შენ რომ მედები,
მტრები გრანელის შემოქმედების
განათებისთვის შენც დაგცინიან.

მე მეზმანება მათხოვრის კეტით
დალურჯებული მაცხოვრის ქედი.
ის შემომჩივის: როგორ გაცხოვრო?

ნუგეშად მრჩება კაცსა და ცთომილს,
რომ არც პირველი არის, არც ბოლო
ჩემს წინაადმდეგ დუმილით ომი.

15

ჩემს წინაადმდეგ დუმილით ომი
დაიწყეს ყოვლად გაუფრთხილებლად,
მაგრამ რას მშველის მათი მხილება,
ლურჯი თვალების ბრიალი წყრომით.

შურის ქვეყანას ამშვენებს ტომი,
მისი მცხოვრებნი მიჩანს მღილებად.
ეიხსენებ იმ ხალხს და მედიმება,
რომ ვიყავ მათი სიკეთის მდომი.

ისევ დუმილით ომი მძვინვარებს,
მაგრამ მე თავს ვერ მოვიმძინარებ,
თუმცა დაესვა ჩემს გზას წერტილი.

ეს სასაფლაო ძალზე ცივია.
მილიონი წლის წინ მოწყვეტილი
ვარსკვლავები ძირს ახლა ცვივიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იუზა ყაჭეიშვილი

„სამეთვალყურეო საქმე“

მოთხრობა

სავაჭრო ფარდულიდან წაღებულ ვიტ-
რინა-მაცივარს უბნის ინსპექტორმა ნো-
ქარ ვასიკო ჩინჩალაძის საკუჭნაოში მი-
აკვლია და ეგონა, „სამეთვალყურეო საქ-
მეც“ ამით გასრულდაო, მაგრამ ჯერ
სადა ხარ თურმე:

მოულოდნელად საყინულეში გვამს
წააწყდა...

ამ ახალი კრიმინალით გაოგნებულს
კინაღამ გულიც აერია: ჩხრეკისას შიგ
ხელებს რომ აფათურებდა, დარწმუნე-
ბული იყო, მაცივარი ფარდულიდან გა-
მოზიდული ხორაგით იქნება გამოტენი-
ლიო, და უცებ — ცხედარი!..

მერე თანდათან დამშვიდდა, გონს მოე-
გო და სიხარული გაუორკეცდა, — სახელ-
მწიფო ქონების მიტაცებასთან ერთად,
აგერ, მკვლელობის საქმეც გახსნა.

ტილოში შეხვეული დედაბრის ნეშტი
მქრქალი ყინულით იყო შეჯავშნული.
ვასიკო ჩინჩალაძე იქვე, საკუჭნაოს ვიწ-
რო შესასვლელში თავჩაქინდრული იდ-
გა.

— ვინ არის ეს ქალი?.. — ჰკითხა ინს-
პექტორმა. მოულოდნელობამ სიფიზიზლე
მოუდუნა და ხმაში სიმკაცრეც გაუნელა.

— ჰაპ...დაა ჩვენი... — წაიბლუკუნა ჩინ-
ჩალაძემ, — ჩემი მეუღლის, ნუგეშას პა-
პიდა...

უბნის ინსპექტორს მოეჩვენა, თითქოს
დამნაშავე საეჭვოდ შეირხა.

— არ გაბედო რამე!.. — გააფრთხილა
და პისტოლეტი მიუშვირა, მაგრამ იმას,
ეტყობა, წინააღმდეგობა არც უფიქრია,
— უბრალოდ, ადგილზევე მოინაცვლა
ფეხი. მაშინაც არ გატოკებულა, მაჯებზე
ხელბორკილს რომ ადებდა...

ინსპექტორმა სიგარეტი გააბოლა...
ხვალ დილით ქვეყანა გაიცნობდა ლეი-
ტენანტ გალოგრეს. მინისტრი, ალბათ,
დანაშაულობათა სადღეღამისო ჯუმლში
წითელი ფანქრით მოხაზავდა ამ ინფორ-
მაციას. იქნებ მასთან შეხვედრაც მოეწა-
დინებინა: „მომიყვანეთ ერთი, მანახეთ,
ვინაა ამისთანა ეს გალოგრე!..“ სამსა-
ხურში წინ წასწვედა ან რიგგარეშე წო-
ლებაზე წარადგენდა. ვინძლო, „დამსახუ-
რებული ჩეკისტობისთვისაც“ გამოეკრა
ხელი...

— რას ერჩოდი ამ საცოდავს?

— არაფერს... — მიუგო ჩინჩალაძემ.
სახეზე მომსკდარი ოფლის ცოწმენდა
სცადა, მაგრამ ბორკილმა შეაკა-
ვა. იმდენი ვეღარ მოისაზრა, მარჯვე-
ნასთვის მარცხენაც მიეყოლებინა. ცხედ-
რისკენ გაექცა მზერა და თვალები აუწ-
ყლიანდა.

გალოგრეს არ გაჰკვირვებია, — პირვე-
ლად კი არ ხედავდა, როგორ დასტირო-
და მკვლელი მისივე მსხვერპლს. ახლა
მთავარი იყო დაკითხვისას ჩიხში
მიემწყვდია, გასაქანი არ მიეცა და აღი-
არება მიეღო. მკვლელობის მიზეზებსა
და მოტივს კი, უფრო დაწვრილებით,
გამოძიება დაადგენდა.

●

უცნაური კაცი ჩანდა ვასიკო ჩინ-
ჩალაძე. ამ ოცი-ოცდახუთი წლის წი-
ნათ სოფლიდან გამოქცეულს მრავა-
ლი ფაბრიკა-ქარხანა მოეკლო, ხარაჩი-
ებზეც ბლომად ელვარა ოფლი და ახლა
ვაჭრობაში სცდიდა ბედს... შარშან, ფა-
რდულში რომ „გაიჩითა“, გალოგრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმალ თავს დაადგა, გაეცნო, — მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვა: ვაჭრობაში ხელს არ შეგიშლიო, შეჭპირდა, რაიც მავანთათვის იმას ნიშნავდა, რომ სამაგიეროო პატივი უნდა ეცათ... წესით, თქმაც არ უნდა დასჭირებოდა, თვითონვე უნდა მიმხედაოყო, მაგრამ ამ ბოთეს თავი ისე ეჭირა, თითქოს უბანში მილიცია არც არსებობდა. არადა, მისი კოპწია, ციცქნა ფარდული სწორედ იმ მაღლივ კორპუს გაჰყურებდა, რომლის პირველ სართულზეც გალოგრეს სამუშაო ოთახი ჰქონდა მოწყობილი...

ცოტა ხანს ადროვა და მერე კაცი მიუგზავნა, — ათასი მანეთი მჭირდება სასწრაფოდ და იქნებ, „ხვალამდე", ხელი მომიტკაცალოო... ახალბედა ნოქარს გულიანად გასცინებოდა: ერთი ცალი დაჩენჩილი თუმნიანი მიგდია ჯიბეში, თუ გინდა გაგატან, ნავაჭრ ფულს კი ხელს ვერ ვახლებ, საცაა ინკასატორი ჩამოიცლისო...

შარშან ამ დროს, ივლისის თვეში, კოლეგამ „შემოურბინა" ქალაქის სამმართველოდან (ნომენკლატურული მუშაკი გახლდათ, მისდამი კეთილად განწყობილი)... ნაშუადღევს რესტორანში ისადილეს და მერე გზად ფარდულს რომ ჩაუარეს, სტუმარმა მანქანა შეაჩერებინა, — შინ მარტო ვარ, გავწამდი კაცი და, იქნებ ხელს რამე „მშრალი" სანოვაგე გავაყოლოო... იღბლად, ყველაფერი აღმოაჩნდა ჩინჩალაძეს, დაწყებული შავი ხიზილალიდან, ქილებში ჩამოსხმული იმპორტული ლუდით დამთავრებული... გალოგრეს პირთამდე გამქეძა საბარგული, — კოლეგას პატივი სცა და თავისთვისაც შეივსო მარაგი. არანაკლებ ახარებდა, დანაშაულის გამოსყიდვისა და მასთან შემორიგების საშუალებას რომ აძლევდა „ჩაჭრილ" ნოქარს... ჩემზე რამდენიაო, ყასიდად ჰკითხა, ხოლო იმან, ისე, რომ წარბიც არ გაუხრია — ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკიო, მიუგო, თან საანგარიშოზე ჩამოყრილ კოჭებს დახედა, ხომ არ მეშლებაო... ლამის სისხლი ჩაექცა კაცს ტვინში; ისედაც წნეხა აწუხებდა, ცოტა ნასვამიც იყო. ფული სახეში მიაყარა და უსიტყვოდ გამოტრიალდა... ხურდა ინებეთ, ბატონოო, დაწია ჩინჩალაძემ და გაიგონა კიდეც, ვიტრინაზე ათკაპიკიანმა რომ გაიწკრიალა... მე შენ გაჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ რიჩარდ გალოგრეო, გუნებაში დამუქრა.

მეორე დღეს „ობეხე" შეიაძხანაგა და „მომზმარებლები" შეუგზავნა საკონტროლო შესყიდვაზე... თავად — ისა და „ობეხეს" კაცი — შორიახლო, მანქანაში იყვნენ ჩასაფრებულნი. მერე ქორივით დაატრნენ თავს ფარდულს; ხალხი უკანვე შემოლალეს, — აბა, ვნახოთ, რა იყიდეთ და რამდენი გადაიხადეთო... შედეგი პრეისკურანტს რომ შეუდარეს, სახტად დარჩნენ: კაპიკ-კაპიკ ემთხვეოდა ყველაფერი!

— ამჯერად კი გადაგვირჩი, მარა, იცოდე, კოკა მაინც წყალზე გატყდება! — უთხრა ნირწამხდარმა.

— რად უნდა გატყდეს, როცა არავის არაფერს ვატყუებ. — თავი გამოიღო გამყიდველმა.

— არ თქვა ახლა, ხელფასზე ვცხოვრობო. — შეუტია გალოგრემ.

— კი, ეგრეა, — მიუგო ჩინჩალაძემ, — რაც თავი მახსოვს, სულ ხელფასზე ვცხოვრობ.

— მერედა, რა ძალა გადგია? — გაეცინა „ობეხეს" კაცს, — ამას არ ჯობია, შენც ჭამო და სხვასაც აჭამო?!.

— რა ვიცი... — შეიშმუშნა ჩინჩალაძე, — მე უპატრონო კაცი ვარ, რამე რომ შემეშალოს, არავინ მაპატიებს.

— უპატრონო ხარ თუ რაცა ხარ, კუჭი ხო გაქვს, კუჭი?.. — წაიანგლა გალოგრემ.

— კუჭი კი მაქვს, მარა ცოტ-ცოტა ისედაც რჩება, — გამოტყდა გამყიდველი, — მე ქაღალდის წონაც მყოფნის...

საბუთები გადაქექეს, — არიქა, იქნებ უფაქტურო საქონელი ჰქონდეს შემოტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილიო. ხელჩასაჭიდი რომ ვერაფერი ნახეს, იმაზე აუხარდნენ, ჭუჭყიანი ხალათი გაცვიაო, და ისიც ჭუჭყი კი არა, ქსოვილის ზადი აღმოჩნდა... ასე და ამგვარად, ჩინჩალაძემ სულ კუდამოძუებული გამოყარა გარეთ ეს ამოდენა ხალხი.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ შეგზავნა „კლიენტები“ და ორჯერვე სამარცხვინოდ ჩაფლავდა. ბოლოს იძულებული შეიქნა სპეციალური „სამეთვალყურეო საქმე“ გაეხსნა. ყველაზე ერთგული და საამედო მეკავშირე — მეტსახელად „ბრტყელო“ — მიუჩინა ობიექტს, რათა როგორმე „გამოეჭირა“ და დანაშაულში ემხილებინა გათავხედებული ნოქარი...

ამ ათიოდე დღის წინათ, შვებულებიდან დაბრუნებულს, „ბრტყელომ“ სასიხარულო ამბავი დაუხვედრა: ერთ საღამოს ჩინჩალაძეს ფარდულთან მანქანა მიეყენებინა და დახლ-მაცივარი, მოეპარა. ვიღაც ტანმორჩილი ქალი ახლდა თან, — ვგონებ, მეუღლე უნდა იყოსო. „ბრტყელოს“ ეყოჩაღა და ისიც დაეფიქსირებინა, ძარაზე ტვირთს როგორ უდებდნენ. ცოლ-ქმრის მძღოლიც ეხმარებოდა. ცალკე, მეორე ფოტოზე, აღბეჭდილი იყო ავტომანქანა „უაზის“ უკანა ხედი, სადაც გარკვევით იკითხებოდა სახავტოინსპექციის სერია და ნომერი...

●

ნაშუადღევს, ქალაქის განაპირას, ბარაკებში, თეირი აგურითა და წიდაბლოკებით შეკოწიწებულ ბრტყელსახურავიან, დაბალ შენობასთან შეაჩერა მანქანა. ეს დასახლებაც მის უბანში შემოდიოდა, მაგრამ თუ გადაუდებელი საქმე არა, დიდად არც ეპატნავებოდა აქეთ გამოვლა. ძაღლებმისეული ნაგვის გროვა და დამყეებული ნარეცხი წყლის ობშივარი წამლავდა ზაფხულის შედეგებულ ჰაერს. მოუკიწყლავ, მტვრიან ქუჩაში მოჭრიამული, ნახევრად ტიტლიკანა გოგო-ბიჭები შემოეხვევნენ გაკრიალებულ წითელ „ჟიგულს“ და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ჭვრეტა კაბინიდან გადმოსულ ულვაშა მილიციელს, ხალათქვეშ ტყავის შავ ბუდეში ჩასმული პისტოლეტი რომ მოუჩანდა.

ხელი არაფერს ახლოთო, მიუგდო გაღოგრეშ ბავშვებს; იარაღი შეისწორა, ჩაახველა, მხრები შეათამაშა და მწვანეულ შელებილ კარს სეიფის მსხვილი გასაღებით მიუკაკუნა.

კარი, ეტყობა, ფანერისა იყო; კაკუნის ხმა შთანთქა, მაგრამ მაინც მალე გაიღო და ზღურბლზე ჩინჩალაძის მწითურმა სახემ გამოანათა. ზოლებიანი პიჟამის შარვალი და თეთრი მაისური ეცვა, მკერდის ღარის ჩასწვრივ ოფლს რომ დაესველებინა.

— შეიძლება?.. — თითქმის მუქარით იკითხა გალოგრეშ.

სისქე და სისხო არ აკლდა, მაგრამ მომაღლოდ მდგარი, ისედაც ახოვანი ვასიკო ჩინჩალაძის პირისპირ, ტანმოკლე ინსპექტორი ქონდრისკაცივით გამოიყურებოდა. ამ ბუნებრივი ნაკლის მიჩქმალვას მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის შემწეობით ლამობდა.

— მობრძანდით... — ჩაწყვეტილი ხმით მიიპატიჟა მასპინძელმა.

ვიწრო შუაბანდის გავლით, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში გავიდნენ, ერთადერთი პაწია სარკმელი რომ ჰქონდა... მოპარული მაცივარი არც აქ და არც შუაბანდში არ ჩანდა, მაგრამ გალოგრე ამ ამბავს დიდად არ შეუღონებია: ბრძადკი არ მოსდგომია კარზე, — მანამდე, „ბრტყელოსთან“ ერთად, გვარიანად წაიმუშავა და „სამეთვალყურეო საქმე“ ახალი მასალებით შეავსო. რაც მთავარია, დაადგინა და დაჰკითხა „უაზის“ მძღოლი, რომელმაც წერილობით დაუდასტურა ყოველივე. ასე რომ, თუნდაც მოესწროთ ჩინჩალაძეს ნაქურდალის გასაღება ან გადამალვა, სულ ერთია, პასუხისმგებლობისაგან თავს ვერ დაიძვრენდნენ...

კედელთან მიდგმულ მომცრო, პრიალა მაგიდაზე მიაგდო პორთფელი, რომელშიაც, მამხილებელ მასალებთან ერთად, საეგებისოდ თან წამოღებული ხელბორკილიც ედო. სკამი გამოსწია და მასპინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელსაც ანიშნა, მის მოპირდაპირედ დამ-ჯდარიყო.

— რა გინდა ჩემგან, რას გადამეკიდე?.. — წაიბურტყუნა ჩინჩალაძემ. უკვე მოეს-წრო ხალათის მოცმა და ღილების იკრავა-და. თავიდანვე არასწორად შეებინა პირ-ველივე ღილი, რის გამოც საყელო უშ-ნოდ მობრეცოდა და ხალათის კალთა ცალ მხარეს ჩამოგრძელებოდა.

— რას ჰქვია, გადაგეკიდე... — მიუგო წყნარად, თან სიგარეტს აბოლებდა. გულში ეამა, ასე რომ დაფრთხო და აფ-ორიაქა: უფრო იოლად გამოტეხდა, — მე უბნის ინსპექტორი ვარ და უფლება მაქვს ყველა სახლის კარი შევაღო. ვნა-ხო, ჩაუწერლად ხომ არავინ ცხოვრობს; ვინ რით სუნთქავს, რით სულდგმულობს. სადმე ოჯახური და მეზობლური დავა ან სხვა კონფლიქტური სიტუაცია ხომ არ მწიფდება... თქვენს შესახებ. მაინ-ტერესებდა ზოგი რამ, რისი ცოდნაც ყველა უბნის ინსპექტორისათვის სავა-ლდებულოა...

მისკენ ნამდვილი მიზეზი არ გაუმ-ხელია. ჯიქურ იერიშს ასე, მოიარებით სუბარი არჩია. იქნებ, ამსობაში რამე წამოეცდენინებინა, რაიც გამქრალი ნივ-თიერი სამხილის კვალზე დააყენებდა.

— უჰ, როგორ ცხელა... — თქვა და საკ-სე გრაფინისაკენ წაიღო ხელი, ჰაერის მირიადი ბუშტუკი რომ დასხდომოდა ზედნიდან, — მაცივარში ხომ არ გიდგია წყალი?

— არა, — შეწუხდა ჩინჩალაძე, — და არც ონკანში მოდის, ეს ოხერი. მთელი დღე ასე ვწვალობთ... კიდევ კარგი, დენი რომ არ ითიშება, თორემ დავიღუპებო-დით.

გალოგრემ ჭიქაში ჩამოასხა და ოდ-ნავ მოსვა წყალი. დიდი ვერფერი „ჩეკ-ისტობა“ გამოუვიდა, მაგრამ ვერც ის გაიგო, რა შუაში იყო დენი ან რა დაკ-ლუპავდათ მისი გამორეკვისას... პირთფუ-ელი ისე გახსნა, ხელბორკილი რომ არ გამოჩენილიყო. თაბახის ქაღალდები ამოაწყო და ზოგი რამ ჩაინიშნა, რაიც საჭირო და აუცილებელი იყო, „უწყინა-რი ოჯახური“ დოსიეს შესადგენად...

ჩინჩალაძეების ოჯახში ვასიკოს გარ-და მისი მეუღლე — ნუგეშა — და ოთხ-მოცდაათ ვადაცილებული, ლოგინს მი-ჯაჭვული პაპადა აგრაფინაც ცხოვრობ-დნენ. პაპადა სახლის ძირითადი მეპატ-რონე აღმოჩნდა... ოციოდე წლის წინათ დაინვალიდებულ შინაპერას სოფლიდან ჩამოეყვანა და, როგორც მომვლელი, ბი-ნაში თავისთან ჩაეწერა ნუგეშა. საბუ-ღალტრო კურსების დამთავრების შემ-დეგ გოგოს მოინგარიშედ დაეწყო მუშაო-ბა გამწვანების ტრესტში. მომავალ ცოლ-ქმარს სადღაც გასვენებაში გაეცნოთ ერთმანეთი... ჩვიდმეტი წელი გასულა, რაც შეუღლებულან და ბუნებას შვილი არ მოუცია, რასაც ორივენი საშინლად განიცდიან... სხვა კიდეკ რა?.. ნუგეშა დღესაც იმ მაგიდას უზის, მოინგარი-შედ, ვამწვანების ტრესტში, ხოლო პა-პიდა აგრაფინას მართლაც „ორი პარას-კევიღა“ დარჩენია...

— ამის გარდა, სხვა ბინა გაქვთ სადმე?

— ჰკითხა ინსპექტორმა.

— არა, ამ სოროში გავატარეთ ჩვენი ახალგაზრდობა. ამასაც პაპადას უნდა ვუმადლოდეთ, აცხონოს... უჰ... აცხო-ნოს ღმერთმა!

— ვერ გავიგე, — უთხრა ვალოგრემ, — პაპადა ცოცხალია თუ მკვდარი?

— ცოცხალია, ცოცხალია... აბა, რას ვამბობ! ერთ სიგარეტს ავიღებ, თუ შე-იძლება, კი არ ვეწევი, მარა ხანდახან ვაბოლებ...

— სად არის ამჟამად?.. — „კოსმოსის“ კოლოფი გაუწოდა.

— ვინ, პაპადა?.. — შიში ჩაუდგა თვალ-ებში, — არის თავისთვის, გრილად... ზაფხულობით სოფელში ჩავეყავს ხოლ-მე... სიცხეს ვერ იტანს: სიგრილე უყ-ვარს, გიჟდება!..

— მეუღლე?

— რა, მეუღლე?..

— ნუგეშა სადღაა?

— აჰ, ჰო, ნუგეშა... კოჯორში წავიდა ამ დღით.

— რატომ?

— რაღაც საქმეზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალოგრე ხედავდა, რა არეულად პასუხობდა, როგორ ღელავდა ვასიკო ჩინჩალაძე. ჩანს, ზუსტად ახვევრებდა მიზანში, მაგრამ ვერ გაიგო, რა კავშირი ჰქონდა ყოველივე ამას გადამალულ თუ გაყიდულ მაცივართან.

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ ამ ოთახისა და შუშაბანდის გარდა, სხვა ბინა არ გაქვთ?

— როგორ არა, — წელან დამავიწყდა. მეთქვა: ამას წინათ ბინები გაანაწილეს გამწვანების ტრესტში და ნუგეშისაც შეხვდა ოროთახიანი... სიები აღმასკომშია უკვე გადაგზავნილი, საცაა გამოსწერენ ორდერს და მალე ახალმოსახლეობას ვიზეიმებთ ელდანულაშა...

— იცი, რას გეტყვი?.. — შეაწყვეტინა უბნის ინსპექტორმა, — ეგ ზღაპრები შენთვის შეინახე და პირდაპირ მიპასუხე: ამ ბინას სხვა სათავსო აქვს?

— არა! — მიუგო სწრაფად ჩინჩალაძემ. გაბზეკილ თითებში უხერხულად ეჭირა ახრჩოლებული სიგარეტი და ბოლისაგან შეწუხებული თვალებს ჭუტავდა.

გალოგრეს ყურადღება, ანაზდად, ფაენრის უბრალო კარადამ მიიპყრო (აი, სად გამოჩნდა მისი „ჩეკისტური ალღო!“). ინტერესით დაუწყო ჭვრეტა: ხან ჭერისკენ აყოლა მზერა, ხან ქვემოთ შეათვალიერა. მერე უცებ წამოხტა, კარადას დაეტაკა — კინაღამ გადააყირავა — ხრიგინით გასწია და კედელს დატანებული მომცრო კარიც გამეღაღნა.

— მაშ, ეგ რა არის? — კბილებში გამოსცრა.

— საკუჭნაოა მანდ, პატარა...

— გაალე ახლავე!

— არ გავალებ, არა!.. — ფეთინავით ზეზე წამოიჭრა ჩინჩალაძე, გალოგრეს დაეძგერა და ტახტზე მიაგდო. კედელს ზურგით აეკრა, მკლავებგაშლილი ზედ აეფოფრა.

— გაიწი, თორემ გაგათავე! — შეუძახა გალოგრემ და იარაღი იძრო. ვაზნა არ ედო და მჭიდიც ამოცლილი ჰქონდა, მაგრამ ჩინჩალაძეს ეს საიდან უნდა სცოდნოდა. სახეზე ხელები აიფარა, მოიკუნტა და მუშტივით დაპატარავდა.

გალოგრემ კარს წიხლი ჰკრა და ოთახად გაალო. ვაისმა მსხვრევისა და ლანწანის ხმა. ეტყობოდა, კარი თაროს მიეხეთქა; კოჭყური მოძვრა და ცალ ანჯამაზე ცერად დაეკიდა. სიბნელიდან გამომხტარი სიცივე ძაღლივით ეცა ფეხებში ინსპექტორს... ჩამრთველს მისწვდა, შუქი აანთო და დაბალ ხმაზე საამოდ მოზუზუნე, ეიტრინაშეთრთვალული მაცივარიც დაინახა, თითქმის მთელი საკუჭნაო რომ ეჭირა.

— ახლაც იტყვი, პატიოსანი კაცი ვარო?.. — გაბრაზებულის იერით გადახედა კარებში უშნოდ გაჩხერილ ჩინჩალაძეს.

გახარებულმა მკლავები დაიკაპიწა, ვიტრინის მოძრავი შუშები ბოლომდე გასწია. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, წინ რა დიდი სიურპრიზი ელოდა...

●

მერე ოთახში შემობრუნდნენ და თავთავიანთ ადგილას დასხდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ჩინჩალაძეს მაჯებზე ხელბორკილი ედო, გალოგრეს კი ქამარში პისტოლეტი ჰქონდა გარჭობილი.

— შენ, ძმაო, მილიციას ნუ ეხუმრები, — უთხრა თავმომწონედ და „სამეთვალყურეო საქმე“ გადაშალა, — ხომ ხედავ, ცოტა რამ ჩვენც შეგვძლებია!

— მე ეგ მაცივარი არ მომიპარავს... — ჩაილაპარაკა ჩინჩალაძემ.

აბა, რას იტყოდა?!. ის კი არა და, ერთხელ, სხვის ჯიბეში რომ დაუჭირა ხელი ქურდ-ბაცაცას, იმანაც თავი იმართლა, ჩემი მეგონაო... მაცივარი იმდენად აღარ აინტერესებდა, — უდიდესი დანაშაული ფარავდა უმცირესს... ახლა მკვლელობის გარემოებანი უნდა გაერკვა, რაიც ჯერჯერობით სრული საიდუმლოებით იყო მოცული. გვამის შენახვის ფაქტიც უცნაურად გამოიყურებოდა... ალბათ ვერ მოახერხა უბუმრად გატანა: აქ ხომ, ბარაკებში, — მეტადრე ზაფხულობით — ხალხი დღედაღამ გარეთაა გამოფენილი. ხელსაყრელ მომენტს

ელოდებოდა და ამასობაში მაცივარიც დასჭირდა... აი, თურმე, რა დაღუპავდათ, დენი რომ გამორთულიყო, როგორც წეღან თვითონვე წამოსცდა... რახან მეუღლე ქურდობაში ეხმარებოდა, ჩანს, მკვლელობაშიც არის გარეული...

— თუ ვინდა, გაშველო და დახვრეტას გადაგარჩინო, ყველაფერი სიმართლე უნდა მითხრა.

— შეიძლება, ბატონო, კიდევ ერთი სიგარეტი ავიღო?

— აჰა, მოსწიე... თქვი ახლა, რას ერჩოდი, რატომ მოკალი?

— მე არ მომიკლავს... გარდაიცვალა.

— ნუგეშაც არის ამ საქმეში გარეული?

— გარეული როგორ... ორიგენი შინ ვიყავით, მაგრამ ვერ ვუშველეთ.

— გვამის გატანაც ვეღარ მოახერხეთ?

— სად უნდა გაგვეტანა... ხო უნდა დავიტიროთ და დავკრძალოთ, როგორც წესი და რიგია.

რაღა თქმა უნდა, შეეძლოთ ამგვარადაც მოეშორებინათ თავიდან ცხედარი. ვერავინ აიღებდა ეჭვს, რომ დედაბერი ბოროტების მსხვერპლი გახდა და ბუნებრივი სიკვდილით არ მიიცვალა... რამ შეუშალათ ხელი? — ჩანს, დაკრძალვისათვის საჭირო მცირეოდენი ხარჯის გადებაც დაენანათ...

— რამდენი ხანია, რაც „გარდაიცვალა?..“

— თვეზე მეტია.

— ამ დრომდე რატომ არ დამარხეთ, „როგორც წესი და რიგია?“

ჩინჩალაძეს პასუხი არ გაუცია. საცოდავად ეწეოდა სიგარეტს,— მარჯვენას მარცხენასაც აყოლებდა. თანდათან შეეჭვა და ალღი აუღო ხელმორკალს.

— რაიმე დანაზოგი ხომ არ დარჩენია პაპიდას?.. — ფრთხილად შეეკითხა.

— კი, დასამარხი ფული. — ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიუგო მან.

— რამდენი? — ყურები ცქვიტა გალოგრემ.

— ხუთი ათასი მანეთი.

— სად არის ფული?

— არის ეგერ, უჯრაში.

— შენი ხელით დდე აქ, — მაგიდას თითი დაუკაკუნა, — მე ნუ დამაწყებინებ ჩხრეკას.

ჩინჩალაძე ადგა, კამოდის უჯრა გამოაღო და ცელოფანის გამჭვირვალე პარკში ჩაწყობილი ოცდახუთმანეთიანების დასტა მოიტანა. გალოგრემ ფული გადათვალა, ქაღალდი შემოახვია და წაიწერა: „მოქალაქე აგრაფინას მკვლელობის ადგილიდან ამოღებული ხუთი ათასი მანეთი“.

— მიგაქვს? — თვალები გაუფართოვდა მასპინძელს.

— დიახ... — და შენც უნდა წაგიყვანოო, კინაღამ წამოსცდა, მაგრამ რად უნდა დეფრთხი, როცა აღარაფერს მალავდა. ჩანს, დაიჯერა საცოდავმა, რომ მართლა უშველიდნენ და დაიხსნიდნენ, თუ ყველაფერს გულწრფელად იტყოდა, — ბარემ ისიც მითხარი, ნეშო ვასიკო, პაპიდამ რაიმე ძვირფასეულობა დატოვა?

— კი, დაგვიტოვა, ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი და საყურე.

— მართლა?.. აბა, მოიტა, სწრაფად! ამჯერად ჩინჩალაძე არც განძრეულა.

— სად არის ოქროულობა?

— ნუგეშას უკეთია...

უბნის ინსპექტორი კმაყოფილი დარჩა: არ ეგონა, დამნაშავე მთლად ასე თუ დაფქვავდა ყველაფერს. ორივე საქმე, როგორც ქურდობის, ასევე მკვლელობისა, ნივთიერი მტკიცებებით გაამაგრა. ა, ბატონო, მაცივარი; აგერ — ფულიც. ალბ ის დედაკაციც ჩამოეთრევდა კოჯრიდან (თუ მართლა იქ იყო წასული) და იმ სამკაულებსაც ჩამოხსნიდა... რამენაირად, ახლა, ისე უნდა „შეება და შეეზუჭუჭებინა“, რომ, რაც სიტყვიერად თქვა, წერილობითაც დაედასტურებინა. თაბახის ქაღალდებს კიდე გადაუკეცა, წინ დაუწყო და დიდის ამბიო სთხოვა, „მინდორზე“ არ გადახვიდეო.

— მიჭირს მე წერა, არ მეხერხება... — აწუწუნდა ჩინჩალაძე.

— წერა ვის არ უჭირს, — გაუინოლა გალოგრემ, — შენ კი არა, მე, აგერ,

კაცს ორი უმღლესი მაქვს დამთავრებული და, ხან რა შემეშლება, ხან რა. ამ სასვენნა ნიშნებმა ხომ მომსპონ და მომინელა... გეფიცები, თოხნა თუ არ მერჩივნოს წერას, მაგრამ შენი ხათრით ცოტას გავიჭირვებ... ფაქსიმილეთი დამიდასტურე მხოლოდ, რომ ახსნა-განმარტება დაწერილია შენი კარნახით, ყველაფერი სწორია და ეთანხმები...

— რა არის სწორი, რას ვეთანხმები?

— მთლად გაიშტერა თავი ჩინჩალაძემ.

— რასა და იმას, — მოთმინების ძაფი გაუწყდა გალოგრეს, — რომ მილიონის საღერალი მაცივარი მოიპარე და, რაც მთავარია, შენ და შენმა ნუგეშამ, ბინის, ფულისა და ოქროულობის გულისთვის სიცოცხლეს გამოასალმეთ საბრალო დედაბერი!

— რატომ უნდა მოგვეკლა: განა ეს ყველაფერი ისედაც ჩვენი არ იყო?

ადგა, კამოდის უჯრა გამოაღო და რაღაც ქაღალდი ამოქექა.

გალოგრემ წაიკითხა და სახე მოეღრუბლა: ეს იყო ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული ანდერძის ქაღალდი, რომლის ძალითაც პაპიდა აგრაფინა, მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას, მემკვიდრეობის წესით, ნუგეშას უტოვებდა... გაკვირვებული იჩეზა მხრებს; კარგა ხანს ატრიალა ხელში, ხან ფაქსიმილეს უკირკიტა, ხან — გერბიან ბეჭედს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა.

— არ მითხრა ახლა, მაცივრიც არ მომიპარავს!—შეუღრინა გამწარებულმა.

— ეგ ხომ უკვე თქვი... — ისევ იმ წყეულ კამოდს მიაშურა; უჯრაც გამოღებული დიეტოვებინა.

გალოგრემ ცალი თვალით გადახედა ახალ „უტყუარ საბუთს“. თანდათან დაინტერესდა, ბოლომდე ჩაიკითხა და ნიკაპის ფხანას მოჰყვა. აშკარად არ ეამა, ემწუთხა: ხელთ ეპყრა სამმართველოს უფროსის სახელზე შედგენილი არზის ქსეროსალი, რომელშიაც ჩინჩალაძე თავისივე ობიექტზე ჩამოწერილი „ღახლ-მაცივრის“ შესყიდვის ნებას ითხოვდა... „შეაფასეთ და შეასყიდეთ!“ —

წერდა უფროსი მთავარ ბუღალტერს. სალაროში ფულის გადახდის დამადასტურებელი ქვითარიც იქვე იყო მიკრული.

საგონებელში ჩავარდა ინსპექტორი: „ქურდობის საქმე“ თოვლივით ჩაადნა ხელში, „მკელელობაც“ საეჭვო ხდებოდა, არადა, თვეზე მეტი იყო, გვამი მაცივარში ესვენა... ფიქრებში ჩაძირულს, ანაზდად, რაღაც აზრმა გაკკრა. ანდერძის ქაღალდს მიუბრუნდა, ხელმეორედ ჩაიკითხა... მისი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ პაპიდა აგრაფინა თავის მემკვიდრეობას, ვასიკო ჩინჩალაძეს, ან ორივე ცოლ-ქმარს ერთად კი არა, მ ხ ო ლ ო დ ნ უ გ ე შ ა ს უტოვებდა... აი, სად იმარხებოდა, თურმე, ძაღლის თავი!

— წელან რა მითხარი, მეუღლე სად არისო?

— კოჯორშია... — მიუგო შემკრთალმა.

— რატომ?

— რაღაც საქმეზე...

— გაგაკოჯრე მე შენ!.. — დაუყვირა და მუშტი მოუღერა, — ნუგეში ისეა კოჯორში წასული, როგორც აგრაფინა — სოფელში! თან რა უტიფრად მიმტკიცებდი, — სიგრილე უყვარს, გიჟდებაო... გასაგებია ყველაფერი: ჯერ პაპიდა გაისტუმრე საიქიოს და მერე მეუღლეც მიაყოლე!.. ჩანს, ორივე ყელში ამოგივიდა, პირველი — მიხრწნილების, მეორე კი — სიბერწის გამო... ოჯახს რომ დაეპატრონები, მერე შენს გემოზე იპარპაშებ, — ვინმე კახა გეყოლება გადაკეთებული, რომელიც, ალბათ, შვილების გაჩენას გპირდება... — პისტოლეტი იძრო და დაუმიზნა, — მითხარი ახლავე, სად, რომელ ორმოში ლაგება საბრალო ნუგეშას გვამი, თორემ აქვე მიგასაკლავებ!..

— რას ამბობთ, ბატონო, ეს რამ გაფიქრებინათ... — წამოიძახა განცვიფრებულმა ჩინჩალაძემ. ამჯერად ხელებიც აღარ აუფერებია სახეზე. — ჩვენ ისე გვიყვარს ერთმანეთი, პირში სულს ვუბერავთ... — გასწიეთ ეგ რევოლვერი, არ გავარდეს... ჩემი თუ არ გჯერათ, ცოტა ხანს დაელოდეთ. მოგვისწრებს, ალბათ,

ამასობაში... — უეცრად დადუმდა, სმენად იქცა და შუშაბანდს მიაპყრო მზერა, — აი, ბატონო, ისიც — ჩემი ნუგეში!

ᲮᲘᲚᲐᲑᲐᲜᲓᲘᲗ თავწაკრულმა, თალხკაბიანმა ქალმა შემოაღო კარი. მოზრდილი ჩანთა იქვე დადო, მადალქუსლიანი ტუფლები მსწრაფლ წაჰყარა და ფლოსტებში წაჰყო ფეხი. მგზავრობისგან გასავთებულს, ეტყობოდა, სული კბილით ეჭირა, ვიდრე შინ მოაღწევდა, მაგრამ მაინც მხნედ და მოალერსე, ტკბილი ხმით მოიკითხა ქმარი:

— ვასიკო, სადა ხარ?

— აქა ვარ... — მოესმა ოთახის სიღრმიდან ჩაქერალი ხმა და მაშინვე გულმა რეჩხი უყო. მზის საუფლოდან შემოსულმა, ხიბნელეს თვალი რომ შეჰჩვეა, საკუჭნაოს მოღიავებული კარი შენიშნა. მერე დაინახა, როგორ დასდგომოდა თავზე ვასიკოს ვოლაც, იარაღშემართული მილიციელი, და ელდა ეცა:

— დავიღუპეთ, ხომ?.. — ამოიკვნესა და კედელს მიესვენა. ეცემოდა უკვე, მეულლეს რომ არ მოესწრო წამოხტომა და ხელის შეშველება.

— ნუ გეშინია, ნუგეშა...

უბნის ინსპექტორიც კი ეგარიანად დაფრთხა. პისტოლეტი კლავე ქამარში გაირჭო, გრაფინს წამოაყარა ხელი და ქალს პეშვით წყალი აპკურა.

ნუგეშამ თვალები გამოაჭყიტა, მალე მოფხიზლდა; ჭირმა და სიმწარემ გაამაგრა.

— რა ამბავია ჩვენს თავს, ვასიკო?

— აგი ამბავია, რო ხედავ... — ხელები წინ გაიშვირა, ბორკილი აჩვენა.

— ვაი, დაქცეულო ოჯახო, — მოთქმასავით წამოიწყო ქალმა, — დაგიჭირეს უკვე, დაგაპატიმრეს... იპოვეს ხომ, პაპიდან ცხეკარი?..

— აბა რა გეგონოთ? — ნიშნი მოუგო ინსპექტორმა, — ახლა ვიმეშეს რალა აზრი აქვს, თავდაწვე უნდა გეფიქრათ!

— მაინც ვინ გაითხრათ, სადან გაიგეთ?. ჩვენს მეტა არავინ იცოდა.

— მილიციას ამქვეყნად არაფერი დაემალება, — წაიტრაბახა გალოგრემ.

— ტრესტში გაიგეს უკვე?.. — გულის ფანცქალით ჰკითხა ნუგეშამ.

— რომელ ტრესტში, ქალბატონო? — გაიკვირვა ინსპექტორმა.

— გამწვანების... ჩემთან, სამსახურში.

— არა, ვერ მოვასწარი... ჯერ მილიციაშიც არ შემატყობინებია!

— რა კარგია, რომ არ გაგიხმაურებიათ, — იმედიანად თქვა ქალმა, — ისევ თქვენ უნდა დაგვეხმაროთ და გეშველოთ, პატივცემულო...

— დანაშაულს ხომ აღიარებთ?

— მეტი რა გზაა, რაკი ცხედარი გიპოვნიათ...

— ოო, ეს უკვე სულ სხვა საუბარია!..

— თქვა გახარებულმა და ჩიჩნალაძეს მწყრალად გადახედა, — შენ კი მთელი დღე მაწამე და ჯვარს მაცვი.

— არა, მე იმას ვამბობდი, რომ... — თავის მართლებასავით წამოიწყო ვასიკომ, მაგრამ მეუღლემ შეაწყვეტინა:

— მადრეგე ახლა, მე დაველაპარაკები ბატონ ინსპექტორს... თქვენი სახელი, პატივცემულო?

— გალოგრე... — მიუგო მან, რადგან ყველა ასე ეძახდა და ყური შეჩვეული ჰქონდა. მერე კი გამოასწორა: — რიჩარდი, რიჩარდ გალოგრე!

— დაბრძანდით, ბატონო რიჩარდ, — შესთავაზა ქალმა და როცა სამიენი დასხდნენ, განაგრძო, — განა არ ვიცი, რა ცოდვაც ჩავიდინეთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს ამბავი ჯერ ამ კედლებს მიღმა არ გასულა...

— მომისმინე, ნუგეშა.... — კვლავ სცადა საუბარში ჩარევა ჩიჩნალაძემ, — ამას ჩვენია, რომ ჩვენ...

— გაჩუმდი, შენი ხმა აღარ გავიგონო! — დუმატა ინსპექტორმა.

— დაწყნარდი, ვასიკო; გვაცალე... ბატონო რიჩარდი, არ ჩანს ცუდი ადამიანი, შეიძლება მასთან მოლაპარაკება...

უბნის ინსპექტორი დარწმუნდა, რომ საქმე ჰქონდა ჩვეულებრივ, „უწყვინარ“ მკვლელობასთან... მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ უნდა ეცხოვრა აქ მთელი ჩვიდმეტი წელი სამ სულს... ან რა შვილი უნდა შესძენოდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყოველ გაფაჩუნებაზე, ალბათ, თავს აღერდა სმენადქცეული, თვალებდაჭყეტილი შინაბერა; მოსიყვარულების საშუალებას არ აძლევდა გაწამებულ ცოლ-ქმარს... არადა, თითქოს არაფერიო, მაგრამ მაინც მშვენიერი მოსაფერებელი ქალი ჩანდა ნუგეში... ისედაც, როგორი მოსავლელია ლოგინს მიჯაჭვული დაფხაებული ბებრუხანა, იქვე რომ ისველებს და ისვრის. იმის გაწმენდა, გარეცხვა, მოკვრა; ჭამა, სმა, წამლები, ექიმები... ნაწოლებიც ექნებოდა ბლომად: ჭუჭყი, სიბინძურე, სუნი... პაპიდა კი არა, უფრო ახლობელიც მოგაბეზრებს თავს! თან, ეტყობა, ჯერ სიკვდილსაც არ აპირებდა, — ამათი ტანჯვა იმას რაში ენალვლებოდა... ჰოდა, გაუწყდათ მოთმინების ძაფი, გადაეწურათ იმედი და ერთ შშვენიერ ღღეს საწამლავი შეაპარეს ან, უბრალოდ, ბალიშით მოაუდეს... იყვარებდა და ხმას მაინც ვინმეს, საბრალო, თუ წინააღმდეგობას გაუწევდა გადელებულ ცოლქმარს? ესენი ჩემს მტერს შეეხია: კიდევ კარგი, არ იცან ვაზნა რომ არ უდევს პისტოლეტში, თორემ არც მას დააყრიან ხეირს, — პაპიდა აგრაფინას მიუწვენენ გვერდში.... მე შენ გიტყვი, ადგილს ვერ გამოძებნიან, ვერ ჩაატევენ მაცივარში თუ რა?!. ოო, ეს ნუგეშა დიდი ეშმაკის ფეხი, დიდი გაქექილი ვინმე ჩანს; რა უცებ აუღო ალღო, რა სწორად შეფასა სიტუაცია: ამ საქმის მოგვარება მართლაც შეიძლება. განა ცოტა დანაშაული იმალება ქალაქში? — ოღონდ „ოპერატიული ვითარება“ არ გართულდეს, „სტატისტიკა“ არ გაუარესდეს!.. მეტადრე, ახლა მაინც, წინ ვერაფერი დაუდგება: მსხვერპლი და დამნაშავე ერთი და იგივეა, ბომბიანი არავინ ეყოლება!.. ისე, მართლაც, ვისი რა საქმეა, შენს ოჯახში რას მოიმოქმედებ; ყველამ თავის პაპიდას მოუაროს... კი, მოგვარება ნაღდად შეიძლება; მთავარია, თანხაზე მოილაპარაკონ!..

— რაღას უყურებთ, ბატონო რიჩარდ, — ქალმა ახლოს მიუწია ფული, — მოკიდეთ ხელი და ჩაიდეთ ჯიბეში ანდა, აგერ, პორთფელში.. ჩვენ სანდო ხალხი ვართ!

— სანდო კი ხართ, მარა ეს ცოტაა.. — ტუჩები წაიბზუა გალოგრემ, — ორმოცდაათი ათასი მანეთი უნდა ამ საქმეს.

— ორმოცდაათი რა ამბავია?!. — შეიცხადა ნუგეშამ.

— დიახ, ასე ღირს... — მტკიცედ თქვა გალოგრემ, — ორმოცდაათს კაპიკი არ დააკლდებ!

ქალმა ბეჭედი წაიძრო თითიდან, საყურეებიც მოიხსნა და მაგიდაზე დაყარა:

— აჰა, თქვენნი იყოს, ოღონდ ნუ დაგვლუპავთ, ნუ გაგვწირავთ!

— ცოტაა, მაინც ცოტაა. — ამრეზით დახედა ფულსა და ოქროულობას.

— ჩვენ მეტი არ შევვიძლია, ბატონო. ესეც პაპიდას წყალობაა, მისი სული გაანათლოს ღმერთმა... ამას ჯობდა, საქმე გადაგეცათ, უფრო იაფი დაგვეჯდებოდა.

— თქვენ ჯერ არ იცით, პროკურატურა-სასამართლოებში რა ხალხია, — ჩაიღიმა ინსპექტორმა, — იქ უარესად გაგატყავებენ.

— რა ვქნა, რა უყო... — სასოწარკვეთა ალებეჭდა სახეზე ქალს, — თავსზევით ძალა არაა!

— მივცე საქმეს მსვლელობა? — ჰკითხა გალოგრემ და პასუხი რომ ვერ მიიღო, ქალალდები ახლოს მიუწინა, კალამიც მიაწოდა, — დაიწყე, აბა, წერა, რაღას უყურებ... მინდორზე არ გადახვიდე!

— რა უნდა დავწერო?..

— ყველაფერი, — როგორ მოხდა, რანაირად; რატომ, რისთვის და რა იარაღით მოკალით...

— რაო?.. — სკამიდან წამოხტა ქალი. კალამი დაადო და ლამის თვალებიც ბუდიდან გადმოუცვივდა, — თქვენ გვონიათ, რომ ჩვენ პაპიდა მოვკალით?!

— როგორ... — ამოიგმინა გალოგრემ და გულზე ხელი იტაცა, — ერთხელ ხომ აღიარეთ და ახლა უარყოფთ?.. ისევ თავიდან დავიწყოთ ყველაფერი?!

— ვასიკო, რას გაჩუმებულხარ, — მეუღლეს მიუბრუნდა ნუგეშა, — მე ვაღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არე, პაპიდა მოკალით-მეთქი?.. იქნებ, შენ წამოგცდა რამე უნებლიეთ?

— არა, რა სისულელეა, — შეწუხდა კაცი, — აბა, რას გეუბნებოდი წეღან, ხმა რომ არ ამომაღებინე: იმდენი იძახე, დამნაშავე ვართო, კინაღამ მეც შემეპარა ეჭვი.

— მე მეგონა, უკვე იცოდა... რატომ არ აუხსენი საქმის ვითარება?

— რა ვიცი, ვერ მოვახერხე...

უბნის ინსპექტორი გაწამებული სახით ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს; გული ხელით ეჭირა... რაღაც ტაბლეტი ამოიღო ჯიბიდან, ენის წვერზე დაიდო და ვიდრე ნუგეშა წყლის მიწოდებას მოასწრებდა, გადაყლაპა კიდეც.

— მომკალეთ თქვენ მე, გადამრევთ...

უცებ გაჩუმდა, თითქოს რაღაცას მიაყურადო. ულვაშზე მოისვა ხელი და თითები წითლად შეეღება.

— რა მოგივიდათ, პატონო? — ფერი ეცვალა ქალს.

— არა უშავს, ვიცი ხანდახან... — თავი გადასწია და ნესტოებზე ცხვირსახოცი მიიდო.

— ტახტზე წამოწექით, პატივცემულო... — დაფაცურდა ნუგეშა, — მითხარით, არ მოგერიდოთ, რა უფრო გშველით ამ დროს?

— თავზე ცივი ტილო და ფეხები ცხელ წყალში... — შეცვლილი, დუდღუნა ხმით მიუგო ინსპექტორმა.

— ახლავე პირსახოცს დაგისველებთ... — შუშაბანდში გავარდა.

— ფეხსაბანი წყალიც დაუდგი! — დაეწია ვასიკომ.

— რავა გეკადრებათ... — გაიცინა გალოგრემ, — ეს, როცა შინ ვარ, ჩემს ოჯახში... ახლა ისე ვთქვი, სიტყვაზე.

ნუგეშამ ვარდისფერი ემალის ტაშტით ცხელი წყალი მოარბენინა; სახელოები წაიკაპიწა, კბილს კალთა ამოიკეცა და ჩაცუცქდა, მაგრამ უბნის ინსპექტორმა ფეხის დაბანაზე სასტიკი უარი განაცხადა — თავზე ცივი ტილო იკმარა მხოლოდ...

სისხლის დენა რომ შეუწყდა, სიგარეტს მოუკიდა და, ცოტა არ იყოს, გაუბედავად, მაგრამ მაინც მიუბრუნდა საქმეს:

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ არაკეთარი ბრალი არ მიგიძღვით?..

— არა, მთლად უდანაშაულოც არა ვართ, მაგრამ იმას, რაც თქვენ ბრძანეთ, გულში როგორ გავივლებდით... სავსე ჭიქასავით ვუფრხილდებოდით პაპიდას. პირში ლუკმას ვუჩიტებდით და თვალებში შეეცინებოდით, რომ, როგორმე, სიცოცხლე გაგვეხანგრძლივებინა... ჩვენ ისე მოგვივიდა, ბატონო, რო იტყვიან, გაჭირვებულს ქვა ალმართში მიეწიაო: სწორედ მაშინ გვიღალატა და გამოგვეცალა ხელიდან, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მისი თავი: მეორე დღეს ხომ ტრესტში ბინებს ანაწილებდნენ!..

— აჰ, უკვე ვხვდები... — შეაწყვეტინა გალოგრემ, — ალბათ სულადობის გამო, არა?!.

— დიახ, დიახ... — შეებით ამოისუნთქა ქალმა, — მადლობელი ვარ, პატონო რიჩარდ, რომ სათქმელი გამიადვილეთ... იქნებ ეს დიდი დანაშაული არც იყოს: უფრო ადამიანური ღირსების შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია... ეტყობა, ვასიკოს ამიტომ მოერიდა თქმა... პაპიდა შესანიშნავი ადამიანი იყო; დიდი ამაგი აქვს ჩვენზე და მით უფრო მეთუთქება გული, ასე უდიერად რომ მოექეცით მის ცხედარს, არადა, ბინას ვკარგავდით, — ორ სულზე ვინ რას მოგვაშვებდა... იქ ისეთი ამბავი ატყდა, ლამის დაეხოცეთ ერთმანეთი. ჩემს გარდა ყველას პატრონი გამოუჩნდა, ბლომად ფულებიც ჩააყარეს, ვერ წარმოიდგენთ, რა დღე გავიარე, — ფრჩხილებითა და კბილებით გამოვბწკვენეს... ახლა, ეს რო გაიგონ, იმ ბინას წაგვართმევენ. არ გვეგონა, ადამსკომშიც თუ ასე გაჭიანურდებოდა. როგორც კი ორდერს გამოსწერენ, პაპიდას ღირსეულად დავიტირებთ... აი, მთელი ჩვენი საიდუმლო! თუ გაგვიგებთ, ხომ კარგი, თუ არა და, სამუდამოდ ჩავრჩებით ამ სიროში. ამბობენ, სახელმწიფო აწი ბინებს ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ააშენებსო... ასე რომ, ჩვენი სული თქვენს ხელთაა, ბატონო!

ბევრის მომსწრე და მნახველი ინსპექტორიც კი გააკვირვა გაგონილმა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, ჩაფიქრებული ეწეოდა სიგარეტს... მართალია, ჩინჩალაძეების საქციელს სანაქებო არ ეთქმოდა, მაგრამ განა ყველა პატიოსანსა, საწყალი კაცი ასე ტანჯვა-წვალებით არ მიიკვლევს გზას ცხოვრებაში?.. თუნდაც მან, თავად, განა ცოტა ჭუჭყი და ლაფი აიკრა ამ გზაზე?.. ვასიკო ჩინჩალაძის დარად, ალალბედზე ქალაქს ჩამოხეტებული კაცი იყო. მილიციაში სამსახური დაისახა მიზნად, — სარფიანი საქმე ჩანდა, მაგრამ იქ შელწევა არ გინდოდა?!. კომკავშირული საგზურით, ტაშითა და ზარ-ზეიმით კი არ მიუღიათ „ორგანოში“, თვითონვე იძალა, თან ეს სიძალლეც (უფრო სწორად — სიდაბლე) უშლიდა ხელს... ჯერ „სანდო პირი“ გახდა, მერე ჩვეულებრივი, ნომრიანი აგენტი, — ბგერ, „ბრტყელო“ როა... რამდენი ნაცნობ-მეგობარი და ახლობელი, ვისთანაც ერთად პური უჭამია, ძმობა-სიყვარული შეუფიცნია — გაუწირავს, დაუბეზღებია და „ჩაუშვია...“

სწორედ ამგვარ დამსახურებათა გამო შეითვისეს და შეივრდიმეს, სიდაბლეც აპატიეს და გახდა ლეგალური თანამშრომელი... მერე მილიციის ორწლიანი სკოლა დაამთავრა (განა მართლა ორი უმაღლესი, წელან რომ წაატრაბახა), ლეიტენანტის სამხრეები დაიკერა — მას შემდეგ ჩინი აღარც მომატებია — და ახლა კაცი ამხელა უბანს უვლის!.. ხოლო მანამდე, ვინ მოთვლის, რამდენი დამცირება და შეურაცხყოფა გადაუტანია... ბევრი, ვინც იცნობს, ვინც კი იცის, მილიციაში რა გზით მოვიდა, დღესაც გაურბის, ერიდება და გულს არ უხსნის. მაღალი რანგის ჩინოსნები სიცილ-ქარქალით ძველ, აგენტურ მეტსახელსაც შეახსენებენ ხოლმე, რაიც უზომოდ მტკივნეულია... მართალია, ნივთიერად უკვე აღარ უჭირს, ქალაქში მტკიცედ დამკვიდრა და სანათესაოში პირველ კაცადაც ითვლება, მაგრამ ჩანს, უკვალოდ მაინც არაფერი ქრება: ჯანმრთელობა შეერყა, — ჰიპერტონია აწუხებს, კრიზები ემართება...

— მოსწი აქეთ ხელები, ვასიკო...

იმან ჯერ შეშინებული მზერა შეაგება, მერე მაჯები მორჩილად მიუშვირა.

გალოგრემ გასალებების ასხმა გადმოაჩხრიალა ტყავის ბუდიდან, ყველაზე მომცრო ამოარჩია, კლიტეს მოარგო და ბორკილი ასხნა.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა!.. — თქვა ჩინჩალაძემ.

— ხომ არ გაგვამხელთ, ბატონო რიჩარდ, ჩვენს ცოდვაში ხომ არ ჩაგვებმით? — თვალებში შესციცინებდა ნუგეშა.

— არა, არა... გეთქვათ, თუ ეგრე იყო, რას მაწვალებდით, თქვე ოჯახაშენებულებო!

— ჰოდა, რახან დარწმუნდით, რომ მკვლელები არ ვყოფილვართ, — შეეკედრა ქალი, — იქნებ საიდუმლოს შენახვისთვის იკმაროთ ეს ფული და ოქროულობა... მერეკ სულ მუდამ თქვენზე მლოცველი და თქენი პატივისმცემელი ვიქნებით!

— არაა საჭირო... — თქვა გალოგრემ, — პაპიდას დაკბძალვას მოახმარეთ... აჰა, ეს ბეჭედი და საყურეებიც გამომართვი!

ქალს ცრემლი მოადგა თვალებზე ხელების დაკოცნა მოუნდომა, მაგრამ გალოგრემ არ დაანება. თვითონაც კმაყოფილი დარჩა: არ ჰქონდა ახლა იმის გაბრაზება, ისედაც მოითბო ხელი ამ საქმეზე... „უაზნო“ მძღოლმა ჩაუდო უჯრაში ათასი მანეთი, ოღონდ ნურაფერში გამრეკ, მეტად აღარ დამიძახოო. მერე იმ ავტოფარეხის „ექსპლუატაციის უფროსი“ მოვარდა გულგახეთქილი, — გავიგე, ჩვენს მძღოლს რაღაც შეშლია და გთხოვ, ძმურად, თავი არ მოგვეჭრა, წარდგინება არ გაგზავნო ზემდგომ ინსტანციაში, გაზეთში არ გამოგვაჭენონო, — და ამანაც კაი პატივი სცა... ხოლო ესენი მართლა საწყალი ხალხი ჩანდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ბუნებასაც რომ დაუჩაგრავს, და უშვილძიროდ გადაუგია...

— რა კარგი ადამიანი ბრძანებულხართ, — უთხრა ნუგეშმა, — როგორ მინდა, მეც სამაგიერო პატივი გცეთ... — ირგვლივ მიმოიხედა და უცებ თვალები გაუბრწყინდა, — შვილები ეყავი, ბატონო რინარდ?

— კი, ქალ-ვაჟი, პირველ-მეორე კლასში. მე გვიან დავქორწინდი...

— ვის, რა კარგია! — წამოიძახა ქალმა. ოთახის კუთხეში მდგარ, ფეხებგაფარჩხულ ტელევიზორთან მივიდა, უცნაურად ჩახვეულ-ჩაგრეხილი, სადაფისფერი ვეება ნიჟარა აიღო და გაუწოდა, — აი, ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნია. მამამ მაჩუქა დაბადების დღეს, შვიდი წლისა რომ გავხდი, — იგი მეზღვაური იყო... არასდროს დამავიწყდება ის დიდი სიხარული, რაც მაშინ განვიცადე... წაუღეთ, მოუტანეთ ბავშვებს, ჩემგან სამახსოვროდ!

გალოგრეშ ნიჟარა გამოართვა, ყურზე მიიდო და, სულგანაბული, კარგა ხანს უსმენდა ზღვის იდუმალ ხმაურს... წესად ჰქონდა ხოლმე: უცხო ოჯახში შესვლისას ყოველ კუთხე-კუნჭულს დაზვერავდა, საუკეთესო ნივთს ამოარჩევდა და თვალს დაადგამდა... გასაოცარი ის იყო, რომ რაღინდ წყალწყალებულ ოჯახშიც შეედგა ფეხი, მაინც გამონახავდა რაიმეს, რასაც სათავისოდ ისურვებდა... ჩინჩალაძეების მწირ სადგომში ყველაზე მეტად, სწორედ ეს ნიჟარა მოეწონა. გაუკვირდა კედეკი, აქ საიდან გაჩნდაო... როგორ დაამშვენებდა და დახატავდა მის კაბინეტს (შინ, რა თქმა უნდა), ბავშვებიც რარიგ გაიხარებდნენ...

— დიდი მადლობელი, ქალბატონო ნუგეშ!

— თუ გვიკადრებთ, პატივცემულო, — შესთავაზა ქალმა, — იქნებ ერთად გვესადილა; ხანდახან ღარიბი კაცის ლუკმაც გემრიელია.

თავპატიჟი არ გამოუდვია, მაშინვე დათანხმდა. ვასიკომ კონიაკი გახსნა, მაგრამ გალოგრეს არ დაულევია, ცოლქმარი კი, უფრო მის სპატივცემულოდ ცლიდნენ სირჩებს... დალოცეს სტუმარი და პაპადას შესანდობარიც შესვეს. მერე ერთი პირობა უნინის ინსპექტორი საკუთარ ფიქრებს რომ შეჰყვა, დრო იხელთეს და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ:

— რა ჰქენი, კოჯრიდან რა ამბავი მოიტანე?

— სათქმელად ვეღარ მოვიცალე, — სახე გაუბრწყინდა ქალს, — ყველაფერი გადაწყდა უკვე, ფულიც დავუტოვე... როგორც კი ბინაში გადახვალთ, შეგიძლიათ იმავე დღეს წაიყვანოთო...

— ტყუპებია?

— ჰო, ვიჩა და მაიკო, ოთხწლინახევრის...

— კარგი ბავშვებია?

— გადასარევი... გამიშინაურდნენ უკვე, დედას მეძახიან — ხმა ვაებზარა, — სურათიც მაქვს წამოღებული, — ტახტზე მიგდებულ ხელჩანთას მისწვდა, — თქვენთან ბოდიში, ბატონო რინარდ. რაღაც საუბარს შევყევით აგერ, ვეღარ მოვითმინეთ...

— ბავშვების აყვანას აპირებთ?

— უკვე ვიშვილეთ... — ხმა აუთრთოლდა ქალს და გალოგრეშ დაინახა, გახსნილ ჩანთაში ცრქმი როგორ ჩავარდა, — აი, სურათიც!

— მართლა რა კარგები არიან, ღმერთმა გაგიზარდოთ, — ფოტოსურათი ვასიკოს გადაწოდა, — იცოდეთ, ჩემს გარდა არავის მოანათვლინოთ!

— დიდი სიამოვნებით. — გაიცინა ნუგეშამ, — თქვენც პატრონად ეყოლებით ბავშვებს.

— ის კი არა და, ამ დრომდეც უნდა აგეყვანათ.

— უბინაობა გვიშლიდა ხელს... პაპადას სიკვდილმა კინაღამ ყველაფერი ჩაგვიშალა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა, თქვენის წყალობით...

საღამო ხანი იყო, როცა უბნის ინსპექტორი ჩინჩალაძეებს გამოეთხოვა. მანამდე ვასიკოს ურჩია, ვაჭრობისათვის თავი გაენებებინა, — მართალია, მე აწი აღარ შეგაწუხებ, მაგრამ შენ თუ ასე განაგრძე, მარტო პატიოსნების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედად და მხოლოდ „ქალაღდის წონას“ დასჯერდი, სულ ერთია, მაინც გაგაფუჭებენო... ნუგეშმა ერთხელ კიდევ დაანამუსა, რომ საიდუმლოს შეინახავდა.

— აღარ გინდათ ლაპარაკი! — მტკიცედ თქვა ინსპექტორმა.

— ღმერთი ხართ ჩვენი, პატივცემულო... არ მეგონა, მალიციაში თუ ასეთი კარგი ხალხი მუშაობდა!

ის იყო, მანქანა დაძრა, რომ ქალის ხმა კვლავ გაიგონა:

— ბატონო რიჩარდ, ბატონო რიჩარდ!..

— რა იყო?.. — მკვეთრად დაამუხრუჭა, ძრავა გამორთო.

ნუგეშა კარებში გაუჩინარდა, მაგრამ იმავე წამს ისევ გამოჩნდა.

— აი, ეს გრჩებოდათ, პატივცემულო... — სადფისფერი ვეება ნიჟარა გაუწოდა, ჩამავალი მზეზე უფრო მეტის მშვენიერებით რომ ელვარებდა.

— ჰო, მართლა, ნიჟარა სულ გადამავიწყდა... — შეყოყმანდა გალიერე, მერე სახეზე ღიმმა გადაურბინა და ხელი დარდიმანდულად ჩაიქნია, — იყოს, არა უშავს... ბავშვებს დაახვედრეთ!

●

ბოლო დროს ვასიკო ჩინჩალაძე ფარდულში აღარ ჩანდა. ეტყობა ყურად იღო უბნის ინსპექტორის გონივრული რჩევა და ვაჭრობას თავი მიანება...

ორიოდე კვირის შემდეგ თავის სამეშაო ოთახში გაზეთ „თბილისის“ მეოთხე გვერდს რომ ათვალიერებდა, გალოგრეს ყურადღება ერთმა განცხადებამ მიიპყრო: ნუგეშა და ვასიკო ჩინჩალაძეები, შვილებიოურთ, ღრმა მწუხარებით იუწყებოდნენ პაპიდა აგრაფინას გარდაცვალებას. დაკრძალვა მეორე დღისთვის იყო დანიშნული, გლდანულას დასახლებაში...

მართალია, ეჭვი არაფერში შეჰპარვია, მაგრამ გულში მაინც ხინჯად ჰქონდა ეს ამბავი და შვებით ამოისუნთქა ახლა, რაკიდა ოპერაცია „პაპიდა“ წარმატებით დასრულდა.

მეორე დღეს იოლად მიაგნო განცხადებაში მითითებულ მისამართს...

მის დანახვაზე თვალებში სიხარულის სხივი ჩაუდგათ ჩინჩალაძეებს. ტყუპებიც აქვე იყვნენ — მომავალი ნათლულები, — გულზე ნაჭრის შავ ჩარჩოში ჩასმული პაპიდას სურათი ეკეთათ...

კუბოს ლამაზად დაგვირისტებული აბრეშუმის ვარდისფერი ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული. ეტყობოდა, მაცივარს კარგად შეენახა ცხედარი.

— მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების... — მოუსმიმირა ცოლ-ქმარს გალოგრემ.

ისინი ერთმანეთს მიეხუტნენ და აქვითინდნენ...

სატირალში ნუგეშას ხალხი სჭარბობდა, — მეტწილად გამწვანების ტრესტის თანამშრომლები. მაგნიტოფონი რეკვიემს უკრავდა, მაგრამ მაინც ნაკლებ იგრძნობოდა სამლოვიარო განწყობილება: სავალდებულო მცირეოდენი მისამძიმრებისთანავე მომსვლელნი საქმიან საუბარზე გადადიოდნენ, ახალმოსახლეობასა და დაწვრილშვილებას ულოცავდნენ ცოლ-ქმარს. ბედი გქონიათო, დასძენდნენ; მადლიანი ქალი ყოფილაო პაპიდა აგრაფინა, ბინის მიღება რომ დაგაცალათო...

ერთმანეთშიც სულ ეგ ჰქონდათ სალაპარაკო, — ბჭობდნენ და დავობდნენ გახალისებულნი...

დიახ, აშკარად საზეიმო განწყობილება სუფევდა პაპიდა აგრაფინას გასვენებაზე და იმიტომაც გაუკვირდა ყველას ცოლ-ქმარ ჩინჩალაძეებისა და მათი ჭირის მოზიარე დიდოლაშა, მაღალ ქუსლებზე მდგარი ტანმომცრო მილიციელის მეტისმეტად გაჭიანურებული, გულამოკვდარი სლუკუნი, თუმცაღა ზოგს ისიც მოეჩვენა, კი არ ტირიან, — იცინიანო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა კიკოლაშვილი

●

და ეს აპრილიც წავიდა რადგან,
მახსოვხარ... თუმცა ამას არ ვავლენ.
არ ინაღვლებენ და ისევ წავლენ
ღლეები, რადგან მაისი დადგა.

და გაუწვდიან ვეება პეშვებს
ქუნები წვიმებს და წვიმის არვეს.
შენ გაიხსენებ არაგვს და კარვებს,
მთვარეს, რომელიც მთვარისგან იშვა.

●

სრულდება წელი ჩატიეით მშვიდი.
თრთის გაზაფხული, როგორც იელი.
და ყველაფერი იქითკენ მიდის —
უნდა დატოვოს სიცარიელე.

●

რა ცოტა უნდა მოლოდინს შენსას —
შემოსვლა მთვარის. ფეხისხმა მისი.
არაფრის გამო მოსული სევდა.
თოვლი — არასდროს ღალატის ღირსი.

●

არანაირად არ მოდის თოვლი,
ის ემატება საგნებს და ჩრდილებს;
არანაირად არ მოდის თოვლი,
ის მოდის, როგორც სექტემბრის ღილა.
თოვლს ემატება თოვლი. და შიში
ეცემა სახლებს. და დუმილს ვერ ცვლის
და შენს თვალებში თუ რამდენს ნიშნავს
დაგუბებული სითბო და ცეცხლი —
მე ვიცი მხოლოდ, რადგან თოვლია
ჩემი სიზმრების თავი და ბოლო

შენი დაღლილი მუხლების მსგავსად
იქნება წვიმა... და შენი ღირსი
იქნება ღამე... და ვნება მისი
მხოლოდ და მხოლოდ დილამდე გასტანს.

და რაც იყო და იქნება მერე —
იქნება სიცხე ავვისტოს მსგავსი
და მე, შენით და ამ წვიმით სავსე,
ველოდები უკეთეს დღეებს.

მატარებლებით ირხევა ხიდი,
დუმილში წვება ისევ ყველამდე —
ღამე, რომელიც ჩურჩულით მიდის,
თოვლი, რომელიც უნდა ელავდეს.

რა ცოტა უნდა მოლოდინს შენსას —
ფეხის ხმა მისი. შემოსვლა მთვარის.
არაფრის გამო მოსული სევდა.
ტულუზ ლოტრეკი — „მრეცხავი ქალი“...

და ხეობებზე ფრთებით თოლიებს
შენი მოწყენა ვადაქვთ მხოლოდ.
მე ვიცი, თოვლი თოვლით სავსეა,
თოვლი თოვლია — ღამე მხედარი.
და ქუჩებს აკრთობთ თქვენი მსგავსება
მაშინ, როდესაც თოვლში გზედავენ.
მე ვიცი, თოვლი არ დაიცლება
სიზმრებით, რადგან სიზმრების იქით
არაფერია. და მზის მაცილი
უფერულდება ღვინით და ჭიქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერია ამ თოვლის გარდა
დამტევი შენი სუნთქვის და ტანის
და ყველაფერი იწყება, სადაც
თავდება შენი სიზმრების მხარე;
თავდება, რადგან თავდება თოვლი,
როცა გაზაფხულს მზის სუნი უდის —
ასე თავდება ზღაპარი ხოლმე,
ყველანაირი... კარგიც და ცუდიც,
ასე თავდება ქალი და ქალში
თავდება თოვლი. ვერაფერს შველი;
ასე თავდება ქალი და ქალში
თავდება მზისკენ გაწვდილი ხელი.
უნდა დაეცეს მიწაზე თოვლი,
როგორც ფრინველი ეცემა ალვებს,
რომლის თვალები და ფრთებიც რომლის
ჰგავს სამშვიდობოდ გაკიდულ ალმებს.
უნდა დაეცეს მიწაზე თოვლი.
ის დაეცემა. და შენკენ ივლის
ჩემი დაღლილი მზერა. და თოვლი
გაკვირვებული იქნება ხილვით.
არანაირად არ მოდის თოვლი,
ის ემატება ჩრდილებს და საგნებს:
არანაირად არ მოდის თოვლი,
მოდის და მიწას... ყოველთვის აგნებს.
და ასე აგნებს შენი სახელი
ჩემს მზერას. მზერა ყველაფერს ასწრებს
და იმახსოვრებს. და მზე ანათებს
შენი დაღლილი დუმილის გასწვრივ.
იმახსოვრებენ ქუჩები მერე
კაბას. და კაბის ჩრდილების რხევას.
მერე შუადღეს აკლდება ფერი
და ემატება ღამეთა თევას.
შენ წევხარ, როგორც ტალღებზე ნავი
და ხერხემალი ჩატივით გიცემს.
შენ წევხარ... შენში იღვიძებს ქალი,
მუხლები — თეორი კისერი კვიცის.
იმახსოვრებენ შენს თმებს და ღამეს
ჩემი თვალები... და ჩუმად იწვის
ღამე... და ვიცი: ათასი წელი
შენ მოგესაჯა, რომ ასე იწვე.
რადგან თოვლია ოავი და ბოლო
ჩემი სიზმრების. და მუდამ იწყებს
იმას, რაც ასე თავდება მალე...
როგორც ჩრდილებით თავდება სიცხე.
უნდა მოვიდეს თოვლივით თოვლი,
უნდა წავიდეს თოვლივით მერე...
უნდა დააკლდეს ტკივილი ხსოვნას
და მოემატოს ტკივილი ფერებს.
არ გათავდება ზამთარი თოვლით,
როგორც მე შენით... და მთვარე
ყვითლით.
რადგან დღეები შენი თმის სუნით —
ათასწლეულებს ადვილად ითვლის.
არ გათავდება ეს ყველაფერი,
რადგან ჩვენშია... და იქით მიდის,
რომ არ გათავდეს. და იყოს მუდამ
თოვლივით ჩუმი, თეორი და მშვიდი.
და მერე, როცა შიში და თრთოლვა
აკლდება საგნებს და უფრო—ჩრდილებს...
არანაირად არ მოდის თოვლი...
ყველანაირად იწყება დილა...

●

შემოდის ღამე, სხვა ღამის მსგავსი,
და თანამგზაური ენების და თრობის
ჰყვება ღამეზე, წვიმაზე, თმოგვზე,
ღამით, თმოგვით და ამ წვიმით სავსე.

მოლოდინს ფეხქვეშ ეცლება მიწა,
მტკვარი ფრინველის თვალივით ელავს
და სწორედ ახლა სჭირდება შველა
ენებას, რომელიც მუხლებთან გიწევს.

შენი დაღლილი დუმილის მსგავსად
გრძელდება მთვარე თმოგვიდან მტკვარზე
და მორიდებით დგებიან განზე
სიზმრები... და არ მიდიან არსად.

ღამეს აკავებს ცრემლი და ფიცი,
ღრუბელი ყვითელ ვარსკვლავებს
ლოკავს
და მერამდენე სინანულს მოკლავს
ღამე... ეს, ალბათ, უფალმა იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ

საქართველოში ყოველთვის იყვნენ და ახლაც არიან ადამიანები, რომელნიც პოეზიით სულდგმულობენ, წერენ და აქვეყნებენ ლექსებს პერიოდულ პრესაში, ბეჭდავენ პაწაწინა კრებულებს და, თუმცა ტომები არ გამოუციათ, საქვეყნო აღიარება არ მოუპოვებიათ, ერთგულნი არიან არჩეული გზისა და მათი საფიცარი მარად პოეზიის დაუსაბამო სივრცეა.

გიორგი ჭანტურია ერთი იმათგანია, ვისთვისაც პოეზიის სიყვარული სულიერ საზრდოდ ქცეულა და რომლის გარეშეც არსებობა არ შეუძლია. იგი მრავალი წელია ცხოვრობს და მოღვაწეობს ზემო იმერეთში, ხარაგაულში. აქ წარმოდგენილი ლექსები მკითხველს გააცნობს მის სულიერ სამყაროს:

ვწერ ლექსებს მუდამ, ვწერ ლექსებს ყველგან,
მხოლოდ და მხოლოდ გულის კარნახით.

„გულის კარნახით“ ნათქვამ სტრიქონებს, იმედია, მკითხველი მკაცრად არ მოეკიდება. ახლა, როცა ათასმა უზნეობამ და სიხასტიკემ იჩინა თავი ჩვენს ქვეყანაში, კიდევ უფრო დასაფასებელი არიან ადამიანები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რომ ცხოვრობენ და არსებობენ უფლისა და პოეზიის იმედით.

ᲗᲘᲕᲘ ᲐᲚᲮᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

●

ლექსს არ სჭირდება ვრცელი ოთახი,
ლექსს არ სჭირდება ფართო მაგიდა,
მე თან მდევს სიტყვა ჰანგის მოთავე,
ლექსი ჩემშია, მეტი რა მინდა.
თითქოს რითმები დმითესია,
თითქოს თან დამაქვს ლექსების გუდა,
იქ ვარ ყოველთვის, სადაც ლექსია,
სადაც ვარ, იქვე ლექსია მუდამ.
ფიქრებში აზრი კვირტივით ფეთქავს,
შემართულია ლექსის ჩახმახი,
ვწერ ლექსებს მუდამ, ვწერ ლექსებს
ყველგან,
მხოლოდ და მხოლოდ გულის კარნახით.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ

ხხვა რა შემიძლია,
ეშხს ვმატებ ხეივანს...
ვშრიალებ და ყველას
სურნელით ვთრობ.
რა ბედნიერი ვარ,
რა ბედნიერი ვარ —
ამ სილამაზეში
არა ვარ მარტო.

ᲓᲐ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ

ვიღაცის ნაცვლად მე დავიბადე,
ვიღაც ჩემს ნაცვლად არ დაიბადა...
ხომ არის ბედი, ხომ არის ბედი —
ხარჯავდე მზეს და ამ ქვეყნის ბადაგს.
არ დაკარგავენ შეძენილს ვიდრე,
ქონების გამო არსად ტირიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ცოცხლობდე, მაშინ გიკვირდეს,
არაფინა რალა გასაკვირია.
ეიცი ცხოვრების თავი და ბოლო,
ვსუნთქავ ვიღაცის გადასარჩენად
და მიკვირს მხოლოდ და მიკვირს
მხოლოდ
მაინცდამაინც ჩემი გაჩენა.

●

თვალს ველარ ვტაცებ დაკლაკნილ
ბილიკს,
მე მისი ბედი ჭკუიდან შემშლის, —
გზაბნეული კაცივით მიდის
და აკარგება უსიერ ტყეში.

●

გაშიშვლებული დგანან ხეები
და აკანკალებთ ინვრის ქარი.
...ელოდებიან. განგების ძალა
როდის ჩაცმევს ფოთლის სამოსელს.

●

იმ ნეტარ დღეთა ჩქარი გაქრობა,
მოგონებები იმ ნეტარ დღეთა
და ის უთქმელი, ლაღი მოთხრობა,
იმ სიყვარულზე რომ უნდა მეთქვა;
ბავშვობის გზათა გავლ , ალგზნებით,
გაფრენილ წელთა წყება და წყება,
არდავწყება განვლილი გზების
და იმ თვალების არდავწყება;
ნატვრა და ნატვრა არასრული და
ლექსთან ჭიდილი — წუთი მღელვარე,
ნაიქარივით ლტოლვა სულისა,
მუდამ ფილტვებში დაუტევარი, —
დათარეშობენ ჩემში ფიქრებად
მარად და მარად, დრო-ჟამთა სვლაში
და მაღნებიან წლები ფიფქებად
ქარების ქროლვით, ფოთლების ტაშით...

ბორჯომი

სად კლდეს ჩანჩქერი აფორიაქებს,
მძიმე ლოდებზე ვარდება მსხვრევით...
და ამწვანებულ მთებს, გოლიათებს,
ცის გუმბათისთვის შეუდგამთ მხრები.
მთებზე დამჯდარა მზე-დედოფალი,
მზე, მაცოცხლებელ შუქით ფენილი...
და ვაღლონური ხეობის ქარი
ხეებს დაუვლის ჟრუანტელივით.
სიმღერით მავსებს მთების სიტურფე,
უბერებელი ნამენარი წყნარი...
და ბორჯომულს გულთან იხუტებს
ლოდებთან ბრძოლით დაღლილი
მტკვარი.

ყანაში

ზეცა მტრედისფერად სიერცეს
გადაშლის —
ყანა ღელავს თუ ქალის მკერდია...
რა სიცოცხლეა ცვრიან ყანაში
და სიყვარული უფრო მეტია.
ღილაა მშვიდი, ღილაა წყნარა,
ღილა არის თუ ნატვრისთვალია,
ისე დაკვრილა ბალახზე ცვარი,
თითქოს ნამდვილად ნაწვიმარია.
...ღილა ბავშვივით ნებივრობს მზეში,
ნამით გალუმპულს სიო მაშრობს და
ასე მგონია, კვლავ თოხით ხელში
ყანისკენ მორბის ჩემი ბავშვობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ მეგრელიშვილი

რა დილაა, რა დილა

რა დილაა, რა დილა,
ორუდილა-ვადილა!
ძზემ გაათბო მთა-ბარი,
მწვერვალი — თეთრმანდილა.
ბალში ნერგი გაზრდილა
და ვარდები გაშლილა.

ხმაჭიკჭიკა მერცხალმა
შვილები ასადილა.
სკოლისაკენ ვიჩქარით
მე, დიტო და თანდილა.
რა დილაა, რა დილა!

გელას იხვი

რა სუფთაა
ჩემი იხვი,
ვაკოცებო,
გულში იტყვი.

გამურულა
გელას იხვი.
ხა-ხა! ხა-ხა!
ხი-ხი! ხი-ხი!

საყვედური მურიას

ღორსა ღობე გაარღვია, —
შენ არ დაგინახია;
დედამ ზეწარი გაფინა, —
ფისომ თათით დახია...

შენს მაგივრად მე გამიწყრა
გუშინ პაპა უშანგი.
ხანდახან მაინც იყეფე,
თუ ხარ ეზოს გუშაგი!

რად აქვს კუზი?

— ამ პატარა აქლემს, ბებო,
რად აქვს ზურგზე კუზი?!
— იმიტომ, რომ გაკვეთილზე
მერხს მოხრილი უზის!..

ლუკა

შეხეთ, ჩვენმა ლუკამ
გაიშარა შუკა,
არ შემოდის სახლში,
არ შეჭამა ლუკმა,

არ კითხულობს წიგნებს,
დროს ატარებს უქმად,
დადის, დაუზმორებს, —
მიტომ იღებს ორებს!

ლეკსები
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომში

კრიალას და ეგზომ სუფთას —
დღეს ბორჯომის ჰაერს ვსუნთქავ.
რა ჰაერი, რა ბუნება...
დატკბა სული და გუნება.
არ დავმალავ,
რომ თბილისში
სულ ალარ მსურს დაბრუნება!

მეექვსეულ გიეი

მეექვსეულ გიო
გიეის ხოტბას ასხამს:
— ასე კარგად ვეანს,
აგრონომი არ სხლავს!..

სიხარულით ამბობს
გიეის პაპა ხვთისო:
— ეგ სულაც არ მიკვირს, —
კეიცი გვარზე ხტისო!

უმადური მათე

თანაკლასელ მათეს
ჩემი ფული მართებს.
ვითომ ალარ ახსოვს,
ვამჩნევ, ხელს რომ ვართმევ.

თვითონ ალარ მაძლევს,
მე ხომ ვერ წავართმევ?!
მადლობაც არ მითხრა, —
ხელი გავუმართე!

ერთ დილით

ტოტლიკანა ციცქნა კაცმა
მარწყვი ჭამა ოცი აცმა.
ბებომ უთხრა: — ამდენს რომ ჭამ,
ალარ გინდა შარვლის ჩაცმა?

ყველას ეცხოვროს უცრემლოდ

მამულის ცაზე ლრუბელი
მხოლოდ საწვიმრად გვენახოს.
მოსავალისთვის ეწვიმოს,
ყანა-ბაღები, ვენახი...
მშვიდობის მშვიდს და კრიალა

ცას შეეცქეროდეთ მარადჟამს,
სიცოცხლე ჩქეფდეს, ისმოდეს
„მრავალჟამიერ“, „ვარადა“...
ყველას ეცხოვროს უცრემლოდ,
ყველგან, მთასა თუ ბარადა!..

ივან ბუნინი

მოთხრობები

კავკასია

(წიგნიდან „ბნელი ხეივნები")

მოსკოვში მალულად ჩავედი და არბატის მახლობლად, ერთ-ერთ შესახვევში, უბრალო სახლში დავბინავდი. გარეთ არ გამოვდიოდი და მასთან შეხვედრიდან შეხვედრამდე აუტანელი ხდებოდა ყოფნა. იმ დღეებში იგი ჩემთან მზოლოდ სამჯერ იყო. სამივეჯერ ნაჩქარევად შემოვიდა და ერთი და იმავე სიტყვებით დაიწყო:

— მე მხოლოდ ერთი წუთით...

უხდებოდა ფერმიხდილობა, შეყვარებულ ქალებს რომ სჩვევიათ, ისეთი. ზმა უწყდებოდა; სადაც მოხვდებოდა, ქოლგას იქ მიაგდებდა, მაშინვე პირაბდეს აიხდიდა და მეხვეოდა. სიბრალულისა და აღფრთოვანებისაგან გული გახეთქაზე მქონდა.

— მე მენენენებ:, ეჭვიანობს, — შეტყობდა ხოლმე. — მგონი, რაღაც იცის კიდეც, შეიძლება, ჩემს უჯრას გასაღები მოარგო და თქვენი რომელიმე წერილიც კი წაიკითხა. ალბათ, ყველაფერს იკადრებს, ისეთი სასტიკი და თავმოყვარეა. მითხრა კიდეც, ქმრისა და ოფიცრის სახელის დასაცავად არაფერს მივერიდებიო! ახლა მით უმეტეს, სულ უკან დამდევს. უნდა ვიფრთხილოთ. იმდენი ველაპარაკე, მოვკვდები, სამხრეთსა და ზღვას თუ არ ვნახავ-მეთქი, რომ დავიყოლიე და მიშვებს, მაგრამ, თუ ღმერთი ვწამთ, ცოტაც მოითმინეთ!

ჩვენ ადარაფერს ვერიდებოდით: გვინდოდა, მატარებლით ერთად წავსულიყავით კავკასიაში და სამი-ოთხი კვირა სადღაც, ზღვის ნაპირზე, უკაცრიელ ადგილას გაგვეტარებინა. ჩემთვის ნაცნობი იყო ის ადგილები. ოდესღაც. ახალგაზრდობისას, მარტოდმარტო ვცხოვრობდი იქ, სოჭის მახლობლად. ვერ დავივიწყე მაშინდელი შემოდგომის საღამოები, რუხი ტალღები და შავი კვიპაროსები... მას ფერი მისდიოდა, როცა ვეტყოდი, მთის ჯუნგლებსა და ტროპიკული ზღვის სანაპიროზე ამჯერად ჩემს კვერდით შენ იქნები-მეთქი... თუმცა იმხელა ბედნიერებად მოგვაჩნდა ჩვენი ოცნება, რომ ბოლომდე არც გვჯეროდა მისი ახდენისა.

მოსკოვში წვიმდა, ცივდა. ეტყობოდა, ზაფხული წასულიყო და აღარ დაბრუნდებოდა. ბნელოდა, ირგვლივ ატალახებულიყო. შავად მოელვარე ქუჩებში ეტლები დაჭრილნენ. ჰაერში ფრიალებდნენ მაღლა აწეული ქოლგები. ბნელი, უყმური საღამო იყო, როდესაც ვაგზალში მივედი. ამდენი მღელვარებისა და სიცივისაგან ვთრთოდი. სადგური და ბაქანი გადაივრბინე. შლაპა თვალებზე მქონდა ჩამოფხატული და სახეს პალტოს საყელოში კმალავდი.

ადგილი წინასწარ შევუკვეთე. პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კლასის პატარა კუბეს სახურავზე წვიმა ხმაურობდა. სწრაფად ჩამოვაფარე ფანჯარას ფარდა. როგორც კი მებარგულემ თეთრ წინსაფარზე სველი ხელები შეიწმინდა და ჩაის მოსატანად გავიდა, კარი ჩაკეტე. მერე ცოტათი გადავწიე ფარდა. ვაგზლის ფარნები ოდნავ ბუუტავდა. ვაგონის გასწვრივ ბარგით დატვირთული ბრბო იერეოდა. ჩვენ შეეთანხმდით, ბაქანზე ერთმანეთს რომ არ შეეჩეხებოდით, მე ვაგზალში, რაც შეიძლებოდა, ადრე უნდა მივსულიყავი, ის კი მოგვიანებით მოვიდოდა. უკვე მისი მოსვლის დროც იყო. დაძაბული ვიცქირებოდი, — იგი არა და არ ჩანდა. ზარს მეორედ ჩამოჰკრეს — შიშისგან გამაცივა: დაგვიანდა თუ უკანასკნელ წუთს უთხრეს უარი! უცბად თვალი მოვკარი მაღალ კაცს, ოფიცრის კარტუზს, ნატის ხელთათმანებს. იგი ფართო ნაბიჯებით მოდიოდა და ხელკავით ქალი მოჰყავდა. ფანჯარას მოვშორდი და დივანის კუთხეში ჩამოვჯექი. მეორე კლასის ვაგონი გვერდით იყო. წარმოვიდგინე, რა მზრუნველობით შეიყვანა ქალი, — შეამოწმა, კარგად თუ დაბინავა მებარგულემ, ხელთათმანი გაიძრო, კარტუზი მოიხადა, ვდაკოცნა და პირველი გადასწერა. მესამე ზარს ყურისწამღებად ჩამოჰკრეს, მატარებელი დაიძრა, გავშეშდი... მატარებელი რწევით აიძრა, აქანავდა. მერე გასწორდა... გამცილებელს, რომელმაც ქალი ჩემთან გადმოიყვანა, გაყინული ხელით თუმნიანი მივაჩეჩე.

შემოსვლისას არც კი უკოცნია, მხოლოდ უნიათოდ გაიღიმა, დივანზე ჩამოჯდა და ომაზე მიმაგრებული შლაპა მოიხსნა.

— ვერ ვისადილე, — მითხრა. — მეგონა, ბოლომდე ვერ შეეძლებდი ამ საშინელი როლის თამაშს. პირი მიშრება. მომეცი ნარზანი, — პირველად მომმართა „შენობით“.

— დარწმუნებული ვარ, უკან გამომყვება. ორი მისამართი მივეცი, გელენჯიკისა და გაგრის. ჰოდ, სამი-რვაწლიდღის მერე გელენჯიკში იქნება... მაგრამ, ღმერთმა დამიფაროს, სიკვდილი მირჩევნია ამგვარ ტანჯვას.

დილით დერეფანში გამოვედი. მზე ანათებდა, ცხელოდა, საპირფარეშოდან სანთის, ოდეკოლონისა და კიდევ რაღაც სხვა, თავისებური სუნი გამოდიოდა. ჭუჭყიანი, გახურებული მინების იქით მოჩანდა გადამწვარი ტრამალი, მტვრიანი, ფართო გზები, ურმებში შებმული ხარები. დროდადრო გაიელვებდა რკინიგზის ჯიხურები, მათ გვერდით ბალები მზესუმზირის ჭრელი წრეებითა და მეწამული ბალბებით იყო სავსე. მერე დაიწყო ყორღანებითა და ძველი სასაფლაოებით მოფენილი შიშველი მინდვრების უსაზღვრო სივრცე, აუტანელი გახდა მწველი მზე, გაცრიატდა ცა და ჰორიზონტზე პირველი მთებიც გამოჩნდა...

გელენჯიკიდან და გაგრიდან ღია ბარათი გაგზავნა. სწერდა, ჯერ კიდევ არ ვიცი, სად დავბინავდებიო.

მერე სანაპიროს სამხრეთისაკენ დავუყვეთ.

ჭადრის ტყით შემოჯარული ერთი უკაცრიელი ადგილი მოვძებნეთ, აყვავებულ ბუჩქნარსა და წითელ ხეებს დაეფარა მიდამო, მაგნოლიებსა და ბროწეულებს შორის მარაოსავით გაშლილიყო პალმები, შავად მოჩანდა კვიპაროსები...

ჩაის შვიდ საათზე ვსვამდით. მე ადრე ვიღვიძებდი, მის ადგომამდე ბორცვებზე შეფენილ ულრან ტყეში დავხეტიალობდი. მომძლაერებული მხურვალე მზე სიწმინდეს და სიხარულს აფრქვევდა. ტყეებში ლაჟვარდისფრად ჩაწოლილი ნისლი მიიზლაზნებოდა და ქრებოდა. შორეული ქედების ვადაღმა თოვლიანი მთების მარადიული სითეთრე ციალებდა. უკან მობრუნებისას სოფლის ბაზარში გამოვეელიდი ხოლმე. ხვატი იდგა, საკვამურებიდან დამწვარი წვიის სუნი ამოდიოდა. გახურებული ვაჭრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ფეხს ვერ აუქცევდი ერთმანეთში არეულ ადამიანებს. ცხენებსა და სახედრებს. სხვადასხვა მხარის მთიელები ბაზრისკენ დილადრიან მოეშურებოდნენ, — დაგომანებდნენ წითელ წუღებში გამოწყობილი ჩერქეზის ქალები, შავსა და გრძელ ტანსაცმელს მიწაზე მიათრევდნენ, თავზე ჩადრები ეხვიათ, თალხი თავსაბურავიდან ხანდახან გამოკრთებოდა მკვირცხლი, მერცხლისებური მზერა.

მერე ზღვისკენ მავდიოდით. სანაპირო მუდამ ცარიელი იყო. საუზმემდე ბანაობდით და მზეს ვეფიცებოდით. ხიწიწში შემწვარ თევზს შევჭამდით, თეთრ ღვინოს ვსვამდით და თან ნიგოზსა და ხილს მივაყოლებდით ხოლმე. ჩვენს კრამიტით გადახურულ, გავარვარებულსა და ბნელ ქოხში ფარღალა დარბებიდან ცხელი, მოუსვენარი მზე იეყიტებოდა.

როცა აგრილდებოდა, ფანჯრებს გაეხსნიდით. ფერდობზე მდგარ კვიპაროსებს შორის იისფად მოქცეული ზღვა მოჩანდა. მისი ზედაპირი ისეთი წყნარი და ელვეი იყო, ვვეგონა, არასოდეს დასრულდებოდა ეს სიმშვიდე და სილამაზე.

მწუხრისას ცა შეიცვლებოდა. იგი მოგიზგიზე ღრუბლების უცნაურ სანახაობას მონუსხული შესცქეროდა, მერე ტახტზე მიეხვენებოდა, სახეზე შარფს აიფარებდა და ტიროდა: კიდევ ორი-სამი კვირა და ისევ მოსკოვში!..

თბილი, ბნელი ღამეები იყო. წყვდიადში დფრინავდნენ, კრთოდნენ და ტოპაზისფად ელავდნენ ციცინათელები, მინის ეკვნებივით წკრიალებდნენ ვასაკები. სიბნელეს თვალს რომ მივაჩვევდით, მაღლა თანდათან გამოიკვეთებოდა ვარსკვლავები და მთის გრეხილები, მკაფიოდ ჩანდა ხეებიც, რომლებსაც დღისით ვერც კი ვამჩნევდით. ღუქნიდან მთელ ღამეს ისმოდა ღიღილი მოგუდული ხმა და სევდიანი, უიმედო, თუმცა მაინც ბედნიერი მოთქმა, როგორც ერთი დაუსრულებელი სიმღერა. ჩვენთან ახლოს, სანაპიროსთან, ხევი იყო. ქვიან კალაპოტზე ტყიდან ზღვისკენ მიჩხრიალებდა პატარა, კამკამა მდინარე. ხეებსა და ტყეების გადაღმიდან დაგვიანებით ამოვიდოდა მთვარე, დააშტერდებოდა ნაკადულს და ზღვარულ იღუმალებას მისცემდა მისი აქაფებული შხეფების ბრწყინვალებას.

ზოგჯერ ღამით მთებიდან მოქუფრული ღრუბლები აიშლებოდა, ამოვარდებოდა საშინელი ქარიშხალი. ტყეთა ხმაურიან და სამარისებურ წყვდიადში განიხვნებოდა სასწაულებრივი მწვანე უფსკრულები და ცის სიმაღლეებში იჩეხებოდნენ ადამიანჟამინდელი ლეკურები. მაშინ ტყეებში დამფრთხალი არწივების ყიჟინაში, ჯიქების ღმეილი და ტურების წკაკვნკვი ატყდებოდა... ერთხელ ჩვენს განათებულ ფანჯარასაც მოაწყდა ტურების ხროვა, — ისინი ამგვარ ღამეებში ადამიანის საცხოვრებელს ეტანებიან, — ჩვენ სარკმელი გავაღეთ და ზემოდან გადავხედეთ. სინათლეზე წვიმა ელვარებდა, ისინი იდგნენ თავსხმაში და წკაკვნკავებდნენ, ჩვენკენ იწევდნენ... ავი დასცქეროდა მათ და სიხარულისგან ტიროდა.

კაცი მას გელენჯიკსა და გაგრაში ეძებდა. მერე სოჭში ჩავიდა. მეორე დღეს დილადრიან ბანავა ზღვაში, წვერი გაიპარსა, საცვლები გამოიცვალა, ქთქთა კიტელი ჩაიცვა, სასტუმროშივე, რესტორნის აივანზე ისუზმა, დალია ერთი ბოთლი შამპანური და ყავა შარტრეზთან ერთად. მერე დიდხანს ეწეოდა სიგარას. ბოლოს ნომერში დაბრუნდა, დივანზე წამოწვა და ორი რვეულვერით საფეთქლებში ტყვია დაიხალა.

ნათელი ღამე

1

მზის ჩასვლისას გაავდრდა. მძლავრად და გაბმულად ხმაურობდა წვიმა სახლის ირგვლივ, ბაღში. დიდ დარჩენილი ფანჯრიდან დარბაზში ეახლის სველი ბალახის ტკბილი სინელვლ შემოდიოდა. სახურავების ზემოთ თანდათან ძლიერდებოდა ჭექა-ქუხილი: ცეცხლისფრად ელავდა და ყურისწამლებად გრიალებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცა. ღრუბლები ქვემოთ მოიწევდა და მიდამოს აბნელებდა. მინდვრიდან სველ-ხიფთნიანი მოჯამაგირეები დაბრუნდნენ და ფარდულის გვერდით ტალახიანი კავები გამოხსნეს. მერე ფარა მოახსეს, კარ-მიდამო ბღავლმა და კეკნმა გააყრუა. კალთებაკაბაწებული, ფეხშიშველი დედაკაცები აქეთ-იქით დარბოდნენ და ეზოში გაშლილ ცხვარს აგროვებდნენ. ქალებს ქათქათა თეთრი კანჭები ჰქონდათ. ბაღში პატარა მწყემსი ძროხას დასდევდა, თავზე უშველებელი ქუდი ჩამოფხატოდა, ქალამნები მთლად დაფლეთოდა საცოდავს. მერე დაბურულ ტყეში შეუვარდა ძროხა, ბიჭი წვიმისგან გალორთხილ ოროვნდს მიეფარა... დადამდა. წვიმამ გადაიღო, დილაადრიან წასული მამა მინდვრიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო.

შინ მარტო ვიყავი, მაგრამ რა მომაწყენდა! ჯერ ხეირიანად დიასახლისის მოვალეობა და გიმნაზიის შემდგომი თავისუფლებაც ვერ შემეგრძნო. ჩემი ძმა პაშა კორპუსში სწავლობდა, და — ანიუტა დედის სიცოცხლეშივე გათხოვდა, ახლა კურსში ცხოვრობდა. ჩემი პირველი სოფლური ზამთარი მამასთან ერთად გავატარე. ჯანმრთელი და ლამაზი ვიყავი. საკუთარი თავი ძომწონდა. მომწონდა თუნდაც იმიტომ, რომ მსუბუქად დავდიოდი და დავრბოდი, შინ ვსაქმიანობდი, მოსამსახურეებს რაღაცას ვავალებდი. თან საქმეს ეკეთებდი და თან ჩემივე გამოგონილ გულისამაწყებელ სიმღერებს ვმღეროდი. სარკეში საკუთარი თავის დანახვისას უნებურად მეღიმებოდა და მეგონა, უბრალო ჩაცმულობის მიუხედავად, ერთობ მომხიბლველი ვიყავი.

წვიმამ როგორც კი გადაიღო, მხრებზე შალი მოვისხი, კაბა ავიკალთავე და სახარშისკენ გავიქეცი. ქალები ძროხას წველიდნენ. თმაზე გადავლილი წვიმის წვეთები მეცემოდა. მსუბუქი, შეთხელებული ღრუბლები მაღლა-მაღლა მიიწევდა და იფანტებოდა. მაისის ღამეებს რომ სჩვევია, ისეთი უცნაური, კკრთალი შუქი ლივლივებდა ეზოში. ერთმანეთში ირეოდა მინდვრიდან მოტანილი სველი ბალახისა და სამოახლოდან გამომავალი ბოლის სუნი. ერთი წუთით იქაც შევიარე, — ახალგაზრდა მოჯამაგირეებს თეთრი პერანგები დასველებოდნთ, მაგიდას შემოსხდომოდნენ და ჯამებიდან შეჭამანდს ხვრეტდნენ. დამინახეს თუ არა, ფეზზე წამოდგნენ. სირბილისგან ვქოშინებდი, ღიმილით კკითხე:

— მამაჩემი საღღაა? მინდორში არ ყოფილა?

— ცოტა ხანს იყვნენ, მერე წავიდნენ, — მაშინვე მიპასუხა რამდენიმე ხმამ.

— რით წავიდა?

— ეტლით, ბატონიშვილ სივერსთან ერთად.

„სივერსი ჩამოვიდა?" — კინაღამ წამომეცდა, ისე გამაოცა ამ მოულოდნელმა სტუმრობამ, მაგრამ დროზე მოვეგეკონს, თავი დავხარე და სწრაფად გამოვაბრუნდი.

სივერსმა პეტროვის აკადემია დამთავრა და საბჭოდრო ვალდებულებას იხდიდა. ბავშვობიდანვე მის საცოლედ მთელიდნენ, ამიტომ მაინდამაინც დიდად არ მეპიტნავებოდა. თუმცა მერე და მერე ხშირად ვფიქრობდი მასზე, როგორც საქმროზე. აგვისტოში პოლკისკენ მიმავალმა, ჩვენთან შემოიარა. ჯარისკაცის სამხრეებიანი ხალათი ეცვა. როგორც ყველა ნებით განწესებული, ისიც სიამოვნებით ყვებოდა ქონდრისკაც ფელდფებელის ანეგდოტებს. მე თანდათან შევეგუე იმ აზრს, რომ მისი ცოლი უნდა გავიმზდარიყავი. მხიარული ბიჭი იყო. მზემოკიდებულს მხოლოდ შუბლის ზედა ნახევარი მოუჩანდა თეთრად. ძალიან გულობილად მექცეოდა.

„მაშასადამე, შვებულებაშია", — ვფიქრობდი მღელვარებით და მიხარია, რომ სივერსი ჩემი გულისთვის ჩამოვიდა, თუმცა რაღომღაც მეშინოდა კიდეც. შინისკენ მივიჩქაროდი, მინდოდა, მამისთვის ვახშამი დამეხვედრებინა, მაგრამ საფარეშოში შესულს მამის ფეხის ხმა მომესმა, დარბაზში დადიოდა. უჩვეულოდ გამიხარდა მისი დანახვა. ფლაპ კეფაზე მოვეგდო, წვერი გასჩეჩოდა, მა-

ღალყელიანი ჩექმები და ჩესუჩის პიჯაკი ტალახით დასვროდა, მაგრამ იმ წუთს მამაკაცური სილამაზისა და ძალის განსახიერებად მომეჩვენა.

— შენ ხარ? — კკითხე.

— ჰო, მე ვარ, ტატა, — მიპასუხა და ბავშვობის სახელი დამიძახა. — დავწევები, ვიხშამი არ მინდა, ძალიან დავიღალე, თანაც ხეღავ, რომელი საათია? თუმცა ნათელი ღამეებია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ახლა ეროი პირი წყალსაც სძინავს. — ეს რა, რძეა? — იკითხა დაბნეულად.

ლამპას გადაეწვედი, მაგრამ თავი გაიქნია, ჭიქას სინათლეზე გახედა, შიგ ბუზები ხომ არ ყრიაო და რძე ღალია. ბაღში უკვე ბულბულები გალობდნენ. ჩრდილო დასავლეთის მხარეს დატანებული სამიეე ფანჯრიდან ვაზაფხულის ღიამწვანე ფერის შორეული ცა მოჩანდა. დასალიერი ღილისფერი ღრუბლის ნაზი ქუნებით მოფენილიყო. სიმკვეთრე დაჰკარგოდა ყოველივეს მიწაზეც და ცაშიც. ღამის თხელი სიბნელის სილბოში გახვეულიყო არემარე, მბუუტავი დაისის შუქზე გარკვევით მოჩანდა ეზოყურე. მე და მამა საოჯახო საქმეებზე წყნარად ვსაუბრობდით, მაგრამ როდესაც მოულოდნელად თქვა, ხვალ ჩვენთან სივერსი მოვალ, ვიგრძენი, სახეზე ალმური მომედო.

— რატომ? — ძლივს ჩავილულლულე.

— შენი ხელის სათხოვრად, — მიპასუხა მამამ და ნაძალადევად გაიღიმა. — რას უწუნებ, ფეხი არ აკლია და ხელი, ჭკვიანი ჩანს, კარგი მეოჯახე დადგება... ჩვენ უკვე შენ ბედნიერების სადეგრძელოც დავლიეთ.

— ასე ნუ მელაპარაკები, მამა, — ვთქვი და თვალზე ცრემლი მომადგა.

მამაჩემმა დიდხანს მიყურა, მერე შუბლზე მაკოცა და კაბინეტში შევიდა.

— ღილა საღამოზე ბრძენია, — მომძახა ღიმილით.

II

ჭერში ჩუმად ბზუოდნენ ჩვენი საუბრით დამფრთხალი ნამძინარევი ბუზები. საათმა დაიზრიალა და თორმეტჯერ სვედიანად გაიჟღარუნა.

ღილა საღამოზე ბრძენიაო — გამახსენდა ჩემს დასამშვიდებლად ნათქვამი მამაჩემის სიტყვები და კვლავ შვება ვიგრძენი, გულზე ბედნიერი სვედი შეშმაწვა.

სახლში ყველას ეძინა. დიდი ხანია, მამაჩემის კაბინეტიდანაც აღარ ისმოდა ხმა. რა ლეთაებრივი იყო ნაწვიმარი ღამის სიჩუმე და ბულბულების შთაგონებული გალობა. თვალთუხილავი სილამაზე ლივლივებდა დაისის შორეულ ნათელში. ვცდილობდი, უხმაუროდ ამელაგებინა სუფრა, ოთახიდან ოთახში ფეხის წვერებზე დავდიოდი. წინა ოთახის ცივ ღუმელში რძე, თაფლი და კარაქი შევინახე. ჩაის სერვიზს ხელსახოცი გადავაფარე და ჩემს საძინებელში შევედი. თითქოს ბულბულებიცა და დაისიც თან შემომყვნენ. ჩემი ოთახის დარაბები დაკეტილი იყო, მე სასტუმრო ოთახის გვერდით მეძინა, დია კარიდან ეზედავდი ბინდში გახვეულ დარბაზს. ბულბულების ხმა მთელ სახლს ავსებდ. დიდხანს ვიჯექი საწოლზე თმაგაშლილი და რადაცას გადაწყვეტას ვცდილობდი, მერე თვალები დავხუჭე, ბალიშს ჩავეხუტე და უცბად ჩამეძინა. მოულოდნელად თითქოს ვიღაცამ სივერსის სახელი ჩამძახა, — შევკრთი და გამოვფხიზლეი. სიტკბონარევი შეშფოთებით გამოელვა გათხოვებაზე ფიქრმა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

დიდხანს გონწყასულივით ვიწექი, არაფერზე ვფიქრობდი. მერე წარმოვიდგინე, თითქოს სახლში მარტო ვიყავი, უკვე გათხოვილი, და ასეთივე ღამეს, ქალაქიდან შინ მობრუნებულ ქმარს ველოდებოდი. აი, ისიც, შემოდის სახლში, წინა ოთახში უხმაუროდ იხდის პალტოს, მე ვასწრებ და ფეხაკრეფით მივრბივარ საძინებელი ოთახის კარისკენ. ვეგებები. როგორ გაუხარდება, ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბტაცებს და... მე მეგონა, რომ შეყვარებული ვიყავი. სიცერსს ხეირიანად არც ვიცნობდი. მამაკაცი, ვისთანაც ოცნებით ჩემი პირველი სიყვარულის ყველაზე ფაქიზი დამე გავატარე, სულაც არ ჰგავდა მას, თუმცა მეგონა, რომ სიცერსზე ვფიქრობდი. უკანასკნელად იგი ერთი წლის წინათ ვნახე, ღამის იდუმალებამ მისი სახე უფრო გაალამაზა და მიმზიდველი გახადა. სიჩუმე იყო ირგვლივ, ბნელოდა. მე ვიწექი და თანდათან სინამდვილის განცდას კკარგავდი. „რას უწუნებ, ფეხი არ აკლა და ხელი, ჭკვიანი ჩანს...“ მედიმებოდა და თვალდახუჭული სიბნელეში მორიალე უცნაურ ნათელ ლაქებსა და სახეებს ეუმზერდი...

ამასობაში შუაღამე გადასულიყო. „მაშა სახლში რომ ყოფილიყო, — მოგონდა ჩემი მოახლე, — წავიდოდი მასთან და გათენებამდე ვილაპარაკებდით... მაგრამ არა, — გვიფიქრე კვლავ, — ახლა მარტო მირჩევნია... როცა გავთხოვდები, მერე წავიყვან ჩემთან...“

დრბაზში ჩუმად გატკაცუნდა რაღაც. შეკერთი და თვალები გავახილე. უფრო ბნელდებოდა. ირგვლივ ყველაფერი იცვლებოდა, თვით მეც სულ სხვა, იმ უწყვეულო, ღამეული ცხოვრებით ვცხოვრობდი, რომელიც დილით ძნელი გასაგებია. ბულბულები გაჩუმდნენ, მხოლოდ ერთიღა უსტკვნდა სევდიანად, სწორედ ის, ამ ზაფხულს აივანთან ბინა რომ დაიდო. დრბაზში ფრთხილად და დინჯად ხმაურობდა საათის ქანქარა. სახლში უცნაურად დაიძახა სიჩუმე. ეგრძნობდი, როგორ მიმორჩილებდა კოცნისა და ქურდული ალერსისათვის მოგონილი იდუმალი ეამი. ახლა სასწაულისაც მჯეროდა. უცბად სიცერსის ხუმრობით ნათქვამი გამახსენდა: ოდესმე ღამით ბაღში შენთან პაემანზე მოვალო... იქნებ არ ხუმრობდა? ხომ შეიძლება, უკვე აივანთან იდგეს?

ბალიშზე მიყრდნობილი დაჟინებით მივჩერებოდი მოძრავ წყვდიადს და თრთოლვით განვიცდიდი ჩემსავე ნოცნებარს: გავდივ აივნის კარს და ძლივს-გასაგონი ჩურჩულით ვეტყვი... ეთვრეობოდი და თავშეკავების უნარს კკარგავდი. ვბედავდი და ნაწვიმარი ბაღის სიღრმისკენ მიმავალ, სველი ქვეშით მოფენილ ხეივანს მივყვებოდი...

III

ფეხზე ჩავიცვი, მხრებზე შალი მოვიახი, სასტუმროში ფრთხილად გავედი და აივნის კართან გულის ფანცქალით შევჩერდი. სახლში მდუმარებას მხოლოდ საათის წიკწიკი და ბულბულების გალობა არღვევდა. საკეტში გასაღები უხმაუროდ გადავატრიალე. ბალდან ბულბულების სტვენა შემოიჭრა, გულისმომწურავი სიჩუმე გაქრა. ღამის ჩურნელოვან სიგრილეში თავისუფლად ამოვისუნთქე.

ნორჩი არყის ხეების ბნელ ხეივანს ცისკრის მკრთალი შუქი ანათებდა. ჩრდილოეთით ცა ღრუბლებს დაებნელებინა. სველი ქვეშით მოფენილი ბილიკი ბაღის ბოლოსკენ, ვერხვისა და ალვის ხეებით შემოჯარულ იასამნის ფანჩატურისკენ მიდიოდა. ისეთი სიჩუმე იყო, გალუმპული ტოტებიდან ზროდადრო ჩამოცვენილი წვიმის წვეთების ხმაც კი ისმოდა. ყველას ეძინა, მხოლოდ ბულბული კვნესოდა ტკბილად. ყოველი ხის ჩრდილში ადამიანი მელანდებოდა და სისხლი მეყინებოდა. როგორც იქნა, მივაღწიე ფანჩატურს და მის სითბოს შევაფარე თავი. მეგონა, იქ უკვე სიცერსის ძლიერი ხელები და მკკერდი მელოდა.

არავინ ჩანდა. მე მაინც ვიდექი, მღელვარებისგან ვკანკალებდი და თან ვერხვის ნამძინარევ შრიალს ვუსმენდი. მერე ნესტიან სკამზე ჩამოვჯექი... მაინც ველოდი, გარიჟრაჟის ბინდში თვალს ვაცეცებდი... და დიდხანს ეგრძნობდი ჩემ გარშემო ბედნიერების მოუხელთებელ სიახლოვეს, — საშინელსა და უზარმაზარს. იგი ყველას ხვედრია, ჩვენი ცხოვრების ზღურბლს უიმისოდ ვერ გადავაბიჯებთ. მეც მოულოდნელად შემეხო, — და სწორედ ის გაკეთა, რაც უნდა ექნა: შემეხო და გაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. მახსოვს, ჩემს სულში დავანებული ნაზი სიტყვები ცრემლებად იქცა. სველ ალვის ხეს მიეყოდნენ, მოცახცახე ფოთლების შრიალმა დამამშვიდა. უბიდან ეტიროდი და ბედნიერების განცდა მეუფლებოდა ისევ.

ვხედავდი ღამის იდუმალ შეცვლას განთიადით, ვხედავდი, როგორ ფერმკრთალდებოდა წყვდიადი, როგორ წითლდებოდა შორს, ალუბლის ბაღში ჩაწოლილი რძისფერი ნისლი. აგრილდა, შალში თბილად გავეხვიე. ზეცის უსაერ სივრცეს განთიადი შეჰპარვოდა, მის უძირო სიღრმეში წვიმის წვეთივით ბრწყინავდა და ციმციმებდა ვენერა. მე შეყვარებული ვიყავი და ჩემი სიყვარული ყველგან იყო: ღილის სიგრილესა და სურნელში, მწვანე ბაღის სინედლეში, ამ დილის ვარსკვლავში... მოულოდნელად ბაღის გვერდით, მდინარესთან, წყლის მზიდავის მჭახე შეძახილმა გაიხმიანა... მერე ეზოშიც დაიძახა ვიღაცამ ხრიწწინანა, ნამძინარევი ხმით.. ფანჩატურიდან ჩუმად გამოვედი, აივნამდე სწრაფად მივირბინე, ფეხისწვერებზე, უხმაუროდ გავაღე კარი და ფეხაკრეფით შევეფარე ჩემი საძინებელი ოთახის თბილ სიბნელეს...

ღილით სივრცი ჩვენს ბაღში ჯაებზე ნადირობდა. ისეთი ხმა იყო, თითქოს ყურის ძირში მწყემსის უშველებელ მათრახს მიტკაცუნებდნენ, მაგრამ მე მაინც დრმად მეძინა. როდესაც გამოვფიზიზღდი, დარბაზიდან ხმაური და თეფშების წკრიალი ისმოდა. მერე სივრცი ჩემს კართან მოვიდა და დამიძახა:

— ნატალია ალექსეევნა! სირცხვილია! აშენდა ქვეყანა!

მე მართლაც მრცხვენოდა. მრცხვენოდა მასთან გასვლის, მრცხვენოდა იმის გამო, რომ მტკიცედ მქონდა გადწყვეტილი, უარი მეთქვა მისთვის, — ნაჩქარევად ვიცვამდი და თან სარკეში ჩემს გაფითრებულ სახეს ვუმზერდი. რაღაც, ხუთრობისა და მისალმების მსგავსი გავძახე პასუხად, მაგრამ ისე ჩუმად, რომ მან, ალბათ, ვერც გაიგონა.

ნისლი

მეორე ღამე იყო, ზღვაში ვიყავით. სქელი ნისლი დილიდანვე ჩამოწვა და ჰორიზონტი დაფარა, კვამლივით შემოეხვია ანძებს, რუხი ზღვა და ზეცა გაერთიანა. გარს შემოვვეკრა. ზამთარი კი იყო, მაგრამ ბოლო დღეებში დათბა. კავკასიონის მწვერვალებზე თოვლი დნებოდა, ზღვა სუნთქავდა და როგორც ვაზაფხულის წინ სჩვევია, ოხშივრად ასდიოდა ორთქლი. პირქუში დილა იყო, ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა მანქანა გაჩერდა. ამ მოულოდნელობით, სასტვენებისა და გემბანზე ატეხილი ფეხის ხმისგან გაღვიძებული, გათოშილი, აღელვებული მგზავრები ჯიხურთან მოგროვდნენ. ისმოდა არეული შეძახილები. ნისლის რუხი ფთილები ცოცხალი არსებებივით ნელა მიცოცავდა გემზე.

მახსოვს, პირველად ძალიან შევშფოთდი. წინა ერდოზე განუწყვეტლად რეკავდა ზარი. მილებიდან საშინელი გუგუნი ისმოდა. გაქვავებულნი მიეყრდობოდით ნისლს, რომელიც თანდათან უფრო სქელდებოდა, იწელებოდა, იკლაკნებოდა და კვამლივით იშლებოდა. ზოგჯერ ისე შემოეხეოდა გემს, რომ მგზავრები წყვდიადში მოფარფატე მოჩვენებებს ვემსგავსებოდნენ. მახსენდებოდა შემოდგომის მოღუშული საღამოები, რაცა ნესტი ძვალსა და რბილში ატანს და გრძნობ, მიწისფერი გედება სახეზე. მერე ნისლს სინათლე შეეკარა, თანაბარი სისქის გახდა და სულ გადავეწერა იმედი. გემი კვლავ მიდიოდა, მაგრამ ისე ნელა, რომ ყურს ძლივს სწვდებოდა მოშუშავე მანქანის ხმა. ზარის განუწყვეტელი რეკვით იგი ნაპირიდან შორს, სამხრეთისაკენ მიიწევდა. დურდოსავით შესქელებულ ნისლს ასპიდისფერი დასდებოდა და გუნის შემაღონებლად ჩაღლეღლიყო. ორი ნაბიჯის იქით სამყაროს აღსასრულივით მოჩანდა სივრცის შემზარავი უდაბნო. ქანდარებდან, გადმონაშვერებიდან და გემსართავებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი წვეთავდა. მილებიდან ამონაბოლქვი ქვანახშირის სველი მტვერი შავ წვეთასავით მოდიოდა მაღლიდან. ამაოდ ვცდილობდი ავდრიან სიშორეში რაიმეს გარჩევას, ზმანებასავით მეხვეოდა ნისლი და მხედველობასა და სმენას მიხშობდა. გემი საპაერო ზომალდს ჰგავდა. თვალზე ლიბრივით გადამკარა ნაცრისფერი ნალვენი და წამწამებზე გაბმული ცივი აბლაბუდა. შორიახლოს მეზღვაური იდგა, თამბაქოს ეწეოდა და მარილიან, სველ ულვაშს ილოკავდა, დროდადრო სიზმრისეულ მოჩვენებას ემხგავსებოდა... ექვს საათზე ისევ გავჩერდით.

ანძაზე მიმაგრებული ელექტროფარანი ნაკვერცხალივით აკაოდდ. ძმიმე, განიერი მილების ყელიდან შავ ბოლქვებად წამოვიდა კვაღი და ჰაერში დაკედა. გემის ქიმზე უაზროდ და მოწყენილად რეკავდა ზარი. არ ვიცი, სადღაც, მოგუდული ხმით სევდიანად კვნესოდა სირენიზი თუ ყური მატყუებდა, ნისლის ამგვარ უნაპირობაში ყოველთვის რაღაც ეჩვენება კაცის სმენას. ჩაპირქუშებული ნისლი ციდან წყვდიადივით ეშვებოდა, იზლაზნებოდა და ოდნავ ეხებოდა წყალს, რომელიც ნელა ელამუნებოდა გემის ფერდებს. დადგა ზამთრის გრძელი ღამე.

მოსაწყენი დღისა და უბედურების მოლოდინისგან დაღლილი მეზღვაერები, მეზღვაურებთან ერთად, კაიუტ-კომპანიაში შეიკრიბნენ. გემის ირგვლივ უკვე უკუნი საბნელეკ იყო, შიგნით კი ჩვენი პატარა სამყარო სინათლით, ხმაურითა და ადამიანებით გავსებულიყო. კარტს თამაშობდნენ, ჩაისა და ღვინოს სვამდნენ, ლაქიები ბუფეტიდან ბუფეტისაკენ შეუხვევენებლად დარბოდნენ, ხმაური ხსნიდნენ ბოთლებს. მე ქვემოთ, ჩემს საწოლში, ეიწეკი. ზემოდან ფეხის ხმა ჩამოდიოდა. ვიღაცამ პიანინოზე მოდური მანერულ-სევდიანი ვალსიც დაუკრა, მეც მომინდა მათთან ყოფნა, ჩავიცვი და გამოვედი.

იმ სადამოს ყველა მხიარულად გრძნობდა თავს, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. გავერთეთ, ვერც კი გავიგეთ, ისე გაიარა სადამომ. ყველას დაგვავიწყდა ნისლიცა და საშიშროებაც, ვცეკვავდით, ვმღეროდით, თვალები გვიბრწყინავდა. მერე მოვეძანცეთ და ძილი მოგვერია.. დიდი, ჩახუთული, გაჩახჩახებული კაიუტ-კომპანია ბოლოს დაცარიელდა. ნახევარი საათის მერე კი აქ ისევე ბნელოდა, როგორც საერთოდ მთელ გემზე. დროდადრო მხოლოდ ზარის ხმა ისმოდა. მერე ისიც შეწყდა, საოცარი სიჩუმე ჩამოწვა... გაუკაცრიელდა ირგვლივ ყველაფერი.

ქვემოთ ჩავედი, დერეფნებში გზა გავიკვლიე, ჯიხურში დავჯექი და მარმარილოს ცივ კედელს მივეყუდე... უცბად აქაც გამოითთქა სინათლე და წყვდიადი გაქრეფდა. ხელის ცეცებით მივადწიე ტრაპამდე, ზედა გემბანზე ასასვლელად რამდენიმე ნაბიჯი ავდგი და მთვარიანი ღამის სილამაზითა და სევდით მონუსხული გავშეშდი.

რა უცნური იყო ეს ღამე! დიდი დრო გავიდა — ალბათ, მალე განთიადიც დადგებოდა. სანამ ჩვენ ვმღეროდით, ვსვამდით, ერთმანეთს ველაზღანდარებოდით და ვმხიარულობდით, ნისლის, ზღვისა და ზეცის უცხო სამყაროში შშვიდი, მარტოსული, მარად მჯმუნვარე მთვარე ამოსულიყო და შუაღამე დამდგარიყო... სწორედ ისეთივე, როგორც ზუთი, ათი, ათასი წლის წინათ... შემზარავად გარინდულიყო ირგვლივ ზშირი ნისლი. გემის წინ, ზღვის მოსარკულ ზედაპირზე რაღაც მისტიკური ჩვენების მსგავსი ნათელი იდგა: ვეიანი ღამის ყვითელი მთვარე, რომელიც სამხრეთისაკენ ეშვებოდა, წყვდიადის ფერდაკარგულ ფარდაზე გაყინულიყო და უშველებელი წრიდან ცოცხალ არსებასავით იმზირებოდა... და იყო რაღაც აპოკალიფსური ამ წრეში... არამიწიერი, სრულიად ამოუცნობი საიდუმლო სამარისებურ სიჩუმედ ჩასახლებულიყო ღამეში, გემსა და მთვარეში, რომელიც დედამიწასთან ახლოს ჩამოსულიყო და ნაღვლიანი, ბუღეცივი სახით მიმზერდა თვალებში. ტრაპის საფეხურება ნელა ავიარე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაჯირს მიეყრდენი. მთელი გემი მოჩანდა. აქა-იქ, ამოზნექილ ბიდებსა და გემბანებზე მკრთალად ბრწყინავდა წყლის გრძელი ზოლები — ნისლის ნაკვალევი. ბაგრეებსა და სკამებს შორის ამლაბუდასავით გაბლარული ჩრდილები თრთოდა. გემის შიგნით, მანქანასა და მილებში სიმედო ძალა და სიმძიმე იგრძნობოდა, მაღალი ანძები ირწეოდა. ნისლში სუსტად განათებულ ველზე გაშშებული გემი ჰაეროვან ზღაპრულ ხომალდს ჰგავდა. დაბლა, მარჯვენა ქიმთან, მოსარკული წყალი ჩუმად ლივლივებდა, შორს მსუბუქი კვამლივით ტრიალდებოდა და მთვარისკენ მიიზლაზნებოდა. თითქოს ზღვიდან ოქროს გველები ამოსცოცდნენო, სადღაც გაიბრწყინებდა ტალღა და უმალვე ქრებოდა. ეს ციმციმი ჩემგან ოცაოდენ ნაბიჯზე იკარგებოდა და კვლავ შორს, როგორც სიცოცხლეჩამქრალ თვალში, ისე გაიელვებდა. მაღლა რომ ვიყურებოდი, მეჩვენებოდა, ეს მთვარე — რომელიღაც მისტიკური ჩვენების მკრთალი სახე, და ეს სიჩუმე შეცნობადის საზღვრებს მიღმა არსებული საიდუმლოს ნაწილები იყო.

უცბად გემის წინა ერდოზე ზარის რეკვა ატყდა, სევდიანად გაიშალა ეს ხმა ირგვლივ და ღამის მყუდროება დაარღვია. წინიდან აღელვებული ხმაური და ბუზღუნი შემოესმა. საშიშროების წინათგრძნობამ ამიტანა და ბნელ ნისლს მივაშტერდი, თანდათან მსხვილი ბადაზშის თვლისხელა სისხლისფერი სანიგნალო ცეცხლი ვამოიკვეთა, იგი სწრაფად გვიახლოვდებოდა. მეკრიე ოქროსფერ ლაქებად გადდაბნილიყო და გრძელ ჯაჭვად ასხმულიყო განათებული ფანჯრები. ბორბლების ხმაურში, რომელიც ჩანჩქერის გუგუნს ჰგავდა, თანდათან გავარჩიე სწრაფად მბრუნავი ფრთების ხმა. ვიგრძენი, როგორ შეშინებულ და დეგაფუნობდა წყალი. ჩვენი გემის ნაუბათევად გამოღვიძებულმა გუშაგმა ზარის უთავბოლო რეკვა უნებლიეთ ატეხა. მძიმედ დაიხრიალა მილმა, ძალუმმა და უსიმოვნო გუგუნმა მთელი გემი შეაზანზარა. უმალვე შფოთიანი საყვირის საპასუხო ხმამ შემოგვკივლა და ნისლში გაიფანტა. მერე თანდათან მინელდა ბორბლების ხმაურიცა და სასიგნალო წითელი ნისთლეც თვალს მიეფარა. ამ კიეილსა და ხმაურში იყო რაღაც მგზნებარე და მშფოთვარე, — იქნებ შემხვედრ გემს ახალგაზრდა და ყოყლოჩინა კაპიტანი ჰყავდა, — მგარამ არავინ უწყოდა, რას მოასწავებდა ეს თავზეხელაღებული გამბედობა, თანაც ამგვარ ღამეში!

„სად ვართ?“ — გამიელვა თავში. გუშაგებმა, ალბათ, ისევ ჩათვლიმეს, მგზავრებს დაბანგულებივით სძინავთ, — ნისლმა სულ ამიბნია თავგზა... შავი ზღვის ამ ადგილებში არასოდეს ყოფილვარ, ამიტომ წარმოდგენაც არ შემეძლო, სად შეიძლებოდა ყოფილიყავით. ჩემთვის ისევე გაუგებარი იყო ამ ღამის გაუთხელელი საიდუმლო, როგორც საერთოდ ცხოვრება. მე მარტოდმარტო ვარ, არ ვიცი, რატომ ვარსებობ, რატომაა ეს უცნაური ღამე და რისთვის დგას ასე უძრავად გაშეშებული გემი მიძინებულ ზღვაში? და, რაც მთავარია, ხომ შეიძლება, ეს ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივი იყოს, მაშ რატომღა ადევს რაღაც ღრმა და იდუმალი ელფერი?

ღამის სიჩუმემ მომაჯადოვა და მთლიანად დამიპყრო, ამგვარი სიჩუმე ხმელეთზე ხომ არასოდეს ისადგურებს. ერთ წამს ისიც მომეჩვენა, თითქოს სადღაც, შორს მამალმა დაიყივლა... „გამელიმა: „ეს შეუძლებელია“, — გავიფიქრე და გამიხარდა, ყოველივე, რითაც აქამდე მიცხოვრია, ძალიან პატარა მომეჩვენა და თავი შემებრალა! იმ წუთს მთვარის შუქში გახვეული ნაადა რომ ამოცურებულიყო, არ გამიკვირდებოდა... არც ის გამაოცებდა, ტალღებიდან დამხრჩვალი ქალის გვამი რომ ამოტივტივებულიყო, მთვარის სინათლეზე თეთრ მოჩვენებად ქცეულიყო და სამგზავრო კაიუტების ფანჯრებთან ნავში ჩამჯდარიყო... მთვარე იმ პატარა მრგვალ სარკმლებში იჭყიტბოდა, მკრთალ შუქში გახვეული ადამიანები მიცვალებულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰგავდნენ... ვინმე ხომ არ გამელვიძებინა? — გავიფიქრე, ძაგრამ არა, რისთვის? არავინ მჭირდებოდა, არც მე ვგრძნებოდი ვინმეს, ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის უცხონი ვიყავით...

დიადი, უიმედო სევდის ენით უთქმელი სიმშვიდე დამეუფლა. ვფიქრობდი ჩემთვის მუდამ საყვარელ ამბებზე, ვფიქრობდი მათზე, ვისაც ამქვეყნად უცხოვრია, რომელთაც ეს მთვარე უმზერდა ოდესღაც და რომლებიც, რა თქმა უნდა, მისთვის ისე პატარები და ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ, რომ ვერც კი ამჩნევდა დედამიწიდან მათ გაქრობას. მაგრამ ახლა ისინიც უცხონი გახდნენ: მე არ განვიცდიდი ჩემს მარადიულ და დაუოკებელ სწრაფვას, მეგრძნო მათი ცხოვრება, — შეეღწყმოდი ყველას, ვისაც კი ოდესღაც უცხოერია, ჭყვარება, უტანჯია, უხარია და უკვალოდ გამქრალა დროთა და საუკუნეთა წყვდიადში. ყოველგვარი ეჭვის გარეშე ერთი რამ მწამდა მტკიცედ: არსებობდა სხვა, რაღაც უფრო დიდი, ვიდრე მიწიერი წარსულის საღრმე... იქნებ ეს ის იდუმალება იყო, რომელიც ამ ღამის მდუმარებაში იფარებოდა... და უცბად გამიელვა აზრმა, რომ შეიძლება სწორედ იმ დიადმა, რომელსაც, ჩვეულებრივ, საკვდილს ეძახიან, იმ ღამეს თვალებშიც ჩამხედა და პირველად შევხვდი მას მშვიდად, ისე ალვიქვი, როგორც ადამიანს მოეთხოვება...

დილით, თვალი გავახილე თუ არა, ვივრძენი, გემი ჩვეულებრივად მიდიოდა, ღია ლიუკიდან სანაპიროს თბილი ნიავი უბერავდა. საწოლიდან წამოვხტი, სიცოცხლის გაუცნობიერებელი სიხარულით ვიყავი სავსე. სწრაფად დავბანე და ჩავეცი. გემის დერეფნებში ხმამაღლა რეკავდნენ და სასაუზმოდ გვიწვევდნენ. ფართოდ გამოვაღე კაიუტის კარი და გაპრიალებული ჩექმების მხიარული ბაკბუკით ტრაპზე ავიბინე. ზედა გემბანზე გაღიმებული ვიჯექი და გადატანილის გამო, არ ვიცი, ვის მიმართ, ბავშვურ მადლიერებას განვიცდიდი. მეგონა, ღამეცა და ნისლიც იმიტომ იყო, რომ უფრო მეტად შემყვარებოდა და დამეფასებინა გათენება. ალერსიანი ღილა მზით ჩახჩახებდა, — ჩვენს თავზე გაზაფხულის ნათელი, ფირუზისფერი ცა კაშკაშებდა, გემის გასწვრივ წყალი ბრწყინავდა.

თარგმნა **ზურაბ გაიპარაშვილმა**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი შვილიშვილთათვის

წარსული მიანდეთ წყალობას ღვთისას.
აწმყო — სიყვარულს მისას.
მომავალი — განკვრეტას მისას.
ნეტარი ავგუსტინე

ფინათქმა

1

სვეტლანა ალილუევა, იოსებ სტალინის დრამატული ბედის ქალიშვილი, კიდევ ერთხელ წარდგება ქართველი მკითხველის წინაშე თავისი ახალი, უკვე მესამე წიგნით, რომლის მოზრდილი ნაწილი საქართველოში ავტორის ყოფნასა და ცხოვრებასაც ასახავს.

საერთოდ, ყოველი პიროვნების ცხოვრება სხვადასხვაგვარი, შინაგანი თუ გარეგნული დრამატიზმითაა აღბეჭდილი, რაც ხშირად ურთიერთგადახლართულია და ერთმანეთს აპირობებს.

სვეტლანას ცხოვრების დრამატიზმი განსაკუთრებულია. ამ განსაკუთრებულობას ორი ფაქტი ქმნის: სტალინის შვილობა და პირადი ხასიათის თავისებურება.

მთელი მისი შეგნებული ცხოვრება, ერთი მხრივ, მისი პიროვნების გარშემო სხვადასხვა პოლიტიკური სპეკულაციების ფონზე მიმდინარეობდა, ხოლო მეორე მხრივ, მისი დაუდგრომელი ხასიათით განისაზღვრებოდა.

მისივე თქმით, სვეტლანა ყოველთვის ცდილობდა განრიდებოდა პოლიტიკას, მაგრამ სინამდვილეში ეს რეალურად ვერ მოხდებოდა: ამ მხრივ ის დაბადებითვე განწირული იყო; ხოლო მისი მრავალქმრიანობა (ებრაელი, რუსი, ინდუსი, ამერიკელი) და მრავალშვილიანობა კიდევ ერთი დამადასტურებელია მასზე იმ გულწრფელ ვნებათა ბატონობისა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მისი ცხოვრების დრამატიზმს და ზოგჯერ გამოუვალ ტრაგიზმად აქცევდა.

და ეს არაორდინარული პიროვნება ბუნებით დაჯილდოებულია მწერლობის ერთგვარი დაუძლეველი სურვილით და პირდაპირ ვიტყვი, ნიჭითაც (როგორც ყმაწვილობაში — მამამისი), რაც მას საშუალებას აძლევს სიტყვით ზუსტად გამოხატოს ის, რაც განიცადა, რასაც განიცდის და რაც მომავალში შეიძლება მოელოდეს.

2

სვეტლანა რუსი მწერალია (როგორც მამამისი იყო რუსი ბოლშევიკი), მას კარგად აქვს შეთვისებული რუსული კლასიკური თუ მოდერნისტული მწერლობის ტრადიციები. მაგრამ მათგან, ამ ტრადიციებისგან განსხვავებით, მისთვის უფრო ბუნებრივია მონოლოგი და არა გაობიექტურებული მიდგომა ცხოვრებისეული მასალისადმი. იუმცა, არ შეძლია არ აღვნიშნო, რომ თავის გამოკვეთილ სუბიექტივიზმში ის ხშირად (და წარმატებითაც) ცდილობს ცალკეული მოვლენების მიუკერძოებელ გადმოცემას.

მისი წერის მანერა, სტილი, მიდგომა, ენა მთლად ტრადიციულ-მწერლური არ არის. ეს უფრო დღიურის ჟანრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვანიშნებს, რაც, ცხადია, შედის საერთოდ ცხოვრების მწერლური ასახვის ტრადიციაში, მაგრამ თავისებური,შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს მწერლურ პრაქტიკაში.

რუსული პროზის ამ ნახევრად სანტიმენტალურ და ნახევრად რომანტიკულ ტრადიციაში ისაა მთავარი, რას განიცდის ავტორი (ან ლირიკული გმირი) და არა სხვანი — თხრობის პერსონაჟები, რომლებიც განიხილებიან მხოლოდ ავტორისეული განცდის ფონზე. „მე და ისინი“ — ამგვარი მანერის მთავარი (და აღიარებული) პრინციპია.

ეს ამშვენებს კიდეც სვეტლანას პროზას, გულწრფელს და ინტიმურს ხდის და, ამდენად, იგი ლირიკული პროზის დამაჯერებელ ნიმუშად გვევლინება.

ამ წიგნში ნათლად გამოჩნდა სვეტლანას სიყვარული და პატივისცემა საქართველოსადმი, ზოგჯერ — აღფრთოვანება და აღტაცებაც. მან კარგად იცის, რომ ოდესღაც ეს დამოუკიდებელი პატარა სამეფო უზარმაზარმა იმპერიამ შთანთქა, თავს მოახვია ყოველივე უცხო: ენა, კანონები, ტრადიციები. მაგრამ ავტორი ამაყობს იმით, რომ ქართველებმა შეინარჩუნეს თავისთავადობა, შინაგანად არ დავმორჩილნენ დამპყრობთ და ყოველ წუთს მზად არიან დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

შეიძლება ვიკამათოთ და ვიდავოთ წიგნის ზოგიერთ პასაჟზე, ავტორისეულ შეფასებებზე, მის ცალკეულ გამოთქმებზე ქართველების მიმართ, მაგრამ ამგვარი რამ არ აქარწყლებს უბადური სამშობლოსადმი გულწრფელ სიყვარულს და იმ ქალურ ნაზ გრძნობას, რაც თავს იჩენს საქართველოსადმი მიძღვნილ ყოველ ეპიზოდში.

ტოტალიტარული რეჟიმის შვილი და მსხვერპლი სვეტლანა ალლუევა ამ სისტემის სასტიკ გამოვლინებებში ადანაშაულებს არა მხოლოდ საკუთარ მამას, რომლის დაცვასაც ხანდახან ცდილობს (რაც ბუნებრივია შვილისათვის), არამედ ყველას, ვინც იმ დროს ქვეყნისა და პარტიის სათავეში იდგა. და ეს სწორი და ობიექტურია.

ის ქვეყანა და ის სისტემა დაინგრა და დაიშალა (ღმერთმა ინებოს, სამუდამოდ!). მის ნანგრევებში მოყოლილი საქართველო, უაღრესი დაძაბულობით რომ ცდილობს გაპარტახებული ქვეყნის აღორძინებას, თავს მოხვეული ომის ღირსეულად დასრულებას, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, თავისი არსებობის უაღრესად ძნელ პერიოდში იმყოფება.

ყოველი კეთილი სიტყვა, ამ დროს ნათქვამი სიღუხჭირეში ჩავარდნილი ჩვენი ხალხის მიმართ, ვის მიერაც უნდა იყოს თქმული, გვეხალბუნება და გვახარებს, რადგან გვწამს, რომ სიკეთე დასძლევს სიბოროტეს.

სიტყვას დიდი ძალა აქვს.

მით უმეტეს, თუ ეს სიტყვა მსოფლიო მასშტაბით ჟღერს. და ეს ასეა, რადგან სვეტლანას სიტყვას კითხულობენ ყველგან, ყველა ქვეყანაში და ყოველ მატერიკზე.

წავიკითხოთ ჩვენც, ქართველებმა...

თეიგიზ ბუაჩიძე

წინასიტყვაობა

დასავლეთში ჩვიდმეტი წელიწადის ცხოვრების შემდეგ სამშობლოში მოგზაურობა გუთვალისწინებელი და დაუგეგმავი ნაბიჯი იყო. წიგნებში ყოველთვის ყველაფერი ლოგიკური ჩანს, ყველაფერი მწყობრად მიედინება. მოგვიანებით გაკეთებული ყველა ახსნა დამაჯერებელია. ცხოვრებაში კი ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი, შემთხვევითი და ხშირად აუხსნელია, როგორც ჩემი ვაჟიშვილის ის პირველი ტელეფონის ზარი მოსკოვიდან — პირველი — ჩვიდმეტი წლის მანძილზე.

ავიღე ყურმილი ინგლისში, კემბრიჯში, ჩემსა და ოლიას მიერ დაქირავებულ მანსარდაში და უცებ გავიგონე რუსული სიტყვები: „მამა, ზღვრავსტეუი!“ და არ დავიჯერე. ისეთი უცნობი ხმა იყო, სავსებით სხვაგვარი, უბეში და მზოლიდ მაწინ, როცა მან გაიცინა ჩემი ინგლისურ და რუსულ ენებში გაბლარ-ოვთის გამო, მისი სიცილი ვიცანი. და ძიებდი, რომ ჩემი ვაჟი ეყო.

ამ წუთიდან ყველაფერი წარმართა ერთი გარდუვალი მიზნისაკენ: — ის უნდა მენახა, უნდა მენახა ჩემი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი, სათითოდ ყველს ხელი უნდა შევხებოდი... კიდევ წელიწადნახევარი გავე ამ დრომდე, ვიდრე ჩვენ ნამდვილად გავემგზავრებით სსრკ-ში, მაგრამ ყველაფრის დასაწყისი ხომ 1982 წლის შუა დეკემბერში ის წინასწარ სავსებით განუჭვრეტელი ტელეფონის ზარი იყო. ამ დრომდე თვით ფიქრიც კი „სამშობლოში მოგზაურობაზე“ ჩემთვის სრული აბსურდი იყო, რადგან ასეთი ფიქრისთვის არავითარი საბაბი არ მქონდა.

ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთშია არეული. პოლიტიკოსთა რაციონალობა, აკადემიკოსთა ჭკვიანური სიტყვები და წიგნები, ტელევიზიის მიმომხილველთა კვალიფიციური კომენტარები, ინტელიგენტური მსჯელობები რწმენის თაობაზე — და გულის აუხსნელი ქმედებები — ყოველდღიური მოვლენაა დღევანდელი, ორ ნაწილად გაყოფილი სამყაროს ორივე მხარეს. ეს ორი შეურიგებელი ნახევარი ძალიან, ძალიან ჰგავს ერთმანეთს — ისევე როგორც მათი მთავრობები, ყველა საგენტოთი და პროპაგანდიათურთ, და თუნდაც ჩვეულებრივ ადამიანია ცხოვრებითაც. და თუ მე ვახერხებდი შედარებით იოლად შეეწყობოდი ცხოვრებას აქაც და იქაც, ვახერხებდი ბუნებრივად შემეხიზნებინა სხვა კულტურის სამყაროში, ეს, უეჭველად, ამ მსგავსების შედეგია.

ამერიკამ და საბჭოთა რუსეთმა, უბრალოდ, არ უყოთ თუ როგორი მსგავსი ტყუპები არიან ისინი. „განსხვავებებს“ განუწყვეტლივ წარმოაჩენენ და უსაუველდ აზვიადებენ ტელევიზია, კინო, პროპაგანდისტებისა და ზერელე, ზედაპირულ ჟურნალისტთა წიგნები. მაგრამ ერთი მოხუცი კაცი — ბატონი არმანდ ჰამერი უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია განაგრძობს თავის ძნელ გმირობას: მსოფლიოს არწმუნებს, რა არაჩვეულებრივად ახლოს არიან ერთმანეთთან და როგორ სჭირდება ერთმანეთი ამ ორ უშველებელ ქვეყანას. და თუ ჩემი ხმა ავტორიტეტული არაა, მართებული იქნებოდა, არმანდ ჰამერის ხმისთვის მიგვეგდო ყური.

მაგრამ სიცრუე ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია, ხელოვნური მტრობა ცრუ შიშზეა დაფუძნებული და პროპაგანდა, აგერ უკვე სამოცდაათი წელიწადია, ბერავს, აზვიადებს ურთიერთურღმბლობის ალს, ზოგიერთ დროებით შესვენებას თუ არ ჩავთვლით მეორე მსოფლიო ომის დრს. ცხოვრება კი თავისი გზით მიედინება. ადამიანებს უყვართ ერთმანეთი, უღლდებიან, ბავშვებს აჩენენ, წიგნებს წერენ, მუსიკას ქმნიან... იმეორებენ წარსულს, მომავალს უსმობენ, ღვთისადმი ლოცვებს ადავლენენ, ეთაყვანებიან მას, მარხავენ გარდაცვლილთ, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკურ ეტიკეტებს, დღევანდელი ახალი ამბების ისტერიკას. და „აქ“ და „იქ“ ბავშვები უნდა აღიზარდონ წესიერ და გულწრფელ, სიკეთის, სიყვარულის, მიტევების რწმენით გამსჭვალულ ადამიანებად, რადგან უამისოდ კაცობრიობა გარდუვალად დაღუპება, რაოდენ დიდი იდეოლოგიებითაც ნიღბავდეს ურთიერთმტრობასა და სიძულვილს. იცვლებიან თაობები, ეგრეთ წოდებული „ფარდის“ ორივე მხარეს მშობლები ერთნაირი ძალისხმევით ესწრაფვიან ახალგაზრდებში ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკლისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარის დაჭერას, მის შენარჩუნებას. ასწავლიან პლანეტის მომავლისთვის თავგანწირვას. ესწრაფვიან ჩაუნერგონ მათ ბუნებისა და მიწის, ცხოველთა და მცენარეთა, ბავშვებისა და მოხუცების სიყვარული.

რუსმა პოეტმა ნატალია კრანდიევსკაიამ სიცოცხლის ამ მარადიულ ნაკადზე ასე თქვა ლექსს „ეპიტაფიაში“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ პოეტის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი (გთავაზობთ ბწკარედულ თარგმანს — მთარგმ.):

ადამიანები მიდიან და ადამიანები
მოდიან.
სამი მარადი სიტყვა: „იყო, არის
და იქნება“
წრის შეუკრავად იმეორებს წრეს.
სიყვარულის გვირგვინს,
სიხარულებსა და ტანჯვებს
კვლავ აიტაცებენ ახალგაზრდა
ხელები.
როცა მათ ჩვენ გავცდებთ
ხელებიდან.
დე, იყოს ის მსუბუქიც და
აყვავებულიც
ახალი ცხოვრებისთვის, ჩვენს
კვალზე რომ მოვა.
ისე კეთილად ისურველოს მთელი
მიწიერი სიტურფით,
როგორც ჩვენთვის სურნელებდა!
ნუ გეშინიათ გამეორებისა:
სიკვდილის იდუმალებაც და
დაბადების იდუმალებაც
კურთხეულია მარადი სიახლით.

ნატალია ვასილიევნას ვაჟმა, მოსკოველმა ფიზიკოს-ქიმიკოსმა ფიოდორ ფიოდორის ძე ვოლკენშტაინმა ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, მაიძულა ჩამეწერა ჩემი ოჯახის ისტორია. „ოცი წერილი მეგობარს“ მისი მისამართით იყო გაგზავნილი და მისი დაჟინებითი ძალდატანების გარეშე არ დაიწერებოდა. სამწუხაროდ, იგი უკვე ცოცხალი აღარაა, მაგრამ ჩვენ მას ამ წიგნის — ავტობიოგრაფიული თხრობის უკანასკნელი თავის ფურცლებზეც შევხვდებით... არც ეს სამუშაო იგეგმებოდა ასეთად — მე უფრო დიდი სამოვნებით დავწერდი ოპტიმისტური ხასიათის მოკლე მოთხრობებს, მაგრამ, რა გაეწყობა, ასეთი წიგნი გამომივიდა.

და მართებული, დროული იქნება, ღრმა მადლიერების გრძნობა გამოვხატო ფ. ფ. ვოლკენშტაინის — მეცნიერისა და ლიტერატორის მიმართ, რომელმაც თავისი მტკაცე ხელით მწერლობის გზაზე დამაყენა.

ალბებიდან ხომ ამას მოჰყვა ყველაფერი: ცხოვრების ახლებურად გააზრება, სიმართლისა და ახალი გზების ძიება და დედამიწაზე უსასრულო მოგზაურობა.

ღრმა თაყვანი და მადლობა ყოველივე ამის გამო დაუვიწყარ მეგობარს.

საზღვრის გადაკვეთა

1984 წლის სექტემბრის ნათელ დილას მატარებლით კემბრიჯიდან ლონდონს მივემგზავრებოდი და ჩანთით საბჭოთა საელჩოში მიმქონდა წერილი, რომლითაც „ჩემს ოჯახში“ დაბრუნების ნებართვას ვითხოვდი. რაკი წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ სად იმყოფებოდა საელჩო, ლევერპულის სადგურზე ტელეფონების წიგნში მოვიძიე მისამართი, შემდეგ კი მეტროში ჩავედი იქ მისასვლელად.

მრავალწლიანი ლამაზი ხეებით შემორკალულ ფართო ქუჩაზე ბევრი საელჩო იყო განლაგებული, მაგრამ ჩემთვის საჭირო ნომრებს ვერ მივაგენი (დიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ საბჭოელებმა განზრახ ჩამოხსნეს ნომრები, „სიფრთხილის მიზნით“), თუმცა ერთი შენობიდან მეორისკენ ქუჩაზე გადამსვლელ ადამიანთა გამომეტყველებათა და ტანსაცმელით შეიძლებოდა იმის მიხვედრა, რომ საბჭოთა საელჩო სწორედ იქ იყო.

წერილი ხელში მეჭირა და დიდი, ცალკე მდგარი სახლის თუჯის ძველმოდურ, დაკეტილ კუტიკარზე დავრეკე. დიდხანს არავინ მპასუხობდა. ტროტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არზე მოსეირნე პოლიციელმა თვალ-ყურის დევნება დამიწყო. თავს უხერხულად ვგრძნობდი. „რაო, ეგენი ხომ არ ჩაბარიკადდნენ?“ — გაღიზიანებით გავეფიქრე, არადა, ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი თუ დამავიწყდა, რომ სწორედ ეს იყო საბჭოური ყაიდა ცხოვრებისა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე გადავეჩვეე. არსებითად, მე ახლა კვლავდ უხლავ ხაზღვარს, რომელიც გადიოდა სხვა სამყაროში, სამყაროში, კარგად რომ ვიცნობდი, მაგრამ დავიწყებული მქონდა — იქ ხომ ადამიანებს სულ სხვაგვარად უჭირავთ თავი.

დასასრულ ქვის ბალავანში ჩადგმულ ტელეფონში გაისმა ხმა და მკითხეს, რა ენებავთო. მე ვუპასუხე, რომ ელჩთან პირადი წერილი მიმქონდა. „წერილებს არ ვღებულობთ. ფოსტით გამოგზავნეთ“. „ძოიიმანეთ! შემიძლია თუ არა აქ ვინმეს დაველაპარაკო?“ — აეჩქარდი მე.

ამას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. როგორც იქნა, კუტიკარის იმ მხარეს საბჭოურად შეკერილი ყავისფერკოსტიუმიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა და გამიმეორა, რომ წერილების ფოსტით გამოგზავნაა საჭირო. „ამ ცოტა ხნის წინათ მისის ტეტჩერს წერილით ყუმბარა გაუგზავნეს, — გამახსენდა მე. — ალბათ, ამიტომ ამბობენ. წეოილის ხელში ადეპა...“ დრო ამოიდ რომ არ დამეკარგა, ავუხსენი, ვინც ვიყავი და პირადად ელჩს რაღაც ეწერდი წერილს. ყავისფერკოსტიუმიანმა კაცმა გულისყურით მოისმინა ყველაფერი, წავიდა და მე კუტიკარის ახლოს, ტროტუარზე დამტოვა.

რაღაც ხნის შემდეგ დაბრუნდა, კუტიკარი გამოიღო და შემიპატიჟა. სახეზე ისევ გულგრილი, აღუშფოთველი გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი. „ელჩი არაა, — თქვა მან. — თქვენ შეგიძლიათ მე ამიხსნათ, რა ხდება, და თქვენ წერილიც წამიკითხოთ“.

საელჩოს (თუ საკონსულოს?) შენობაში რამდენჯერმე გადამიყვანეს ერთი ოთახიდან მეორეში, სადაც ყოველთვის დიდი მდუმარე ტელევიზორის წინ საკარძელში ჩამჯდარი ვრჩებოდი მარტო. ეტყობა, თვალს მადევნებდნენ ან ფოტოსურათს მიღებდნენ. ბოლოს ყავისფერკოსტიუმიანმა კაცმა, ისევ არცთუ მაინც-დამაინც კეთილად განწყობილმა, ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მითხრა, რომ „პასუხისთვის“ ერთი კვირის შემდეგ შემეკლო. „ჩვენ არაფერს ვწყვეტთ, როგორც მოგეხსენებათ, — მითხრა მან. — მაგრამ თქვენი წერილი მოსკოვს გადაეცემა“. და მე წამოვედი.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა საბჭოურ სამყაროსთან და მის წარმომადგენლებთან დელიში. იმ დღის შემდეგ, როცა ინდოეთში საბჭოთა საელჩოდან წავედი, რათა ალრ დავბრუნებულიყავი, ჩვიდმეტი წელი გავიდა.

„საბჭოურ საუბარს“ გადავეჩვეე. ემოგრანტება რუსულად სულ სხვაგვარად ლაპარაკობენ: საზღვარგარეთ ჯერ კიდევ ცოცხალია ჩეხოვის დროინდელი მშვენიერი, კლასიკური, სულ სხვაგვარი ინტონაციის მქონე რუსული ენა. კიდევ უფრო მეტად გადავეჩვეე საბჭოურ მანერებს — ანუ, უფრო ზუსტად, კარგი მანერების სრულ უქონლობას, როცა არც თქვენ წარგადგენენ თანამოსაუბრესთან და არც თვითონ წარმოვიდგებიან და, საერთოდ, ისე გექცევიან, თითქოს აეეჯი იყოთ. თავაზიანობა მოელ მსოფლიოში — დასავლეთში და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთში, — უზარმაზარ როლს თამაშობს, აქ კი თქვენ მშრალად გაუწყვეტენ საქმეს და ამისთვისაც მადლობელი უნდა იყოთ!

სხვა ვითარებაში მე, ალბათ, შემაძრწუნებდა საბჭოთა სამყაროსთან ასეთი შეხვედრა, მაგრამ ამჯერად ასე არ მომხდარა. ჩემთვის ახლა მნიშვნელობა მხოლოდ იმას ჰქონდა, თუ რას მიპასუხებდნენ. მე საბჭოთა კავშირში ამდენი წელი მლანძღავდნენ და მწყევლიდნენ, უკვე დიდი ხანია შეშლილად გამომაცხადეს და ახლა, ალბათ, კარგი დიდი დრო დასჭირდებაა დაბრუნების თაობაზე ჩემი თხოვნის მოსახსენებლად... ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის შემდეგ შევუარო? განა მათ ერთ კვირაში რაიმეს გადაწყვეტა ძალუძთ?

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ რკინის კუტიკართან გაღიმებულნი შემხვდნენ და საელჩოში შემიძღვენენ. იქ საქმეებს რწმუნებულთან ჭიეა ჩაიზე მიმიწვეს, ყველანი იღიმებოდნენ. მე უცებ თითქმის ცუდად გავხდი. ვიჯექი ჩაის ჭიქით ხელში, ვისმენდი კეთილვანწყობილ სიტყვებს, რომლებიც ნებართვას გამოსტაკვდნენ და უეცრად ვიგრძენი, რომ წონას ვკარგავდი და სადღაც, უფსკერო სივრცეში მივექანებოდი... ამასობაში კი უკვე მიჩერვედნენ, საით გავფრენილიყავი, როდის გავფრენილიყავი დ, რაც უფრო ჩქარა გავფრინდებოდი, მით უკეთესი იქნებოდა...

„არავითარ შემოხვევაში არ გაფრინდეთ ხიტროუდან, აჯობებს, ჯერ შეეცადეთ ჩაფრანდეთ ან საბერძნეთში, იქ ჩვენები დაგხვდებიან და „აეროფლოტის“ თვითმფრინავში გადგსვამენ“. ვიჯექი, ეუსმენდი და ვეშვებოდი, ვეშვებოდი უფსკრულში, სიცარიელეში, სადაც არაფერი არ იყო. რა უნდა ვთქვა ახლა? რალაც, ძალზე მნიშვნელოვანი უნდა გამოვრკვიო...

„ეამედლოვნებ, რომ მოსკოვში ჯერ კიდევ არსებობს ინგლისური სკოლები! ამას ჩემი ქალიშვილისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს“. — როგორც იყო, მოვიკრიბე აზრი. „ჰო, თქვენ ყველაფერს იქ გეტყვიან, იქ გეტყვიან“. — სიხარულით წაიღუღუნა საქმეთა რწმუნებულმა, მთლად ბადღრუნმა და მოუთმენლობით შეპყრობილმა იმის გამო, რომ მოსკოვში ხვალვე არ მივფრინავდი.

„მაგრამ ჩემს ქალიშვილს აუცილებლად უნდა მოეუფვანო ყველაფერი ეს, — ეცადე შედავება, რაკი ჩემი თავი ისევ სხვა სახიგადოებისთვის დამახასიათებელ, სავსებით სხვა ურთიერთობების საუფლოში წარმომესახა. — მან ხომ ჯერ არაფერი იცის“, — ეს ისე ვთქვი, თითქოს საკუთარ თავს ველაპარაკებოდი და მესმოდა, რომ ეს დანშაულად აღიქმებოდა.

ძლივს დავიყოლიე ისინი, რომ თითქმის მთელი თვით, ოქტომბრის ბოლომდე დავყოვნებულიყავი. ოლგა მაშინ შინ, შემოდგომის არდაღეგებზე იქნებოდა, და ჩვენ, — მე და ის, შევძლებდით ერთი კვირით საბერძნეთში ჩასვლას, რაც, სიტყვამ მოიტანა და, დიდი ხანია გვქონდა განზრახული. „ჰოდ, ძალიანაც კარგი! — გავხარდა საქმეთა რწმუნებულს. — იქ კი, ჩვენებთან, საელჩოში მიხვალთ, ცოტას დისვენებთ, შემდეგ თვითმფრინავში ჩასხდებით და მოსკოვში გაფრინდებით!“ — ის თითქმის აღტაცებული იყო.

შინ, კემბრიჯს გავემართე, თითქოს ნისლეულში მივცურავდი. გზაზე, ჯერ მეტროში, შემდეგ კი მატარებელში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ ვეტყოდი ყოველივე ამას ოლგას. მაშინ მეჩვენებოდა, რომ როგორც კი ის შეკედოდა დიდ ოჯახურ წრეში, რაც ყოველთვის აკლდა, ყველაფერი მოგვარდებოდა. თავს ვირწმუნებდი, რომ ყველაფერი საუკეთესოდ აეწყობოდა. ოლგას დაბრუნებამდე ზუსტად ერთი თვე რჩებოდა. ყველაფერი უნდა მომეფიქრებინა. რას წავიღებთ თან? ძალიან ცოტა რამეს, მხოლოდ ყველაზე აუცილებელ რამეებს. დანარჩენი ქალალდები და წერილები უნდა მოვსპო... მაგრამ ბინა? მაგრამ ავიჯი? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! უკან ბრძოლუნება უკვე შეუძლებელია.

ერთი თვის შემდეგ მე და ოლგა, ჩვეულებრივ, ვმგზავრობდით ავტობუსით — ესეკსდან შინ, არდალეგებზე მოდიოდა. უკვე იცოდა, რომ საბერძნეთში გავფრინდებოდით ორი დღის შემდეგ.

დიდი ხანია ვგეგმავდით ამ ერთობლივ მგზავრობას, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ვაპირებდით. საბერძნეთზე ბევრი რამ ვიცოდით ჩვენი მილუოკელი მეგობრებისგან, და ვფიქრობდი, რომ იქ ბევრ მსგავსებას ვნახავდი შავი ზღვის სანაპიროსთან, რომელიც აგრე ძვირფასია ჩემთვის ბავშვობის მოგონებებით. დიახ, მაგრამ ახლა ოლგა გაცილებით უფრო ტიროიზულ შეკრებებს ალინახავს—როგორ აეუხსნი მას ყველაფერ ამას?.. ჩვენ ინგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისში უკვე ორი წელი ვიცხოვრეთ, ამას წინათ პატარა ოთახი ვიყიდეთ და გვეგონა, რომ, როგორც იყო, დავფუძნდით და ვტკბებოდით ჩვენი ახალი საცხოვრებელი ბინით და სახლის მფლობელთაგან დამოუკიდებლობით.

აღელვებულმა გადაწყვეტე, მარჯვე დროს არ დაელოდებოდი და პირდაპირ ეგრევე მეთქვა ოლგასთვის, რომ საბერძნეთიდან მოსკოვში წავიდოდით, რათა, ბოლოს და ბოლოს, შევზეიმოდით მთელ ოჯახს. როცა ჩვენი ორსართულიანი ავტობუსი კემბრიჯისკენ მიმავალ გზაზე პატარა ინგლისური სოფლების შუაგში მიჯაჯაყებდა და მოყანყალებდა, მე ასეც მოვიქეცი. ვოგონა გაოგნდა, მაგრამ არ შემომდგარა.

„შემდეგ კი სკოლაში დაბრუნდები?“ — მაშინვე მკითხა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან რამეზე. „დიახ“, — ვაიძულე თავი ეს მეთქვა. რაკი არ შემეძლო ახლა მედავა მასთან, მაგრამ ვიცოდი, რომ მალე მისთვის სრული სიმართლის თქმა მომიწევდა. ოღონდ, სჯობს ეს უფრო გვიან, შემდეგ მოხდეს... თუ ყველაფერს ახლა ვეტყვი, იქით ველარ გავემგზავრებით, ყველაფერს შეაჩერებ. ცამეტი წლის ასაკში უკვე ასე ძლიერი ჩანს. მაგრამ იქ, ოჯახში ყოფნა მოეწონება... ჩემი თავი ისე მძაგდა, თითქოს ვიღაც გამექურდოს. საჭირო იყო, ახლა ყველაფერზე ხელი აგვეღო, ყველაფრისთვის ნიგვეფურთხებინა... მაგრამ ამის გაკეთება უკვე არ შემეძლო.

შემდგომ დღეებში ოლგას რაღაც, უფრო დიდი ეჭვები გაუჩნდა, რაღაცებს გამოკითხვა დამიწყო, მაგრამ პასუხის ბაღემისგან თავს ვიკავებდი. როცა ტაქსი უკვე დაკვეთილი იყო, რათა დილით ხატრიუს აეროპორტში წავსულიყავით, მთელი ღამე არ მეძინა და მზად ვიყავი, ყველაფერი შემეცალა. ოლგას, შესაძლოა, ძალიან უმძიმდა, — მე ეს გონებით მესმოდა. მაგრამ უკვე ცნობისწყლილით მეკითხებოდა საბერძნეთზე — ჯერ კიდევ ბავშვია და ჩქარა ივიწყებს ბევრ რამეს. დაივიწყებს ყველაფერ უსიამოვნოს, ჯერ ასე ახლგაზრდაა... ბრაუები უკვე ამუშავდა, მანქანა მზად იყო ასაფრენად — მოელენების შეჩერება შეუძლებელი იყო...

რაღაც მანქანებით, ის, რის დაფარვასაც ცდილობ, სწორედ იმათთვის ხდება ცნობილი, ვინც არ უნდა იცოდეს. უცებ რეკავს ინგლისელი კორესპონდენტი. ამბობს, რომ დასავლეთგერმანულ გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა სსრკ-ში ჩემი დაბრუნების შესახებ. მე ვუთხარი, რომ ეს მართალი არ იყო. ასეთი ცუდი დასაწყისი გუნებას მიფუჭებდა.

აეროპორტში აქეთ-იქით ვიყურებოდი, კამერებიანი ხალხი ხომ არ მოგვდევს-მეთქი, მაგრამ ათენში მშვიდობიანად და უდრტვინველად ჩავფრინდით. იქ ტაქსი ავიყვანეთ და ბერძნული სასაუბროს დახმარებით ვესაუბრეთ მძღოლს. როცა გაიგო, რომ საბჭოთა საელჩოში მივდიოდით, ჩაიღიმა და თავი გადააქნია. ოლგა პირქუშად იყდა.

საელჩოს კართან უკვე ველოდა ახალგაზრდა წყვილი. ისინი ინგლისურად ლაპარაკობდნენ და ოლგა მაშინვე მიიწვიეს თავისთან. გამოირკვა, რომ სახლვარგარეთ კინოფილმების გაყიდვის საავენტოდან იყვნენ. „მადლობა ღმერთს, — ვფიქრობდი მე, — კარგი დასაწყისია: ისინი ოლგას შეაქცევენ, შესაძლოა, მოეწონოს კედელ, და კარგი პირველი შთაბეჭდილება შეექმნას...“

ამასობაში საქმეებზე სალაპარაკოდ დამიძახეს. „თვითმფრინავი მოსკოვში სამი დღის შემდეგ გაფრინდება“, — თქვა ვიღაცამ, ვისი სახელიც ვერ დავიმახსოვრე. ჯერჯერობით კი ათენის დათვალიერება და მოსკოვში წასაღები საჩუქრების ყიდვა შემოგვთავაზეს. ლონდონში საჩუქრების საყიდლად არ გვეცალა. საღამოს კი ვვიწვევდა შეხვედრა (ჩაი) ახლად დანიშნულ ახალგაზრდა ელჩთან, სულ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ანდროპოვის ვაჟთან.

იგორ იურის ძე ანდროპოვი იყო ახალი თაობის დიპლომატი, ცივილიზებული, საუცხოო ბანერების მქონე და უცხო ენების ჩინებულად მცოდნე პიროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება. მისი დასავლურად მომზიბვლელი ცოლი განალებით თეატრმცოდნე იყო, თვითონ ის კი ისტორიკოსი. ორივემ მაშინვე დიდი ყურადღება მიაქცია ოლგას, რაკი ესმოდათ, რომ ჩვენი ყველა პოტენციური სიძნელის, პრობლემისა და წარმატების ცენტრში ის იქნებოდა. იგორ იურის ძე მივიდა გოგონასთან, ინგლისურად გამოელაპარაკა და ოლგას მაშინვე აუწყდა გული, ის უკვე შვებას გრძნობდა. გულღიაობა, თანაზიარობა ყოველთვის მისი თანდაყოლილი თვისება იყო და მე ვხედავდი, რა საინტერესონი იყვნენ მისთვის „ეს რუსები“, რომლებსაც აქამდე არასოდეს შეხვედროდა. მისი ყოველი გაღიმება მაიმედებდა და ოდნავ მაინც უკეთ ვგრძნობდი თავს.

მაგრამ დანარჩენი კომპანია არავითარ ენთუზიაზმს არ მინერგავდა. ახალგაზრდა ელჩისა და მისი მეუღლის გარდა, ყველანი ძველმოდურებად, ოფიციალურ, ცივ, საბჭოთა ბიუროკრატებად გამოიყურებოდნენ. განსაკუთრებით მტრული ჩანდნენ სქელი, სახემრგვალი მანდილოსნები. უცებ ცუდად ვიგრძენი თავი, როცა თვალწინ დამიდგა ასეთივე მიღება დელეში, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებთან, წლების წინათ. თითქოს კინოს ძველმა ლენტმა დაიწყო უკან გადახვევა. ისეთივე მიზანსცენები, ისეთივე შეხედულებები, როგორიც იყო მაშინ, უკანასკნელად რომ ვუჯექი მაგიდას ელჩ ა. ბენედიკტოვთან, როცა გაქცევა გადაწყვეტე... აქ მხოლოდ იოლია რეალური სამყაროს არსება და განუწყვეტლივ მაგებინებს, რომ რეალობის საქმე რაღაცით ვერაა მთლად კარგად.

ჩვენთვის გამოყოფილ ორსაწოლიან ოთახში დამით ოლგა, ბოლოს და ბოლოს, იწყებს აღშფოთებას. მისთვის უკვე არაფრის ახსნა არ მიხდება — თვითონაც ესმის, რომ ჩვენ აქედან ინგლისში არ დავბრუნდებით... ისე დავიღალე, რომ ცუდად ვგრძნობდი თავს ყველა ამ შეპარისპირებისა და მოგონების შედეგად. ახლა კი მოსკოვში ჩემი ჩასვლაც უნდა წარმომედგინა...

„არა, ბოლოს და ბოლოს, გვსმის თუ არა, რამდენი წელია, რაც ისინი არ მინახავს?“ — ვეკითხები ოლგას სასოწარკვეთით. დიახ, მას ესმის ეს. და ჩუმდება. ჩვენ ორივენი ვდუმვართ, და ვტირთ, ის თავის საწოლში, მე — ჩემსაში.

შემდეგ ჩვენ დავყავართ ათენში, ვეიჩვენებენ აკროპოლს, ღირსშესანიშნაობებს. ოლია ჩინებულად იქცევა, იღიმება, ფოტოსურათებს იღებს, სუვენირებს ყიდულობს. ჯერ კიდევ ინგლისში წაიკითხა, რომელიღაც ჟურნალში, რომ მოსკოვში ახალგაზრდობა ფირმა „ადიداسს“ სპორტულ ტანსაცმელსა და ჩანთებზე ნადირობს და ახლა სწორედ ამევებს ეძებს მასზე ერთი წლით უფროსი ძმისშვილისა და ჩემი შვილიშვილის — ილიასთვის. ოლგა კეთილია, გულუხვია, ყოველთვის სწადია ასაძოვნოს სხვებს და, მგონი, წყენა უკვე დაავიწყდა. მალაზიები ყოველთვის ართობს, ამ ასაკში უსაძოვნო რაღაცები იოლად ავიწყდებათ. მე ჩემს შვილიშვილ ანიუტასთვის მოქარგული კაბა, ჩემი ვაჟიშვილისა და მისი ახალი ცოლისთვის — რაღაც სამშვენისები ვიყიდე.

„აეროფლოტის“ თვითმფრინავი ხვალ მიფრინავს მოსკოვში სოფიას გავლით. თავაზიანად მეკითხებიან, საჭიროა თუ არა აცნობონ ჩემს ვაჟს, რომ ის აეროდრომზე დაგვხვდეს. შემინებული ვეუბერები მათ: „არა, არა!“ ახლა სწორედ ხალხის თვალწინ ემოციური სცენები გვაკლია! აჯობებს, სასტუმროში მოვიდეს შესახვედრად. ჩვენ სასტუმროს შოვნას ვთხოულობთ, რადგან მთელი ამ წლების მანძილზე მხოლოდ სასტუმროებში ცხოვრებას და თავის დამოუკიდებლად შეგრძნებას შევეჩვიე. და, საერთოდ, ღ მ ე რ თ მ ა უწყის, რა ქალია ეს ჩემი ახალი რძალი, — პირდაპირ ხომ არ მიკვდება სტუმრად.

„კეთილი, თუ ასეა, — მეუბნებიან, — თქვენ დაგხვდებათ საბჭოთა ქალთა კომიტეტის წარმომადგენელი“.

გასაგებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ოფიციალური არხებით ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ეს უკვე სულ ერთია. ასეთ დროს არ ირჩევენ, რა და როგორ გაკეთდეს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც „ზემოთ“ გადაწყვეტენ. კითხვებს არ იძლევიან, ანდა, ამ დეტალებს რა მნიშვნელობა აქვს? მე მალე ვნახავ ჩემს ვაჟიშვილს, ვნახავ მათ, ყველას...

თვითმფრინავი სულ ფეხრ და უფრო უახლოვდება მოსკოვს — ქალაქს, სადაც დავიბადე, გავიზარდე, სადაც დავდიოდი სკოლაში, უნივერსიტეტში; ქალაქს, სადაც დაიბადნენ ჩემი შვილები. რატომ არ ვღელავ, რატომ არ ვტირი ბედნიერების ცრემლებით: სული აწეწილი მაქვს, ვნერვიულობ, მაგრამ ეს სულაც არაა „სიხარულის მღელვარება“. შიგნით რაღაც მაგრად მაკავებს და ჩემს გრძნობებს თავის ნებაზე არ უშვებს. არც კი შეიძლია გაეერკვე საკუთარ გრძნობებში, როცა მოსკოვის გარეუბნების ყანებსა და უკვე დთოვლილ ტყეებს ვხედავ; მათ თავზე თვითმფრინავი ტრიალდება. იქ ადრეული და ცივი ზამთრიაო წელს, მითხრეს თონნში. საბერძნეთი კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს მსგავსი მომეჩვენა და ეს იყო ერთადერთი სასიამოვნო შთაბეჭდილება ამ უკანასკნელ დღეებში. ახლა ადარაფერს ვერძნობ. ოლგა აქეთ-იქით იხედება, მეზავრებს ათვალიერებს. მე კი რა დამბლა დამეცა?

აგერ, შერემეტიევოს აეროპორტი საიდანაც 1966 წელს გავფრინდი ინდოეთში. გაიზარდა, უშველებელი, მოღრენული გახდა. ჩვენი თვითმფრინავი რომელიღაც ცალკე შესასვლელთან მიდის, ეტყობა, ესაა მისადგომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირებისთვის. ირგვლივ ხალხი არ ჩანს, სხვა მეზავრები სადღაც, სხვა ადგილას არიან. ნაცნობი სოციალური სეგრეგაციაა. მკაცრ ოფიციალურ კოსტიუმში გამოწყობილი ქალი, რომელსაც ცელოფანში გახვეული ყვავილების თაიგული უჭირავს, თვალებიდ მეძებს, მპოულობს და ცდილობს გაიღიმოს. ეს ცუდად გამოსდის ღა მე ის, საწყალი, მებრალება კიდეც მასზე დაკისრებული ამ მისიის გამო. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანების“ მსგავს რაღაცას მეუბნება და ორიენტი შეეცბუნებული ვართ ყოველივე იმით, რაც აქ ხდება.

ოლგას უახლოვდება ახალგაზრდა, სანდომიანი მთარგმნელი ქალი, და ახლა, მადლობა ღმერთს, ისევ ჩნდება დიმილი და კონტაქტები. ცამეტი წლის მოსწავლის კვალობაზე ოლგას ჩინებულად უჭირავს თავი. რა სანქციებიდ იკავებს თავს — თუ მას მართლა აინტერესებს ეს ყველაფერი? „მისგან მომავალში შეიძლება შესანიშნავი დიპლომატი დადგეს“, — ეფიქრობ რადაცნაირი გაღიზიანებით, იმიტომ, რომ ძალიან მიჭირს თავის მორევა და უსაამოვნებას ვგრძნობ.

ჩვენ, ყველანი, შევყავართ სადღაც, ცალკე ოთახში, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდასთან გვსვამენ და ჭიქებში შამპანურს ვვისხამენ. ყველანი ჭიქებს ეუჭახუნებთ ერთმანეთს და „ჩამოსვლის“ სადღეგრძელოს ვსვამთ. არ ვიცი, ოლგას როგორ უთარგმნა ეს მისმა მთარგმნელმა, მაგრამ გოგონას ძალიან კარგად უჭირავს თავი. მე მინდა, ძალიან მინდა, რაღაც დადებითი ვიფიქრო მთელი ამ სიურეალისტური ზმანების წიაღ...

ჩვენ ჩვენს სამშობლოში ჩამოვედით. რას ნიშნავს ეს? როგორ მოხდა ეს? საერთოდ, როგორ გახდა შესაძლებელი?.. და ეს ნამდვილად რაღაც შეშლილობა იყო თუ პირიქით, ღრმად საფუძვლიანი და აუცილებელი ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ბედისწერა გვაიძულებს ჩვენი „საღი აზრის“ საწინააღმდეგოდ, მგრამ ღმერთის სიბრძნის შესატყვისად სიბრძნისა, რომლის შეცნობაც ზშარად არ ძალეგიძს, რადგან ის ჩვენს ვიწრო მიწიერ ფარგლებში არ ეტევა?..

ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გაკეთებთ, ძვირფასო მკითხველო. ყვერდზე გადადეთ თქვენი კალამი, ძვირფასო კრიტიკოსო, ეს წიგნი ბოლომდე ჩაიკითხეთ და არც მაშინ განმსაჯოთ ერთბაშად. შესაძლოა, პასუხი სახელდახელოდ მიიღოთ და ეს თქვენ თვითონვე გაგაკვირვებთ. ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც უკან იხედება, ფიქრობს, რომ ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, უკეთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობისკენ წარიმართება, სამშობლოში ამ კანონზომიერი დაბრუნების ჩათვლით. მაგრამ ყველაფერი ეს მაშინ ასე სულაც არ შეიგრძნობოდა. განსაკუთრებით „საზღვრის გადაკვეთის“ უშუალოდ წინა წლებში.

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲨᲘ

როცა მე და ჩემი ქალიშვილი 1982 წლის აგვისტოში კემბრიჯში ავმოჩნდით, ამას წინ ძიებათა ხანგრძლივი დროის მონაკვეთი უსწრებდა. თერმეტი წლის მოზარდს ევროპულ სკოლა-პანსიონში შეეყანა საგანებით აუცილებელ რამედ მიმაჩნდა. ამერიკელი მოზარდების, მისი თანატოლების ცხოვრებამ, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სკოლაში, ამის აუცილებლობაში საგანებით დამარწმუნა. ოლგა მთასავით არაორგანიზებული, არადისციპლინირებული, ეგოისტური პიროვნება ხდებოდა.

მაგრამ მე ინგლისისკენ კი არ ვილტვოდი, რომელსაც მაშინ არ ვიცნობდი, არამედ შვეიცარიისკენ, რომელზეც ყველაზე კარგი მოგონებები შემომრჩა 1967 წლის გაზაფხულიდან, და სადაც იყო მაღალი აკადემიური სტანდარტების ინგლისურენა პანსიონები. ნიუ-იორკში ამ სკოლებს ჰყავდა თავისი აგენტები, ასე რომ შესაბამისი გამოცდებისა და ტესტების გავლის შემდეგ, ოლგას შესთავაზეს ადგილი მონტრეს ახლოს მდებარე წმ. გიორგის სკოლაში.

მაგრამ გამოირკვა, რომ მე არ შემეძლო შვეიცარიაში ყოფნა უცხოეთის ქვეშევრდომის სტატუსით. გაცილებით იოლი იყო მამეღო ინგლისში ცხოვრების ნებართვა (მუშაობის უფლების გარეშე), ამიტომ მოგვიხდა სასწრაფოდ მოგვემართა განცხადებით ინგლისის პანსიონებისთვის.

ამ მიზნით 1982 წლის გაზაფხულზე გავემგზავრეთ ლონდონს, რათა ეწვეოდი საააგენტოს, რომელიც პანსიონში მოწყობის ფორმალურ მხარეს განაგებდა. მაგრამ ამ მგზავრობის წინ მოხდა ერთი გაცნობა, რომელიც შემდეგ გადამწყვეტი აღმოჩნდა ოლგასთვის, მთელი მისი შემდგომი ცხოვრებისთვის. და ინგლისში მთელი ჩვენი ცხოვრება უცებ საგანებით გარკვეული, მაგრამ წინასწარ სრულიად გაუთვალისწინებელ ჩარჩოებში აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ პრინსტონელი ჩემი ერთი ძველი მეგობრის, ახლა უკვე ნიუ-იორკში ეპისკოპალური სემინარიის პროფესორის სახლში შემთხვევით გავიცანი მაშინ ამერიკაში ჯერ კიდევ ნაკლებ ცნობილი ტერი უაიტი. ინგლისი უკვე კარგად იცნობდა კენტერბერის არქიეპისკოპოსის ამ ასისტენტს, რომელმაც თავისი პირადი მამაცობისა და შეუპოვრობის წყალობით შეძლო ირანში პომეინის ბრძანებიდან რამდენიმე ინგლისელი მოეგლია დახსნა. ლეს ტერი უაიტის სახელი მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი ბეირუთში ამერიკელი მძევლების გათავისუფლების ცდათა გამოისობით, რაც ჯერჯერობით თვით მისი შეპყრობით დამთავრდა.

ახალგაზრდობის წლებში ტერი უაიტი, ჩვენი ნიუ-იორკელი მეგობარი და ერთი სხვა პირი (ახლა ინგლისში, კემბრიჯში რომ ცხოვრობს) აფრიკაში ამერიკული ზიარების მისიონერები იყვნენ. ამ მშვენიერი დროის (როგორც სამეგანი ამბობდნენ) მოსაგონრად ისინი განაგრძობდნენ ერთმანეთთან შეხვედრებს. მე ტერი უაიტი ერთხელ სწორედ ასეთ შეხვედრაზე გავიცანი. ამ ტანმაღალი, სასიამოვნო წვერისნსნი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცის თვით გარეგნობაც კი მისდამი სიმპათიასა და ნდობას იწვევს. მასთან კამათი უსარგებლო რამაა და ეს არც გინდვა ადამიანს.

უდავოა, რომ ტერი დარწმუნების მაგნატურ ძალას ფლობდა, რასაც ეფაერებოდა მისი მისიების წარმატებები. მისი თვალებიდან აშუქებდა ბავშვურობა და არარეალურ ბრივი სიკეთე (მინდოდა მეთქვა — წრფელი „ზრუნვა მოყვასზე“), რაც, სულის კოლოსალურ ძალასთან შერწყმით, იქცევა ამ საფუძვლად, რომელიც წმინდანებს და სამართლისთვის მოღვაწეებს წარმოშობს.

ჩვენს მიერ ინგლისში სკოლის ძიების ამბავი რომ მოისმინა, ტერიმ ეს საკითხი თავისებურად გადაწყვეტა: მე ლონდონში მის სახლში უნდა დავბინავებულიყავი, ჩემი ქალიშვილისთვის კი საუკეთესო სკოლა იქნებოდა კეკკერების პანსიონში, სადაც სწავლობდნენ ტერის ძველი მეგობრის, ახლა უკვე კემბრიჯის მკვიდრის გოგონები.

ამის შემდეგ ყველაფერი უკვე არა ჩემი, არამედ ტერის გეგმით ვითარდებოდა, თუმცა მე ჯერ მას წარუმატებლად ვუწევდი წინააღმდეგობას, რადგან შემიყვარდა კათოლიკური სკოლები (რომლებსაც პრინსტონიდან ვიცნობდი) და არაფერი ვიცოდი კეკკერთა განათლების სისტემაზე. საერთოდ, კეკკერები (თუმცა კი ვიცოდი, რომ ისინი პაციფისტები იყვნენ) ისეთივე მაღალი ზნეობის პირმოთნე პურიტანელებად მეხსიერებოდნენ, ამერიკაში რომ უკვე შეეხვედრიან.

კათოლიკური სკოლებისა და უნივერსიტეტებისადმი ჩემს სიმპათიას იზიარებდა ჩემი მიმოწერითი მეგობარი (1967 წლიდან) ანჯეი დ., რომელსაც, როგორც იქნა, შევხვდი ინგლისში. მე მაინც გავუზავე დოკუმენტები რამდენიმე კათოლიკურ სკოლაში. ანჯეის რჩევით, ჩვენს ადგილსამყოფლად აღმოსავლეთ ინგლისი ავირჩიე და არა ფეშენებელური საგრაფოები ლონდონის დასავლეთით ან სამხრეთით. ანჯეი, როგორც ლონდონში ოც წელიწადს ნაცხოვრები მხატვარი, ამტკიცებდა, რომ ბრტყელი აღმოსავლური ვაკე, „სადაც ასე ბევრი ცაა“, მას ინგლისის ულამაზეს, ჯერ კიდევ წაუხდველელ და არაინდუსტრირებულ ნაწილად მიაჩნია. და რამდენადაც ტერიმ უკვე სთხოვა თავის ძველ მეგობარს, ჩვენთვის კემბრიჯში ბინა მოეძებნა, ყველაფერი თავისთავად აღმოსავლეთ ინგლისის სასარგებლოდ გადაწყდა. ჰოდა, ჩვენი არჩევანიც სწორედ ასე გავაკეთეთ, — სრულიადაც არა რაციონალური ან კიდევ რაღაც სხვა, უფრო სერიოზული მოსაზრებებით.

იყო სხვა შესაძლებლობებიც. ჩვენ შეგვეძლო აღმოვჩენილიყავით ოქსფორდში, ერთ-ერთი სახელგანთქმული აკადემიოსის მფარველობით. შეგვეძლო აღმოვჩენილიყავით ლონდონშიც, სადაც იყო სხვა-ისთვის რადიმაუწყებლობაში მუშაობის შესაძლებლობა. ოქსფორდელმა აკადემიკოსმა თავისი გამომცემელი გამაცნო და შემომთავაზა, უფრო სწორად — შემპირდა, რომ ინგლისში გამოსცემდნენ ჩემს ახალ წიგნს, თუ მას დავწერდი. სწორედ ამის საფუძველზე მომეცა ვიზა ერთი წლით, მისი გაგრძელების უფლებით — როგორც მწერალს, რომელიც წოგნებიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობს. მე ჯერ კიდევ შემიძლო პანსიონის საფასურის გადახდა და ინგლისში ფრიად ხელმოკლედ ცხოვრება, მაგრამ ჩემი ქალიშვილის კოლეჯისთვის სახსრები უკვე არ გვქონდა. ამ გარემოებებში ვერაფრით დავარწმუნე ოქსფორდელი აკადემიკოსი, რომელიც, პრინსტონში ჩემი მფარველების მსგავსად, ძალიან შეძლებული კაცი იყო. და, სიმართლეს თუ ვიტყვით, ჩემთვის გაცილებით უფრო სასიამოვნო იყო მესარგებლა ამერიკელთა ზიარების სამი მსახურის, უფრო ხელმოკლე და კეთილი ადამიანების დახმარებით. მე უკვე მქონდა ამერიკაში დიდი რანგის მფარველებთან ურითერთობის მრავალწლიანი სამწუხარო გამოცდილება, მფარველებთან, რომლებიც არასოდეს ეშვებოდნენ საშუალო შეძლების ცხოვრების დონემდე და უფრო პოლიტიკით იყვნენ გართული, ვიდრე ადამიანთა ზვედრით.

და აი, 1982 წლის პასექზე ტერი უაიტმა, თავის მეგობრებთან ერთად, მიმიწვია კემბრიჯში ლანჩზე, შემდეგ ახლო მდებარე საფრონ უოლდენში კეკკერების სკოლის სანახავად გავემართეთ. უნდა ვადიარო, რომ ანა ობოლთა თავშესაფრების ძველ ფოტოგრაფიებზე რომაა, ისეთ შავ რკინის საწოლებიან, ცარიელ, პირქუშ საერთო საცხოვრებლებს აღვუტაცებივარ, არე მთელ უსიხარულო და ულამაზო სკოლას და არც მის დირექტორს. ის ცდილობდა გაეგო, თუ რატომ დაენტერესდი კეკკერების სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, მაგრამ ამ კითხვის პასუხი არ მქონდა. სკოლაში პროგრამები არ არსებობდა და მთელი საუბარი დავიდა რამდენიმე საერთო ჭეშმარიტებამდე, რაც რემთის ახალგაზრდობის აღზრდის პრინციპებით არამც და არამც არ აიხსნება. მაგრამ დირექტორი ძალიან გულისხმიერი გახლდათ და, როცა შტატებში დავბრუნდი, მისმა სკოლამ პირველმა გამომიგზავნა საგამოცდო მასალები, შემდეგ კი ადგილი შემომთავაზა. რაკი უკვე ვვიანი გაზაფხული იყო და დრო აღარ მრჩებოდა, ყველაფერში ტერი უაიტის შეხედულებას დავეყრდენი. შეეუდექით აგვისტომდე კემბრიჯს გამგზავრების თადარიგის დაჭერას, სადაც მისი მეგობრები ჩვენთვის ბინას ეძებდნენ, ხოლო სკოლის განსაზღვრულობა გვეხმარებოდა ინგლისში ჩვენი გადასვლის ყველა ბიუროკრატიული საბუთის გაფორმებაში. სახლი ნიუ-ჯერსიში ზაფხულში გაიყიდა, ჩვენი ქონება კი ვისკონსინში გადაიზიდე (ვკარაულობდი, რომ ინგლისის შემდეგ იქ დაბრუნებას შევძლებდით). დაგეგმილი არ მქონდა ევროპაში უსასრულოდ დარჩენა, თავს ამერიკელებად მიეჩნევდით. აშშ-ის აღმოსავლეთ ნაპირზე დაბრუნება კი მომავალში საეჭვო იყო: შუა დასავლეთში ცხოვრება მაინც ნაკლებ მეტი ჯდება. თანაც, ჩემი მრავალი პირადი განცდა დაკავშირებული იყო ვისკონსინთან, რაზეც მკითხველს ამ წიგნის ბოლოშიც ვესაუბრები.

კემბრიჯში, ძველ მწვანე ქუჩაზე, სადაც ახლა ჩამოსული მასწავლებლისთვის ბინებად და ცალკეულ ოთახებად მიქირავებული ვიქტორიანული სტილით ნაგები პროფესორთა სახლებია ჩამწკრივებული, ჩვენი მასპინძლები აღმოჩნდნენ აგრარული ეკონომიკის უსასიამოვნოსი პროფესორი — მხიარული ულვაშა ბერიკაცი, გარეგნულად უფრო ფრანგი, ვიდრე „ტიპური ინგლისელი“ და მისი გამხდარი, ავადმყოფური სახის ცოლი. მათს უშველებელ ბინაში, ჩვენს გარდა, კიდევ ორი ბინის დამქირავებელი ოჯახი ცხოვრობდა. „კოშკო, კოშკო-კოშკერა, კოშკში ვინა ცხოვრობს? მე ყოველნა ბაყაყი ვარ, შენ კი ვიღა ხარო?“

ჩასვლისთანავე მე და ოლია ციცაბო კიბეს ავუყვევი, სულ ზემოდან, მანსარდში ავედით, საიდანაც დიდი ბაღის უკვე აოქროსფერებული ხეების საოცარი ხედი იშლებოდა. დიასახლისმა ამიხსნა აბაზანაში ცხელი წყლის გაშვების რთული ხერხები, რაც თვით მოსკოვის ბინებთან შედარებითაც კი მოძველებული მომეჩვენა. მასალებსა და საწოლ თოახში ვერავითარი გამთბობი მოწყობილობა ვერ ვნახე, გარდა გაზის ბუხრისა და მეტისმეტად ძველმოდური პატარა ელექტროღუმელისა. ბაღში გამავალ ლამაზ ფართო ფანჯრებს კი ორმაგი ჩარჩო არ ჰქონდა, რაც ზამთარში სუსხს აღვვითქვამდა. რაკი საკმაოდ ბევრი რამ მსმენოდა ინგლისურ ბინებში სიცივის შესახებ, ვცდილობდი ჩემი ნამდვილი გრძნობები არ გამემჟღავნებინა.

შემდეგ გამოჩნდა ხუმარა პროფესორი და თქვა, რომ, ყოველს უწინარეს, ჩვენ უნდა მივსულიყავით პოლიციაში, რათა ფორმალურად „ჩავეწერეთ“ მის სახლში. ასეც მოვიქეცით, გზად კი ვიმსჯველეთ საბჭოურ საკოლეურნეო წყობაზე, ვიდრე ჩვენს პროფესორს მარჯვედ მიჰყავდა მანქანა კემბრიჯის დაუჯერებლად ვიწრო შუასაუუნეობრივ შუკებში. ჩემი ქალაქება მოწესრიგებული იყო — ხელთ მქონდა ერთი წლის ვიზა, რომლის ყოველ მომდევნო წელიწადს განგრძობა აუცილებელი იყო. მე და ჩემი მასპინძლები მალე დავმეგობრდით და მათ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგაც ვხვდებოდი.

ბინების სხვა დამქირავებლები აღმოჩნდნენ სამხრეთაფრიკელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ორი პატარა შვილითურთ და შეუდარებელი მის მერი კეიტი, რომელზეც ცალკე უნდა ვისაუბრო.

მის მერი კეიტი, პენსიაზე გასული ბიბლიოთეკარი, სამოცდაათ წელიწადს საკრძნობლად გადაცილებული ქალი გახლდათ. ნათელი, ცისფერი თვალები და სიფიცხე მის ირლანდიელობას ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელდა. მთელი სიცოცხლე ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში იმუშავა, ბევრს მოგზაურობდა, ნამდვილი სიბრძნის წყარო იყო და მისი ოთახი ამ უშველებელ სახლში წარმოადგენდა უთბილეს კუთხეს, რომლის კარზეც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაკაკუნება.

მის ციცქნა მისაღებში ყოველთვის ენთო გაზის ბუხარი. ქალბატონი მერი კეიტი ეფერებოდა მუზლებზე დასმულ ბებერ, კოჭლ კატას და ნაირნაირ ამბებს ჰყვებოდა გაუთავებლად. მაგიდაზე ყოველთვის ედგა მაგარი ტკბილი ჩაი, ყოველთვის ედო კარგი ნამცხვარი, მრგვალი პური და ცხარე ყველი. ძალიან ზშირად, საღამოობით, მერი კეიტი ვისკის წრუპავდა, მე კი ჯინს მიხსამდა. ირლანდიაში ნათესავები კი ჰყავდა, მაგრამ აქედან წასასვლელი არსად ქონდა. იხსენებდა არცთუ დიდი ხნის წინანდელ თავის მოგზაურობებს თურქეთში, იტალიასა და შვეიცარიაში, მაგრამ ახლა ყველაფერი ეს უკან იყო დარჩენილი; მეგობარი კი ბევრი ჰყავდა და ზოგიერთ მათგანს შეეხვედით: მერი კეიტი სტუმართმოყვარე გახლდთ და მის პატარა ოთახში რაც უფრო მეტი ხალხი, რაც უფრო მეტი მოხმაური ბავშვი იყო, მით უფრო მეტად ნასიამოვნები რჩებოდა.

სამხრეთაფრიკელი ახალგაზრდა ცოლქმარი (ქმარი — ადვოკატი, ცოლი—მხატვარი) ასევე ძალიან სასიამოვნო ადამიანები იყვნენ და მას შემდეგაც კი, რაც თავიანთ ტრანსკაალში გაემგზავრნენ, მათთან მიმოწერას განაგრძობდით.

თანდათან ჩოსერ როუდის სხვა ბინადართაც გავეცანით და აქ ჩაისახა მეგობრობა, რომელიც დღემდე გრძელდება. ცოლ-ქმარს, არქეოლოგებს, რომელთაც სამი შვილი ჰყავდათ, განსაკუთრებით კეთილმოსურნე ოჯახი ჰქონდათ. სამხედრო-საჰაერო ძალთა თადარიგის ადმირალთან და მის ცოლთანაც ბევრი საღამო გავატარეთ. შშვენიერ მხატვარ-აკვარელისტ ქალს კი, რომელიც ჩვენს პირდაპირ, ზეის ბოლოს ცხოვრობდა, რუსეთის ომბების გამოკითხვა უყვარდა. წარსულში რუსებთან ოჯახური კავშირები ჰქონდა: ფილიპა დაახლოებით სამოცდაათი წლისა იქნებოდა; დიდ დროს უთმობდა ინვალიდების დახმარებას, გადაჰყავდა ისინი თავისი ავტომობილით, მონაწილეობდა სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში და თავისი დაუშრეტელი ენერგიით მაოცებდა. იგი იყო ქერივი ცნობილი გეოფიზიკოსისა, ექვსი შვილის დედა და აურაცხელი შვილიშვილის ბებია, რომლებთანაც შეხვედრებისთვის კვირის სხვადასხვა დღე ჰქონდა დანიშნული. ერთი სიტყვით, ჩემს მეზობლებში არასოდეს შემიმჩნევია ყბადღებული „თავდაჭერილობა და გულცივობა", რომლებიც ინგლისელთა თვისებებად გამოცხადა დარბეულმა ხმებმა და რუსულმა ლიტერატურამ. ყველანი გულთბილი, მხიარული, ღაღი ადამიანები იყვნენ, და ჩოსერ როუდზე ჩვენს ცხოვრებას მარტოხელობას ვერაფერით დარქმევდი.

ლონდონში იმ დროს შემომთავაზეს შუშაობა ბი-ბი-სი-ში (რადიომაუწყებლობა სსრკ-სთვის), რაზეც უარი ვთქვი, რადგან ეს წმიდა წყლის პოლიტიკა იქნებოდა. მე მაშინ არ მინდოდა ისეთი რამეს გაკეთება, რაც პრთაგანდასა და პოლიტიკას ემგვანებოდა. მაგრამ ჩვენი ფინანსები რამენაირად შევსებას მოითხოვდა და ახალი, მესამე წიგნის დაწერის გარდა, აღარაფერი დამრჩენოდა.

აქ ვერ აკცდი სიუპრიზს — ერთ-ერთ იმათგანს, რომლებსაც ცხოვრება ყოველთვის მომიგდებდა ხოლმე. ცნობილი ინგლისელი გამომცემელი იმ დროს საქველმოქმედო საზოგადოება „ოკსფამი" სასარგებლოდ მოთხრობების კრებულს ადგენდა. ამ კრებულში შეიტანა ჩემი მანამდე დაუბეჭდავი მოთხრობა „დაბადების ოთხმოცდამეათე დღე". ეს იყო ამბავი ჩემი პრინსტონელი დიდი მეგობრის, მისის ედიტ ჩემბერლენის და მისი დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავისა. ანთოლოგიაში ჩემი სახელი ცნობილი ინგლისელი მწერლებისა და მოღვაწეების სახელთა გვერდით იყო, მათ, ყველას, რასაკვირველია, ჰონორა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სჭირდებოდათ, და ჩემგან ისევ ქველმოქმედებითობის გამოხატვა, როცა ოლგასთვის კოლეჯის ფული უკვე არ მქონდა, სასაცილო რამ იყო. მაგრამ დავთანხმდი: მწერალს ყოველთვის ასე ძალიან უნდა თავისი ნამუშევარი დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი იხილოს! ეს რაღაც მაგიაა, როცა შლი შენს, თუნდაც პატარა ნამუშევრის ფურცლებს. ამ გრძნობას ვერაფერს შეადარებ. ანკეტზე წამოვედე და ტკბობით შემდეგ ვტკბებოდი, როცა კემბრიჯში, წიგნის მაღაზიაში, ამ კრებულის ეგზემპლარებს ვყიდულობდი და ამერიკაში ჩემს ნაცნობებს ვუგზავნიდი.

იმ დროს დაწერილი მქონდა თხუთმეტამდე მცირე მოთხრობა ამერიკაში ცხოვრებაზე და მინდოდა შემედგინა კრებული, სათაურით „მოთხრობები ამერიკაზე", მაგრამ როცა ისინი წასაკითხად მივეცი ნაცნობ გამომცემელს, მითხრა, რომ „მთლიანი წიგნი გაცილებით უკეთესი იქნებოდა". არ ვიცი, მოთხრობების კრებული „უარესი" რატომ აღმოჩნდა. გამომცემელმა ნება მომცა ამერიკაში ჩემი თხუთმეტი წლის მანძილზე ცხოვრების სულ სხვადასხვაგვარ ასპექტებს შევხებოდი, მაგრამ უნდა გაკეთებულიყო ის, რაც მან მითხრა, და ეს წიგნი — „შორეული მუსიკა" — დასაბამითვე უიღბლო იყო.

ამ ადამიანმა, რომელსაც ანთოლოგიის შეთხებით უკვე ვიცნობდი, უარი თქვა ჩემს წიგნზე: რაკი წიგნი ამერიკაზეა, დაე, ამერიკაში გამოსცენო. შემდეგ ლიტერატურული აგენტი, რომელთანაც ერთმა ნაცნობმა მანდილოსანმა მიმიყვანა ლონდონში, ცდილობდა ჩემთვის შემოეწარა „თანაავტორი", რომელიც, არსებითად (და მისი ჩანაფიქრითაც), დაწერდა წიგნს ჩემს მაგივრად. ამ გაზზრახვას, რასაკვირველია, ენთუზიაზმით არ შევხვედრივარ. ამის შემდეგ, გამამაცებულმა, ხელნაწერი გავუგზავნე აშშ-ის გამომცემლობა „ხარფორტ ბრეის ოივანოვიჩს", რომელსაც ოღესდაც ძალიან უნდოდა მიეღო ჩემი მეორე წიგნის გამოცემის უფლება, მაგრამ სანუგეშო პასუხი არ მომსვლია: ამერიკაზე მოთხრობების ნაცვლად მთავზობდნენ დამეწერა კრებული გატარებულ ჩემს ბავშვობაზე, სტალინზე, ჩემს მშობლებზე — ყველაფერზე, რაზეც უკვე ბევრი რამ დაეწერე ჩემს ძველ წიგნებში. სულაც არ ვაპირებ იმის „ჯადაზრებას", რაზეც ერთხელ უკვე დაეწერე, და დაწერილის გადაკეთებაზე უარი განვაცხადე. დიდხანს ხეტიალისა და სრული სასოწარკვეთილების შემდეგ ხელნაწერი ბოლოს გავუგზავნე ნიუ-იორკის გამომცემლობა „დაბლდეის" და იქ თითქმის ერთი წელი იდო. გამომცემელი თავს იმტკივნედა — რა ენანა მისთვის და სავსებით დავრწმუნდი იმ დროისთვის, რომ ამ წიგნს ა მ ე რ ი კ ა ში ა რ ა ვ ი ნ დაბეჭდავდა (როცა „დაბლდეიმ", როგორც იყო, გადაწვეტა ამ წიგნის გამოცემა, ჩვენ უკვე სსრკ-ში გასამგზავრებლად ჩემოდნებს ვალაგებდით).

და ამ დროს, როგორც ეს უკვე იყო ერთხელ, ჩვიდმეტი წლის წინათ, სცენაზე „ex machina"-სავით (მანქანისგან შექმნილი ღმერთი — მთარგმნ.) გამოჩნდა ყველასთვის ცნობილი ტ ო კ ა ყ ა უ ლ ი, ინდოეთის ყოფილი ელჩი ჩინეთში, მოსკოვში, ვაშინგტონში, ახლა კ ი ი უ ნ ე ს კ ო ს გამგეობის წევრი. ის უცებ ლონდონში აღმოჩნდა. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ორივემ გავიხარეთ ერთობლივი წამოძახილით: „აი, თქვენ კი სულ არ შეცვლილხართ!" და შევედით ლონდონის პატარა რესტორანში... ეს შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ ტ ო კ ი კ ა ული კემბრიჯში ჩამოვიდა 1983 წლის ნოემბერში და ჩემი ხელნაწერი წაიღო ინდოეთში, ისევე, როგორც 1966 წელს ჩემი წიგნი, „თორმეტი წერილი მეგობარს", წაიღო მოსკოვში. არ ვიცი, ს ი ტ უ ა ც ი ე ბ ი ა ს ე ე რ ა ტ ო მ უ ნ დ ა მ ე ო რ დ ე ბ ო დ ს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თუ ტოკის კვლავ შეეხვედება, ეს, ალბათ, ისევ რაღაც საბედისწერო მომენტი იქნება...

და, როგორც იქნა, „შორეული მუსიკა" გამოვიდა ინგლისურ ენაზე დელიში (ინდოეთი), 1985 წლის აგვისტოში. თუმცა სასურველი იქნებოდა ეს გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა პროფესიული თვალსაზრისით უფრო მაღალ ღონეზე შესრულებულიყო. მის გამომცემელ „ლანსერ ინტერნეიშნლს“ ჩვენი კუთვნილი სამი ათასი რუპია არ მოუცია, მაგრამ დელიმი გამოცემული წიგნის ფურცელა ახლაც ენით გამოუთქმელი სიამოვნება იყო.

ამ ფაქტსაც დიდ მიღწევად მივიჩნევდი, თუმცა, კონტრაქტის თანახმად, წიგნი მხოლოდ ინდოეთის, ბანგლადეშისა და პაკისტანის ბაზრებზე ვრცელდებოდა ინგლისურ ენაზე მკითხველი საზოგადოებისთვის. ამ ქვეყნების მასშტაბების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იქ ინგლისურად შეუდარებლად მეტნი კითხულობენ, ვიდრე რომელიმე სხვა ენაზე, მე კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ გამომცემელმა გადაწყვიტა ავტორისათვის ჰონორარი საერთოდ არ გადაეხადა. წუწუნებდა, წიგნის სახელწოდება ცუდიაო: ყველანი ფიქრობენ, მუსიკაზე დაწერილი რაღაც სპეციალური წიგნია და ამიტომ არ ყიდულობენო.

ღმერთო! მანვე გამომიგზავნა რეცენზიები, წიგნს პრესაში კარგი კომენტარები გაუკეთს. მაშინ არავინ მიიჩნევდა, რომ ეს „წიგნი მუსიკოსებისთვის“ იყო. შესაძლოა, გამომცემელს იმან გაუცრუა იმედი, რომ ამ წიგნით მილიონები ვერ გაკეთა. ნაცნობი ამბავია. მაგრამ მესამე წიგნი მაინც გამოვიდა!

ინგლისში ყოველ წუთს გრძნობთ, რომ ძველი, ბუნებიერი კულტურის ცენტრში ცხოვრობთ. ამის შეგრძნება მოაქვს გაზეთების კითხვას, რომლებშიც მთელი მსოფლიოს ახალი ამბები გაშუქებულია უფრო დიდი ობიექტურობით და საქმის ცოდნით, ვიდრე ამერიკაში. მე ეს მაშინვე შევამჩნიე სსრკ-ზე ცნობებში: მათში გაცილებით ნაკლებია ემოციურობა, წინასწარაკვიატებულობა და ცრურწმენები. სატელევიზიო გადაცემებიც ამგვარი თავისებურებით გამოირჩევა. სამწუხაროდ, ყველაფერში ამერიკული, არცთუ საუკეთესო სტანდარტების კოპირება უკვე მოდად იქცა. ტერი უაიტის სახლშიც კი მისი ქალიშვილის მთელი ოთახი მოფენილია სნუპისა და მიკი მაუსის, მთელი მსოფლიოს წარმატებით დამპყრობი ამერიკული „პლასტიკური კულტურის“ ამ „გმირთა“ გამოსახულებებით.

ინგლისში ცხოვრება უფრო მარტივი იყო, ჩვენ უავტომობილოდაც ადვილად გავდიოდით ფონს. აქ საზოგადოებრივი ტრანსპორტი სავსებით მოხერხებული რამ იყო. ცხოვრების მდინარებას რამდენადმე ანელებდა, ამას მხოლოდ სიკეთე მოჰქონდა.

ლონდონში კონცერტებს მართავდა ვლადიმირ აშკენაზი, ამჟამად უკვე თმაჭაღარა, ორმოცდაათი წლის მამაკაცი, რომელიც ახლა ადრინდელზე უკეთ უკრავდა. კემბრიჯის კინოთეატრებში გადიოდა ჩინებული ფილმები: „პაპანაქება და მტვერი“ და „განდი“. იელისის ფესტივალზე, კემბრიჯში ყოველწლიურად რომ იმართება, ყველა მოედანსა და შესახვევში მუსიკოსები უკრავდნენ, ჩინებული კამერული ანსამბლები ყველა საუნივერსიტეტო ეკლესიაში უფასოდ მართავდნენ კონცერტებს. ყველაფერს ტონს ადლევდა სამეფო კოლეჯის ეკლესია, სადაც ყოველ საღამოს შეგეძლოთ შესვლა და ლოცვაში დანთქმა. მღეროდა ბიჭუნებისა და მოზრდილი მომღერლების ბრწყინვალე ქორო, ხმები ცად იწევდა და ამ ძველისძველ, განუმეორებელ კედლებს ელამუნებოდა. აქ ყოველთვის უნივერსიტეტების უამრავი სტუდენტი და მასწავლებელი იყრიდა თავს. ირგვლივ შთაგონებული, ნატიფი, ხალასი სახეები ჩანდა...

შობის წინ კი აქ ყოველთვის მღერიან კეროლსებს, — საშობაო ჰიმნებს, რომლებიც მთელმა დასავლეთმა სამყარომ იცის. ქოროს არამიწიერი გალობა მთელ მსოფლიოში გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით. ამ დროს ეკლესიაში მოხვედრა თითქმის შეუძლებელია — ამისთვის რიგში დილის ექვსი საათიდან უნდა დადგე. მაგრამ, სამაგიეროდ, შემდეგ მთელი თორმეტი დღე ყელის რადიოთი შესანიშნავი ჰიმნებიᲒ ძალზე ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისანი, სიხარულით აღვსებული სიმღერები.

ინგლისში ბევრი ახალი რამ გავიგე. ტერი უაიტის მეგობარმა, პასტორმა და ფსიქოლოგმა, მომცა კარლ გუსტავ იუნგის ავტობიოგრაფია, შესანიშნავი წიგნი, რომელიც ყველა განათლებულმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს. მას ერქვა „მოგონებები, სიზმრები, ფიქრები“. ეს იყო ჩემთვის ახალი სამყარო, სავსებით ახალი კარი, რომელსაც ადამიანის სულის გამოცანათა ღრმა წვდომისკენ მიეყვედი.

ჩემი მეგობარი მხატვარი ანჯელ წასაკითხად მაძლევდა ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებას“ და თანამედროვე ინგლისელ კათოლიკე მონაზონთა წიგნებს — მშვენიერ ნაშრომებს, რომლებიც შინაგანი სიძნელეებს დაძლევაში მეხმარებოდა. მასთან ბევრს ველაპარაკობდით ქრისტიანობაზეც. ყველა ჩემი დანარჩენი კათოლიკე მეგობრის (ცოლ-ქმარი ჯანსიარაკუზები კალიფორნიაში, ანტონიო და ადრიანა იანერები შვეიცარიაში და ჯუდიტ გარსონი პრინსტონში) მსგავსად, ისიც ძალიან გულთბილი და მეგობრულად განწყობილი ადამიანი იყო და ყოველთვის ისე მმასპინძლობდა, როგორც ძვირფას სტუმარს. პატარა ერთთახიან ბინაში, სადაც დედამისთან ერთად ცხოვრობდა, თავისი ნამუშევრებიდან ცოტა-და შეინარჩუნა, მხედველობაში მაქვს პოლონეთში, ირანში, ისრაელში, აღმოსავლთ ინგლისში დახატული სურათები. ჯანმრთელი კაცი არ იყო, არ მუშაობდა, რაც ძალიან აწუხებდა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, ჩვენს საქმეებს ჩასწვდომოდა და უმცირეს წვრილმანებშიც კი რჩევა მოეცა. ჩემთვის. ინგლისში, როგორც იქნა, გადავწყვიტე გადამედგა ის ნაბიჯი, რომლის გადადგმაც უკვე რამდენი წელია მინდოდა...

დასავლეთში რუსულ ეკლესიასთან კავშირს არ ვგრძნობდი მისი დაქუცმაცებულობის, მის განსხვავებულ „ოურისდიქციებს“ შორის მუდმივ პოლიტიკურ უთანხმოებათა გამო. აღმოსავლური მართლმადიდებლობის ყოველი ეკლესია, არსებითად, იყო პატარა ნაციონალური „კლუბი“, რომელიც წმინდად ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ განცალკევებულობას. ჩემთვის კი ქრისტიანობა, ყოვლისმომცველი, საერთოადამიანური რწმენა, რომელიც ყველა რასასა და ეროვნებას, მთელ სამყაროს სწვდება, რომაული კათოლიკურობა იყო. ეს იმ მომენტიდან გავიგე და შევიგრძენი, როცა კათოლიკეებს პირველად შევხვდი შვეიცარიაში, 1967 წელს. ვიაზესლავ ივანოვმა, დიდმა რუსმა მეცნიერმა და პოეტმა, კათოლიკობა სწორედ ამის საუფველზე მიიღო. ბევრი პროგრესული რუსი კათოლიკობაზე იმიტომ გადადიოდა, რომ ეს მათ დასავლური სამყაროს ცივილიზაციასთან აახლოებდა. ჩვენს დროში კათოლიკობას არ ერეცხვინება მთელ მსოფლიოში უპოვრებთან, ავადმყოფებთან, დამცირებულებთან უთანიერთობა, მაშინ, როცა ბევრმა ეგრეთ წოდებულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ (განსაკუთრებით ამერიკაში) იწყო მხოლოდ გავლენიან მდიდართა და ფულის მსახურება.

დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი გადავსულიყავი კათოლიკობაზე, ამაზე ვსაუბრობდი ჩემს ბევრ მეგობართან და აგერ ახლა, ინგლისში, სადაც კათოლიკობა ასე ძლიერია, ვიგრძენი, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გადამედგა გაბედული ნაბიჯი: ანჯელმ გამაცნო შესანიშნავი მონსენიორი, რომელიც მაშინ ლონდონის ერთ-ერთ სემინარიაში მსახურობდა. ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით და მე ცოდვებს ვინანიებდი. „მაგრამ თქვენ ხომ ისედაც მანდა ხართ, — გაუთავებლად იმეორებდა ანჯელი. — ამ ნაბიჯის გადადგმა პროტესტანტებს უჭირთ, თორემ მათთვის და თქვენთვისაც, მართლმადიდებელთათვის, ხომ ეს, არსებითად, ერთი და იგივეა!“ რომის ეკლესიის სამწყსოში 1982 წლის 13 დეკემბერს, წმ. ლუჩიას დღეს გავეშვენი.

დავიწყე სისხამ დილაობით ზიარებაზე სიარული კემბრიჯში, წმ. მარიამისა და ყველა ინგლისელი მარტვილის ეკლესიაში. შემდეგ, 1984 წლის ზამთარში, თოვლ-ჭყაპში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაშურე ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სუფუკლის წმინდა მარიამის მონასტრის პატარა თავშესაფარს, სადაც რამდენიმე დღე დავყავი. და ამას არასოდეს დავივიწყებ.

მე მჭირდებოდა რწმენა, რომელსაც ძალუძდა მოეცცა მთელი კაცობრობა, მთელი დედამიწა, რწმენა „ნაციონალური სიამაყის" გარეშე, „პატრიოტიზმის" გარეშე, რწმენა ერთი ხალხის მეორე ხალხზე გამარჯვების გარეშე. მე ისევ და ისევ, უკვე მერამდენედ ვკითხულობდი ვიანჭესავ ივანოვის „რომაულ დღიურს" და სხვა ნაშრომებს მის კრებულ „საღამოს შუქში" (1949, ოქსფორდი) და კმაყოფილებით ვგრძნობდი, რომ ჩემამდე იყვნენ სხვები, რომლებიც ასევე სჯიდნენ. ეს უკვე ჩამოყალიბებული, ისტორიულად დადასტურებული ტრადიცია იყო. მე მხოლოდ შევუერთდი ამ ტრადიციას. ამერიკაში რუსი კათოლიკების მეთაური ქალბატონი ბ. იზვოლსკაია ჯერ კიდევ აშშ-ში ჩემი ყოფნის პირველ წლებში გამაცნო პროფესორმა რიჩარდ ბერჯიმ. მინდოდა ეს ნაბიჯი გადამედგა 1978 წელს, ამერიკაში რომის პაპის იოანე პავლე II-ის სტუმრობის დროს — იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა ვიზიტმა. მაგრამ პრინსტონში მღვდელმა ჩემი ეს სურვილი არად ჩაადო, თითქმის დაუფარავად დამცინა, როცა მასთან სალაპარაკოდ მივედი... ახლა კი, ინგლისში, არავინ დამცინოდა და თავს ასე კარგად ვგრძნობდი. მხოლოდ ის მენანებოდა უსაშველოდ, რომ ჩემმა ქალიშვილმა არ ისურვა კათოლიკური სკოლაში — თანაც პიუ ჰოლის შესანიშნავ ძველ სკოლაში — გადასვლა. ირგვლივ ყველაფერი ისე ლამაზი იყო, რომ ვიფიქრე, აქ ხვებიც კი ადამიანს შთაონებით ავსებენ-მეთქი. გოგონები მხიარულნი იყვნენ, ნორჩი მონაზვნებიც კი, და ყველგან ხალისიანი, ჩაღრმავებული მუშაობის სულისკვეთება სუფევდა. მე არამც და არამც არ შემეძლი დავთანხმებოდი კვაკერული გარემოს უღიმღამობას, მის მოჩვენებით მოკრძალებულობას — ეს მეჩვენებოდა სილამაზესთან ბრძოლად, მის პურიტანულ უარყოფად. სილამაზე კი შექმნილია ღმერთის მიერ, ეს სამყაროს ჰარმონიაა. სილამაზის გარეშე სიცოცხლის სიწმინდე არ არსებობს.

მაგრამ მომიზდა ამაში დამეთმო ჩემი ჯიუტი გოგონასთვის, რადგან არ ისურვა თავისი სკოლის მატოვება.

„რა გაეწყობა, უნდა დავუთმო", — ვფიქრობდი მე.

იმ დღეებში ინგლისში ჩემი და ოლგას ცხოვრებისთვის შეიძლებოდა სასიამოვნო გვეწოდებინა. პატარა ბინა ვიყიდეთ კემბრიჯში და გათბობითა და ცხელი წყლით შეუფერხებლად ვსარგებლობდით. იმ დროისთვის ოლგას თავისი სკოლა თავდავიწყებით უყვარდა. ზაფხულობით მიდიოდა პატარა კუნძულებზე, სილი რომ ერქვა, სადაც მარტივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. იქ ავტომობილების მოძრაობა ნებადართული არ იყო და მეთევზეთა ნავებს დამსვენებლები პატარა კუნძულებზე ფეხდრო პლაჟებს გაელით გადაჰყავდათ. გაგვიჩნდა ნაცნობთა საკუთარი წრე, შევეჩვიეთ ინგლისის ატმოსფეროს, რომელიც თავიდან უფერული, პირქუში და უსიხარული გვეჩვენებოდა.

ინგლისს უნდა შეეჩვიო, როცა იწყებ მის შეუმჩნეველ სიხარულთა აღქმას და მისი ფარული სილამაზის ყურებას, როგორც ყურებას მაღალი აგურის კედლებს იქით დფარული პატარა ბალებისა, სადაც ინგლისელები არაჩვეულებრივი ემოციებით და უნარით არჩევენ, კრეფენ ყვავილებს ისე, რომ ერთდროულად ბრწყინავენ კიდეც და ბუნებრივნაც არიან. ჩვენს, ეგრეთ წოდებულ აღმოსავლეთ ინგლისში, სადაც ჯერ ისევ ასე ბევრი მიწა, ფერმა, შემოდგომის ნადირობა და მშვენიერი ცაა, მრავალ საინტერესო ადამიანს შევხვდით. და ინდოელი ფილოსოფოსის, კრიშნამურტის წიგნების მრავალი წლის მანძილზე შესწავლის შემდეგ, მე, როგორც იქნა, გავეგზავრე ბროკკუდ-პარკის სკოლაში მის სანახავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დავმალავ, ამ შუხვედრის წინ რაღაც მისტიკური შიშითა და მღელვარებით ვიყავი შეპყრობილი. ვიცოდი, კრიშნამურტი რა არაჩვეულებრივად მგრძნობიარე მედიუმი იყო, როგორ უყვარდა მას მნახველებთან ხუმრობა, როგორ გამოიყურებოდა და როგორი იყო თავისი ლექციების დროს. მე მასზე ყველაფერი ვიცოდი იმიტომ, რომ დიდი ხანია წაეკითხე ყველაფერი, რაც დაწერა და რაც მასზე დაიწერა. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ცხოვრებაში ამგვარი ადამიანები ნიღაბს ატარებენ, და ისიც, რომ ის, რასაც მისი ყურებისას თქვენ ხედავთ თქვენი თვალით, მხოლოდ მისი გარეგნული ხატია.

მან ინდუსური მისალმების — „ნამასტეს“ ყაიდაზე დაიკრიფა გულხელი, და მაშინვე შეება ვიგრძენი. ცდილობდა გარეგნულად ბევრი რამით დამსგავსებოდა „დასავლელ კაცს“, მაგრამ, არსებითად, ყოველთვის სამხრეთინდოელ ბრამინად რჩებოდა (ბრამინი — იგივეა, რაც ბრაჰმანი. ინდოეთში: უმაღლესი კასტის, წოდების წარმომადგენელი; ძველად—ბრაჰმანიზმის ქურუმი—მ თ ა რ გ მ.). თვითდამცირებამდე აღმოსავლურად, თავაზიანად შემომთავაზა გასეირნება. ეს ტანდაბალი, ოთხმოცდარვა წლის ძალტყავა კაცი ყოველდღე რამდენიმე საათს სეირნობდა და მე მიჭირდა მასავით ჩქარი სიარული. ერთი წერილი ახსოვდა, ათი წლის წინათ რომ მივწერე, წერილი, რომელშიც ეპირდებოდი, რომ „არავითარ კითხვებს არ დაუსვამდი, უბრალოდ, დავჯდებოდი და ჩუმად მოვუსმენდი“. მან მაშინ მიპასუხა, რომ ეს ძალიან მოეწონა.

სამწუხაროდ, დასავლური წეს-ჩვეულებები განუწყვეტელ საუბრებს მოითხოვს. სეირნობისას ხუმრობდა და პოლიტიკისა და სსრკ-ში საქმეთა ვითარების კარგი ცოდნა გამოამჟღავნა, რადგან ამ ქვეყანას ცნობისწადილით ადევნებდა თვალყურს. ვუთხარი, რომ რუსულ ენაზე ვთარგმნიდი მის „დღიურს“ და რომ მისი პროზა რუსულად, უბრალოდ, ბრწყინვალედ ჟღერს, — შესაძლოა, იმიტომაც, რომ ამდენ გვერდს უთმობს თავისი თვალით დანახული ბუნების აღწერას, ეს კი რუსული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციაცაა.

ვუთხარი, თუ როგორ მინდოდა კვლავ ჩასვლა ინდოეთში, რაზეც მიპასუხა: „ამის მოგვარება მე მომანდეთ. მე დაგეხმარებით“. მწამდა, რომ მას უ ნ დ ო დ ა დამხმარებოდა, მაგრამ იმასაც სავსებით ნათლად ვაცნობიერებდი, თუ როგორ შორს იდგა იგი ყოველდღიური ცხოვრებისეული ყველა საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტისგან. იმისთვის, რომ ჩემი დახმარება შეძლებოდა, საჭირო იყო, წევრები იმ კოლოსალური ტ რ ე ს ტ ი ს ა, მის წიგნებს რომ უშვებდა, დასთანხმებოდნენ. მე კი ამაში სრულებითაც არ ვიყავი დარწმუნებული. გაჩნდებული იყო რაღაც ფარული მტრობა კრიშნამურტის ინდურ საზოგადოებასთან, რომელსაც ჯერ კიდევ ხელი ეპყრა მისი ადრინდელი წიგნების ქოფრაიითები. ყველაფერი ეს შორს იყო ამ ჯინსიანი და ცისფერსეტტერიანი, ტანმორჩილი შავგვრემანი წმიდანისგან, რომელიც ასე სწრაფად მიაბიჯებდა ყანებს შორის გაწოლილ თემშარაზე და ჩვენ, ყველას მშვიდობისკენ, სიყვარულისა და ბუნებასთან სრული შერწყმისკენ მოგვიწოდებდა. მინდოდა, ყოველგვარი ქოფრაიითები დამევიწყებინა, უბრალოდ, კვლაში მივყოლოდი მას და ამ იშვიათთ წუთებით დავმტკბარიყავი.

შემდეგ, როცა ყველანი შევიკრიბეთ მრგვალ აუდიტორიაში, ლექციისთვის გამოვიდა. მისი ცნობა შეუძლებელი იყო. რაღაც ძალა აღავსებდა, თვალები გაფართოებოდა და ანთებოდა, ხმაში ფოლადი უჟღერდა, იჯდა გამართული, სიმივით დაჭიმული, საზურგიან მაგარ სკამზე და გვეუბნებოდა თავაზიანობისა და თავისი ჩვეულებრივი კურტუაზულობის ნასახის გარეშე — ჩვენ, ყველას, როგორი ცარიელი გული გვქონდა, როგორი ხარბნი ვიყავით, როგორი სულელები, რაოდენ უნაყოფოა მისი ძალისხმევა მთელი ამ ორმოცი წლის მანძილზე, რა ამაოდ, ფუჭად გვიმეორებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიმეორებს, რომ საჭიროა ვიყოთ პატიოსანნი, წრფელნი, ეხედავდეთ საყაროს ისეთს, „როგორიც ის არის“ და არ გვეშინოდეს „გავიგოთ სიმართლე ჩვენ თავად და ჩვენივ თავისთვის, ისე გავიგოთ, რომ ავტორიტეტების იმედი არ ვიქონიოთ“.

ბრიკვუდ-პარკის ნახვა დაუვიწყარი ამბავი იყო. ოთხმოცდაჩვა წლის კრიშნამურტი ჩემს მეზობელებაში უფრო თანამედროვე ადამიანად დარჩა, ვიდრე ბევრი ახალგაზრდა კაცი: მისი აზროვნება მომავალს ეკუთვნის. ჩვენ გვიპირს, გვიძნელდება მისი ვამოდევნება, დაწვეა, იმიტომ, რომ წარსულს მიეეჭოლეთ... „გთავისუფლდით წარსულისგან, იცხოვრეთ ახლა, ამ მომენტში, ახლა!“ — იმეორებდა ის წიგნებსა და ლექციებში. მაგრამ ეს ძალზე ძნელი რამ იყო! ჩვენ ხომ ასე ძლიერ გვიყვარს წარსული და ჩვენი აზროვნების ძველისძველი, სამარადჟამო შეპირობებულობა. კრიშნამურტი „შინაგანი სამაროს“ რეცეპტებს არ არიგებს. პირიქით, ის, რასაც ამბობს, მოითხოვს დიდ ძალისხმევას, შინაგან ბრძოლას, ძიებებს, სინდისთან შერკინებებს, ნათელ გონებას და საკუთარი გათავისუფლებისთვის მზადყოფნაზე დაყბედულებას.

ის ოთხმოცდათი წლისა გარდაიცვალა, მაგრამ ჩვენ საუკუნეების მანძილზე მოგვიწევს თავის მტვრევა მის მოწოდებებზე: „ნუ ერწმუნებით ავტორიტეტებს, ყველაფერი თავად გაიგეთ. მე თქვენთვის გურუ არა ვარ, მე მხოლოდ ამ ლექციას ვკითხულობ“. მას უნდოდა, რომ გავთავისუფლებულიყავით ყოველგვარი იდეოლოგიის, პოლიტიკის, პროპაგანდის, აძქვეყნად ყველა „იზმის“, ნებისმიერი ორგანიზებული რწმენიგიის, საუკუნეებისა და ტრადიციის მიერ დადგენილი ქცევის ნორმებისაგან. „მაშინ. — ამბობდა ის, — თქვენს ცხოვრებაში შემოვა გაუცნობიერებელი, იდუმალი, ღრუბელივით უშველებელი, საყვარულივით მხურვალე რაღაც და თქვენ მიჰყვებით მას... მაგრამ მასთან თქვენ თავად, უქურუმებოდ და უბელადებოდ უნდა მიხვიდეთ, მხოლოდ მაშინ გაიგებთ, თუ რა მშვენიერი რამაა ეს“.

ჩვენ კიდევ ვავიკითხავთ და შევეხვალით ამ წინასწარმეტყველის სიტყვებს, რამდენადაც ის, რასაკვირველია, თავის საკუთარ სიტყვას არ გადმოგვცემდა. ჩემი წილი სათქმელი ვთქვი რუსულ ენაზე მისი საოცარი „დღიურის“ თარგმნით. მაგრამ ტრესტმა, რომელიც კრიშნამურტის წიგნების მრავალმილიონიანი ტირაჟებით გამოცემის საქმეს განაგებდა, რუსული თარგმანისადმი არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა. ეს განსაკუთრებით იმიტომაა გასაკვირი, რომ თვითონ კრიშნამურტი ღრმად იყო დაინტერესებული რუსეთით, საბჭოთა კავშირით და იცოდა, რომ ის იქ უყვარს ინტელიგენციას. განსაკუთრებით უყვართ ფიზიკოსებსა და მათემატიკოსებს, რომლებიც მას ინგლისურ ენაზე კითხულობენ. სწორედ ამიტომ მიმიღო გულით. მე ვეუბნებოდი, თუ რამდენად ცნობილი იყო ის სსრკ-ში ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ, და ეს დიდად სიამოვნებდა.

მაგრამ ყველა ამ და სხვა საინტერესო შეხვედრის, კუნძულებზე, ლონდონში, ოქსფორდში გამგზავრებების, ახალ წიგნსა და თარგმანზე მუშაობის, ჩვენი პატარა სანდომიანი ბინის კეთილმოწყობაზე ზრუნვის, ოლიას სკოლის მონახულებისა და მერი კეიტთან საუბრების მიღმა მუდმივად, მოუშორებლად მახლდა თან ერთი ახალი გარემოება, რომელიც ჩემს ცხოვრებაში აგერ თხუთმეტი წელია არ არსებობდა... ეს იყო ხმა ჩემი ვაჟიშვილისა და მისი ნაამბობნი იქაური ცხოვრებაზე, ჩემს ქალიშვილ კატიაზე, ჩემს შვილიშვილებზე. მაგრამ მთავარი ხმა იყო. და როგორც პატარა ნაკადული ჩამორეცხავს მთას და თანდათან მიაქვს თან ქვიშისა და მიწის ნაწილაკები, ვიდრე მთელი მთა არ ჩამოინგრევა, ისე ეს ხმაც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და თანდათან იწყებდა დანარჩენი ყველაფრის ჩახშობას.

ჩემს ვაჟიშვილს ახალ ადგილებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ჩვენი უამრავი გადასვლისას ჩვენს ახალ მისამართსა და ტელეფონის ნომერს ვაუწყებდი ხოლმე. წერილს ყოველთვის მისი სამედიცინო ინსტიტუტის მისამართზე ვუგზავნიდი, სადაც მათი მიღება უფრო გრანტირებული იქნებოდა. ახლაც ვაცნობე ინგლისში ჩვენი ახალი მისამართი, თუმცა არაფრის იმედი არ მქონდა, რადგან პასუხი არასოდეს მომსვლია. შტატებიდან დარეკვის ჩემი ერთადერთი ცდა — 1975 წელს — აღკეთა მეტელეფონე ქალმა, რომელმაც განმიცადა, ეს ნომერი არ მუშაობსო. დარეკვა მეტად ღირს მიცდია.

და უცებ, 1982 წლის დეკემბერში კემბრიჯში, ჩვენს ბინაზე, ტელეფონმა დარეკა. უცნობმა ბოხმა ხმამ რუსულად იკითხა: „დედა, შენა ხარ?“ — და მე გავშეშდი. შემდეგ, იმით შეშინებულმა, რომ ჩვენ უცილობლად მაშინვე გავვთიშავდნენ, სწრაფად რაღაც კითხვები დავაყარე (არ მახსოვს, რას ვეკითხებოდი) და შემდეგ იყო ჭმუნვა, შფოთვა იმის გამო, რომ „შენი ხმა ხომ სულ სხვანაირია, რატომ შეგცვალა ხმა ასე?“ არადა, მავიწყდებოდა, რომ წელთა ბრუნვა ყველაფერს ცვლის.

ამას მოჰყვა ხუმრობა ჩემი ინგლისური აქცენტის გამო: „შენ რუსულად სახლეარგარეთელი ტურისტივით ლაპარაკობ“, — რაც, შესაძლოა, სიმართლეც იყო. რუსულ სიტყვებს რის ვაი-ვაგლახით ვუყრიდი თავს. იმ დროისთვის ინგლისურს საკმაოდ მაღალ დონეზე ეფლობდი, რუსული კი ძალზე საგრძნობლად მქონდა დავიწყებული.

„ჩაიწერე ჩემი ტელეფონი და დამირეკე“, — მითხრა ჩემმა ვაჟმა, თითქოს იალტაში ვყოფილიყავი დასასვენებლად. „დარწმუნებული ხარ, რომ ეს შესაძლებელია?“ — ფრთხილად ვკითხე, საკუთრივ დაბნეულმა ამ ლაპარაკითაც და იმითაც, რომ, მისი აზრით, შემეძლო მასთან დამერეკა და ეს შემომთავაზა კიდეც. ტელეფონი მაინც ჩავიწერე. „როცა გინდოდეს, მაშინ დარეკე!“ — გამიმორა მან, რაკი ჩემი გაჭირვება ესმოდა.

მე, რასაკვირველია, უნდა მივმხვდარიყავი, რომ კრემლის ხელისუფლებაში ანდროპოვის მოსვლას შეეძლებოდა ცვლილებები მოჰყოლოდა. ამ ცვლილებათაგან ერთ-ერთი ეს ხომ არაა? ჩემს შვილს ძალიან კარგად ვიცნობდი საიმისოდ, რომ არ მეფიქრა, თითქოს მან თავისი საკუთარი მამაკაცის გამოისობით დამირეკა. მისი ხმის დაჯერებულობა და სიმშვიდე იმაზე მეტყველებდა, რომ ახლა ოფიციალურად იყო დაშვებული ჩვენი შედარებით ნორმალური ურთიერთობა, ისევე, როგორც ბევრ (მაგრამ არა ყველა) ემიგრანტსა და გაქცეულს ჰქონდა ურთიერთობა სსრკ-ში თავის ნათესავებთან. ყურმილი დავდე და ფიქრებში დავიძირე.

ახლოვდებოდა შობა — ყოველთვის სასიხარულო დრო დასავლეთში, დრო სამომავლო იმედებისა, ოჯახების შეხვედრებისა, მუსიკისა, კეროლსისა, ურთიერთმონახულებებისა და აუცილებლად საჩუქრების მირთმევისა. ოლიასა და ჩემი პირველი შობა ინგლისში ამ დარეკვის შთაბეჭდილებებით ჩატარდა. შემდეგ თვითონაც ვრეკავდით და ჩემი ვაჟი ოლიას ინგლისურად ელაპარაკებოდა, მე კი მის ახალ ცოლს, ლიუდას ველაპარაკებოდი. ეს მომძიმდა, რადგან ყოველთვის მომწონდა ჩემი ვაჟის პირველი ცოლი, ლამაზი პოლონელი, ელენა. ძალიან დამწყდა გული, რომ გაიყარნენ და ელენამ თავისი ბიჭი წაიყვანა... შემდეგ ვიხვეწებოდი, ჩემთვის შვილიშვილის სურათი გამოეგზავნათ, — ერთი წლით იყო ოლიაზე უფროსი. გამოვიკითხე კატიას ამბებიც, მაგრამ მხოლოდ ის მაუწყეს, ვეიფიზიკოსია, კამჩატკაზე ცხოვრობს, გათხოვილია და ორი წლის ეოგონა — ანუუტა ჰყავსო, მეტი არაფერი. როცა მათ ვთხოვე, კატიას ბოლოდროინდელი სურათი გამომიგზავნეთ-მეთქი, მიპასუხეს, არა გვაქვსო. უცნაური ამბავია, ეს როგორ? რაო, ნუთუ ლ და ძმა ახლოს არ არიან ერთმანეთთან? ამ ლიუდას უცნაური ხმა აქვს. პირველი, რაც მკითხა, ეს იყო: აბა, როდის შევხვდებით ერთმანეთსო? მე მივუგე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როცა გნებავთ, მაშინ ჩამოდით, ინგლისს გაჩვენებთ“.

მაგრამ ამას არავითარი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. „არა, არა, — სწრაფად შემაწყვეტინა. — მე გეკითხებით, აქ როდის შეეხვდებით ერთმანეთს-მეთქი?“

ამან გამოიცა და ვუპასუხე, რომ ასეთი გეგმები არ მქონდა.

იქით და აქეთ რეკვები მთელი 1983 წლის განმავლობაში და 1984-შიც გრძელდებოდა. მე მოულოდნელად გამიჭირდა საზღვარგარეთ ჩემი ჩვეულებრივი, უკვე დიდი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ოლიას დაბადების შემდეგ ჩემთვის ნორმად ქცეული ცხოვრების შეხამება ამ „იქიდან“ მოდწეულ ცნობებთან. დაუჯერებლად დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა იმის დასაოწყებლად, რომ იქ რაღაც და ვიღაც არსებობს, თითქმის შევწყვიტე რუსულად ლაპარაკი და ყველა საზრუნავი აქ მქონდა. ახლა უკვე ვიღებდი ახალ ცნობებს, ვიგებდი წვრილმანებს ჩემს ორ შვილიშვილზე, ცოტა რადაცებს — კატაზე და, რაც მთავარია, ყურში განუწყვეტლივ ყივრად ხმა ჩემი ვაჟიშვილისა, რაღაც სულ სხვანაირი ხმა... და როცა მისი ფოტოსურათი ჩამომივიდა, მივხვდი, რომ ეს ხმა მართლაც სხვაგვარი უნდა ყოფილიყო.

ჩემს წინაშე ფოტოზე გამოსახული იყო არა ტანთხელი, ელეგანტური, მოკლედ თმაშეკრეჭილი და თვალებში იუმორჩაბუდებული ბიჭი, არამედ შემოლოტებული, მაგრამ, რაც მთავარია, სავსებით დთრგუნველი, თვალებშესიებული, შებერებული კაცის სახე. ისე შემაშინა ამ ფოტოსურათმა, რომელმაც ჩემი ძმა (მისი ცხოვრების ბოლო წლებში ალკოჰოლიკი) გამახსენა, რომ მაშინვე დავრეკე მოსკოვში და ახსნა-განმარტება მოვითხოვე.

„შენ სვამ, — ჯიქურ ეუთხარი. — მე ვცნობ ამ შესიებულ თვალებს. ასეთი თვალები ყველში მაქვს ამოსული“. ჩემი ვაჟიშვილი იცინოდა, მაგრამ არავითარ ახსნა-განმარტებას არ მაძლევდა. მისი ხმა ახლა ძალიან უხეში იყო. წვრილებშიც და ტელეფონშიც ხშირად ბილწსიტყვაობდა, როგორც ეს ჩემს ძმასაც უყვარდა. და ეს, მიჩვენებითი „ხალხთან სიახლოვეა“, როგორც ამას დღეს ბევრი საბჭოთა ინტელიგენტი ფიქრობს? ის ამბობდა, ლიუდა მდაბიოთაგანია და კარგ კერძებს აკეთებსო. ჰოდა, შეესალლოა, ყველფერი ეს იმისთვის სჭირდებოდეს, რომ ცოლს ააყოლოს ხმა, მისნაირი იყოს? ეს ელენასთან — ჭკვიან, ლამაზ ქალთან, ფრანგული და პოლონური ენებიდან მთარგმნელთან — ასეთი არ იყო. უცებ მის გამო შემეშინდა. ჩემს ძმასთან მოულოდნელი მსგავსება, რაც ადრე არ ჩანდა, შემაშფოთებელი, ავისმომასწავებელი ნიშანი იყო.

შევთავაზე, რომ ერთმანეთს შევხვედროდით 1984 წელს, ფინეთში, რომელიმე კურორტზე. საბჭოელები საკმაოდ იოლად აძლევდნენ თავიანთ მოქალაქეებს მეზობელ ფინეთში ჩასვლის უფლებას. ძალიან მინდოდა მისი არა მოსმენა, არამედ ნახვაც, მაგრამ მან თქვა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მაშინ შევთავაზე, რომ მთავრობისთვის ინგლისში ჩამოსვლის ნება ეთხოვა: ყველამ იცოდა, რომ ჩვენ თექვსმეტი წელიწადი არ გვევნახა ერთმანეთი. რაკი დარეკვის ნება დართეს, იქნებ ჩამოსვლის ნებაც დერთოთ? ვთქვათ, ერთი კვირით ჩამოსვლის... ყველა ხარჯს მე გავიღებდი. არაო, მითხრა, ეხეც შეუძლებელიაო. მაშასადამე, ისინი იქ, ორიენტი, ვარაუდობენ, რომ მე შემძლეა მათთან ჩასვლა. მაგრამ ასეთი აზრი ჯერ ისევ წარმოუდგენელ რამედ მიმაჩნდა.

ველოდი გამომცემლობა „დაბლდეის“ პასუხს ამერიკაში „ზორეული მუსიკის“ გამოცემის თაობაზე. ვამთავრებდი რუსულად კრიმნაშვრტის „დღიურის“ თარგმნას. ოლია აღტაცებული იყო, ტკბებოდა თავისი ოთახით ჩვენს ბინაში, სადაც ყველაფერი უბრალო, სუფთა, ნათელი და, ოსეერ როუდზე ჩვენს მანსარდთან შედარებით, ასე კომფორტული იყო. ფანჯრები კემბრიჯის ბოტანიკურ ბაღში გადიოდა, ყვავილებისა და ხეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესანიშნავი კოლექციები ყოველთვის ჩვენს თვალწინ იყო. კარგი, კეთილი მეზობლები გვყავდა. ისეთი პირი უნანდა, რომ ყველაფერი კალაპოტში დგებოდა და შეიიქნებოდა გახარებული ვყოფილიყავით სიცოცხლითა და იმით, თუ რა კარგად მოვეწყვეთ ჩვენთვის ამ ახალ ქვეყანაში. აგვიტანეს ისევ ატლანტიკაში ჩაკარგული სილის კუნძულებზე გავემგზავრეთ, რათა სუფთა ოკეანეში გვებანავა, ამ ცერიდენა არქიპელაგის უკაცრიელი კუნძულების ველურ ბილიკებზე ვევსეირნა, კუნძულ ტრესკოს სააბატოს შესანიშნავ ბაღში დავმსხდრიყავით და აქვეყნად ყველაფერი დავეივიწყებინა.

მაგრამ კემბრიჯში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ ჩემს ვაჟს თავისი შვებულება შავ ზღვაზე კი არ გატარებინა (ჩვეულებრივ კი შვებულებას იქ ატარებდა), არამედ თოელი თვე საავადმყოფოში წოლილა. ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემას თავს არიდებდა, რაც კიდევ უფრო მაღელვებდა. მისი ჯანმრთელობა რაღაცნაირად, ძალიან სერიოზულად იყო შერყეული და ამას ფოტოსურათიც ადასტურებდა. მე მიყვარდა კეთილსა და ოსიას 1967 წლის სურათები, რომლებიც მათ ფოტოკორესპონდენტებმა გადაუღეს მოსკოვში, ყოველთვის ჩემს ოთახში მეკიდა. ახლა ეს სურათები თითქოს მელასაპარკიბოდნენ, მსაყვედურობდნენ, მიყვიროდნენ. ქვეცნობიერად ვეშინოდეთ სსრკ-ში ვამგზავრების შესაძლებლობის აზრთან შესაგუებლად და ოლიას მამიდას წერილი მივწერე კალიფორნიაში — ვეკითხებოდი, კისრულობდა თუ არა სრულ პასუხისმგებლობას ძმისშვილის ხელდრის გამო, თუ მე რამე, მოულოდნელი შემემთხვეოდა. პირველი, რაც ვიფიქრე, ის იყო, რომ ოლია თან არ წამიყვანა.

მაგრამ ოლიას მამიდისგან მიღებული პასუხი ვერაფრით დამეხმარა. თავისი გულფიცხი, გულწრფელი ძმისგან განსხვავებით, მისი და ყოველ ნაბიჯსა და სიტყვას დიდხანს სწონიდა და არცთუ იშვიათად ადვოკატს ეთათბირებოდა. ახლაც მთხოვდა, მისთვის მიმეწერეთ ექიმის ცნობა, რომელშიც ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნებოდა დადგენილი: ნამდვილად რამე სერიოზული საშიშროება მელოდა?.. უცებ მთლად გამაცოფა ცხოვრებისა და აზროვნების ამერიკულმა ყაიდამ — ასეთმა საქმიანმა, ასეთმა უსულგულომ, როგორც იმ წუთს მენოდებოდა. ხომ არ შემეძლო მისთვის მეთქვა, ერთიც ვნახოთ და, სსრკ-ში წასვლა შევიდეთ-მეთქი!

შეეძლებ? ახლა ამას სერიოზულად უნდა დავუფიქრდე.

1984 წელს ინგლისში „ობსერვერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შევეცადე პირდაპირ, დაუფარავად მეთქვა, თუ რა აუტანელი გახდა ჩემთვის შვილებთან და — ახლა უკვე — ორ შვილიშვილთანაც გაყრა. მინდოდა საზოგადოებას ვაგებო, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს ჩემთვის. მაგრამ კორესპონდენტმა ჯონი უფრო პოლიტიკისა და პროპაგანდისკენ, ყოველიფე ემისკენ გადახარა, რასაც თავად მიიჩნევდა მნიშვნელოვნად ჩვენს ცხოვრებაში... სტატია ვრცელი, უთავბოლო, ბუნდოვანი იყო და ოდნავადაც არ ასახავდა (როგორც ეს ყოველთვის ხდება) ჩემი ცხოვრების რეალობას. მართალია, კორესპონდენტს უცველად მოეყავდა ჩემი სიტყვები, მაგრამ სტატიის საერთო კონტექსტში ჩემი ძირითადი საოქმელის დაჭერა შეუძლებელი იყო.

უფრო გვიან ხშირად ვფიქრობდი, ჩვენ ორივეს აშშ-ში რომ ვვეცხოვრა. არც მე და არც ოლია არ გავიმსჭვალებოდით რუსეთიდან მოწყვეტის, დაშორების ისეთი გრძნობით, როგორითაც ინგლისში გავიმსჭვალეთ. აქ ჩვენ უცხოქვეყნელები, ემიგრანტები ვიყავით, აქ ფიქრადაც არავის მოსდიოდა ამერიკელად ჩავეთვალე, თუმცა ნატურალიზაციის ექვსი წელი გავიარე და ამერიკაში უკვე დიდი ხანია „ერთი ჩვენთაგანი“ ვიყავი. ოლგასაც კი რაღაც ნახევრად რუს ემიგრანტად მიიჩნევდნენ, თუმცა ჯერ რუსულად ერთი სიტყვაც კი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა და, როგორც ყოველთვის, თავის თავს ისევ ამერიკელად თვლიდ».

ამერიკაში თქვენ დაუყოვნებლივ გრთავენ საერთო ცხოვრებაში. და, ვნებავთ ეს თუ არა გნებავთ, მისი ნაწილი ხდებით. ინგლისში ამას არავინ გთავაზობთ, რადგან ბრიტანელი ერის ღვიძლ წარმომადგენლად შერაცხავ წმიდა საქმეა და პატივს ყველა ჩამოსულს არ მიაგებენენ. კუნძულებზე მეორე მსოფლიო ომის დროს მოსულნი ჭარბად არიან და მათ აქვთ კანონიერი უფლება ჩათვალონ, რომ შინ, თავიანთ სახლში არიან. ოლიას მზოლოდ ინტერნაციონალურ სკოლაში მოხვდა, სახელდობრ, იმიტომ, რომ ბიუროკრატიის კანონებია, ჩვენ ამ „მეორე ხარისხს" მივეკუთვნებოდით. იქ უმაღლესი კლასის სასწავლო დაწესებულებები ძირძველი ბრიტანელებისთვის არსებობს და არა ჩვენთვის. ამის შეგრძნება ყოველთვის სასიამოვნო როდი იყო, მაგრამ შეჩვეული ინტერნაციონალიზმისა და ცრუ სიამაყის უქონლობის წყალობით შევეგუეთ ამას.

თუმცა აქ ჩვენ სახლის შეგრძნება დავკარგეთ. შესაძლოა, რომ გრძნობას, რომლითაც დიდხანს ვტკბებოდით ამერიკაში — პრინსტონში, ვილსონ როუდზე, კალიფორნიაში, ვისკონსინში, — ჩვენში არ აღვძრა ოცნებები იქ, შორს, სსრკ-ში დატოვებულ „სახლსა და ოჯახზე". ახლა კი ჩვენი ამერიკული სახლი უკვე არ არსებობდა; და როგორი სასიამოვნოც უნდა ყოფილიყო ძველი, მშვენიერი ქვეყნის ტრადიციულობა, როგორც უნდა აღეტაცებინეთ შუასაუკუნეების ქალაქ კემბრიჯის სილამაზეს და ლონდონის ძველისძველი ისტორიას, თავს აქ მაინც მოსულებად ვგრძნობდით. ძნელადსატან არიზონაშიც კი ჩვენ — თავის დროზე — შინ ვიყავით. ახლა კი კანკერძოების გრძნობა ყოველ წუთს იზრდებოდა და გიძლიერებდა კიდეც იმაკენ ლტოლვას, ვინც ასე შორს დარჩა: ჩემი ქალ-ვაჟისკენ, მაგრამ ყველაზე უფრო — ორი შვილიშვილისკენ.

რაკი მახსოვდა ხრუშჩოვის დრის მოსკოვში გახსნილი ჩინეული ინგლისური და ფრანგული სკოლები, ვიმედოვნებდი, რომ ოლგა რომელიმე მათგანში შეძლებდა მეგობრული გარემოს პოვნას. სსრკ-ის ახალგაზრდობაში ამერიკა ყოველთვის ძალზე პოპულარული იყო და ვფიქრობდი, რომ ჩემი ქალიშვილისადმი დამოკიდებულება უდავოდ თბილი იქნებოდა. ჩემი წარმოსახვა ხატავდა იმ გულმხურვალე ჩახუტებებსაც კი, როგორითაც ჩაიხუტებდნენ ოლიას მისი და-ძმა და თითქმის მისი კბილა ძმისწული, ესე იგი, ჩემი შვილიშვილი ილია. ოლიას მაშინვე გამოუჩნდებიან ბიძაშვილები — ჩემი ძმისშვილები — გოგოები და ბიჭები. შეხვდება ოთხ „მშვენიერ რაინდს" — ჩემს ბიძაშვილ ალილუევებს, რომლებიც მას ბიძებად ერგებიან. და, ჩემი ვარაუდით, ყველაფერ ამას დაგვიერკვინებს მამიდამისა კორა ალილუევა, ჩემი ბიძაშვილი, პენსიაზე გასული მსახიობი — მზიარული, ახალგაზრდობის მოყვარული უფროსი არსება. ჩემს ოცნებებში ეკრანფერს ვხედავდი, გარდა სიყვარულისა, რომლის არეშიც უეჭველად მოექცეოდა ცამეტი წლის გოგონა, ვინც ყოველთვის ასე ძალიან ეძიებდა ნათესავების სიახლოვეს, მაგრამ ვერ პოულობდა თავის ამერიკელ ძმებსა და ბიძაშვილებს შორის. თუმცა როგორ გაუზიარო მას ეს აზრი?.. უკვე არა ერთხელ გამოხატა ინტერესი „რუსეთელ" ძმასთან და დასთან მოკლე დროით შეხვედრაზე, იმაზეც კი ლაპარაკობდა, რომ მათთან „ცოტა ხნით" ჩასულიყო. მაგრამ როგორ შეხვდება იქ „სულ" ჩასვლის იდეას?..

ერთი წუთითაც კი არ ვამიშვია იმის შესაძლებლობა, რომ შეიძლებოდა არაკეთილგანწყობით შეგვხვედროდნენ. აქ მთელი ძალით მუშაობდა ჩემი იდეალიზმი. და ის მე სიყვარულის გარდა არაფერს მპირდებოდა, ჰოდა, თუკი სიყვარული და თანხმობა იქნება, მაშინ ყველაფერ დანარჩენს როგორმე თავს გავართმევთ. დანარჩენი ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი, ანუ საბჭოთა წყობისა და საზოგადოების რეალობა, ჩემს ცნობიერებაში როგორლაც მეორე პლანზე გადაეიდა. ვფიქრობდი მხოლოდ ადამიანებზე, რომლებიც იქ დამხვდებოდნენ და რომლებიც ჩვენთვის ასე საჭირონი და ძვირფასნი იყვნენ.

მართალია, ჩემმა ვაჟმა ტელეფონით უკვე გამოხატა თავისი ბუნდოვანი ეჭვები ამის თაობაზე, კატეა მომწერდა მე თუ არა. საერთოდ, რატომღაც, ცოტა რამ იცოდა მასზე, როგორც ჩანს, ძალზე იშვიათად ნახულობდა და ბევრის თქმა არც შეეძლო. მაგრამ მე ჩემს კატეას ჯერ ისევ თხუთმეტი წლის, ჩემს მოყვარულ და ახლობელ გოგონად ვხედავდი. უეჭველია, რომ მას ასეთივე დამოკიდებულება ექნება თავის დასთან — ოლგასთან. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გასაოცარია, გონება როგორ ასხვაფერებს, ამახინჯებს ფაქტებს, როგორ გვთავაზობს მტკიცებებს, როცა გულმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება.

სექტემბერში ოლგამ თავის პანსიონის მიაშურა ზაფხულის არდადეგების შემდეგ, რომელიც მე და მან ატლანტის ოკეანეში, სილის კუნძულებზე გავატარეთ. ის-ის იყო, როგორც იქნა, შევიძინე ხის მრგვალი მაგიდა, რომელსაც ჩვენს დიდ ოთახში სასადილო მაგიდის როლი უნდა შეესრულებინა. ამ ოთახის ერთ კუთხეში განთავსებული იყო „სამზარეული“ (ქუჩა და მაცივარი), დანარჩენი სივრცე კი ეკავა „მისაღებს“. პლუს სასადილოს, პლუს კაბინეტს“ — ამ პატარა ბინების თანამედროვე დაგეგმვის შესაბამისად. მაგიდა იუგოსლავიაში იყო გაკეთებული და ინგლისში იმპორტირებული. ჩემი ვაჟიშვილისა და ქალიშვილის სურათები, სადაც უნდა გვეცხოვრა, ყველგან ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე გვეკიდა. ახლა მე ისინი მიცქერდნენ კმბრიჯის ბოტანიკური ბაღისკენ გამავალ მაღალ ფანჯრებს შორის განლაგებული წიგნის თაროებიდან.

ვიცოდი, რომ რაღაც უნდა გადამეწყვეტა. ვიცოდი, რომ სსრკ-ში ჩვენი გაგზავრება მსოფლიოში ყველგან აღქმული იქნებოდა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით და რომ მე ყველა ლაფის სროლას დამიწყებდა. დედის გრძნობები? აბა, ამას ვინ დაიჯერებს?! რაკი დუმილი არ შემეძლო, ჩოსერ როუდზე ნაცნობ ქალთან მივედი და ჩაის სმისას ვკითხე: „შეგეძლოთ თუ არა თქვენ თქვენი შვილიშვილების უნახავად გეცოცხლათ? ან ისე, რომ შვილებს არ ნახულობდეთ? ასეთ ცხოვრებას უმიზნო არსებობად ხომ არ მიიჩნევდით?“ მან სერიოზულად შემომხედა და მიპასუხა: „არა, ასეთ სიცოცხლეს არ ვისურვებდი“. ეს სიტყვები ჩემი კითხვის პასუხი იყო.

თარგმნა

ჯუმბერ თითმერიამ

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი

დიალოგების ცალეული პასაჟები, თანამედროვე თუ მომდევნო ეპოქის მწერალთა და ფილოსოფოსთა ზოგიერთნი შემინახული ძუნწი, მაგრამ უაღრესად საყურადღებო ცნობები, ისტორიული დოკუმენტები ჩვენს თვალწინ ზღაპან და აცოცხლებენ პლატონის დაბადული შემოქმედებითი ძიებების ზოგიერთ საეულიანმი დეტალს. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხმოთ „ტიმეოსის", ეს იგი, სწორედ იმ დიალოგის მონაცემები, რომელშიაც პლატონი ყველაზე სრულად და ამომწურავად აყალიბებს სამყაროს გეოცენტრიულ სურათს. თავისი წინამორბედების, თანამედროვეებისა თუ მომდევნო თაობის ასტრონომთა კოსმოლოგიური მოდელებისაგან განსხვავებით, სამყაროს ცენტრი — დედამიწა — არავადა კი არ წარმოგვიჩნდება „ტიმეოსში", არამედ თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს: „რაც შეეხება დედამიწას, ჩვენს მარჩენალს და ძიძას, თავისი ღერძის ირგვლივ რომ ბრუნავს, რომელიც მთელს სამყაროზე გადის, — ღმერთმა დღეღამის მცველად და გამრიგედ შექმნა იგი"...

მაგრამ ვიფიქრ ამ პასაჟის დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, ობიექტურობა მოითხოვს თქვას, რომ „ტიმეოსის" ყველა მკვლევარი, მთარგმნელი და კომენტატორი როდი იზიარებს ამნაირ გაგებას, რასაც ხელნაწერებში დაცული ტექსტის სხვადასხვაგვარი წაკითხვა ეანაპირებებს. ასე მაგალითად, „ტიმეოსის" ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში ე. წ. „Parisinus graecus 1807", რომელიც 1480 წელს აღმოაჩინა და ბიზანტიიდან ევროპაში ჩაიტანა სახელგანთქმულმა ელინისტმა იოანე ლასკარისმა, ეკითხულობთ: „გენ... ეილლოდენენ", მაშინ როდესაც ბევრი სხვა ხელნაწერი გვთავაზობს წაკითხვას: „გენ... ილლოდენენ". პირველი ვარიანტის თანახმად, დედამიწა თავის ღერძზე „შემოტრიალია", „შემოხვეული", „შემოტმასნილი", მეორის მიხედვით კი ის „ტრიალებს", „მოძრაობს" თავისი ღერძის ირგვლივ. მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა ტექსტოლოგებს როდი ეკუთვნით.

დედამიწის ბრუნვის პლატონისეული კონცეფციის სასარგებლოდ მეტყველებს არისტოტელეს ასტრონომიული თხზულების „ცისათვის" ერთი პასაჟი: „ზოგიერთები ამბობენ, რომ დედამიწა ცენტრში მდებარეობს და სამყაროზე გამავალი ღერძის გარშემო ბრუნავს („ილლუსთაი"), როგორც დაწერილია „ტიმეოსში". იქვე, ცოტა ქვემოთ, არისტოტელე კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს: მართალია, პლატონი დედამიწას სამყაროს ცენტრში კი ათავსებს, „მაგრამ, ამასთანავე, ამბობს, რომ ის თავისი ღერძის გარშემო ტრიალებს და ბრუნავს („ილლუსთაი კაი კინეისთაი"). ამას მოსდევს არისტოტელეს „გამანადგურებელი" კრიტიკა, თავისი გულისხმამყურადღებლად განყენებული არგუმენტაციით ახე ძლიერ რომ მოგვაგონებს სქოლასტიკოსების უსაგნო და მაღალფარდოვან მსჯელობას, მიმართულს ცგალილების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ აქ ვინიმე გაშაუებას ან გამარჯლებას როდი ვაპირებთ: ისტორიამ დიდი ხანია გამოიტანა თავისი პირფთვნელი მსჯავრი...

არანაკლებ საინტერესოა ციცერონის მოწმობაც: მიეეტა სირაკუზელის შეხედულების გადმოცემისას, რომლის თანახმადაც მზის ხილული მოძრაობა დედამიწის ბრუნვით უნდა აიხსნებოდეს (რაც თვით ციცერონს, არისტოტელესი არ იყოს, ეზსურდად მიაჩნია), რომელი ორატორი და ფილოსოფოსი დასძენს: „ზოგიერთნი თვლიან, რომ „ტიმეოსში" ამასვე ამბობს პლატონი, მაგრამ ცოტა უფრო ბუნდოვნად". ეს „ბუნდოვნება" პლატონის ოპონენტების მოგონილია. ტექსტოლოგებს შეუძლიათ დაუსრულებლად იდავონ იმის თაობაზე, თუ რომელ ზენას უნდა მიეწიოს უპირატესობა — „ეილლუსთაი"-ს თუ „ილლუსთაი"-ს, ასტრონომების წინაშე კი არავითარი ეილეა არ დგას: მათთვის დღისავით ნათელია, რომ „ტიმეოსის" ზემოთ მოტანილი პასაჟი, რომლის თანახმადაც, თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნავი დედამიწა „ღმერთმა დღეღამის მცველად და გამრიგედ შექმნა", მხოლოდ ერთ რაღაც ნიშნავს: დღე-ღამის ხაზობად ციური ოთხი, ანუ უძრავ ვარსკვლავთა ხეერის წრებრუნვის ნაცვლად პლატონს შემოაქვს ახალი ასტრონომიული ერთეული — დედამიწის ერთი სრული შემობრუნება თავისი ღე-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 4, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძის ირგვლივ. ცოცხ მნათობთა ხილული მოძრაობა ამიერიდან სწორედ დედამიწის ბრუნვით უნდა იქნეს ახსნილი, მაგრამ ამ ფუნდამენტური პიპოთეზის ავტორად ვერც ჭერაკლიდე პონტოელს მივიჩნევთ და ვერც პიკეტა სირაკუზელს: ის პლატონისგან ოღრს დასაბამს.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით ესაა მხოლოდ პლატონის სკეპსისის პირველი გამოვლენა, მისი პირველი დაეჭვება სამყაროს გეოცენტრული მოდელის სისწორეზე. სხვა მხრივ, „ტიმეოსის" მთელი ასტრონომიული კონცეფცია გეოცენტრიზმის პრინციპზეა დაფუძნებული. მაგრამ პლატონს მაძიებელი აზრი კვლავ განაგრძობს თავის დაწყებულ საქმეს. პლუტარქემ შემოგვინახა უაღრესად საყურადღებო ცნობა, რომელიც სახელგანთქმული ბერძენი სწავლულის, პლატონისა და არისტოტელეს მოწაფის თეოფრასტეს გადმოცემას ემყარება და თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ ზუსტი კალკულაციით მიიწევდა წინ გენიალური მოაზროვნის ინტუიცია კოსმიური კანონზომიერების წვდომისა და შეცნობის გზაზე: „თეოფრასტე გადმოგვცემს, — წერს პლუტარქე, — რომ უკვე მოზეცებული პლატონი ძალიან წუხდა და თავს აყვედრიდა, რატომ მოვათავეს დედამიწა სამყაროს ცენტრში, მისთვის შეუფერებელ ადგილსო".

მაშ ასე, თავდაპირველად ჩნდება თავისი მნიშვნელობით ჭეშმარიტად რევოლუციური აზრი, რომლის თანამედროვე, დედამიწა უძრავად კი არ მდებარეობს სამყაროს ცენტრში, არამედ საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნავს, რასაც უშუალოდ მოსდევს კიდევ უფრო ფუნდამენტური იდეა: დედამიწას ვერ მივიჩნევთ პლანეტარული სისტემის ცენტრად: ეს კი ნიშნავს, რომ გეოცენტრიზმის პრინციპზე სამყაროს მოდელის დაფუძნება იმთავითვე არასწორია. მაგრამ აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ასეა, მაშინ რომელ ცოცხ სხეულს უნდა მიეკუთვნოს სამყაროს ცენტრის ის დომინანტური როლი, რაც უწინ დედამიწას მიეწერებოდა? ჩვენი აზრით, პლატონს, ქმნილებებში ამ კითხვის პასუხიც მოიძებნება. ყოველ შემთხვევაში, გვიანდელი დიალოგების ცალკეულ პასაჟთა ანალიზი გვარწმუნებს, რა თანმიმდევრულად ყალიბდება პლატონის სულში ახალი ასტრონომიული კონცეფციის კონტურები და როგორი დაჟინებით მიიწევს მისი აზრი სამყაროს ჰელიოცენტრული მოდელის ფორმირების რთულსა და ნარეკლიან გზაზე, რომელიც მკაფიოდ გვიელენს ორ საეტაპო ნიშნსვეტს:

„ეპინომისში" პლატონი გაკვრით ეხება მთავარის ფაზებში მონაცვლეობას, რასაც უშუალოდ მოაყოლებს მოკლე მსჯელობას, მაშ „წრებრნენვასა („პერიოდოს") და მის თანამგზავრებზე" („კი ტუტო ტუს ქსინდრომუს"), ბოლოს კი დასძენს, რომ ამ „თანამგზავრთა", ანუ ცთომილთა გზის გაგება ძალიან ძნელი საქმეა. მაგრამ რას ნიშნავს აქ, ერთის მხრივ, „მზის წრებრუნვა", მეორეს მხრივ კი „მისი თანამგზავრები?" ან რატომაა, რომ პლატონი ახე მკვეთრად წყვეტს სიტყვას და მოულოდნელად გადადის სულ სხვა საკითხზე? — ცდილობს დაგვარწმუნოს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანს ბავშვობიდანვე ჩაეუნერგოთ შრომისმოყვარეობა, რათა ის ბეჯითად ეუფლებოდეს მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, უწერარეს ყოველისა კი გეომეტრიას. თუმის მოულოდნელი შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ სიფრთხილითა ოუ წინდახედულობით უნდა იყოს ნაკარნახევი, რის მიზეზიც ქვემოთ მოვახსენებთ მეთხველს. რაც შეეხება „მზის თანამგზავრებს", ეს გამოთქმა თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მზე პლატონს უკვე პლანეტარული სისტემის ცენტრად აქვს წარმოდგენილი, თუმცა, მეორე მხრივ, „მზის წრებრუნვა" თითქოს აშკარად უპირისპირდება ეა ამათილეს კიდევ ამნაირ გაგებას. ამ შინაგანი წინააღმდეგობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: თავისი უშუალო მოწაფის, ჭერაკლიდე პონტოელისა არ იყოს, პლატონი, როგორც ჩანს, თავდაპირველად აყალიბებს სამყაროს ე. წ. გეო-ჰელიოცენტრულ მოდელს, რომლის მიხედვითაც, პლანეტები დედამიწის კი არა, მზის გარშემო ბრუნავენ და მხოლოდ მზე — თავისი თანამგზავრებითურთ — მოძრაობს დედამიწის ირგვლივ; მოდელს, რომელსაც — ერთხელ კიდევ შევახსენებთ მეთხველს, — ცხრაწერტი საუკუნის შემდეგ ალადგენს და შემოქმედებითად განავითარებს კოპერნიკის დიდი მასწავლებელი ტიხო ბრაჰე.

ახლ, სკეპსისის, ეჭვის, ყოყმანის, ჭეშმარიტ თანდათანობით უარყოფისა და ახლის ფიზიკურმელი ძიების ხანგრძლივი ეტაპ. რთული პრიცხრობილი წინ უსწრებს და, იმავდროულად, განაპირობებს პლატონის დიად აღმოჩენას. დავუკვირდეთ „კანონებში" შეშფოდ წოვნის ერთ პატარა პასაჟს, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და მეცნიერული ღირებულებით ანტიკურობის ათობით ვრცელ ასტრონომიულ ტრაქტატს აღწევს; პასაჟს, რომელშიაც ზეგრძელი ოკეანოურობით, მაგრამ, ამასთანავე, ყველაზე სრულად და ამომწურავად ჩამოყალიბებულია პლატონის ჰელიოცენტრული მოძღვრების არსი: „მედარია აზრი თვარის, მზისა და სხვა ვარსკვლავთა ხეტიალის შესახებ: სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. თვითეული მათგანი მხოლოდ ერთ გზას გადის, მხოლოდ ერთ წრიულ მოძრაობას ახორციელებს და არა მრავალს, თუმცა ისე კი ჩანს, თითქოს მრავალი მიმართულებით მოძრაობდეს. ხოლო ის ვარსკვლავი, რომელიც სინამდვილეში ყველაზენ სწრაფად მოძრაობს, ჩვენ ასევე მცდარად ვვეჩვენება ყველაზე ნელა მოძრავად, და პირიქით, ყველაზე ნელა მოძრავი ყველაზე სწრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვგონია. ახე დაიწყა ბუნებამ, ჩვენ კი სხვა აზრზე ვდგავართ".

ეხაა ადამიანის გონების ერთი უდიდესი მიღწევა, მეცნიერული აზრის ტრიუმფი. პოეტ ვალერი თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის შესახებ წერდა: „ვალერიის გენიალობის საიდუმლო: მან პირველმა გაბედა ერთ მშვენიერ დღეს თავისი აზრით დაპირისპირებოდა. და გამოცდილებას; გაბედა უფუფუბეველეო პასიური წინააღდეგობანი და სახუნისაგან დამოუკიდებლად განეზიოლა მოძრაობა და წონასწორობა, — ზახუნისაგან, რომელიც ამრკოლიებს პირველს, ხოლო მეორეს ადვილებს. ვალერიეთ გაბედა დაპირისპირებოდა სიცხადეს". ფრანგი მწერლის ეს სიტყვები შეიძლება სრული უფლებამოსილებით მიეუსადაგოთ კაცს, რომელსაც მთელი ოცი საუკუნე აზრიანს ვალილეის ეძიებსაგან. პლატონმაც, ფიზიკური სინამდვილის სულ სხვა სფეროში, ახეეე პირველად გაბედა ეკვის თვალით შეეხედა ცდის უშუალო მონაცემებისათვის და ამრიგად „დაპირისპირებოდა სიცხადეს", რომელიც სულ სხვა სურათს სთავაზობდა დამკვირვებლის მზერას:

ვარსკვლავებით მოეკიდალი ცის გიგანტური თაღი, ანუ სამყაროს ყველა გეოცენტრიული მოდელის „უძირავ ვარსკვლავთა სფერო" დედამიწის ირგვლივ ბრუნავს, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. თვით უძირავ ვარსკვლავთა მდებარეობა, ისეეე როგორც თანავარსკვლავედთა კონფიგურაციები, ამ ბრუნვისას უცვლელი რჩება. ვამოსაკლისს შეადგენენ მხოლოდ პლანეტები, ანუ ცთომილები, უცნაურ ტრაექტორიებს რომ შემოსწერენ ცის თაღზე. მათი მოძრაობა სხვადასხვანაირია უძირავ ვარსკვლავებსა თუ მზესთან მიმართებით. იგი შიგნითა, ანუ ქვედა პლანეტებს — მერკურის და ვენერას ხან ამავე თანავარსკვლავედში ეხედავთ, რომელშიაც იმყოფება მზე, ხან კი მეზობელ თანავარსკვლავედებში, მზის აღმოსავლეთით თუ დასავლეთით. ისინი ერთგვარ რხევით მოძრაობებს ასრულებენ მზის მახლობლად, როგორც ქანქარა — თავის ღერძის გასწვრივ, მაშინ როდესაც გარეთა, ანუ ზედა პლანეტების (მარსი, იუპიტერი, სატურნი) ტრაექტორია — მათი პირდაპირი თუ უკუქცევითი მოძრაობებისა და დგომის მომენტების ერთობლიობა — მარყუჟისებურ ხვეულად წარმოეეეენიშნება ცის თაღზე. პლანეტების მოძრაობის სიჩქარე მათ უფრო მეტია, რაც უფრო ახლოს არიან ისინი პლანეტარული სისტემის პერიფერიასთან, ეს პირიქით, მათ უფრო ნაკლები, რაც უფრო ახლოს მდებარეობენ ამავე სისტემის ცენტრთან. ასეთია, ძალზე ზოგადად და სქემატურად, ცის თაღის, ვარსკვლავებისა და პლანეტების ხილული მოძრაობის სურათი, რომელიც თვალწინ ეშლება დედამიწაზე მყოფ დამკვირვებელს.

დღეს ადვილია ხილველად, რომ ციურ სხეულთა ხილული მოძრაობა მოჩვენებითია, ილუზორული. ეს „სხადვილე" მიღწეულია ათობით პირველმარსხოვანი მოაზროვნის თავგანწირული ძალისხმევის, უძილო ღამეების, ტანჯვა-წამების, დაუხსნელი იმედების, მოწამებრივი სიკვდილის ფასად. მაგრამ მაშინ, ოცდათოთხი საუკუნის წინათ?.. ამ მზრიე პლატონის გამბედაობა ვალილეის გამბედაობის ტოლფარდია. ცხადი სიმარცვა, სიზმარი ეი ცხადი, — ამის მტკიცება ცალოდეს გამბედაობის ფარგლებს და სიმშიდეგს უფაზოდება. სარკეში ხაენის ანარეკლი ჩანს, ხაგანი და ანარეკლი წყლის ორი წვეთივით ბგავანან ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ ვიცით: რეალურია მხოლოდ ხაგანი, ანარეკლი კი ილუზორულია, და ვერავინაც, ვერავითარი ძალა ვერ დაეგარწმუნებს სპარიისპირო აზრის სიწორეზეთ: რომ ანარეკლი რეალურია, ხაგანი კი ილუზორულია. ხალი აზრისა და გრძნობაეი აღქმის, ყოველდღიური პირადი ცდისა და კაცთა მოდგმის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების უშუალო მონაცემებით ჩამოყალიბებული, ჩვენს არსებაში ღრმად ფესვგადგმული, ჩვენსავე სულს შენივთებული და შეეხსნელორიცეხული სტერეოტიპის მსზარეეი იყო სპერო სამყაროს ტრადიციული სურათიდან სრულიად ახალ კოსმოლოგიურ კონცეფციაზე გადასასვლელად.

ცის თაღის, ანუ უძირე ვარსკვლავთა სფეროს ხილული სადღეგრძივო ბრუნვა პირწმინდა ილუზიაა, ნამდვილიეეი ცის თაღი კი არა, დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, ზმოლოდ არა აღმოსავლეთიდან დასავლეთის, არამედ საპირისპირო მიმართულებით, რის შედეგადაც დედამიწაზე მყოფი დამკვირვებელი და მისი პირიზზნტის სიბრტყე თანდათანობით შემობრუნდება ვარსკვლავეიერი ცის მიმართ; ახე რომ, დამკვირვებელი ყოველეულ ერთსა და იმავე ეს ალექვამ: მისი ხედვის არეში ვგიდებით შემოდიან აღმოსავლეთით მდებარე ვარსკვლავები, მაშინ როდესაც დასავლეთის ვარსკვლავები, პირიქით, გადიან მისი ხედვის არედან. მაგრამ რაკი დამკვირვებლის მდებარეობა დედამიწის მიმართ უცვლელია, ის საკუთარ ბრუნვას ვერ გრძნობს, სამაგიეროდ აღიქვამს ცის მოჩვენებით, ილუზორულ მოძრაობას, რომელიც დედამიწის ბრუნვის საპირისპირო მიმართულებით ხორციელდება. ახეეე პირწმინდად ილუზორულია პლანეტების რთული — პირდაპირი თუ უკუქცევითი მოძრაობაც, მათი „დგომაც", მათი ქანქარისებური რხევა თუ მარყუჟისებური მიმოქცევაც. ისინი სინამდვილეში სხვადასხვა მრუდებს, უცნაურ ხვეულებს კი არ შემოსწერენ, არამედ ჰიმოგენურად მოძრაობენ წრიულ ორბიტებზე („ზედარია აზრი მთვარის, მზისა და სხვა ვარსკვლავთა ხეტიალის შესახებ; სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. თვითეული მათგანი მხოლოდ ერთ ეზას გადის, მხოლოდ ერთ წრიულ მოძრაობას ასრულებს და არა მრავალს, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე კი ჩანს, თითქოს მრავალი მიმართულებით მოძრაობდა"... მართალია, „კანონების" ავტორისათვის პლანეტების რეალურ ტრაექტორიებს წრიული ფორმა აქვთ, მაგრამ მათ წრეებად თვლიდა თვით კოპერნიკი და მხოლოდ კეპლერმა დაადგინა, რომ ისინი წრეები კი არ არიან, არამედ ელიფსები, თუმცა ძალზე მცირე ექსცენტრისიტეტით, რაც მათ, არსებითად, წრეებთან აახლოებს... და ბოლოს, პლატონის პეიდოცენტრიზმის ხასიათგებლად თვალსაზრისე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: თუ გეოცენტრიული მოდელის მიხედვით ცთომილთა მოძრაობის სიჩქარე თანდათანობით კლებულობს ისინდან კვალად, რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით პლანეტარული სისტემის ცენტრს და, პირიქით, ეზოდედებთ მის პერიფერიას, „კანონების" ავტორი ხაზგასმით ამტკიცებს საპირისპირო აზრის სიტყვრეს: „...ეარსკვლავი, რომელიც სინამდვილეში ყველაზე სწრაფად მოძრაობს, ჩვენ ასევე მცდარად გვეჩვენება ყველაზე ნელა მოძრავად და პირიქით ყველაზე ნელა მოძრავი ყველაზე სწრაფი გვგონია", რაც იმას ნიშნავს, რომ ცთომილთა რეალური სიჩქარე მით უფრო მეტია, რაც უფრო ახლოსაა პლანეტარული სისტემის ცენტრთან, და მით უფრო ნაკლები, რაც უფრო შორსაა ცენტრისაგან.

ყოველივე ამან საფუძველი მისცა ო. ფ. გრუპეს ჭერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში პლატონი კოპერნიკის წინამორბედად გამოეცხადებინა. გერმანელი მეცნიერის თვალსაზრისს დღეს მხარს უჭერს და აღიარებს სხვადასხვა ქვეყნის არა ერთი და ორი სწავლული. თუმცა ისიც უნდა თქვას, რომ პლატონის ღვაწლის აღიარებამ მთელი ათასწლეულებით დაიგვიანა, რაც საუკუნეების მანძილზე ბრავალი ობიექტური (და არა მარტო ობიექტური) მიზეზის მოქმედებით იყო გამოწვეული. ჭერ ერთი, „კანონების" მთავარი გმირი — მსცოვანი ათენელი სტუმარი, ვისი სახითაც, პლატონისტების აზრით, დიალოგის ავტორს, საკუთარი თავი გამოპყავს, პირდაპირ უცხადებს თავის თანამოსაუბრეებს, რომ მხოლოდ სიბერეში მიაღწია ციურ სხეულთა მოძრაობის სრულიად ახლებურ გაგებას. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, პლატონი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა „კანონებზე", რომელიც ცალის ფირფიტებზე შავად დაწერილი დარჩა და უკვე ავტორის სიკვდილის შემდეგ მისმა უერთგულესმა მოწაფემ ფილიპე ოპუნტელმა გადაათვინა იგი. ასე რომ, პლატონი, რა თქვა უნდა, ვერ მოახერხებდა თავისი ახალი ასტრონომიული კონცეფციისათვის სათანადო მათემატიკური აპარატის მოძებნას და სამყაროული წრებრუნვის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მოდელის შექმნას.

ვერ მოახერხებდა... ან იქნება, არც უნდოდა მოესწორა? ჰელიოცენტრული კონცეფცია ძვ. წ. ა. IV საუკუნის საბერძნეთში არანაკლებ საფრთხეს უქადდა მის ავტორს, ვიდრე კეკტორიენტოსა თუ ჩინკვეფენტოს იტალიაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საგულისხმოა „კანონების" ერთი ფრაგმენტი:

„ათენელი. ნეგობრეს, მე ვიტყოდი, რომ ამჟამად ჩვენ, ელინები, ეცალრად ადვილამთ დიად ღმერთებს — მზესა და მთვარეს.

კლინია. როგორ თუ მცალრად?

ათენელი. ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი არაოდეს არ მოძრაობენ ერთი და იმავე გზით, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ვარსკვლავი, და ამტკიცებ ცთომილებს ეუწოდებთ მათ.

კლინია. ვფიცავ ზეუსს, მართალს ბრძანებ, უეჭველი. მაგრამ ჩვენს სიცოცხლეში არაერთხელ დაკვირვებივარ, რომ ცისკრისა თუ მწუხრის ვარსკვლავი და ზოგიერთი სხვა ცნობილება არასოდეს არ მიმოიქცევიან ერთი და იმავე გზით, არამედ აქეთ-იქით დაეხეტებიან, მზე და მთვარე კი ისე მოძრაობენ, როგორც ჩვენ ყველანი ვეუდიდავთ.

ათენელი. ამტკიცებ ვამტკიცებ მე, მეგილე და კლინია, რომ ყოველივე ეს ციური ღმერთების შესახებ ამდენად მაინც უნდა იცოდნენ ჩვენმა მოქალაქეებმა და ახალგაზრდებმა, რომ მათ გმოსახ არ მიმეთ ხელი, არამედ მოდამ — მსხვერპლშეწირვისა თუ ლიცვა-ვედრების დროსაც ინარჩუნებდნენ ღვთისმოსაობას".

ამას მოსდევს „კანონების" ზემოთ უკვე ციტირებული პასაჟი, რომელშიაც ყველაზე სრულად და ამომწურავად გადმოცემულია პლატონის პეიდოცენტრული მოძღვრების არსი. მაგრამ ჩვენ აქ უშუალოდ წინამდებარე ფრაგმენტი გვაინტერესებს: აღსანიშნავია ყველას ესმოდეს, — ამტკიცებს ათენელი სტუმარი (იგივე პლატონი) — თვითეულის შეგნებამდე იქნეს დაყვანილი ცთომილთა ხილული კი არა, რეალური მოძრაობის ცოდნა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული ოდენობითა თუ ფეზნთ. მიზეზი ერთია: ათენელი შიშობს, რომ თუ ამ ცოდნას მთელი ხალრმითა და სისრულით დაეუფლებენ ყველა ელინი, ეს გარდუვალად გამოიწვევს ტრადიციული რელიგიური წარმოდგენების მსხვრევას. რაღა დარჩება რწმენისაგან, რიცა ოლიმპო, ნეტარი ღმერთების მთელი დასითურთ, დედამიწასთან ერთად ციბრუტივით დაიწეკის ტრიალს, როგორც დისკობოლისი — ბაღრის მტკორცნელი — თავისი ბაღრით ტრიალეს ბაღრად დასაწყრელ წრეზე? ადვილი შესაძლებელია, რომ ამას უშუალო შედეგად მოჰყვეს საყოველთაო ურწმენობება, მკრეხელობა, ღვთისმგმობლობა. პლატონს, ღრმად მორწმენე და ღვთისმოსავ კაცს, ყველაზე უმალ თვითონვე აძრწუნებს და თავზარისა სეტყს ეს საზარელი პერსპექტივა. ეგეც არ იყოს, მას კარგად ახსოვს ანაქსაგორას ხვედვასლილობა და სოკრატეს ტრაგიკული ხვედრიც. გაიგლის საუკუნე და ანალოგიური იდე-

ების ქადაგებით შეურაცხყოფილი ელინთა რელიგიური გრძნობა მრისხანედ მგრავნინა ანთიგმად ეთხესელ კიდეე დაატყვება თავს ღიდ ბერძენ ასტრონომს არისტარქე სამოსელ. პაგანიზმი, ამ მხრივ, არანაკლებ უფლმობელია და დაუნდობელი, ვიდრე ქრისტიანიზმი. არ შეეცადნით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ძველ საბერძნეთში თამაშდება ახალი ასტრონომიის დიდ მარტყელთა — ნიკოლოზ კოპერნიკისა და ტიხო ბრაჰეს, ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეისა თუ იოჰან კეპლერის ფრამის პირველი აქტი.

ამიტომ ცხოვრებისეული დიპლომატია დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას მოითხოვს. ახალი ასტრონომიული კონცეფციის დამკვიდრებას გადაულახავ დაბრკოლებად ელობება წინ აზროვნების ისეოცია და მეცნიერების განვითარების მაშინდელი დონეც. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბერძნული ასტრონომიული აზრის მთელი შემდგომი განვითარება კვლავინდებურად ტრადიციული მიმართულებით — გეოცენტრული მოდელის თანდათანობითი დახვეწისა თუ სრულყოფის ნიშნით წარიმართება და მხოლოდ მცირეოდენოვანი რიეულნი თუ გაყვებინან პლატონის მიერ ნაჩეენებ გზას. ყველაზე თამამი იდეები ყველაზე უფთხსტომო და მიუსაფარი, ყველაზე ტრაგიკული იდეებია: არავინ იცის, რატომ იბადებინან მათთვის სრულიადაც უცნო და შეუფერებელ გარემოში, სადაც ისინი არავის სჭირდება, სადაც აშკარად არ არის მათი ადგილი. კოპერნიკ, რომელიც წაწით ბაიელვებს ღამეულ ცაზე და თითქოს სამუდამოდ უჩინარდება უსასრულოს მრუმე წიაღში, რათა ათასწლეულთანის შემდეგ კვლავინდებურად მოიქცეს უკან და სამყაროს გონებამიუწვდომელ მისტერიაზე ერთხელ კიდეე დაიფიქროს ხულ სხვა ცივილიზაციის ადამიანები...

ასტრონომიისა თუ ფიზიკის, მედიცინისა თუ ბიოლოგიის გარდა, პლატონი აქიტურად მონაწილეობს ანტიკური მეცნიერების სხვა დარგების განვითარებაშიც. ამ მხრივ, მსოფლიოში პირველი აკადემიის „პრეზიდენტის" საქმიანობა მარტოოდენ მეცნიერების დიდი ორგანიზატორის როლით ორდი განისაზღვრება. ის მხარში უდგას აკადემიის სახელგანთქმული პლეიადის წევრებს და თავისი წვლილი შეაქვს ბერძნული მეცნიერების წინსვლის საქმეში. ცნობილია, რა დიდი ადგილი უჭირავს პლატონის დიალოგებში მათემატიკის თეორიულ პრობლემებს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მისი ინტერესების სფერო მარტოოდენ თეორიული პრობლემატიკით შემოიფარგლება. ისტორიამ შემოგვინახა საინტერესო ცნობა: როგორც მუშაობდა პლატონი ანტიკურობის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ამოცანის — კუბის გორმაგების პრობლემაზე, რომლის გადაჭრა მის გარდა ეკუთვნის ძველი თუ ახალი დროის ისეი გამოჩენილ მათემატიკოსებს, როგორიც იყვნენ არქიტა ტარენტელი, ეუდოქსე, მენექმე, ერატოსთენე, ნიკომედე, აპოლონიოსი, ბერონი, ფილონ ბიზანტიელი, დიოკლე, პაპოსი, ბუთნაფალნე, ვიეტი, დეკარტი, ნიუტონი.

თვით ცნობა, რომელიც არქიმედეს კომენტატორმა ეეტოკოსმა შემოგვინახა, ლეგენდის სამოსელშია გახვეული: „ადმოცეემით, ერთმა ძველმა ტრაგიკოსმა სცენაზე გამოიყვანა მინოსი, რომელიც ბრძანებს ძეგალი ალეონ გლაკკოსს. როცა გაიგო, საფლავზე აღმართული ძეგლის თვითეული განზომილება ანი წყრთის ტოლიაო, მან თქვა: „შენ მეტისმეტად მცირე ხავნე აუგე მეფეს, ამიტომ ორჯერ უნდა გაადიდო. დაუფიენებლივ გაორმაგდ ძეგლის თვითეული გეერი ისე, რომ ფორმის სინპატიე არ დაარღვიო".

როგორც ჩანს, მინოსი შეცდა. რადგან გეერ-დების გორმაგებით ფართობი ოთხჯერ, მოცულობა კი რვაჯერ გაიზრდება. ამის შემდეგ გეომეტრებმა დაიწყეს ძებნა, თუ რა გზით შეიძლებოდა მოცემული სხეულის გორმაგება ისე, რომ ფორმა უცვლელად შეენარჩუნებინათ. ამ ამოცანას კუბის გორმაგება უწოდეს, ვინაიდან თავდაპირველად სწორედ კუბის გორმაგებას ცდილობდნენ. დიდხანს გაგრძელდა ამაო ძებნა. პირველად ჰიპოკრატე ქიოსელმა შენიშნა, რომ თუ ვიტოვით ორ საშუალო პროპორციულს ორ მონაკვეთს შორის, რომელთაგანაც უდიდესი ორჯერ ჭრიელია უმცირესზე, შესაძლებელი გახდება კუბის გორმაგება. ამრიგად, ერთი ამოცანა მეორე, არანაკლებ რთული ამოცანით შეიცვალა.

როგორც გადმოგვეცემენ, გამოხდა ხანი და, აი, ასეთსავე გაჭირვებულ დღეში აღმოჩნდნენ დელოსელნენიც, რომლებსაც ორაკულმა უბრძანა გაეორმაგებინათ საკურთხეველი. ამიტომ ელჩები გაგზავნეს პლატონის აკადემიის ეეიმეტრებთან და თხოვეს ამოცანის გადაკრაში დაგვეხმარეთო. ისინიც გულმოდგინედ შეუდგნენ ამ ამოცანის ამოხსნას, რომელიც ორ მოცეებულ მონაკვეთს შორის ორი საშუალო პროპორციულის მონახვას მოითხოვდა. როგორც ამბობენ, არქიტას ნახევარცილინდრის მეშვეობით გადაჭრა ეს ამოცანა, ეედოქსემ კი ორი მრუდის საშუალებით".

შემით უკვე აღვნშნეთ, რომ სახელგანთქმული დელოსელი ამოცანის ეედოქსესეულ გადაჭრას ჩვენამდე არ მოუღწეეია. რაც შეეხება არქიტა ტარენტელის ამოხსნას, ის დღემდე ბიბლიას მათემატიკოსებს მსჯელობის უზადო ლოგიკური ფორმით, სინატიფითა და დახვეწილობით. „გაგა ეს მომხიბლავი არ არის? არქიტას, როგორც ჩანს, ეეშმარიტად ღვთიურმა ზეშთაგონებამ გაუნათა სული, როცა ამნაირ აგებას მიაკვლია", — შენიშნავს ბერძენი მათემატიკოსის კონსტრუქციული ნიჭით აღფრთოვანებული ვან დერ ვარდენი. „ეეენაკეურ ხელსაწყოთა დამზადების დიდებული ხელოვნება—წერის პლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარქე, — პირველად იქნა გამოყენებული მეგობრების — ევდოქსეს და არქეტას მიერ, რომლებსაც სურდათ უფრო მოქნილი და დახვეწილი გაეხადთ გეომეტრია და თვალსაჩინო მოდელთა გამოყენებით გადაეკრთან ის ამოცანები, რომელთა დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტაც მარტოოდენ თეორიული მსჯელობებისა თუ ნახაზების მეშვეობით არ ხერხდებოდა. ასე მაგალითად, ამოცანა ორი საშუალო პროპორციულის შესახებ, რომელსაც ეფუძნება ბევრი სხვა პრობლემა, ორივემ გადაჰკა მექანიკური მეთოდებისა და თვალსაჩინო ხელსაწყოების მეშვეობით, რათა ამოზნექილ მრუდთა და კონუსური კვეთის თვისებათა საფუძველზე ეგზოთ ორი საშუალო პროპორციული".

მაგრამ ჩვენ კონკრეტულად მხოლოდ პრობლემის პლატონისეული გადაჭრა გვაინტერესებს. ევტოკიოსის ცნობას თავისი ვარიანტიც მოეძებნება; მისი ავტორია მათემატიკოსი და ასტრონომი თეონ სმირნელი, რომელიც თავის მხრივ, ერატოსთენეს ემყარება: „თავის თხზულებაში „პლატონიკოსი" ერატოსთენე მოგვითხრობს: როდესაც ღმერთმა მისნის პირით აუწყა დელფელებს, თუ ვინდათ შვი ჟირისაგან დაიხსნათ თავი, ახალი სამსხვერპლო უნდა ააგოთ, ყველზე ორჯერ უფრო დიდი, შუნველები ჩიხში მიემწყვდნენ; არ იცოდნენ, როგორ ავგოთ ორჯერ უფრო დიდი სამსხვერპლო. მაშინ თხოვნით მიმართეს პლატონს, ხალო ეს თქვა: ღმერთმა ამიტომ კი არ გამცინთ ეს, რომ ორჯერ უფრო დიდი სამსხვერპლო სჭირდება, არამედ, ელინეს ჰყვდრის, ბათემატიკაზე ზრუნვით რომ არ იწუხებენ თავს და გეომეტრიას არ აფასებენო". თითქმის სიტყვასიტყვით ამასვე გადმოგვცემს პლუტარქეც თავის თხზულებებში — „დელფოსური" გამოთქმისათვის — „შენ ხარ" და „სოკრატეს დემონისათვის". პლუტარქე იქვე დასძენს, პლატონმა ევდოქსეს და ჰელიკონ კიძიკოსელს მიანდო ამ ამოცანის გადაჭრაო. მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ამაკ არ დასჯერდა და თვითონაც მოჰკიდა ხელი მის გადაწყვეტას, რადგანაც კუბის გაორმაგების მათემატიკური პრობლემა უშალოდ უკავშირდებოდა მის ფილოსოფიურ ძიებებს.

პლატონის გადაჭრა უშუალოდ გამომდინარეობს პრობლემის პიპოკრატე ქიოსელისეული გარდაქმნიდან (რომელის თანახმადაც, კუბის გაორმაგება შესაძლებელი გახდება, თუ ვიპოვთ ორ საშუალო პროპორციულს ორ მონაკვეთს შორის, რომელთაგანაც უდიდესი ორჯერ გრძელია უმცირესზე და შემდეგ ლემაზეა დაფუძნებული: „ნებისმიერ მართკუთხა ტრაპეციაში, რომელიც დიაგონალებიც ურთიერთპერპენდიკულარულია, დიაგონალების მონაკვეთები გეომეტრიული პროგრესიას ქმნიან" (იხ. ნახ. 3). მაშ, ასე, მოცემულია ABCD მართკუთხა ტრაპეცია, რომელშაც $\angle A = \angle B = 90^\circ$ და



$AC \perp BD$. უნდა დავამტკიცოთ, რომ $\frac{OC}{OB} = \frac{OB}{OA} = \frac{OA}{OD} \cdot \triangle ABC$ და $\triangle ABD$

მართკუთხა სამკუთხედებია, რომელთა სიმაღლეებია OB და OA. ცნობილია თეორემა, რომლის თანახმადაც, მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე დაშვებული სიმაღლის კვადრატი ჰიპოტენუზაზე კათეტების გეგმილების, ანუ, რაც იგივეა, ჰიპოტენუზის მონაკვეთების ნამრავლის ტოლია. მაშასადამე, $OB^2 = OA \cdot OC$ (1) და $OA^2 = OB \cdot OD$ (2). ჩვენ შეგვიძლია (1) და (2) ტოლობები შემდეგი პროპორციების სახით წარმოვადგინოთ: $\frac{OC}{OB} = \frac{OB}{OD}$ (3) და $\frac{OB}{OA} = \frac{OA}{OD}$ (4). აქედან გამომდინარე $\frac{OC}{OB} = \frac{OB}{OA} = \frac{OA}{OD}$, რაც უნდა დაგვემტკიცებინა.

ახლა კი უნდა ვიპოვოთ x, ისე, რომ $x^3 = 2a^3$. ამისათვის მიღებულ პროგრესიაში დავუშვათ, რომ $OC = a$, $OB = x$, $OA = y$ და $OB = 2a$. მაშინ მივიღებთ $\frac{a}{x} = \frac{x}{y} = \frac{y}{2a}$, საიდანაც $x^2 = ay$ (1) და $y^2 = 2ax$ (2). (2)-დან გვაქვს: $y = \sqrt{2ax}$; y-ის მნიშვნელობა შევიტანოთ (1)-ში: $x^2 = a \cdot \sqrt{2ax}$ და ტოლობის ორივე მხარე ავიყვანთ კვადრატში: $x^4 = a^2 \cdot 2ax = 2a^3x$, ანუ $x^3 = 2a^3$. მაშასადამე, გაორმაგებული კუბის წიბო იქნება $X = OB$.

ზემოთ დამტკიცებულ ლემაზე დაყრდნობით, OB მონაკვეთი შეიძლება მექანიკურად — ორი გონიოს (კუთხედის) მეშვეობით იქნეს აგებული. ამისათვის უნდა ავიღოთ ორი ურთიერთპერპენდიკულარული m და n წრფე, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ O წერტილში. (იხ. ნახ. 4). m წრფეზე, O წერტილიდან მარჯვნივ გადავზომოთ OC=a მონაკვეთი, სადაც a იქ კუბის წიბოა, რომელიც უნდა გავაორმაგოთ; n



წრეზე, O წერტილის ქვემოთ კი გადავზომოთ OD=2a მონაკვეთი. ამის შემდეგ ვიღებთ ორ გონიოს და ისე ვუსადგებით ერთმანეთს, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, კერძოდ ა) პირველის კათეტი C წერტილზე გადის, რომელიც მოცემულად თვლეთა, წვერო კი n წრეზე მდებარეობს; ბ) მეორის კათეტი ასევე მოცემულ D წერტილზე გადის, წვერო კი m წრეზე მდებარეობს, და გ) როგორც ერთი, ისე მეორე გონიოს დანარჩენი ორი კათეტი ერთმანეთს ეხება.

ორი გონიოს ამნაირი ურთიერთგანლაგებისას m და n წრეზეზე ვპოულობთ A და B წერტილებს. მაშინ OB=x, ხოლო OA=y. ლემის თანახმად $\frac{a}{x}=\frac{x}{y}=\frac{y}{2a}$, საიდანაც

$$x^3=2a^3.$$

ადვილად გამოვვყავს $x^3=2a^3$. მაშასადამე, გაორმაგებული კუბის წიბოა x=OB, რისი აგებაც გვინდოდა. ერატოსთენეს მოწმობით, პლატონს მეკანიკური ხელსაწყოც კი დაუშვებია დელოსური ამოცანის გადასაწყვეტად (იხ. ნახ. 5). ბერძნული Π-ს მსგავსი ერთი გონიო საგანგებოდ დატანებულ ნარიმანდთა გასწვრივ თავისუფლად მოძრაობს ახეთივე ფორმის მეორე მეორე, უფრო ფართო გონიოში.



ავადელის სქოლიარქის, ისევე როგორც ავადელის წეგრთა მათემატიკური ძიებები, რომელთა შორისაც პირველ რიგზე უნდა მოვიხსენიოთ პროპორციულობის თეორიის არა ერთი და ორი საკითხი, უშუალოდ უკავშირდება „ტიმეოსისა“ და პლატონის ბევრი სხვა დიალოგის ფილოსოფიურ პრობლემებს და მსინჯველოვნად განაპირობებს მათი მეცნიერული მიზანდასახულობის ძირითად მიმართულებას. კერძოდ, ორი საშუალო პროპორციულის აგება, რაზედაც პლატონს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული დელოსური ამოცანა დაპყავს, „ეპინომისში“, ერთი მხრივ, სტერეომეტრიის მთავარ პრობლემადაა დასახული, მეორე მხრივ კი პლატონის ესთეტიკისა თუ მეტაფიზიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად გვევლინება. სანიმუშოდ მოვიხმოთ „ეპინომისის“ ერთი პასაჟი, სადაც მათემატიკა, ესთეტიკა და მეტაფიზიკა ისე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რომ ამ მონოლითური მთლიანობის ანალიზი ან ბინა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტაცია აშკარად არ ემორჩილება ფილოლოგისა და ფილოსოფოსის ზღვრულ ძალისხმევას, თუკი საქმეში მუსიკისა ან მათემატიკისც არ ჩაერია:

„უმთავრესი და უპირველესია მოძღვრება რიცხვების შესახებ, მაგრამ არა იმ რიცხვებისა, რომელსაც საგნობრივი გამოხატულება აქვთ, არამედ, საერთოდ, „ლუწისა“ და „კენტის“ ცნებათა ჩამოყალიბებისა და იმ თვისებების შესახებ, რასაც ისინი ავლენენ საგანთა ბუნებასთან მიმართებით. ვინც ეს შეიგნო, მისთვის ნათელი ხდება ის, რასაც ადამიანები ბრიყვულად უწოდებენ „მიწისმზომელობას“ („გეომეტრია“), თუმცა მისი ნამდვილი მიზანი ისაა, რომ ერთმანეთის მსგავსი გახადოს რიცხვები, რომლებიც ბუნებით ერთმანეთის არ გვანან, როგორც თვალნათლივ გვიჩვენებს ბრტყელ ფიგურათა მაგალითი. ადამიანური კი არა, ქმნმარტად ღვთაებრივი ხასწაული გადაიხლება მის თვალწინ, ვინც ამის შემდეგ განიხილავს საგანგაზომილებიან რიცხვებს, რომლებიც ერთმანეთის მსგავსნი არიან თავიანთი სიერცული ბუნებით. მისი მიმდევრები გეომეტრიას უწოდებენ ამ მეცნიერებასაც, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე შეუძლია ერთმანეთის მსგავსნი გახადოს არამსგავსნი. მაგრამ ვამჭრიახი დამკვირვებლისთვის ყველაზე სასაცარი და ღვთაებრივი მაინც ისაა, რომ ყოველგვარი ბუნება, პროპორციულობის სხვადასხვა ხაზის შესაბამისად, თავისი ხასიათისა თუ გვარის ტკიფარს გვაძლევს გაორმაგებისა თუ მისი საპირისპირო ძალის ზემოქმედებით. კერძოდ, გაორმაგების პირველი ძალა ესაა — 1-დან 2-ზე გადახვლა, ისევე როგორც მეორე ხარისხში აყვანა და ბოლოს, სხეულთა წარმოქმნა, რაც 1-დან 8-ზე გადახვლის გულისხმობს. მისი საპირის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირო ძალა კი, რომელიც საშუალო პროპორციულთანაა დაკავშირებული, მაშინ ვღებულებ, როცა, ერთი მხრივ, შუა წევრი თანაბრად მეტია უმცირესზე და ნაკლებია უდიდეს კიდურა წევრზე, მეორე მხრივ კი, როცა შუა წევრი კიდურა წევრების ერთი და იმავე ნაწილით აღემატება უმცირესს და ჩამოიკვეთება უდიდეს კიდურა წევრს. 6-სა და 12-ს შორის მოქცეული თანაფარდობანი 3:2 და 4:3. ამ თანაფარდობებმა, შუა წევრიდან კიდურა წევრებზე გადასვლის გზით, ასზვავლა ადამიანებს მწყობრი თანაბრიერება და ნეტარი მუზებთან ხომლს მიანდო მათი აღზრდა რიტმული თამაშებითა თუ პარმონიით".

ახლა ვნახოთ, რას გვეუბნება მათემატიკა, მეტაფიზიკისა და ეთიკიკის ეს ორგანული ნაერთი. პლატონიზმისა და პითაგორიზმის ურთიერთკავშირის მიმოხილვისას ჩვენ უკვე საკმარისად ვიდასარკვეთ რიცხვთა თეორიის ისეთი ცნებებზე, როგორიცაა „ლუწი" და „კენტი". ამიტომ „ეპინომისის" წინამდებარე ფრაგმენტის ანალიზი ძირითადად გეომეტრიისა და პროპორციულობის თეორიის პრობლემებს მიეძღვნება. მაგრამ მანამდე მეოთხეულ უნდა გავაცნოთ ის მეოდრო კავშირი, რომელიც არსებობდა, ერთის მხრივ, გეომეტრიის დარგებს — პლანიმეტრიასა და სტერეომეტრიას, ხოლო მეორეს მხრივ, არითმეტიკას შორის. პითაგორეანელებმა მოყოლებული, ძველი ბერძნები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ე. წ. „პირველად", ანუ „ხაზოვან რიცხვებს" („პრიტალ არითმოი", „გრამმიკოი"), „ბრტყელსა" („ეპიპედოი") და „მყარ", ანუ „სივრცულ რიცხვებს" („სტერეო არითმოი"). ყოველი მთელი დადებითი რიცხვი მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ნატურალურ რიცხვთა ნამრავლად. მაგრამ ზოგიერთი რიცხვი ისეთი თანაბრად რავლებად არ იშლება, მაგალითად, 7, რომელიც შეიძლება მხოლოდ თავისი თავისა და 1-ის ნამრავლად წარმოვიდგინოთ. ამიტომაც მას გამოსახავდნენ წრეგზე თანამიმდევრულად განლაგებული 7 წერტილის სახით. სწორედ ამ ტიპის რიცხვებს უწოდებდნენ ისინი „ხაზოვან". 1-ის გარდა, ყოველი ორი ნატურალური რიცხვის ნამრავლი მარცუთხეულის ფართობად იყო მიჩნეული (ასე მაგალითად, 6=2.3 იმ მართკუთხედის ფართობი გახლდათ, რომლის გეერდებია 2 და 3), სამი ნატურალური რიცხვის ნამრავლი კი მყარი სხეულის მოცულობად (8=2.2.2 იმ კუბის მოცულობას გამოხატავდა, რომლის წიბოც 2-ს უდრის). აი, ამ ტიპის რიცხვებს უწოდებდნენ ძველი ბერძნები, შესაბამისად „ბრტყელსა" და „სივრცულ რიცხვებს". რაკი პლანიმეტრია ბრტყელ ფიგურათა თვისებებს შეისწავლის, სტერეომეტრია კი — მყარი სხეულებისას, არსებობდა სრული ურთიერთშესაბამისობა, ერთის მხრივ, „ბრტყელ რიცხვებსა" და პლანიმეტრიას, მეორეს მხრივ კი — „სივრცულ რიცხვებსა" და სტერეომეტრიას შორის, რადგანაც თუ „ბრტყელი რიცხვი" მართკუთხედის ფართობად, ანუ მისი ორი გეერდის ნამრავლად გვევლინება, „სივრცული რიცხვი" სხვა არა არის რა, თუ არა მართკუთხა პარალელეპიპედის სამი განზომილების ნამრავლი.

მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გასაგები პლატონის სიტყვების აზრი: პლანიმეტრიის „ნამდვილი მიზანი ისაა, რომ ერთმანეთის მსგავსი გახდილ რიცხვები, რომლებიც ბუნებით ერთმანეთს არ გვანან, როგორც თვალნათლივ გვიჩვენებს ბრტყელ ფიგურათა მაგალითი". ორი „ბრტყელი რიცხვი" ab და cd, ანუ იმ მართკუთხედთა ფართობები, რომელთა გეერდებია შესაბამისად a, b და c, d, ერთმანეთის მსგავსია მაშინ, როცა ამ მართკუთხედთა გეერდები ურთიერთპროპორციულია, ე. ი. a:b=c:d. მეორეს მხრივ, ეუკლიდეს მიხედვით („საწყისები", VIII, 18), ორ რიცხვს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს მსგავსი, როცა მათ შორის საშუალო პროპორციული რიცხვი არსებობს. მაგრამ პლანიმეტრია გვასწავლის როგორ ავაგოთ მონაკვეთთა ყოველი წყვილის საშუალო პროპორციული და კვადრატად გარდავქმნათ ნებისმიერი მართკუთხედი, ანუ რომ, პლანიმეტრიის მეშვეობით მართლაც შეგვიძლია ერთმანეთის მსგავსი გავხადოთ ნებისმიერი ორი რიცხვი, რომლებიც, თავიანთი ბუნებით, შეიძლება ერთმანეთის მსგავსნი არც იყვნენ.

„ბრტყელი რიცხვებიდან" „ეპინომისი" უშუალოდ გადადის „სივრცულ რიცხვებზე". ორი „სივრცული რიცხვი" — abc და def, რომელთა-განაც თვითეული, როგორც ვიცით, მყარ სხეულთა სამ-სამი განზომილებას ნამრავლად გვევლინება, ერთმანეთის მსგავსია მაშინ, როცა ამ მყარ სხეულთა შესაბამისი განზომილებანი ურთიერთპროპორციულია, ე. ი. a:d=b:e=c:f. პლატონის აზრით, სტერეომეტრია ესაა მეცნიერება, რომელიც გვასწავლის, როგორ გავხადოთ ურთიერთმსგავსი ორი „სივრცული რიცხვი", რომლებიც, ზემოაღნიშნული აზრით, ერთმანეთს არ გვანან. მაშასადამე, სტერეომეტრიის მიზანი ისაა, რომ კუბად გარდაქმნას ყოველი „სივრცული რიცხვი", ან ააგოს ორი ისეთი კუბი, რომელთა მოცულობებიც ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც ნებისმიერი ორი მთელი რიცხვი. სწორედ ამ თეორიული მიზნის კონკრეტულ რეალიზაციად გვევლინება პლატონის მიერ ე. წ. „დელოსური ამოცანის" ორიგინალური გადაჭრა.

პლანიმეტრიისა თუ სტერეომეტრიის ყველა ეს თეორიული საკითხი გამოდგებით ბრუნავს ერთი და იმავე ცენტრალური პრობლემის — გაორმაგების პრობლემის ირგვლივ, რასაც ერთხელ კიდევ დაეენებთ ბაზს უსვამს პლატონი: „მაგრამ გამჭრიახი დამკვირვებლისათვის ყველაზე საოცარი და ღვთაებრივი მანნე ისაა, რომ ყოველგვარი ბუნება, პროპორციულობის სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა ბაღის შესაბამისად, თავისი სახეობისა თუ ვარის ტეფარს გვაძლევს გარომაგებისა თუ მისი საპარისპირო ძალის ზემოქმედებით. კერძოდ, გარომაგების პირველი ძალა ესაა 1-დან 2-ზე გადასვლა, ისევე როგორც მეორე ხარისხში აყვანა და, ბოლოს, სხეულთა წარმოქმნა, რაც 1-დან 8-ზე გადასვლას გულისხმობს...“

აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება შემდეგი: რიცხვთა პითაგორელებისეული მეტაფიზიკიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ერთი“, ანუ „მონადა“, ესაა თვითიგივეობისა და უცვლელობის პირველსაწყისი, მაშინ როდესაც „ორი“, ანუ „დიადა“ თვითგანსხვავების, ცვალებადობის, განწილულობის, მოკლედ, ქმნადობის („ენენესის“) პრინციპად გვევლინება. თანაფარდობა 1:2, ზოგადი აზრით, ესაა მეტაფიზიკური რეალობის ფიზიკურ სინამდვილეში გადასვლა, სამყაროული პროცესის დასაბამიერი იმპულსი. ამ შემთხვევაში კი იგივე თანაფარდობა სიერცის ერთი „განზომილებიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს: წერტილის ამოძრავება გვაძლევს ხაზს, ხაზისა — სიბრტყეს, ხოლო სიბრტყისა მოცულობის მქონე სხეულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წერტილის პროეცირება სივრცეში ან კიდევ მონაკვეთის გარომაგება ამოიხატება თანაფარდობით 1:2, კვადრატის წიბის გარომაგების შესაბამისი რიცხვითი თანაფარდობაა 1:4, ხოლო კუბის სამივე განზომილების გარომაგებისა — 1:8.

და ბოლოს, კიდევ უფრო ენიგმური „ეკინომიისის“ ციტირებული პასაჟის დასასრული; გარომაგების საპირისპირო ძალა, რომელიც „სიშეულო პროპორციულობასა დაკავშირებული, მაშინ ვლინდება, როცა, ერთის მხრივ, შუა წევრი თანაბრად მეტია უმცირესზე და ნაკლებია უდიდეს კიდურა წევრზე, მეორეს მხრივ კი, როცა შუა წევრი კიდურა წევრების ერთი და იმავე ნაწილით აღემატება უმცირესს და ჩამოუვარდება უდიდეს კიდურა წევრს. 6-სა და 12-ს შორის მოქცეული თანაფარდობანი 3:2 და 4:3. ამ თანაფარდობებმა, შუა წევრიდან კიდურა წევრებზე გადასვლის გზით ასწვეთ ადამიანებს მწყობრი თანაბმირება და ნეტარი მუზეები ზომლს მიანდო მათი აღზრდა რიტმული თამაშებითა თუ ჰარმონიით“.

ამ ბუნდოვანი პასაჟის გაგების საშუალებას იხეკ და იხეკ მათემატიკა გვაძლევს. პლატონი აქ ეურდნობა არითმეტიკულსა და მუსიკალურ, ანუ ჰარმონიულ პროპორციებს. თუ ამ პროპორციების კიდურა წევრებს შესაბამისად აღვნიშნავთ a-თი და b-თი, ხოლო უცნობ შუათანა წევრს x-თ, მაშინ ჯერ კიდევ პითაგორას მიერ მიკვლეული თუ ბაბილონელი მათემატიკოსებისაგან გადმოღებული „ოქროს პროპორციის“ თანახმად, საშუალო არითმეტიკული გამოითვლება ფორმულით $x = \frac{a+b}{2}$, ხოლო საშეულო ჰარმონიული $x = \frac{2ab}{a+b}$. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში $(6:12)$ $x = \frac{6+12}{2} = 9$ და $x = \frac{2 \cdot 6 \cdot 12}{6+12} = 8$.

მაშასადამე, 6-სა და 12-ს შორის მოქცეული საშუალო არითმეტიკული — 9 და საშეულო ჰარმონიული — 8, რაც ზუსტად ემთხვევა მათ პლატონისეულ დეფინიციას: საშუალო არითმეტიკული თანაბრად მეტია უმცირესზე და ნაკლებია უდიდეს კიდურა წევრზე $(9 = 6 + 3$ და $9 = 12 - 3)$, საშეულო ჰარმონიული კი კიდურა წევრების ერთი და იმავე ნაწილით აღემატება უმცირესს და ჩამოუვარდება უდიდეს კიდურა წევრს $\left(8 = 6 + \frac{6}{3}\right.$ და $\left.8 = 12 - \frac{12}{3}\right)$.

ამ გამოთვლების კვალად გვაქვნება შემდეგი პროპორციები: $12:8 = 9:6 = 3:2$ და $12:9 = 8:6 = 4:3$. თანაფარდობებს 3:2 და 4:3 ბერძნულად ეწოდება „ჰემიოლიონ“, ან „ლოგოს ჰემიოლიონ“ (ratio sesquialtera) და „ეპიტრიტონ“, ან „ლოგოს ეპიტრიტოს“ (ratio sesquiterta). მუსიკის თეორიაში ისინი შეესაბამებიან კვინტას და კვარტას...

პლანიმეტრიისა თუ სტერეომეტრიის ძირითადი პრობლემები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან გეომეტრიულ სხეულთა გარომაგების ამოცანას, ჰარმონიული თუ არითმეტიკული პროპორციები, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათემატიკაშიც და მუსიკის თეორიაშიც, — ყოველივე ეს ორგანულად ერწყმის „ტიმეოსის“ თემატიურ რკალს. სულერთია, რას ეხება საქმე: სამყაროს სხეულის შექმნასა თუ ორი სხვადასხვა მეტაფიზიკური საწყისის — „იგივეობრივის“ („ტაუტონ“) და „სხვისი“ („თატერონ“) ბუნებისაგან კოსმიური სულის ფორმირებას, ოთხი ფიზიკური ელემენტის (მიწა, წყალი, პაერი, ცეცხლი) შესაბამისი ოთხი სუნიერი მრავალწახნაგა სხეულისა (კუბი, იკოსაედრი, ოქტაედრი, ტეტრაედრი) თუ გრძნობადი სინამდვილის „უმცირესი საშენი აგურების“ — ელემენტარულ სამკუთხედთა გეომეტრიულ სტრუქტურას, სამყაროულ ჰარმონიასა თუ პლანეტარულ სისტემას, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს, — ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა „ტიმეოსის“ ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის გაგება პლატონისა და საერთოდ, მის წინამორბედთა თუ თანამედროვეთა მათემატიკური და მუსიკალური თეორიების გარეშე. ანტიკური მეცნიერების ისტორიაში იშვიათია თეორიისა და პრაქტიკის ესოდენ მჭიდრო კავშირი, რისი წყალობითაც სულიერი ქმედითობის ეს ორი სფერო მთლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა, ნაწილობრივ მაინც ერწყმის ერთმანეთს და, გარკვეული აზრით, მათი ნაყოფიერი თანამშრომლობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევა.

კონტრასტი მით უფრო მკვეთრია, რომ თეორიისა და პრაქტიკის ამნაირი თანაფარდობა არსებითად უცნაა ანტიკურობისათვის, სადაც ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთმანეთის პარალელურად ვითარდებიან, თეორიული მეცნიერების მიღწევებს ხშირ შემთხვევაში ხალხთო არა აქვს რა მათ პრაქტიკულ გამოყენებასთან, ხოლო პრაქტიკა, თავის მხრივ, ხტიმუალს არ აძლევს და ახალი აღმოჩენებისთვის არ აჭეზნის თეორიულ აზრს. ტექნიკურ პროგრესს, მეარი თეორიული ბაზისის უქონლობის გამო, მხოლოდ ყოველდღიურობის პრაქტიკული მოთხოვნილებები განაპირობებს. თვით მეცნიერების ის დარგი, რომელსაც შეეძლო აქტიური ზემოქმედება მოეხდინა ტექნიკის განვითარებაზე, შედარებით უფრო გვიან — არქიმედეს ეპოქაში ყალიბდება: მე ვგულისხმობ თეორიულ მექანიკას. მაგრამ ანტიკური ტექნიკისა და თეორიული მექანიკის მიღწევათა თანდაყოლილი ერთიანობა ამ ნარკვევის ფარგლებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ პლატონის მრავალმხრივი ინტერესების სფერო მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად თითქმის მთლიანად მოიცავს ტექნიკას და მექანიკასაც. მისი ქმედითი აზრი ცდილობს რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს მათ მიღწევებს და თავისი პირადი სულიერი ცდის განუყოფელ ნაწილად აქციოს ისინი. პლატონის პრაქტიკული მოღვაწეობის ერთი ნიმუში თვალნათლივ გვიმოწმებს ამას.

„სიცოცხლის კეთილის ხელოვნება — წერს თავის გამოკვლევაში „ანტიკური ტექნიკა" ცნობილი ეკონომიკური მეცნიერი ჰ. დილი, — ოდითგანვე ითვლებოდა ტექნიკის ყველაზე დახვეწილ და სრულყოფილ დარგად. უძველესი დროის ტექნიკოსები, ამ მხრივ, დიდ გამომგონებლად გვევლინებიან. საფუძველს მოკლებული რიდია იმის მტკიცება, რომ ამ დარგში თვით ახალ დრამდე არ აღმოცენებულა არცერთი ახალი იდეა, — სტილის შეცვლა და სხვადასხვა სახის გაუმჯობესება სათვალავში არ მიიღება. ხელობა და მეცნიერება აქ მეჩიდროდ ერწყმის ერთიმეორეს". შემდეგ მკვლევარი, ანტიკური თუ ალექსანდრული ეპოქისა და ქრისტიან ავტორთა შრომებზე დაყრდნობით, მრავალრიცხოვანი ისტორიული დოკუმენტების დეტალური ანალიზისა და არქეოლოგიური გათხრების მონაპოვართა გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე, დაწვრილებით აგვიწერს ძველ ეგვიპტურ „პაპრის ისტორიოგიურ სათვალეს" („ჰორილოგიონ კაი ფოინიკა ისტორიოგიას"), ჩრდილის მაჩვენებელ „გნომონებს", რომლებიც ბაბილონელებისაგან უნდა გადმოეღოთ ძველ ბერძნებს და შემდეგ მზის საათების გაკეთებისელ ნაწილად ექცეოდ, ე. წ. „ლრეობით" საათებს, რომლებიც წელიწადის დროთა ცვალებადობასთან ერთად („ჰორაი კაირეაი") იცვლებოდნენ, მზისა თუ წყლის საათებს, ვერტიკალურსა თუ ჰორიზონტალურ, საგზო თუ სამგზავრო, ნახევარსფერულსა თუ კონუსურ საათებს, „მერცხლისკუდა" თუ „ორპირა ცულის" მსგავს „პელეკინონებს" და ა. შ. და ა. შ. მესაათე ისტატთა შორის ვხედავთ ძველი სპერძნეთისა თუ რომის სახელგანთქმულ სწავლულებს — ასტრონომებს, მათემატიკოსებს, ტექნიკოსებს, ვამოგონებლებს: ალექსანდრე მილეტელს, მიტოროს, ეუდოქსე კნიდოსელს, არისტარქე სამოსელს, პპოლონიოსს, ჰერონს, კტესიბიოსს, არქიმედეს, პტოლემაიოსს, ვიტრუვიუსს და სხვებს.

რაც შეეხება პლატონს და მის აკადემიას, ჰ. დილსა ძალზე საყურადღებო ცნობას გვთავაზობს: „...თუ ფილოსოფოსთა ცნობიერი მოზაიკა Terra annunziata-დან წარმოგვიდგენს პლატონის მოწაფეებს, გარს რომ შემოხვეულან თავიანთ მოძღვარს, რომელიც შუაში ზის და გეომეტრიულ ფიგურებს ხაზავს ქვიშაზე (აკადემიის ბაღს იქით აკროპოლისი ჩანს, რომლის მიღმაც მზე ამოდის), რა გასაკვირია, რომ შუა ბაღში, მაღალ სეტყნე დადგმული მზის საათი, რომელიც ყნოსრისა და მის ქვეშოთ საათების ალმნიშვნელ თორმეტი დანაყოფოთ ერთად დროის ხაზოვნი ხელსაწყოს ტიპიურ ნიმუშად გვევლინება. საათის წინა მხარე ხაზხრეთისკენაა მიქცეული. საჰეციერო სკოლაში, სადაც ასტრონომია და მათემატიკა სულ უფრო მეტ გავლენასა და მნიშვნელობას იძენდა, შეუძლებელია ფოთს გასულიყენენ დროის ხაზოვნი ხელსაწყოს გარეშე"... მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა შემდეგი ფაქტი: 1915 წელს ჰ. დილსმა მოაკვლია ფუსიკის თეორეტიკოსის არისტოკლეს (II ს. ძვ. წ. ა.) ცნობას, რომელიც არისტარქეს მოწაფის არისტოკლეზეს გადმოცემას ეფარება და ამიტომ ბბსოლუტურად საინმენოა. ამ ცნობის თანახმად, პლატონს გამოუგონებია ე. წ. „ღამის საათი" („ნიკტერიონ პოროლოგიონ"), რომელსაც ჰ. დილსი მსოფლიოში პირველ მალეიძარა საათად თვლის, აკადემიის მეთაურს სურდა მისი მეშვეობით ღელადუთეანი გაედვიძებინა თავისი მოწაფეები. ეკონომიკური მეცნიერმა მალე მიაგნო პლატონის „მაღვიძარას" მუშაობის პრინციპსაც არქიმედეს საათის მექანიზმის ერთ ძველ ალეზრილობაში, რომელშაც არაბების წყალობით მოაღწია ჩვენს დრამდე. იმავე 1915 წელს ჰ. დილსმა თავისი აღმოჩენის შედეგები გააცნო ბერლინის მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც დამატებით წარუდგინა მის მიერვე დამზადებული მინიატურული ასარატი: ეს გახლდათ პლატონის „მაღვიძარას" მოდელი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენების დასასრულს ამაუშავა აუდიტორიის წინაშე.

„მსოფლიოში პირველი მაღვიძარას“ ინსტრუქცია და მისი მოქმედების პრინციპი, დილის მიხედვით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება წყლით სავსე მოზრდილი C კლესიდრა (იხ. ნახ. 6) თანდათანობით იცლება ზუსტად ექვსი



საათის განმავლობაში. კლესიდრის სახურავში (A) მოთავსებულია B ფილტრი, რომელიც წყალს მიწის მინარევებისაგან წმენდს. კლესიდრა ჩადგმულია D სამფეხში, რომელიც ფიცრის სახურავზე დგას. კლესიდრაში დატანებული E მილით წყალი წყეთ-წყეთად ჩაედინება ფიცრის სახურავს ქვემოთ მოთავსებულ ბუჩქებში, რომელიც ორი ერთმანეთისაგან განმზღოლებული F და K კამერისაგან შედგება. F კამერაში ჩამაგრებულია G მილი, რომლის ზედა ბოლო დარჩილულია, ქვედა კი ღია. G მილში მოთავსებულია მეორე. უფრო ვიწრო H მილი, რომლის ორივე ბოლო ღია და რომელიც F კამერიდან K კამერაში ჩადის. კლესიდრიდან ჩამონადენი წყალი F კამერის ფსკერზე გროვდება და თანდათანობით მიიწევს ზემოთ იმ შუალედში, რომელიც G და H მილებს შორის რჩება; როცა H მილის ზემოთა ბოლოს მიაღწევს, უწყვეტ ჯაჭვად ეშვება K კამერაში, სადაც წყლის წნევით შეეუშვება მაერი I მილით გამოედინება L სარქველიდან. შემდეგ კი M ფლეტისების ტანის გასწვრივ მიემართება N ფლეტისაკენ და იხე ახმიანებს შიგ ჩამაგრებულ სასტვენს, თითქოს ფლეტისტი უკრავსო.

პალტონის მაღვიძარას მექანიზმმა დიდი გავლენა მოახდინა დროის ხაზოზი ხელსაწყოების შემდგომ დიზენეზსა და განვითარებაზე. საკმარისია თქვას, რომ მოქმედების იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად დიდი ბერძენი მექანიკოსების — არქიმედესა და კტესიბიოსის საათებს. ჰ. დილი გვაუწყებს ერთ საინტერესო ფაქტსაც: დაახლოებით 1500 წელს პლატონის მაღვიძარას ანალოგიური მექანიზმი თანაბარ საათის დასამზადებლად გამოუყენებია ლეონარდო და ვინჩის, რომელსაც, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა ჰქონდა პლატონის გამოგონებაზე, თითქმის 19 საუკუნით წინ რომ უსწრებდა მისას, მაგრამ ჩვენ აქ სულ სხვა რამე გვაინტერესებს: პლატონის მაღვიძარას მოქმედების პრინციპი, როგორც ვნახეთ, მაერის წნევის გამოყენებაზეა დაფუძნებული. ამ მხრივ, ის მთელი საუკუნით წინ უსწრებს ბერძნული მექანიკის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელთა მიღწევებს. ანტიკური მენციერების ერთი თანამედროვე ისტორიკოსი წერს: „ტექნიკის საეციფიკური დარგი იყო ძვ. წ. ა. III საუკუნეში აღმოჩენილი ენეგმატიკა, რაც გულისხმობდა მაერის წნევის გამოყენებას სხვადასხვაგვარი მექანიკური ხელსაწყოების დასამზადებლად. ამ დარგის დამაარსებელად ითვლება კტესიბიოსი, არქიმედეს თანამედროვე, რომელიც ალექსანდრიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა“. ამრიგად, ჩვენ ერთხელ კიდევ ვდგებავართ სამწუხარო აუცილებლობის წინაშე; სამართლიანია მოითხოვს ხაზგასმით ითქვას, რომ ენეგმატიკის დამაარსებელი კტესიბიოსი კი არ არის, არამედ პლატონი.

მით უმეტეს, რომ დიდი ბერძენი მოაზროვნის პრაქტიკული მიღწევა მისივე თეორიული ნააზრევეთაა განმტკიცებული. მაერი, ისევე როგორც დანარჩენი სამი ტეტრეთონი — მიწა, წყალი და ცეცხლი, პლატონისათვის, უწინარეს ყოვლისა, სხეულია, მატერიალური სუბსტანციაა, ხოლო ყოველი სხეულებრივი, ყოველი ნივთიერი ბუნება, „ფედონის“ მიხედვით, „ქვედან ზოდეველია, მძიმე, ხილული და მიწიერი“. მაშასადამე, მაერი, როგორც სხეულებრივი სუბსტანცია, მძიმეა და თავისი სიმძიმით წნევას ყველაფერს, რასაც აწვება. „ტიმეოსში“ პლატონი რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავს მაერის წნევის ეფექტს, რასაც დიდოსტატური ხელოვნებით იყენებს თავისი მაღვიძარას კონსტრუირებისას. ძნელი წარმოსადგენია თეორიისა და პრაქტიკის უფრო მჭიდრო კავშირი, მაგრამ ნათქვამია, ერთი მერცხლის ბიკეკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. ბერძნული მეცნიერების „ჯილეტის ქუსლი“, მისი არსებითი ნაკლი კვლევინდებურად ნაკლდაგე რჩება: ეს გაბლავი თეორიული დასკვნების ცდით, პრაქტიკით შემოწმების, ექსპერიმენტული მეთოდის თითქმის სრული იგნორირება. მოსწრებულად შენიშნავს მექანიკის ერთი თანამედროვე ისტორიკოსი: ბერძნულ მეცნიერებას „საკირიდ არ მიიჩნდა საბჟაროზე დაკვირვება, რადგანაც თვლიდა, რომ საკმარისი იყო მისი გამოგონება“. სამყაროს, ბუნებისა და მისი კანონების „გამოგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების" ამ მანკიერმა ტენდენციამ ცუდი სამსახური გაუწია მეცნიერებს მოელს შემდგომდროინდელ განვითარებას. სულ მალე მოვა არისტოტელელ „სიცარიელის შიშის" (horror vacui) მისი ქიმერული ცნებით. ანტიკურობას შეეცალის ადრეული შუასაუკუნეები თავისი ანტიმეცნიერული ორიენტაციით. კაცობრიობა თანდათანობით დაივიწყებს პაერის სიმძიმისაც, მის წონებისაც და შეეცდება სწორედ „სიცარიელის შიშით" ახსნას ბუნების ბევრი მოვლენა.

„როგორც ოკეანის სიღრმეში მცხოვრებ თევზებს წარმოდგენაც არა აქვთ წყლის წონებზე, ისე ჩვენს უმრავლესობასაც არ ესმის ის როლი, რასაც პაერისა და სხვა გაზების წონეა ახლუნებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში". მხოლოდ ახალი დროის მეცნიერებამ შესძლო ადამიანის გამოყვანა ამ უმეცრებიდან. „სიცარიელის შიშის" დაძლევის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა გალილეის მოწაფემ ევანჯელისტა ტორიჩელიმ თავისი სახელგანთქმული ცდით, რომელსაც: თვითეული ჩვენგანი იცნობს სასკოლო ფიზიკის კურსიდან. „მიუხედავად იმისა რომ ტორიჩელიმ ზოგიერთი პიპოთეტური მოსაზრება პიპოთეზამდე დარჩა, ძნელია გადაჭარბებით შეადაფასო ამ ცდის მნიშვნელობა. ადამიანი თითქოს პირველად გასცდა უშუალო გრძნობიდან აღქმის ტალღს მონაცემებს... მან პირველად აღმოაჩინა, რომ ყოველისგანმწეწინივთიერება, რომელიც გარს არტყია ჩვენს პლანეტას; რომელთაც ვსუნთქავთ და ვსუფდგულობთ და რომელსაც, ყოველივე აქის მიუხედავად, ისევე ვერ ვეარნობთ და ვერ განვიცდით, როგორც თევზი წყალს, თურმე ჩვენი გრძნობებისათვის სრულიად მიუწვდომელი და მოუხელთებელი ეთერული სუბსტანცია კი არ არის, არამედ მაგ თავისი კონკრეტული ფიზიკური თვისებები, ყოველ შემთხვევაში, წონა მაინც აქვს. „ჩვენ ვცხოვრობთ პაერის ოკეანის ფსკერზე და ეგზიუფატანელი ცდენი ვამტკიცებთ, რომ პაერი მძიმეაო", — წერდა ტორიჩელი".

და მაინც, საკირო გახდა პასკალის გენია, რათა საბოლოოდ უარეყო პაერის წონეის წინააღმდეგ მიმართული ყველა არგუმენტი და, ამრიგად, ბოლო მოელო ძველი ფიზიკის ერთ-ერთი უმძიმესი შეცდომისათვის, რასაც „სიცარიელის შიშის" ფსეედომეცნიერული კონცეფცია ედო საფუძვლად. პასკალის, მიერ დადოსტატური ხელოვნებით ჩატარებულმა ცდებმა, როგორც თვითონვე აღნიშნავდა, „საუფუძველი გაუძიაცა სიცარიელის შიშის საკოვლესო რწმენის და სამუდამოდ დაადგინა წარუვალი ეკუშარიტება: რომ ბუნებას სულაც არ ეშინია სიცარიელის და არ გაურბის მას, და რომ პაერის, მასის სიმძიმეა ყველა ამ მოვლენის ეკუშარიტი მიზეზი, რასაც აქმდე ამ მოჩვენებითს მიზეზს მიაწერდნენ".

„სიმძიმის" ცნება ერთხელ კიდევ მიიპყრობს ჩვენს უურადღებას „ტემეოსში", მაგრამ აჩვენრად ხაქმე ეხება არა პაერის, ან რომელიმე სხვა მატერიალური სუბსტანციის სიმძიმეს, არამედ „სიმძიმის ცენტრს", გრავიტაციული ეფექტის მოქმედებას, უშუალოდ რომ განაპირობებს ამსოლუტური „ზემო"-ს ან „ქვემო"-ს არარსებობას სამყაროში. მაგრამ, მოდით, ჯერ თვით „ტემეოსის" ავტორს მოვუსმინოთ: „რაც შეეხება მძიმეს და მსუბუქს, მათი ახსნა ყველაზე უკეთ მხოლოდ იმის ბუნებასთან კავშირში შეიძლება, რაც აღინიშნება ორი სიტყვით: „ზემოთ" და „ქვემოთ". ხაქმე ისაა, რომ წარმოდგენა, რომლის თანახმადაც თითქოს თვით ბუნება აწესებს ორ სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო ადგილს, ორად ორად ყოფს მთელს სამყაროს, — „ქვემოთ", საითაც ისწრაფის ყველაფერი, რასაც სხეულის მასა აქვს, და „ზემოთ", საითაც ყველაფერი მსოლოდ იძულებით თუ შეიძლება წარიმართოს, — აშკარად მცდარი წარმოდგენაა. მართლაც, რაკიღა მთელ ცას სფერის ფორმა აქვს, მაშინ ცენტრიდან თანაბრად დაშორებული ყველა უკიდურესი წერტილი, თავისი ბუნებით, თანაბრად უკიდურესია, ხოლო მათგან თანაბარი მანძილით დაშორებულ ცენტრს თვითეული მათგანის მიმართ თანაბრად უკიდურესად უნდა ეთვლოდეთ. მაგრამ თუ სამყაროს ბუნება მართლაც ამნაირია, მაშინ ამ უკიდურეს წერტილთაგან რომელს შეიძლება ეუწოდოთ „ზემოთა" და რომელს — „ქვემოთ", ისე, რომ ხიტყვითა უბრალოდ ხვარებისათვის ხავსობთ ამპარტავანი ხაუკეთესო არ დავიმსახუროთ? რადგან სამყაროს ცენტრი, კაცმა რომ თქვას, არც „ზემოთ" მდებარეობს და არც „ქვემოთ", არამედ ხაკუთრივ ცენტრში, მაშინ რიდესაც სამყაროული სფერის ზედაპირს ვერც ცენტრად ვიგულებთ და ვერც იმნაირ ნაწილთა მქონედ, რომ ისინი ამე თუ ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: ეთქვათ, ცენტრთან ერთი უფრო ახლოს იყოს, ვიდრე მისი საპირისპირო ნაწილი. და თუ მთელი სამყარო, თავისი ბუნებით, სრულიად ერთგვაროვანია, ურთიერთსაპირისპირო ხასეთოაგან მაინც რომელი შეიძლება მივუსადაგოთ მას და დარწმუნებული კი ვიყოთ იმაში, რომ სწორად ვუსადაგებთ? დავუშვათ, რომ სამყაროს ცენტრში მდებარეობს ყოველმხრივ თანაბრად გაწონასწორებული მყარი სხეული. ეს სხეული ვერასდიდებით ვერ გადაადგილდებოდა სამყაროს ვერცერთი უკიდურესი ნაწილისაკენ, ვინაიდან მასა და ამ ნაწილებს შორის ხავსებთი ერთნაირი თანაფარდობა არსებობს. ხოლო თუ ვინმე დაიწყებდა ამ ხსეულის გარშემოვლას, წარმდგომენ თავისი თავის ანტიპოდად მოგვევლინებოდა და იძულებული იქნებოდა ერთი და იმავე მიმართულებისათვის ხან „ზემოთ" ეწოდებინა, ხან კი „ქვემოთ". მოკლედ, რაკიღა

Digitized by Georgian National Digital Library

სამყაროსულ მთელს, როგორც წეღან აღვნიშნეთ, სფეროს ფორმა აქვს, უაზრობაა, ეთი რომელიმე ადგილი „ზემოთად“ მიგვაჩნდეს, მეორეს კი „ქვემოთად“ ვთვლიდეთ“.

ამ ფრაგმენტის მნიშვნელობისა და იმ უჩვეულო კონტრასტის წარმოსაჩენად, რასაც თვალწინაა ეგვიანელს მისი შედარება „სიმძიმისა“ თუ „სიმსუბუქის“ ანტიკურ კონცეფციებთან, საკმარისია პლატონისა და არისტოტელეს თვალსაზრისთა ურთიერთშეჯერება. თავისი ტრაქტატის „ცისათვის“ IV წიგნში არისტოტელე ამტკიცებს, რომ სიმძიმისა და სიმსუბუქის სხვადასხვაობა ფარდობითი კი არ არის, არამედ ახსოლუტური. ძმიმე სხეულების ბუნებრივი მოძრაობა სამყაროს ცენტრისაკენ მიმართული. ბუნებრივ მოძრაობათა მიმართულება, თავის მხრივ, განისაზღვრება სამყაროულ ადგილთა სხვადასხვაობით, რომელთაგანაც თვითეული ამა თუ იმ ელემენტს — მიწას, წყალს, ცეცხლსა და ჰაერს უპირავს. „არისტოტელეს მოძღვრება სიმძიმისა და სიმსუბუქის შესახებ — წერს რუსი მეცნიერი ი. დ. რეკანსკი, — სტაგირელის ფიზიკის მე დარგებს გაწეკუთვნება, რომლებიც შეიძლებოდა მოძველებულად ჩაგვთვალა თვით მის სიცოცხლეშივე. უკვე არისტოტელეს ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი სტრატონი უარყოფს ამ მოძღვრებას, ხოლო რაც შეეხება სტაგირელის წინამორბედებს, ბერგაეციის თეორიის ვენიალური ეხეიფი, რასაც პლატონი თავის „ტიმეოსში“ (62c—63e) გვთავაზობს, გაცილებით უფრო მეტად შეეხაბაყვისება ახალი დროის მეცნიერების თვალსაზრისს, ვიდრე არისტოტელეს მთელი მსჯელობა ბუნებრივ ადგილთა და მოძრაობათა შესახებ“.

სიმძიმის ძალის პლატონისეულ გაგებას და ახალი დროის მეცნიერების გრავიტაციულ თეორიას მართლაც ბევრი რამ აქვთ საერთო. ჩვენს აღტაცებას იწვევს სივრცული ორიენტაციის დაკავშირება გრავიტაციული ველის მოქმედებასთან. „ტიმეოსის“ მიხედვით, „ქვემოთ“ ისწრაფის ყველაფერი, რასაც სხეულის ბასი აქვს, მაშინ როდესაც მასის მქონე ნებისმიერი სხეული მხოლოდ ძალის ზემოქმედებით თუ შეიძლება აეზიდოთ „ზემოთ“. ამრიგად, „ზემოთ“ და „ქვემოთ“ ესაა ორი სხვადასხვა მიმართულება, რომელთაგანაც ერთი უპირისპირდება მეორე კი ემთხვევა გრავიტაციული ველის მოქმედების მიმართულებას. სიმძიმისა და სიმსუბუქის სხვადასხვაობა, არისტოტელეს კონცეფციის საპირისპოროდ, ახსოლუტური კი არ არის, არამედ ფარდობითი, რელატიური, ისევე როგორც ფარდობითია ორი სხვადასხვა მიმართულება — „ზემოთ“ და „ქვემოთ“. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დედამიწას და სხვა ცოცხ სხეულებსაც „ტიმეოსის“ მიხედვით, სფეროს ფორმა აქვთ, ისევე როგორც მთელ სამყაროს. ამ სფეროულ სამყაროში, მისი ახსოლუტური ჰომოგენურობის გამო, პირწმინდნდნ ეკუიტატიული თვალსაზრისითაც განურჩეველი „ზემოთ“ და „ქვემოთ“, მაშინ როდესაც ფიზიკური გაგებით პლატონი ერთმანეთთან აკავშირებს სხეულთა მასას და სამყაროს ცენტრისადმი მის მიმართულებას, ხოლო სამყაროს ცენტრად „ტიმეოსის“ გეოცენტრულ სისტემაში, ცხადია, დედამიწის ცენტრი იგულისხმება. ამრიგად „ქვემოთ“ —ესაა მიმართულება დედამიწის ცენტრისაკენ, „ზემოთ“ კი მისი საპირისპირი მიმართულება.

შუა საუკუნეებში დედამიწის სფეროსობა ისევე საეჭვოდ ითვლებოდა იქნა დავიწყებული, როგორც ჰაერის წნევა, და რაც ახალი დროის დამდეგს ზოგიერთმა მეცნიერმა კვლავ წამოაყენა თუ ააადორიძა ოდეა იმის შესახებ, რომ ჩვენს პლანეტას სფეროს ფორმა აქვს, „დადასტურ ულ ბოლოს, რომელსაც სწამს ყველაფერი, რაც გნებავთ, დაუშვებლად მიიჩნდა ეკლესია, რომ „ზემოთ“ მყოფი სხეული დაბლა არ დავარდება, თუკი რაიმეთი არ არის დამაგრებული. განა დასაკერებელია, — ამბობდნენ ისინი, — რომ ადამიანები თავდაყირა დადიოდნენ? ან როგორ შეიძლება ცურავდეს ბეგი სფეროული დედამიწის ირგვლივ? დედამიწის სფეროულობის მომხრენი თავიანთი მოსაზრ ების დასტურად ამას იშველიებდნენ, რომ ყოველ სხეულს დედამიწაზე აკავშირ სიმძიმის უნიალვი ძალა. დედამიწა — ამბობდნენ ისინი, — მაგნიტსა ჰგავს და თავისკენ იზიდავს ყველაფერს, ახე რომ, აიძულებს ქვებსა და სხვა ძმიმე სხეულებს, დედამიწის ცენტრის მიმართულებით ვარდებოდნენ, თუკი მათ ვარდნას არაფერი არ უშლის ხელს. დედამიწის მიერ სხეულის მიზიდულობის ძალას ამ სხეულის წონად უნდა ვთვლიდეთ...“

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ

ᲘᲡᲚᲐᲛᲘ, ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲗᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ თითქმის მთლიანად ისლამის რკალშია მოქცეული, მაგრამ მუსლიმანები მარტო ჩვენს საზღვრებს რიდი ეკვრიან, ისინი საქართველოშიც ცრცოლად სახლობენ. მათ შორის არიან ქართველები (ნაწილობრივ, აჭარლები და ინგილოები), ოსმაზები (ნაწილობრივ), აზერბაიჯანელები, ლეკები, ქისტები. ალაპის თაყვანისმცემელია ქართველთა უველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა თურქეთსა და ირანში.

ისლამური იდეოლოგია ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა მეზობელი ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობაში. ძალიან ხშირად მრავალრიცხოვანი და ძლიერი მუსლიმანებისგან დამარცხებული საქართველოს მოსახლეობის ნაწილი იძულებულები იყო მიელო ეს რელიგია, მისი წესითაც ეცხოვრა ასწლეულების მანძილზე. ამიტომაც ისლამმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენს ქვეყნის ცხოვრებაზე.

რა არის ისლამი დღეს საქართველოსათვის? ერთი მხრივ, ეს მრავალსაუკუნოვრივი სულიერი იარაღი, რომელს მეოხებითაც მტერს ჩვენი დამორჩილება სურდა, რითაც ჩვენს დაპყრობას, გადაგვარებას და გადაჯიშებას ცდილობდე.

მეორე მხრივ, ეს არის მძლავრი მსოფლიო რელიგია, კაცობრიობის ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თავის ხარᲬᲛᲣნებად აღიარებს თითქმის ერთი მილიარდი ადამიანი.

ჩვენ მომავალშიც არაერთგზის მოგვიწევს შეხვედრა ისლამთან, მის სხვადასხვაგვარ გამოვლინებასთან, ურთიერთობა როგორც ამ რელიგიის მაღიარებელ მეზობელ ხალხებთან, ისე საკუთარ მოსახლეობასთან, რომელიც ისლამმა თავის მხარეზე ან ძალით გადაიყვანა, ან სხვა საშუალებით გადაიბირა, ყოველ შემთხვევაში, ალაპის თაყვანისმცემად აქცია. საქართველოში იყო და დღესაც არის მეჩეთები, საიდანაც მართლმორწმუნე მუსლიმანები წყალობას შესთხოვენ დიდ ალაპს...

თუმცა საქართველოს ქრისტიანულმა მოსახლეობამ ან იმით, ვინც ქრისტიანი იყო წარსულში და ახლა არც ერთ რელიგიას აღარ აღიარებს, ნაკლებად იციან, რა ღირებულებებს გვთავაზობს ისლამი, კის და რის ინტერესებს გამოხატავდა მისი შემქმნელი მუჰამედი, როგორი იყო ამ დიდი რელიგიის შემქმნის სათავეები, რამაც ესოდენ ტრაგიკული როლი ითამაშა ქართველთა ცხოვრებაში...

ისლამი VII საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა არაბეთში, ეს თარიღი ექვსი საუკუნით ჩამორჩება ქრისტიანობის და თორმეტი საუკუნით — ᲑᲣᲓᲐᲰᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲜᲗᲐᲡ. მაგრამ მან მალე მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოში და სწრაფად გავრცელდა არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც და მიმდევართა რაოდენობის მიხედვით (ქრისტიანობის შემდეგ) მეორე ადგილზე აღმოჩნდა მსოფლიოში. ამ ეამად მისი გავრცელების მთავარი არეალი, არაბული სამყაროს გარდა, არის ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲐ და ᲐᲖᲘᲘᲡ მრავალი ქვეყანა, ისე კი ისლამის მიმდევრებს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე შეხვდებით. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, ისლამი გავრცელებულია შუა აზიის, კაზაᲮეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში, ხოლო ყოფილ რსფსრ-ში თათარისტანსა და ბაშკირეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში.

ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲠᲘ ᲬᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ისლამი, ისევე როგორც სხვა მსოფლიო რელიგიები, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მის გავრცელებას წინ უსწრებდა არაბთა მრავალფეროვანი წარმართული რწმენები, მათ შორის ბუნების ძალების გაღმერთება: ცის, მზის, მთვარის და ვარსკვლავების თაყვანისცემა. თითოეულ არაბულ ტომს ჰყავდა თავისი ღვთება ან ღვთებათა ჯგუფი, როგორც თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ, როგორც მკვლევარები შენიშნავენ, ეს ღვთაებები ხშირად ხის ან ქვის კერპების სახით იყო წარმოდგენილი; ბუნების ძალების ღვთაებები უმეტესად ქალღმერთები იყვნენ, თუმცა მათ შორის მამაკაცი ღვთაებაც ერია, მაგალითად, მზის ღვთაება დუᲨᲐᲠᲘᲡ.

უპირველეს არაბულ ღვთაებად ასახელებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალატს, ანუ ალილატს. ეს არის ქალღვთაება, დედა-ღვთაება, რომელიც პირველყოფილ სამყაროში წესრიგის სინონიმად წარმოგვიდგებოდა; მექის მთავარ ღმერთს გუბალს, რომელიც თითქოსდა წვიმას უგზავნიდა დედამიწას; ღვთაება ვადს, რომელიც დედ ადამიანის სახით იყო გამოსატული, ხმლით ანუ შუბით შეიარაღებული; იაგუტს, ღვთაებას, რომლის გამოსახულებასაც არაბი ტომები თან დაატარებდნენ მომთაბარე ცხოვრებისას და. შ.

არაბული პოლითეიზმს თავისი სპეციფიკა ჰქონდა, კერძოდ ის, რომ მათ არ ჰყავდათ მიწისქვეშა ღმერთები, ხოლო ცოცხალებადან მხოლოდ გველს სცემდნენ თაყვანს.

უნდა აღინიშნოს ძველი არაბული რწმენების ერთი თავისებურებაც: არაბები მომთაბარეობის გამო ხშირად იცვლიდნენ საცხოვრისს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მათი ღვთაებები იქვე რჩებოდნენ. კერპები ძველ ადგილზე ხედებოდნენ ახალმოსულ ტომებს, რომლებიც, ასე თუ ისე, ითვისებდნენ ძველ ლეგენდებს და გადმოცემებს ამ ღვთაებებზე და თავიანთ მხრივ ახალ ნიუანსებსაც მატებდნენ; მეორე მხრივ, იმ ტომებს, რომლებიც ტოვებდნენ კულტებს, ხშირად უჩნდებოდათ სურვილი — კვლავ მოენახულებინათ თავიანთი კერპები. ტომთა ასეთი მომთაბარეობით და ადგილმონაცვლეობით სხვადასხვა ადგილას მრავალი კერპი დაგროვდა. ასე, მაგალითად, ქალაქ მეკაში ასობით კერპი იყო, რაც ჭერ კიდევ ისლამის გავრცელებამდე მის წმინდა ქალაქად გამოცხადების მიზეზი გახდა.

საერთოდ, არაბული წარმართული შეხედულებანი არ იყო კარგად ჩამოყალიბებული და დახვეწული. ეს, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი რელიგიური რწმენებიც კი, როგორიცაა წარმოდგენები იმქვეყნიერ ცხოვრებაზე, მართალია არსებობდა, მაგრამ ერთობ სუსტად იყო დამუშავებული და მოსახლეობაზე ნაკლებ გავლენას ახდენდა.

ისლამის წარმოქმნა, გავრცელება და დამკვიდრება ახალ პირობებთან იყო დაკავშირებული. ის ბაღრიკოსთა ცნობით, VII საუკუნის დასაწყისისათვის არაბები ჭერ კიდევ წარმოადგენდნენ დაქუცმაცებულ ტომებს, ერთმანეთთან გაუთავებელი ბრძოლა რომ ჰქონდათ საძოვრებისათვის, რაც მომთაბარე ტომებისათვის სიმდიდრის წყარო იყო და რასაც მათთვის უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდა ამისა, ამ პერიოდში გაუწმიდა არაბებზე ეთოიპელთა და სპარსთა თავდასხმები. ამ თავდასხმებმა სახიფათო გახადეს სავაჭრო გზა, რომელიც ევროპიიდან ინდოეთში მექაზე გავლით მიდიოდა. ვაჭრები იძულებული გახდნენ, უფრო უშიშარი გზები ეძებნათ. საჭარავნო გზის გადატანამ გამოიწვია ვაჭრობის მნიშვნელოვანი დაცემა: გაღატაკდნენ არა მარტო ვაჭრები და ხელოსნები, არამედ მომთაბარე ტომებიც, რადგან მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნილება რქოსან პირუტყვზე. ყოველივე ამან საკმაოდ გაუფარფატა მექის მდგომარეობა, რომელიც სულიერი ცენტრის გარდა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა.

აშკარად შეიმჩნეოდა შინაგანი სოციალური წინააღმდეგობებიც.

შექმნილ მძიმე ვითარებაში საჭირო იყო გამოსავლის ძებნა, რაღაც ახალი გზის მონახვა. ასეთ გამოსავლად მიიჩნიეს სხვა ქვეყნებთან ომი, რასაც ფურცლდება შინაგანი პრობლემებიდან გარეშე მტერზე უნდა გადაეტანა. ასეთი ომი, არაბული დიდაკცობის აზრით, დარაზმავდა, გაიერთიანებდა დაქუცმაცებულ და ერთმანეთთან დაპირისპირებულ არან ტომებს, შექმნიდა ერთიან სახელმწიფოს, რომელიც აუცილებელი იყო ასეთ ომებში წარმატების მოპოვებისათვის. მაგრამ ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად საჭირო იყო ერთიანი იდეოლოგიაც. შუა საუკუნეებში კი, ცხადია, გამაერთიანებლად მხოლოდ რელიგია გამოდიოდა. ძველი რელიგია, როგორც ადვილშესაძლებელს, ხელს უშლიდა ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. მითუმეტეს, რომ არაბებში უფრო სისხლისმიერი კავშირი ჭარბობდა, ვიდრე რელიგიური ერთობა. ასეთ კავშირს კი თან სდევდა სისხლის აღება ჩვეულებაც: გვარის წევრის მოკვლისათვის მთელი გვარი იძიებდა შურს. ეს გარემოება ხდ ფაბულობა, რაც აშკარად შეიმჩნეოდა არაბთა ცხოვრებაში, ხელს რიდი უშლიდა მათი გაერთიანების საქმეს.

საჭირო იყო ახალი რელიგია, ახალი რწმენა, რომელიც დაძლევდა ტომობრივ შუღლს, დაქუცმაცებულობას, შეაწყვეტდა სოციალურ დაძაბულობას და არაბებს აქცევდა ერთ ერთიან მრეხსნად ძალად, რომელიც შემდგომში მოეკლინა ქვეყანას და აზანზარებდა მთელ მსოფლიოს. სწორედ ასეთ რელიგიად იქცა ისლამი.

სანამ არაბეთში ისლამი დამკვიდრებოდა, წარმართობის გარდა, აქ გავრცელებული იყო სხვა რელიგიებიც: კერძოდ, საკმაოდ ძლიერი იყო ებდაიზმის გავლენა, რაკი ქვეყანაში მრავლად სახლობდნენ ებრაელები. არაბები, ასე თუ ისე, პატივს მიაგებდნენ მათ, როგორც დაწინაურებულ, განათლებულ ხალხს, რომელსაც რელიგიური წიგნები ჰანაწერ. აქ შესაძლებელ პოპულარული იყო საღმრთო წიგნებში გადმოცემული იდეები, წარმოდგენები და შეხედულებანი, ამ წიგნების ზოგიერთი იდეა კი ფუძემდებლური აღმოჩნდა ისლამისათვის. ებდაიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ახალი რელიგიის ჩამოყალიბებაზე, მისი რელიგიური წიგნების შექმნაზე. მისი კვალი ყურანში აშკარად ჩანს.

არაბეთ მოსახლეობაზე დიდ გავლენას ახდენდა ქრისტიანობაც, რომელიც იქ IV-V საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნებებში გავრცელდა. ქრისტიანობამ რამდენადმე შეუფო ხელი წარმართული რწმენების დაძლევას. არაბთა ეუროპელებას ისეროდდა ქრისტიანთა ასკეტური ცხოვრება, საერთოდ, მათი ცხოვრების წესი, მაგრამ თავისი სირთულის გამო ქრისტიანობა ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამიტომ იგი ვერ გავრცელდა მთელ არაბეთში, განსაკუთრებით კი ცენტრალურ არაბეთში. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის კვალი მაინც თვალნათლივ ჩანს როგორც ყურანში, ისე თვალ ისლამურ მოძღვრებაში. იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის ახეთ კავშირს ზოგიერთი მკვლევარი მიჰყავს მტკიცებამდე, რომ ქრისტიანობა არის რეფორმირებული იუდაიზმი, ხოლო ისლამი — რეფორმირებული ქრისტიანობა.

მუჰამედი

ყველა რელიგიას თავისი დამაარსებელი ჰყავდა. ისლამის შექმნა მუჰამედს მიეწერება. იგი სულ ბოლოს, მხოლოდ VII საუკუნეში გამოჩნდა და, თუკი სხვა წინასწარმეტყველთა ბიოგრაფიებში ბევრი რამ არის ბურუსით მოცული და მრავალი ავტორი კიდევაც ეჭვობს მთ რეალურ არსებობას, აქ ყველაფერი თითქმის ნათელია, მუჰამედის რეალურ არსებობას არავინ უარყოფს. უფრო მეტიც, მისი ბიოგრაფია საკმაოდ კარგად არის ცნობილი, თუმცა მისმა პირველმა მემატიანემ იბნ ისხაკმა (გარდაიცვალა 767 წელს) მხოლოდ 130 წლის შემდეგ აღწერა მუჰამედის ცხოვრება. გაცილებით უფრო გვიან ეს ბიოგრაფია გადაუმუშავებია არაბ ფილოლოგს იბნ-ჰაშამს (გარდაიცვალა 834 წელს). მუჰამედის დანარჩენი ბიოგრაფები იყენებდნენ თხზულებას, რომელიც ცნობილია „სირატი-რასული-ალაჰის" (ალაჰის მოციქულის ცხოვრების) სახელწოდებით.

მუჰამედი დაიბადა 571 წლის 20 აპრილს, ორშაბათს, მექაში, ყურეიშტ ადგილას და მისი ცოლის ამინას ოჯახში. ყურეიშტება გვარი საკმაოდ ცნობილი იყო მექაში. ისინი არაბული ხალოცავის მცველები იყვნენ. მუჰამედი სწორედ ამ წარჩინებული მაგრამ ღარიბი ოჯახის შვილია. იგი მალე დაობდა და ბიძა (დედის მხრიდან), აბუთალიბი ზრდიდა. ახალგაზრდა მუჰამედი იძულებული იყო ჯერ ხაჭონელი ეწყუმსა, მერე კი ნოქრად დამდგარიყო.

მუჰამედი, გადმოცემით, საშუალო სიმაღლისა იყო. ლამაზი სახით, სიმპათიური გამომეტყველებით და სახიამოვნო ქცევით გამოირჩეოდა. მას ახასიათებენ როგორც ნერვულ, მეამბიტე ადამიანს, რომელიც შეპარობილი იყო იდემალი მელანქოლიებით, მეევრმეტყველების ხაოცარი ნიჭით და შეუპოვრობით. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ იგი ეპილეპსიით იყო დაავადებული. მუჰამედს არავითარი განათლება არ მიუღია. 25 წლისა დაქორწინდა 40 წლის მდიდარ ქვრივზე, ხატიჯზე. მიუხედავად ასეთი ახალობრივი განსხვავებისა, ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა და, სანამ ხატიჯე ცოცხალი იყო, მას სხვა ცოლი არ მოუყვანია, თუმცა შემდეგ ერთდროულად 9 ცოლი ჰყავდა (სულ — 14 ცოლი). შვილებიდან მხოლოდ ერთი ქალიშვილი — ფატიმა შერჩა. დანარჩენები ჩვილობისას დაიხოცნენ.

ხატიჯესთან ქორწინებით მუჰამედმა გამოიხსნა თავისი ძმიმე ეონებრივი მდგომარეობა, რამაც საშუალება მისცა ბევრი ემოციურია და ბევრი რამ გაეგო; მეტ-ნაკლებად გაეცნო სხვა რელიგიურ მოძღვრებებს, რომლებიც იმ დროისთვის პოპულარული იყო არაბეთში.

მუჰამედის რელიგიური ძიებები საკმაოდ ადრე დაიწყო, თუმცა თავისი აზრების გადმოცემა, ბუდესთან და ქრისტესთან შედარებით უფრო გვიან, მხოლოდ 40 წლისაა მოახრხა. პირველი მისი გატაცება დაკავშირებული იყო ხანიფებთან (გენიფებთან), რომლებიც ერთღმერთთაანობის, რახმანის (მწყალობელის) იდეით გამოდიოდნენ. რამდენიმე წელიწადის განმავლობაში მუჰამედი ხანიფი იყო, უფრო გვიან კი საკუთარი რელიგიის შექმნაზ იწყებს, რაზეც მას, ბიოგრაფთა ცნობით, ზილვები დაეხმარა, რომელთაც ეპილეპსიის წყალობით ხედავდა. გადმოცემით, ერთხელ, როდესაც მთაზე ეძინა, ანგელოზი გამოეცხადა და იგი, წერა-კითხვის უცოდინარი, აიძულა გრაგნილი წაეკითხა. მუჰამედს ძალიან შეეშინდა. ფიქრობა, რომ ავი სულით — ჯინი იყო შეპარობილი. მაგრამ შემდგომ დაშშეიდდა. ახე იწყება მუჰამედის გამოცხადებანი, რის საფუძველზეც შექმნა ისლამის წმინდა წიგნი ყურანი, რომელშიც ლაპარაკია ერთიანურ, ყოველივეს შემოქმედ ღმერთზე — ალაჰზე, ვის წინაშეც ყველა ადამიანი უნდა წარსდგეს და ანგარიში ჩაბაროს. მუჰამედის მიხედვით, არსებობს ცის წიგნი, წიგნთა დედა, საიდანაც ნახესხებია ყველა გამოცხადება, რომელ სარწმუნოებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი.

შემდგომ მუჰამედს ისეთი დრო დაუდგა, როდესაც ხალვეში ადარ განმეორდა. ისევ შეშფოთდა, ისევ ეჭვობს შეიპარა, მაგრამ 2-3 წლის შემდეგ ეს ხალვეში განახლდა და ინტენსიური გახდა. მისი ბიოგრაფების ცნობით, ახლა მან საბოლოოდ ირწმუნა, რომ თავის ხალხთან გამოგზავნილი ალაჰის ნამდვილი წინასწარმეტყველი იყო. და აი, დადგა დრო, როდესაც უკვე აღარ ეელიდებოდა ხილვებს; შეეძლო, ნებისმიერ დროს თვითონ გამოეწვია ისინი.

მუჰამედმა კადაგება თავის ახალობლებში დაიწყო. მისი მეეკრმეტყველება, დამჯერებლობა, უნარი — დაერწმუნებინა ადამიანები საკუთარი მოძღვრების ეეშმარიტებაში, საკმაოდ პოპულარული ხდება, მაგრამ მომხრეთა გარდა მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიად აცხადებდნენ, ღასაცინოდნენ, ეშოკრებოდნენ და დეკენდნენ.

მუჰამედი აწკარად ილაშქრებდა ძველი არაბული სარწმუნოების წინააღმდეგ, მათ შორის თავისივე მშობლიური ქალაქ მექის სალოცავების წინააღმდეგ, რაც მექას, როგორც რელიგიურ და სავაჭრო ცენტრს, საყოველთაო უქმნიდა — თუკი ხალხი ქალაქში სალოცავად ალარ შეიკრიბებოდა, ვაჭრობაც ჩაკვდებოდა. ეს ფაქტი მოქალაქეთა გაოგნურებას იწვევდა, მაგრამ მუჰამედი არაფერს თმობდა. როგორც მისი ბიოგრაფები ამბობენ, ამას თავვარანგელოზი გაბრიელი (ჯებრაილი) უკრძალავდა. მდგომარეობა მექაში ძალიან დაიძაბა. რაც უფრო ალლიერებდნენ მექელები მუჰამედის დევნას, იგი მით უფრო, თანსაგარა საშინელებით და სასჯელით ეშოკრებოდა ყველას, ვინც მის მოძღვრებას არ აზიარებდა. მაგრამ მექელებზე მუქარა არ ჭრიდა. მათ მუჰამედისა, უბრალოდ, არ სჯეროდათ და არც ეშინოდათ. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც გარდიცვალა მუჰამედის მეუღლე ხატიჯე, რომელიც მისი მფარველი და დასაყრდენი იყო. იმედგაფაწყრუნმა მუჰამედმა მექის გარეთაც სცადა ქადაგება, მაგრამ აქაც დამარცხდა. ამ დროისათვის იგი სულიერად თითქმის გატეხილი იყო.

სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი არაბთა სხვა, ბნიშვნელოვანი ქალაქის, იასრიბის (მედინას) ფაქტორმა. როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, მედინაში ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იყო მისი მოძღვრების ქადაგებისათვის, რადგან აქ საკმაოდ ძლიერი იყო იუდაური გავლენა და ის იდეები, რასაც იუდეველები აკრცელებდნენ (და რაც შემდეგ ფუძემდებლური ალმოჩნდა ისლამისათვის), აქ უფრო პოპულარული აღმოჩნდა.

მიუხედავად ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობისა და მუჰამედისადმი მედინელთა კარგი დამოკიდებულებისა, არაერთგზის მარცხით დაბნეულმა მუჰამედი და მისი მომხრეები ერთობ ფრთხილობდნენ, დიდნაწილ, საფუძვლიანად ამზადებდნენ მედინის ბოსახლეობას ახალი მოძღვრების დასანერგად. მუჰამედს თავისი წარმომადგენლები აღრეულ გაგზავნა მედინაში, თვითონ კი ი? ბრალად 622 წლის 16 ივნისს გაიქცა, როდესაც განაჩინებულმა მექელებმა მოკვლა დაუპირეს. მექიდან მედინაში მუჰამედის გაქცევის თარიღი (ჰეჯრა) საფუძვლად დაედო ისლამურ წელთაღრიცხვას, რადგან ამ პერიოდიდან იწყება მუჰამედისა და მისი მიმდევრების დამაჯერებელი ეპარჯვებები. მართალია, როგორც მუჰამედის ბიოგრაფები წერენ, მედინაში მან მიაღწია ყოველივე, რაზეც მექაში ოცნებაც არ შეეძლო: მიიღო ხელისუფლება, პატივისცემა და თაყვანისცემა. მისი ავტორიტეტიც უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მუჰამედი ზესანიშნავი ორგანიზატორი აღმოჩნდა. მედინაში თეოკრატიული მმართველობა შექმნა; ებრაელთა და ქრისტიანთა წაბაძვით, მოიწყო თავისებური კულტი; აიშენა მეჩეთი, სადაც მის მომხრეებს და თანამგრძნობებს სათანადო სულიერი წვრთნა უნდა გაეკეთოთ; იგი ასწავლიდა თუ როგორ ეცათ თაყვანი ალაჰისათვის, რა რიტუალები შეეჩრიდებინათ, როგორ ეცხოვრათ.

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ შექმნილიყო ახალი იდეოლოგია, ახალი რელიგია, რომელიც ახალ (რელიგიურ) საფუძველზე შეაკავშირებდა ორაბათ ტომებს. ახლა უკვე ალაჰისადმი რწმენას და არა სისხლისმეიერ კავშირს უნდა გაეერთიანებინა არაბული ტომები, რითაც ისინი შეძლებდნენ არამარცლმორწმუნეთა წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას და დაიპყრობდნენ მათ. „ოდეს ურჯულოებს შეხვედეთ, — ნათქვამია ყურანში, — ჰოდა! ამოჰბოცეთ ისე, რომ დიდი ხოცვა-ჟლეტა ჩაიდენოთ..." (47,4). გარდა ამისა, ახლა რელიგია მათ უნერგავდა, რომ თუკი დაეცემოდნენ ბერერთან ბრძოლაში, ეს ალაჰის ნება იქნებოდა და, მისივე ნებით, აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდნენ. ეს რწმენა, მედინაში ნადავლის ხელში ჩაგდების სურვილთან, ერთად დიდ ენთუზიაზმს ბადებდა და წარმატებით აბრძოლებდა ისლამის მეომრებს.

როგორც ადრე აღენიშნეთ, მუჰამედმა ბევრი რამ ისესხა იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან. იგი, მართალია, არ უარყოფს ამ რელიგიათა წმინდა წიგნებს, მათ ხშირად ახსენებს და იყენებს კიდეც, ალიარებს მოსეს და ქრისტეს არსებობასაც, მაგრამ თანდათან მიდის იმ აზრამდე, რომ საჭიროა შექმნას თავისი საკუთარი რელიგია, საკუთარი ღირებულებანი, გამომდინარე თავისი ხალხის ბუნებიდან და არა სხვის მიერ შექმნილი და მოტანილი, ახალი რწმენა, რომელიც სხვა რელიგიებზე უფრო ეკუთვნიერება ქმნება: ალაჰმა „თავისი მოციქული (მუჰამედი, თ. ფ.), — ნათქვამია ყურანში, — მოავლინა წარმართებით და ჭეშმარიტების სარწმუნოებით გამაბეკეცებელი, რათა ყოველი სარწმუნოების უმაღლეს დაეყენებინა" (48, 28).

ამ მიზნით ბოდდა ე. წ. „ყიბლის" ღადგენა. თუკი თავდაპირველად მუჰამედის მიმდეგრები ლოცვისას სახეს იერუსალიმისაკენ აპყრობდნენ, ახლა მექისაკენ უნდა ექნათ პირი. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არაბებისათვის. ჯერ ერთი, ამით ისინი გაუდგენენ როგორც ებრაელთას, ისე ქრისტიანებს, რასაც, საბოლოო ჯამში, მოჰყვა ებრაული ხელისუფლების განადგურება მედინაში, მეორეც, მუჰამედმა ნაბიჯი გადადგა მექის შემორიგებისა და დამორჩილებისაკენ, რადგან ბევრ ამით ფაქტობრივ რელიგიურ ცენტრად ალიარა. მართალია, ჰიჯრის შემდეგ მექელებსა და მედინელებს შორის შუღლმა იმატა, ბევრი სისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი შეტაკებაც მოხდა, მაგრამ 630 წელს, როდესაც მუჰამედი მძლავრი ჯარით დაიძრა მეკის წინააღმდეგ, მოქალაქეებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან მეკა დარჩა რელიგიურ ცენტრად, შენარჩუნებულ იქნა ქაბას ტაძარი და იქაური შავი ქვის თაყვანისცემაც.

რაც შეეხება არაბების ძველ ტომობრივ კერპებს, ისინი მუჰამედმა ან სრულიად გაანადგურა, ან შინაარსი შეუცვალა, სრულყო და ამით თავისი ჩაწყობთმოძღვრების ნაწილად აქცია. ამით, მკვლევართა აზრით, იგი ეროვნული რელიგიური ტრადიციების მემკვიდრე გახდა, ხოლო თავისი რელიგია ნაციონალურ რელიგიად გამოაცხადა.

ამის შემდეგ ისლამი სწრაფად გავრცელდა მთელ არაბეთში. ახალი რელიგიის წარმატებას მკვლევარები ამით ხსნიან, რომ, ჯერ ერთი, არაბები არ გამოირჩეოდნენ დიდი რელიგიური ერთგულებით ძველი კერპებისადმი და, მეორეც, მუჰამედის მოძღვრნი ძალიან აქტიურად და მკაცრად მოქმედებდნენ; სხვადასხვა საშუალებით, ენერგიულად აიძულებდნენ ხალხს — მიეღოთ ახალი რწმენა.

632 წელს მუჰამედი გარდაიცვალა. მისი მოღვაწეობის ისლამის საზღვრები, მართალია, არ გასულიყვნენ არაბეთის ტერიტორიას, მაგრამ მან დაბადა ერთი სულისკვეთებით შეკრული ქვეყანა, რომელიც მზად იყო დაპყრობითი ომებისათვის, თავისი რელიგიის ცვლაზეთა და მახვილით გავრცელებისათვის.

ისლამი ერთობ სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. სპეციალისტთა აზრით, ის, რასაც ქრისტიანობამ რამდენიმე ასწლეული შეალია, ისლამმა ათწლეულებში შეძლო. არაბებმა დაიპყრეს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, შეიპრნენ ინდოეთში, ამიერკავკასიაში, თურქეთში, ბალკანეთში, პირენეის ნახევარკუნძულზე; სამი კონტინენტის: აზიის, აფრიკის და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში შექმნეს თეოკრატიული სახელმწიფო — ხალიფატი.

ისლამის გავრცელებას აშკარად უწყობდა ხელს ის პირობები და პრივილეგიები, რასაც დამპყრობლები უქმნიდნენ იმ ადამიანებს, ვინც მათ სარწმუნოებას აღიარებდა.

რელიგიური ფიზნები

როგორც ყველა განვითარებულ რელიგიას, ისლამსაც თავისი რელიგიური წიგნები აქვს, რომელიც ღვთივშთაგონებულადაა გამოცხადებული. ამ წიგნებში უპირველესი ადგილი უკავია ყურანს. ესაა რელიგიური და უფლებრივი დებულებების კრებული; იგი, მუსლიმანი ხალხის დღეღამეების მტკიცებით, სჯულის ფიცრებზე გადმოტანილი ალაჰის სიტყვაა, რომელიც წინასწარმეტყველ მუჰამედს მთავარანგელოზმა გაბრიელმა ელმა გადმოსცა.

თვით „ყურანი“ არაბული სიტყვაა და ქარაუოლად კითხვას, დეკლამირებას ნიშნავს. იგი, ღვთისმეტყველთა აზრით, მხოლოდ ასლია იმ ცოცხი ყურანისა, რომელიც ალაჰს აქვს და რომელიც მუჰამედმა გამოცხადების ეზოთ მიიღო. ეს პრიალები ისლამურ ლიტერატურაში ასეა აღწერილი: წინასწარმეტყველი იდგა მთაზე (მეკასთან ახლოს) და ეხმიდა ანგელოზის ხმა, რომელიც მეშვიდე ციდან 23 წლის განმავლობაში კარნახობდა ყურანის ტექსტს. თავის მხრივ მუჰამედი მის შინაარს ქადაგებებად და მოძღვრებად გადასცემდა მრეველს.

თუკი განვითარებულ რელიგიათა სხვა წმინდა წიგნებს შევადარებთ, ყურანი უხისტემო, შუკვეტელი წიგნია, რომელშიც ნაკლებად არის დაცული ლოგიკური და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. მასში ბევრი რამ არის ნახესნები როგორც იუდაიზმისა და ქრისტიანობის, ისე პარსიზმისა და წარმართული კულტებისაგან. ყურანი შედგება 114 თავის (სურის) და 6211 ლექსისაგან. შინაარსობრივად იგი მრავალ ფფეროს მოიცავს. აქ არის მითები და ლეგენდები, დოგმატური, ზნეობრივი და სამართლებრივი ფერიები, სამხედრო დადგენილებანი, ყოფითი ტრადიციები თუ ადათები. მუჰამედს, ყურანში შეტანილი აქვს ყველა ის ხასიათნი, რომლის გადაწყვეტაც მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, უზღვიმოდ რეალურ ცხოვრებაში. ცხადია, ასეთი მიდგომა ძალიან პოეტურს და ლიტერატურულს ვერ გახდიდა ყურანს.

მართალია, სპეციალისტები აქებენ ყურანის დედნისეულ პოეზიას და ორიგინალობას, მაგრამ მისი ნეკოთხვა მაინც ეჭირს ინ უხისტემობის გამო, რითაც სურენია დალაგებული და რითაც იკარგება ისტორიული ჯარგი. სპეციალისტები არჩევენ ყურანის ადრინდელ სურებს — მოკლეს, ძლიერს და პოეტურს, და გვიანდელ სურებს, რომლებიც სხვა რელიგიებისაგან ნახესნები გრძელი ლეგენდებია. მთელი ეს წიგნები, ბევრი ავტორის აზრით, ნაკლები ორიგინალობით გამოირჩევა.

სპეციალისტები მიუთითებენ ყურანის ორ რედაქციაზე: უფრო ადრინდელი რედაქცია პირველი ხალიფის, აბუ-ბეკრის (632-634) დროს შესრულდა ზეიდ-იბნ-ტაბიტ-ის ხელმძღვანელობით, და მეორე, უფრო სრულყოფილი რედაქცია, რომელიც ხალიფა ოსმანის დროს ჩამოყალიბდა. იმავე დროს მოხდა ყურანის კანონიზირება, თუმცა ცვლილებების შეტანა მასში, ფაქტობრივად, VIII საუკუნემდე გაგრძელდა.

ისლამში, ყურანის გარდა, დიდ როლს ასრულებს მუსლიმანური წმინდა გადმოცემა, რომელსაც სუნა ეწოდება. სუნას დაბეზნულება იყო აუხსნა და გიემპრეტენია ის წინააღმდეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობა, რაც რელიგიურ ცხოვრებასა და ყურანის ტექსტს შორის არსებობდა, იესახა ისლამურ სამყაროში მოახდინა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები. სუნა ხადისებისაგან შედგება. ხადისი მოთხრობაა, რომლის შინაარსსაც შეადგენს წინასწარმეტყველ მუჰამედის ცხოვრების რაიმე, ყოველი მორწმუნისათვის მისაბაძი ფაქტი ან მოქმედება. ბეშმარიტმა ხადისებმა შეადგინეს ექვსი ასეთი კრებული, რომლებიც საოცარ წერილის რანგში იქნა აყვანილი. ამ ექვსი კრებულიდან ყველაზე ავტორიტეტულია „ახ-ბახარი", რომელის ავტორად შუაზეიი იმამი ბუხარი (გარდაცვალა 870 წელს) ითვლება. თავის მხრივ, ყურანი და სუნა საფუძვლად დაედო მუსლიმანურ სამართალს, რომელსაც შარიათი ეწოდება. აქ თავმოყრილია უამრავი რჩევა და აკრძალვა იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მოიქცეს ალაჰის მიმდევარი სხვადასხვა გარემოებაში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შარიათი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: ესაა მორწმუნეთა ვალდებულება კულტის მიმართ, იურიდიული ქმედება და სასჯელი. არის სხვა შეხედულებებიც. ერთი სიტყვით, ერომანენთათვისაა ასხვავებენ საკუთარ მოთხოვნებს და ამა თუ იმ იურიდიულ ვალდებულებას.

მოძღვრება

ისლამის უმთავრესი დოგმატია ერთიანი ღმერთის — ალაჰის რწმენა. ისლამური ალაჰი ძალიან წააგავს ებრაულ იაჰვეს. იუდაიზმის მსგავსია სამყაროს ქმნადობის სურათიც. ყურანის მიხედვით, სამყარო არაფრისაგან შეიქმნა ექვს დღეში, ხოლო ადამიანი — მიწისაგან, რომელსაც შემდგომში ალაჰმა შთაბერა სული. ყველაზეფერი ადამიანისათვის არის შექმნილი, რადგან იგია ალაჰის სიძლიერისა და სიკეთის გამოხატულება.

ალაჰი ძველ არაბულ რწმენებშიც არსებობდა, მაგრამ ისლამში მან უფრო სრულყოფილი სახე მიიღო — როგორც ერთიანი, ყოველისშემოქმედი და ყოველისგანმზეები ღმერთის, რომელიც ყურანში ხასიათდება, როგორც პირველი და უკანასკნელი, მიდიელი და დაფარული, ყოველისშემძლე, ყოველისმომცველი, მარადიული და ა. შ. როგორც ისლამის მკვლევარები აღნიშნავენ, ყურანში ალაჰის მიმართ დაახლოებით ასი ეპითეტია ნახმარი; ერთიანი, ყოველადძლერი და ყოველისგანმგებელი ღმერთის რწმენა გამოიხატება ფორმულით: „ლა ილაჰ ილლა ლლაჰ" (არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა). ეს ფორმულა პირდაპირ უპირისპირებებდა როგორც იმ დროისათვის არაბეთში არსებულ მრავალღმერთიანობას, ისე იქ გავრცელებულ სხვა რელიგიებსაც.

მართალია, ალაჰმა შექმნა ცა, მიწა და ადამიანი, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია; ალაჰის მარადიულობასა და სრულყოფილებასთან შედარებით ადამიანები ცვლილებენ, სულსწრაფენი, ხუსტები, აჩქარებულნი და უმადურნი არიან. ამიტომაც ალაჰის მიერ შექმნილი ერთიანი ხალხი შურმა და მტრობამ გაყო და ასე დაირღვა ერთიანი რელიგიური თეში.

ისლამური კოსმოგონია ძალიან ეგვაგონებს ინდურ და ძველებრაულ კოსმოგონიას. ყურანის მიხედვით, ალაჰი, როცა დედამიწა შექმნა, თვითონ ცაზე დამკვიდრდა, სადაც მანამდე კვამლი იყო, და იგი ორ დღეში შეიდ ცად დაყო, თითოეულ ცას თავისი დანიშნულება მინიჭა.

ისლამში დიდ როლს ასრულებს წარმოდგენები ანგელოზებსა და დემონებზე. ყურანის მიხედვით, ანგელოზები ალაჰმა შექმნა სინათლისაგან, სანამ ადამს შექმნიდა. ისინი ცაში ცხოვრობენ და უსიტყვოდ ასრულებენ ალაჰის ყოველ სურვილს. მუსლიმანები, იუდაველთა მსგავსად, თაყვანს სცემენ ოთხ მთავარანგელოზს: ჯებრაელს (გაბრიელს), რომელიც, ისლამის მიმდევართა აზრით, გადმოსცემს ღვთაებრივ ბრძანებულებებს; მიქაელს, რომელიც თვალს ადევნებს სამყაროს; ისრაფილს, რომელიც მზადაა ჩაბერის საყვირს და ამით ამცნოს სამყაროს ხანიწილი ნამსჯავროს დადგომა და, ბოლოს, სიკვდილის მთავარანგელოზს აზრაილს. ისლამის მიხედვით, თითოეულ ადამიანს ორი ანგელოზი მეყვის ბიჭნენი, რათა შეიფინოს მათი ხაქციელი და შესაბამისად მიუზღას სიკეთლილის შემდეგ.

მუსლიმანური რწმენით, არსებობენ საფლავის ანგელოზებიც: ნაბოთხის დარაჯი რიდვანი და ჯოჯოხეთის დარაჯი მალიკი.

ყურანში მეორდება იგივე სიუჟეტი, რაც ბიბლიაშია მოთხრობილი: ყველა ანგელოზმა თაყვანი სცა ალაჰის მიერ შექმნილ ადამს, გარდა ეცცლისაგან შექმნილი იბლისისა (სატანისა), რომელმაც მოიძიზეზა, ადამი მიწისაგან არის შექმნილიო. ამის გამო ალაჰმა დაწყევლა იგი, მაგრამ ხანიწილ ხამსჯავრომდეც არ ჩაუგდია ჯოჯოხეთში. ამით იბლისი სარგებლობს ადე კეთვნ აცდუნებს ადამიანებს.

ისლამისათვის ასევე დამახასიათებელია დემონების, ანუ ჯინების რწმენა, რომლებიც ორთქლისაგან ან უკვამლო ცეცხლისაგან არიან შექმნილნი. ჯინებს ბოროტებას მიაწერენ, ხოლო მათგან დასაცავად ავგაროზებს და თილისმებს იყენებენ.

ისლამურ მოძღვრებაში დიდ როლს ასრულებენ წინასწარმეტყველები, რომლებიც წმინდანებადაც ითვლებიან. ალსანიშნავია, რომ მათ ისლამური ტრადიცია ანგელოზებზე მაღლა აყენებს. წინასწარმეტყველები არიან ღმერთისაგან გამოგზავნილი ადამიანები, რომლებიც ალაჰის ნება-სურვილს ქადაგებენ. ყურანის მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარმეტყველთა რაოდენობა 1000-მდეა, მაგრამ მათგან სულ ასი-ოდენ დაუტოვა ხალხს გამოცხადების წიგნები.

წინასწარმეტყველებად ასახელებენ ადამს, ნოეს (ნუხს), აბრაამს (იბრაჰიმს), მოსეს (მუსას), იესოს (ისას). უფრო დაბალი რანგის წინასწარმეტყველებია: დავითი, იაკობი, იოსები, იობი. ყველაზე დიდ წინასწარმეტყველად, ცხადია, თვით მუჰამედი დასახელებული. ყურანის მიხედვით, წინასწარმეტყველებს უნარი აქვთ სასწაულიც მოახდინონ, თუმცა მუჰამედს მხოლოდ ერთი უმთავრესი სასწაული მიეწერება — საღმრთო წერილის — ყურანის მიღება ღვთისაგან.

ყოველი განვითარებული რელიგიის ერთ-ერთ უმთავრეს კითხვაზე — თუ რა ბედი ელის ადამიანს სიკვდილის შემდეგ, ისლამი პასუხობს, რომ იგი მიდის საიქიოში, სადაც განაგრძობს საკმაოდ შეზღუდულ არსებობას. ასეთი წარმოდგენები ჯერ კიდევ ძველ არაბებს ჰქონდათ, რაც შემდგომ, თავისებური ფორმით, ისლამშიც გადავიდა. კერძოდ, აქ მითითებულია, რომ ადამიანთა საფფალი, ანისდა მიხედვით, თუ როგორ გაატარეს მათ ცხოვრება, გარდაცვალებულის სულს ჯოჯოხეთად ან სამოთხედ ექცევა.

ისლამისათვის უცხო არ არის არც საშინელი სამსჯავროს დოგმატი. ცოდვილნი აუცილებლად დაისჯებიან, მაგრამ, სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, საშინელი სამსჯავროს ხელური შეეხება მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებს და არა მთელ ხალხს. ყურანში დაწერილებითაა აღწერილი თუ რა ნიშნები იქნება საშინელი სამსჯავროს წინ, ვინ შევა სამოთხეში, ვინ — ჯოჯოხეთში. საშინელი სამსჯავროს დოგმატთან ერთად ისლამში დიდ როლს ასრულებს რწმენა ისლამური მესიის, მაჰდის მოვლინების შესახებ, რომლის დროსაც დედამიწაზე ალდგება დაკარგული სამართლიანობა და შერეული რწმენა.

ისლამში საკმაოდ თვალსაჩინოდ არის დახატული ჯოჯოხეთისა და სამოთხის ხუთრიები. ისლამური ჯოჯოხეთი დაფოფილია შვიდ წრედ: უკანასკნელ წრეში არის ხე, რომელსაც ყვავილებად დემონთა თავები ანია, ხოლო ქვაბში კუპრი დუღს. აქვეა უძირო ჭაბ; ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის არის სივრცე, რომელშეც ერთნი განსაწმენდელს ხედავენ, მეორენი კი სამოთხეში გადასასვლელ გზას.

რაც შეეხება სამოთხეს, აქ მოხვედრილ ადამიანებს აძლევენ მოხერხებულ ავეჯს, უმზადებენ გემრიელ კერძებს; ისინი ხვამენ სუფთა, გამჭვირვალე წყალს, არის რძის, თაფლის და ღვინის მდინარეები. სამოთხის მკვიდრი ემსახურებიან მშვენიერი ჰურიები.

სამოთხე რვა იარუსად იყოფა. მის მწვერვალებზე იზრდება ლოტოსი, რომელიც სიცხისაგან იფარავს სამოთხის მკვიდრთ. აქ ინახება ჭეშმარიტი ყურანი, ავერეთვე წიგნები, რომლებშიც დაწერილია კაცთა ნამოქმედარი სიცოცხლის დროს, რის მიხედვითაც გადაწყდება ადამიანის ბედი საშინელ სამსჯავროზე. სამოთხის ზემოთ, ტახტზე ზის ალაჰი, რომელის წინაშეც ყველანი წარსდგებიან. ყველაფერი ალაჰის ნებაზე დამოკიდებული. ადამიანის ბედიც წინასწარ არის განსაზღვრული მის მიერ. ამიტომ მის გარდა ვერავინ იტყვის თუ როდის დადგება ადამიანის აღსასრული.

რელიგიური კულტი

ისლამს საკმაოდ კარგად დამუშავებული კულტი გააჩნია. მუსლიმანი თეოლოგები ასახელებენ ხუთ ძირითად პრინციპს, რომელთა ალიარება აუცილებელია ალაჰის სამსახურისათვის. ესენია: რწმენის აღიარება, ლოცვა, მარხვა, მოწყალება, მომლოცველობა. ამ პრინციპებს შორის უმთავრესია ე. წ. შაჰადათი, სხვავაგარად — რწმენის ფორმულის თქმა: „არ არის ღმერთი ალაჰის გარეშე და მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი". ეს ფორმულა მორწმუნემ რაც შეიძლება ხშირად უნდა თქვას. შაჰადათი აუცილებად უნდა წარმოთქვას სიკვდილის მოახლოების დროსაც. თუკი ადამიანი ისე ცოდად არის, რომ ლაპარაკი არ შეუძლია, მის ნაცვლად იგი სხვამ უნდა წარმოთქვას, ისლამის მიმდევრები დღეში ხუთჯერ ლოცულობენ: გამთენიისას, შუადღისას, ნაშუადღევს, მზის ჩასვლისას და ღამის დაწყებისას. ლოცვათა ეს კომპოზიცია ნებისმიერმა მორწმუნემ უნდა შეასრულოს, ვინც კი სრულასაკოვნებას მიაღწია და ავად არ არის. ავადმყოფებს ნება ეძლევათ, არ შეასრულონ ეს რიტუალი, მაგრამ გამოკანმრთელების შემდეგ აუცილებლად უნდა ადადგინონ გამოტოვებული ლოცვა. ლოცვისაგან თავის არიდება დიდ ცოდვად ითვლება.

ლოცვა ყველგან შეიძლება: ხალოცავში, შინ და გარეთ. მთავარია, რომ ლოცვის ადგილი სუფთა იყოს, რასთვისაც ზშირად ხმარობენ პატარა ნოხებს, რაზედაც იჩოქებენ და ჩურჩულით წარმოთქვამენ ლოცვას.

ლოცვამდე მორწმუნე აუცილებლად უნდა განიწმინდოს. არსებობს განწმენდის ორი წესი: მცირე და დიდი. პირველ შემთხვევაში ჩვეულებრივი წყლით იბანენ ხახეს, ხელებს იდაყვამდე, ფეხებს და დასველებულ მარჯვენა ხელს თავზე გადაისვამენ. თუ წყალი არ არის, ქვიშას ხმარობენ. დიდი განწმენდისას მთლიანად იბანენ სხეულს. ლოცვისას მორწმუნის ტანი დაფარული უნდა იყოს ტანსაცმლით; ქალები ლოცვისას აჩენენ ხახეს და ხელებს.

ისლამში, ისევე როგორც სხვა რელიგიებში, დიდი ადგილი უკავია მარხვას. მარხვის თვედ გამოცხადებულია რამადანის თვე, პერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდი, როდესაც, მუსლიმანთა წარმოდგენით, ხდება ყურანის გადმოცემა მუჰამედისათვის. ამ თვის არჩევა, სპეციალისტთა აზრით, განპირობებული იყო იმით, რომ რამადანის თვეს ძველი არაბებიც წმინდად თვლიდნენ.

ყურანის ციხესვეთი, მარხვა აღელვებდეთ ცოდვითაგან ვაწყმენდისა და ენებთათაღელვის ჩაცხრომებისათვის. ამიტომ ყველამ უნდა იმარხულოს ავადმყოფების, მოხუცებისა და მოგზაურების გარდა. ვინც მარხვას გამოტოვებს, მან იგი მერე მაინც უნდა აღადგინოს.

მარხვა მუსლიმანებისათვის იწყება მზის ამოსვლისას და გრძელდება მზის ჩასვლამდე, რის შემდეგაც მორწმუნეს უფლება აქვს, მიიღოს მსუბუქი საკვები. მეორედ ჯამს მარხვის ხელახალ დაწყებამდე. მუსლიმანთა მარხვა იწყება ახალი თვეროს გამოჩენისთანავე, რა დროსაც ამა თუ იმ ქვეყანაში ან ზარბაზანს ისვრიან, ან დროშას გამოფენენ მინარეთზე. გარდა ოფიციალური მარხვისა, ისლამს აქვს ნებაყოფლობითი მარხვის დღეებიც.

ისლამში მარხვა აკრძალულია ორი დიდი დღესასწაულის წინ, მოსალოდნელი ხიფათისას, პარასკევს, შაბათს და კვირას. მარხვა მთავრდება დღესასწაულით, რომლის დროსაც ღარიბებს მოწყალება ურიგდებენ.

გარდა იმ მოწყალებისა, რაც დღესასწაულის დროს ურიგდება ღარიბებს, ისლამს აქვს დაკანონებული მოწყალება — ზაკათი; იგი თავისი შემოსავლიდან ღარიბთა სასარგებლოდ უნდა გიღოს შეძლებულმა მორწმუნემ.

ყოველი სრულასაკოვანი მუსლიმანისათვის სასურველია ერთხელ მაინც მოინახულოს ქალაქი მეკა, ალლოფის ქაბას ტაძარში და ხელი შეავლოს წმინდა შავ ქვას. წელიწადში ათიოდი ათასობით მორწმუნე მიეწერება საუღის არაბეთში, მეკაში მომლოცველობის — ჰაჯის შესასრულებლად.

თვით სახელწოდება „ქაბა“ წარმომდგარია შენობის ფორმისაგან, რომელიც კუბს ჰგავს, თუმცა, სინამდვილეში, მართკუთხედია. მისი ზომებია 10X12 მ. სიმაღლე 15 მეტრია. ტაძარი აგებულია რუხი ქვით, თუმცა აქვს 25 სანტიმეტრანი მარმარილოს საძირკველიც. მთელი მეკის ტერიტორია წმინდადაა გამოცხადებული, სიიდანაც ერთი პეშვი მაწის წამოღებაც კი სასტიკად აკრძალულია. თვით ქაბის ტაძარში დასალაბეებელია რამდენიმე ასეული მოციქული. არსებობს ქაბაში მოსვლის და ლოცვის ერთობ მკაცრად განსაზღვრული წესები.

ბევრი მოციქული მეკაში ლოცვას უთავსებს მედინაში, მუსამედის სფლაზე გასვლას და ზოგჯერ იერუსალიმში მოგზაურობასაც.

გარდა მეკისა და მედინისა, მუსლიმანთა (შიიტების) წმინდა ქალაქებად ითვლებიან ქერბალა, ნეჯეფი, კაზიმენი, სამარა, მეშხველი და ყუმი.

ჰაჯის რიტუალში სამ ძირითად ელემენტს ხედავენ; ესაა: ღვთის წყალობის დამსახურება, ისლამური სამყაროს შეერთების ხაზოლება და ეთნოგრაფიული ჩვეულებების ჩვენება.

რაც შეეხება ისლამის დღესასწაულებს, მათ შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს ურაზა-ბაირამი, რომელიც მარხვის შემდეგ იმაროება. ამ დღესასწაულის დამთავრების 70 დღის შემდეგ აწყობენ ყურბან-ბაირამს, რომლის დროსაც მსხვერპლს სწირავენ ადამიანთა ცოდვების გამოსახსნელად.

ისლამში ფართოდ აღინიშნება მუჰამედის დაბადების დღე — მეოლოდი. სამგლოვიარო რელიგიური ცერემონიალია შაბესი-ვაბესი და სხვ.

ყურანში განსაზღვრულია ყოფის წესი-ჩვეულებანი, ვრცელდ არის ლაპარაკი მამაკაცის, ქალის უფლება-მოვალეობების, ოჯახის შესახებ. ისლამი, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯი იყო ძველ არაბულ წარმართულ რწმენასთან შედარებით, რომელიც ქალიშვილის დაბადებას ტრაგედიად მიიჩნევდა; ახალშობილს ზოგჯერ ცოცხლად მარხავდნენ. თუმცა ისლამიც ძალიან მკაცრია ქალისადმი და მას მეორეხარისხოვან არსებად მიიჩნევს. ყურანის მიხედვით, მხოლოდ ორი ქალია სრულყოფილი: ფარაონის მეუღლე ასია და იესოს დედა მარიამი. მუჰამედი მთ უმატებს თავის ცოლს ხატიჯეს და ქალიშვილ ფატიმას.

მუსლიმან მორწმუნეს უფლება ეძლევა ჰყავდეს ოთხ ცოლამდე. იერძალებოდა ნათესაურ დაქორწინება. ცოლს არ მოაქვს რაიმე მზითევი, პირიქით, საქმრის საცოლისათვის მიაქვს საჩუქარი, რომელიც გაყრის შემთხვევაშიც კი ცოლს რჩება. ისლამურ ტრადიციებში ზუტაგ იყო განსაზღვრული მშობლის მოვალეობა ბავშვის აღზრდაში, ბავშვების მოვალეობა მშობლების მიმართ, მემკვიდრეობის ძირითადი პრინციპები, ანდერძის შედგენის წესები და ა. შ.

ყურანში და უფრო გვიანდელ რელიგიურ ლიტერატურაში დაწვრილებითაა გადმოცემული ის იურიდიული ნორმები, რომლებშიც განსაზღვრულია სასჯელი ქურდობისათვის, მკვლელობისათვის, ლაპარაკია თვითმკვლელობის აკრძალვაზე, მრუშობის წილ ქვებით ჩაქოლვაზე, დგამმილია მევახშეობა, აკრძალულია ღვინის სმა, აზარტული თამაშები. მართალია, ყურანში არაფერია ნათქვამი წინადაცვეთისა და ღორის ხორცის ჭამის აკრძალვაზე, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს წესები ისლამამდე გაცილებით ადრე იყო ცნობილი.

ისლამის ძირითადი მიმართულებები

ისევე, როგორც სხვა დიდ რელიგიებში, ისლამშიც არის სხვადასხვა მიმართულებები და სექტები, მათ შორის სუნიზმი, შიიზმი და სუფიზმი. ისლამის გაყოფა სუნიზმად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიიზმად მეშვიდე საუკუნეში მოხდა. ისლამის მიმდინარეობებს შორის ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანია სუნიზმი, მიმართულება, რომელიც ემყარება ყურანს და სუნას, გადმოცემათა კრებულებს. სუნიტები თვლიან, რომ მხოლოდ ისინი არიან ჭეშმარიტი ისლამური ტრადიციის გამტარებლები და გამგრძელებლები. სუნიზმი უარყოფს რაიმე შუამავლობის შესაძლებლობას ალაჰსა და ადამიანებს შორის მუჰამედის სიკვდილის შემდეგ.

რაც შეეხება მეორე მიმდინარეობას — შიიზმს, იგი, ყურანის და ზოგიერთი ხალიფის გარდა, აღიარებს წმინდა გადმოცემას, რომელსაც ა ხ ბ ა რ ი ეწოდება. შიიტები, სუნიტებისაგან განსხვავებით, ყურანს ქარაგმულად განიმარტავენ. ისინი განსაკუთრებით პატივს სცემენ მუჰამედის სიძე ა ლ ი ს და მის შთამომავლობას და სახელიერო ხელისუფლების მემკვიდრეობის პრინციპით მხოლოდ მათ თვლიან კანონიერად, როგორც დღთაებრივი სუბსტანციის მატარებლებს. შიიტებისთვის განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანია უკანასკნელი, მეთორმეტე იმამი მ უ ჰ ა მ ე დ ი, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გაქრა. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ იგი IX საუკუნეში მოკლეს. შიიტების აზრით, მუჰამედი კი არ მოუკლავთ, არამედ მიიმალა, შემდგომ კი ცოცხლად იქნა ცაში აყვანილი. საშინელი სასჯავრის დღეს იგი ადამიანებს გამოიცხადება მაძღის (მხსნელის) სახით და სამართლიანობას დაამყარებს.

შიიტებს, სუნიტებისაგან განსხვავებით, აქვთ საკუთარი დღესასწაულები. მათ შორის გამოირჩევა შაჰსი-ვაჰსი, რომელიც იმართება ბრძოლაში დაღუპული პირველი იმამის შვილს, ჰუსეინის ხსოვნის საპატივცემოდ. შიიტები მთელი თავიანთი არსებობის განმავლობაში იბრძოდნენ, რათა ხელისუფლება ალის შთამომავლებისათვის გადაეცათ. ისინი უმეტესად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ცხოვრობენ.

ამჟამად შიიზმს დიდძალი მომხრე ჰყავს ერაყში, ირანში, იემენში, აზერბაიჯანში. შიიტები მცირე რაოდენობით არიან დაღესტანსა და საქართველოშიც; აღსანიშნავია, რომ არც შიიზმია ერთიანი, მასშიც არის სექტები.

ისლამის მესამე მიმდინარეობა სუფიზმი, რომელიც სუნიზმთან და შიიზმთან შედარებით უფრო გვიან, IX საუკუნეში წარმოიქმნა. ეს არის მუჰამედის მოძღვრების თავისებური გაგება, რომელსაც სიფხიზლად უდგეს ღმერთის წვდომის მისტიკური-ასკეტური გზა.

სუფიები ქადაგებენ მორჩილებას, მოთმინებას, ასკეტიზმს, სიღარიბეს, ღვთის შიშსა და უსაზღვრო სიყვარულს. ცხოვრების ასეთმა წესმა მორწმუნე ჩვეულებრივი ლოცვა-ვედრებიდან უნდა მიიყვანოს სწორ გზამდე — ალაჰის მისტიკურ წვდომამდე. ასეთი რამ კი, ჩვეულებრივ, მხოლოდ რჩეულთათვის არის მისაწვდომი. სუფიათა საძმოებს უმეტესად ისლამური ხალ-ყარის პერიფერიებში ეხეიდნენ.

ისლამურ სექტებში გამოირჩევა მ უ თ ა ზ ი ლ ი ტ ე ბ ი ს სექტა, რომელიც VIII-IX საუკუნეში წარმოიქმნა ხალიფატის ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ოპოზიციონერთა რიგებში. მუთაზილიტები მთელ რიგ განსხვავებულ დებულებებს აყენებდნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ფიციალურ იდეოლოგიას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბედისწერის დოგმატი. მათი მტკიცებით, ალაჰს მხოლოდ კარგის და გონივრულის გაკეთება შეუძლია; ალაჰმა ადამიანი თავისუფალი ნებით შექმნა, ამიტომ ადამიანები თვით არიან პასუხისმგებელნი თავიანთი მოქმედებისათვის. სპეციალისტთა აზრით, ამ დებულების მტკიცება მუთაზილიტებს ამისთვის ჭირდებოდათ, რომ გამოეკეენებინთ ინა ხალიფას თავისუფლად არჩევის დასასაბუთებლად.

მუთაზილიტებმა თავიანთი წვლილი შეტანეს ისლამურ თეოლოგიაში. კერძოდ, ალაჰის დასახათვებისას ისინი მთლიანად თავისუფლებენ მას ადამიანური ნიშნებისაგან, ყურანს ადამიანის მიერ შექმნილად აცხადებენ და ა. შ. ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება, ცხადია, სხვადასხვაგვარ განწყობილებას იწვევდა. მოუხედავად ამისა, მუთაზილიტების იდეოლოგიამ დიდი გავლენა მოახდინა მუსლიმანებზე, ამან კი აიძულა სუნიტები კომპრომისზე წასულიყვნენ.

ამ პერიოდში ითარგმნა ძველი ბერძნული და ელინისტური ფილოსოფია. ყოველივე ამის შემდეგ შეიქმნა ღვთისმეტყველება, რომელიც ცნობილია ქ ა ლ ა მ ი ს სახელწოდებით; იგი დაბეგრეს და შეავიწროს შემდგომ პერიოდის ღვთისმეტყველებაც. ქალამი ახლაც მოქმედებს.

ხ ა რ ი ჯ ი ტ ე ბ ი. ზოგი ისლამური სექტა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბოყლინდა. ასეთი იყო, მაგალითად, ხარიჯიტების (აჯანყებულების) სექტა, რომელიც წარმოიქმნა ხალიფა ალისა და არისტოკრატიის დაპირისპირების შედეგად.

ამ კონფლიქტში ხალიფა შერიგების გზას დადგება, მაგრამ აჯანყებულებმა ამას მხარი არ დაუჭიერეს და წამოაყენეს დებულება მუსლიმანური თემის სუვერენობის შესახებ, რომელსც ისინი ყოველგვარი ძალაუფლების წყაროდ თვლიდნენ. ხალიფას ხელისუფლება მხოლოდ თემისაგან უნდა მიეღო. ბრძოლას წარმატება არ მოჰყოლია, ვინაიდან აჯანყებულებს შორის არ იყო ერთობა. აჯანყებამ მასებზეც ვერ გაიდგა ფესვი, რადგან ხალხს არ მოსწონდა ხარიჯიტების უკიდურესი ფანატიზმი. ეს უძველესი სექტა ამჟამად ი ბ ა დ ი ტ ე ბ ი ს სახელწოდებით შემორჩენილია ჩრდილოეთ აფრიკასა და არაბეთში.

ი ს ლ ა ი ლ ი ტ ე ბ ი ს სექტა VIII საუკუნეში წარმოიშვა. სექტის შექმნის მიზეზი გახდა ისმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაფარის მიერ თავის შვილის, ისმაილ ისაათის იმამის წოდების ჩამორთმევა. შიიტთა ნაწილმა არასწორად მიიჩნია ეს გადაწყვეტილება: რადგან ისმაილი მუჰამედის ჩამომავალი იყო, მისთვის იმამის წოდების ჩამორთმევა არ შეეძლებოდა.

ისმაილიტების მოძღვრებაში ძირითადი ადგილი უკავია რწმენას სულთა გადასახლების შესახებ, რომელიც სხვა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების — ნეოპლატონიზმის, ნეოპითაგორიზმის და ქრისტიანული გნოსტიციზმისაგან უნდა იყოს ნასესხები. ისმაილიტების მიზიდვით, ღმერთმა გამოაყო მსოფლიო გონი, რომელმაც, თავის მხრივ, წარმოშვა მსოფლიო სული; რაღაც დროის შემდეგ ღვთაება განსრულიერდება ადამიანებში; წინასწარმეტყველი წარმოადგენს მსოფლიო გონის განხორციელებას, ხოლო მისი დამხმარე, მოადგილე კიმენტარ უკეთებს მის საქმეს; მსოფლიო სული მიისწრაფვის შემეცნებისაკენ, რათა ამაღლდეს გონების ბუნებამდე; ადამიანთა ისტორია შედგება შვიდი ეპოქისაგან, რომლის ცენტრშია ესა თუ ის წინასწარმეტყველი.

ისმაილიტების სექტამ შექმნა ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც დღესაც არსებობს.

ისლამი საქართველოში

საქართველოში ისლამი VII საუკუნის მეორე ნახევარში შემოდის. იგი არად დამპყრობლებს შემოაქვთ, მაგრამ მიუხედავად მათი ხანგრძლივი ბატონობისა, ისლამი აქ ერთბაშად მაინც არ გავრცელებულა, მის დამკვიდრებას დიდი დრო დასჭირდა. ისლამი თავდაპირველად საქართველოს განაპირა კუთხეებში — აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში, აფხაზეთში, ჰერეთში მკვიდრდება. გარდა ამისა, მუსლიმანები იყვნენ ქართლში ჩამოსახლებული თურქი ტომები. მიუხედავად ისლამური ხელისუფლების დიდი ძალისხმევისა, მოსახლეობა მას ძალიან ეურჩებოდა, ამჯობინებდა გადაეხადა სპეციალური გადასახადი „ჯიზია", მაგრამ თავის ძველ სარწმუნოებაზე დარჩენილიყო.

ჩვენში ისლამმა იმძლავრა XVII საუკუნეში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო ცალკეულ სამეფოებად დაიშალა და მისი ტერიტორია შინაომებმა მოიცვა. დაირღვა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა, შემცირდა მისი ზემოქმედების ძალაც. ოსმალეთმა მოახერხა სამხრეთ საქართველოს მთლიანი საქართველოდან მოწყვეტა და თავის ვილაიეთად აქცია, სადაც შემოიღო თავისებური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა. თურქები საქართველოში განსაკუთრებით უპირისპირდებოდნენ მართლმადიდებლობას, რადგან მასში ქართველთა ერთობის იდეოლოგიური საფუძველს ხედავდნენ. ბევრი ქართველი, რომელიც წინაღუდგა ისლამს, იძულებული იყო კათოლიკობა ან სომხური გრიგორიანელობა მიეღო, რომელთაც თურქები შედარებით ნაკლებად დევნიდნენ.

საქართველოში მტრის ბატონობისას, ცხადია, იყო მთელი რიგი ფუქტორები, რაც ხელს უწყობდა ქართველთა გამუსლიმანებას. ასე, მაგალითად, თუ ქართველი თავადი აღიარებდა ისლამს, მას შესაბამისად თურქულ რეგალიებს ანიჭებდნენ და ქვეყნის მართვის საქმეში იყენებდნენ, გამამდიანებისათვის მტერი არც საჩუქრებსა და ფულს იზრუნებდა.

საქართველოში დღესაც არიან ისლამის სხვადასხვა მიმართულების მიმდეგარნი — სუნნიტები, შიიტები. გარდა ამისა, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის რაიონების ზოგ სოფელში შემორჩენილია სუფიზმის ნაირსახეობა — მიურიდიზმი. ადრე სუფიზმის მიმდევრები ყოფილან საინგილოშიც. მიურიდები, სპეციალისტთა დაკვირვებით, ვერ ეგუებიან შიიტებს და აცსადებენ, რომ ისინი არ არიან ნამდვილი მუსლიმანები. მართალია, სუნიტებმა ჩვენს რესპუბლიკაში შეცვალეს შიიტებისადმი მტრული დამოკიდებულება, თბილისის მეჩეთში სუნიტები და შიიტები ერთ შენობაში ლოცულობენ, მაგრამ ამ დაპირისპირებას მიურიდები დღესაც ინარჩუნებენ.

მიუხედავად ათეიზმის 70-წლიანი ბატონობისა, საქართველოში ისლამმა ერთგვარად მაინც შეინარჩუნა თავისი გავლენა. აჭარაში, სხვა რელიგიურ კონფესიათა მსგავსად, მასში შეიმჩნევა ერთგვარი აქტიურობა, კულტობრივი დანაშნულების რელიგიური რიტუალების ზრდა, მუსლიმანური რწმენის საერთო გამოცოცხლება.

ისლამი და თანამედროვეობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისლამი გავრცელებულია შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც საკმაოდ უხვი შობადობით გამოირჩევიან, რასაც რელიგიის ხელს უწყობს. შესაბამისად, ისლამის მიმდეგართა რიცხვიც მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად იზრდება და, ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, მალე ერთ მილიარდ ადამიანს მიაღწევს.

მიმდევართა რაოდენობის ზრდასთან და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშ-

ლასთან ერთად ისლამმა სხვაგვარადაც მოიკრიბა ძალა. ეს ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგია გამოირჩევა მობილურობით, მიზანს-წრაფულობით, ფანატიზმით მნიშვნელოვანი დოზით და შეუპოვრობით დასახული მიზნის მიღწევაში. ინტერესი მისდამი, როგორც ერთ-ერთი ხერიოზული და პოპულარული მსოფლგაგებისა და მსოფლმოწყობისადმი, სულ უფრო იზრდება. იგი დიდ როლს ასრულებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან გაძლიერდა ე. წ. ისლამური ფუნდამენტალიზმი — მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს ცდას, უარი თქვან გვიანდელ დანაშრევებზე და დაუბრუნდნენ ისლამის საწყისებს, აღდგინონ წინასწარმეტყველ მუჰამედის ადრინდელი იდეები, დაუბრუნონ ეროვნულ კულტურას თავდაპირველი სიწმინდე.

სამწუხაროდ, ისლამური ფუნდამენტალიზმი ძალიან ხშირად უკავშირდება დენტალურობის კერებს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. მიზანი ასეთი მოძრაობისა ძალიან ხშირად ან ხელისუფლების მიტაცებაა, ან ხერიოზული ზეგავლენის მოხდენა მასზე და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, იგი ხშირად უკავშირდება საერთაშორისო ტერორიზმს, რაც ხერიოზულ შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ კილაძე

რწმენის მისტერიები

> რადგანაც ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, სანამ არ გადავა ცა და მიწა, ერთი იოტიც ან ერთი წერტილიც არ გადავა რჯულისაგან, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება.
>
> მათე, 5, 18

I

ცნობილია, რელიგიური თემებისაკენ მიძღვნილი ნაწარმოებები (განსაკუთრებით, მსატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები) არასრულყოფილებით, ნაკლოვანებით აღბეჭდილი წარმოგვიდგებოდა ყოველთვის[1]. ძირითადად აქ ეს უნდა ვიგულისხმოთ, ამ თემის სიღიადე არასრულად, არადეკვატურად იყო გადმოცემული და დროთა ვითარებაში ცხად ხდებოდა: საქმე კანონზომიერებასთან გვქონდა. მსჯელობა რწმენის გამო, მეცნიერული ფორმითა და მხატვრულითაც, თითქოსდა სულ უფრო მეტი ბერწესთან მოხაკად ამ საგანს და ვერ აკმაყოფილებდა ადამიანის გაუნელებელ წყურვილს ამ მოვლენის გასაცნობიერებლად. პირიქით, ანგარი მსჯელობის შედეგად სულ უფრო მეტი ბურუსით იმოსებოდა რწმენის საიდუმლოება, მეცნიერული ცოდნა ვერ აკმაყოფილებდა ჩვენს ცოდნას, ხოლო მხატვრული ფორმა ვერ იყო იმდენად ძლიერი, რომ ეს თემა საკმარისად ხორცშესხმული წარმოჩენილიყო ჩვენთვის. ამ მოვლენის დასტურად შეიძლება ვთქვათ, რომ რელიგიური თემატიკის მხატვრულ ნაწარმოებთა გმირები, გნებავთ უერწერული ტილოების, გნებავთ მხატვრული ლიტერატურისა, ბოლოს მაინც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და ის შარავანდედი, რაც თან ახლავს ხოლმე რწმენას, ცხოველტულში იყო დაგმანული და უკასუხოდ რჩებოდა ის ოდინდელი კითხვა, თუ რა არის რწმენის ბიბლი და სიღიადე, რომელიც ადამიანს თან სდევს გაჩენის დღიდანვე.

II

რწმენის თანმხლები შარავანდედი ნაკლებად ემორჩილება ახსნასა და წარმოჩენას, ანუ რაღაა ის სინათლე, რომელიც შებღალავს ამ შარავანდედსა და ამ ახსნის, წარმოჩენის, შემდეგ შეიძლება სულაც ჩაქრეს. მრავალი ისტორიული პირის, მოწამის ცხოვრება ადასტურებს ამ შარავანდედის არსებობას: კატეგორიული მოთხოვნა ამა თუ იმ რელიგიის უარყოფისა თავად ამ შარავანდედის უარყოფის ბადალი ხდებოდა, რადგანაც რეალურად ეს იყო რაღაც ამაღლებული გრძნობის მოშთობა, იავარქმნა, ანუ მდაბალი, ქვენა გრძნობების გამარჯვება, ე. ი. იმ გრძნობის ბოგინი, რომელსაც ის არსება, ადამიანის სახელით რომ არის ცნობილი, ყოველთვის ებრძოდა, ანუ ცდილობდა მასთან ბრძოლას და ხშირად დიდი წარმატებითაც — ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც.... შუშანიკი და მისი მოწამეობრივი სიკვდილი გავიხსენოთ.

III

ადამიანი ყოველთვის მიელტვოდა რელიგიის ახსნას, მაგრამ უშედეგოდ, რადგან მას გაუთვალისწინებელი რჩებოდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და, როგორც ჩანს, პარადოქსული გარემოება: იქნება მართებული იყოს რელიგიის მეშვეობით ახსნას ადამიანი და არა ადამიანის მეშვეობით — რელიგია, როგორც ეს, ჩვეულებრივ, იმთავითვე ხდებოდა.

ამ პარადოქსის ასახსნელად იქნებ ეს ვარაუდი გამოგვადგეს, იქნებ, გარკვეულწილად, ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებაში რელიგია უსწრებდა ყოველივეს, ანუ რელიგიური გრძნობის გაჩენამ შეა თავად ადამიანი, ერთდროულად მოხდა რელიგიისა და ადამიანის, ადამიანისა და რელიგიის გაჩენა, ანუ კაცში რაღაც იდეალის გამოღვიძებამ შექმნა ადამიანი.

IV

დღეს უკვე ფაქტია, რომ მრავალი შეზიდულება რელიგიისა და მის წარმოშობაზე ვერ უძლებს კრიტიკას: თუკი რელიგიისა და მისი წარმომავლობის საძირკვლად მოვიშველიებთ გარკვეულ ფენომენებს, მაშინ რელიგიის არსებობა ჩვენს ეპოქაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჩანს.

---

[1] იხ. ალექსანდრ მენი, „ეშმარიტი ქრისტეს ძიებისას“. „მნათობი“, 1991, № 9-10.

ასე, მაგალითად, მარქსისტული ფილოსოფიური ენციკლოპედიის აზრით, „რელიგიის წარმოშობა პირველყოფილ საზოგადოებაში დაკავშირებულია ბუნების ძალთა წინაშე ადამიანის უძლურებასთან, რაც განპირობებული იყო საწარმოო ძალების დაბალი დონით... უსამართლო ურთიერთობებით“ და ა. შ. ამ მსჯელობის თანახმად, ადამიანმა გაითავისა ბუნების წინაშე თავისი უძლურება, საწარმოო ძალების დაბალი დონე, უსამართლო სოციალური ურთიერთობები და მერე იძულებული გახდა რელიგია მოეშველებინა... ანდა, იქნებ, სულაც არ ჩქონდა გათავისებული, მაგრამ ნათელია, რომ, ამ მსჯელობის მიხედვით, რელიგიის გაჩენას რაღაც ძლიერი იმპულსი უსწრებდა წინ, და რაკი დღევანდელი ადამიანი არც იცე უძლურია ბუნების ძალების წინაშე (თუმცა ვერც ყოველისშემძლეა) და ბევრ ქვეყანაში საწარმოო ძალების დაბალი დონე აღმოფხვრილია, მაშინ რელიგიამ უკუსვლა უნდა დაიწყოს და ისევე უნდა ჩაქრეს, როგორც აინთო, მაგრამ რელიგიის კოცონი დღეს არამცთუ ქრება, ზოგჯერ კიდევ უფრო ძალუმად გაბრწყინდება ხოლმე. ეს ფაქტი თავისთავად ცხადია და არც უნდა იყოს სადავო.

კიდევ ერთი მაგალითი მოვიტანოთ ზემოთ ხსენებული ენციკლოპედიიდან: „ქრისტიანობა გაჩნდა, როგორც შედეგი უამეფობის, სახელწარკვეთილების განწყობილებისა, რაც გასაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა მასებში რომის მძლავრობისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ მონათა აჯანყებების, ღარიბებისა და ადამრობილი ხალხების გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ“.

როგორც ვხედავთ, რომაელების (თუ გნებავთ, სხვა იმპერიებისაც) ბატონობა რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა უამეფობის, სახელწარკვეთილების განწყობილება და, ამისდა კვალად, აღარც ქრისტიანობა გაჩნდებოდა.

V

როგორც ჩანს, არის რაღაც, რაც ამ საკითხის ახსნისას უსხლტება შემეცნებას, ანუ ხშირად ადამიანი იძულებულია ამა თუ იმ მოვლენას რაციონალური ახსნა მოუძებნოს, მაგრამ ამ დროს არც ის უნდა დაივიწყოს, რომ რაციონალური და ზედაპირული შეიძლება ერთმანეთის სინონიმები გახდეს.

რელიგიის შესახებ ზემოთ მოტანილი შენიშვნებიდან, როგორც ადვილშესენ, მარქსისტული ნაშრომი არის წარმოჩენილი. სასინტერესო უნდა იყოს ამის თაობაზე სხვა სკოლის მეცნიერთა აზრი. ე. კასირერი წერს: „თომა აქვინელის მიხედვით, თუმცა რელიგიური ჭეშმარიტება ზეგონებრივი და ზეგონებრივია, იგი „ირაციონალური“ მაინც არ არის, ვინაიდან, მართალია, ჩვენ არ ძალგვიძს მარტოოდენ გონებით ჩაუვდეთ რწმენის მისტერიებს, მაგრამ ამის გამო ისინი ეი არ ეწინააღმდეგებიან გონებას, არამედ გონებრივ ხედვას სრულყოფენ და აღრმავებენ.

მიუხედავად ამისა, მუდამ იყვნენ ღრმა რელიგიური მოაზროვნენი, რომლებიც შეუწყნარებლად თვლიდნენ ამ ორი ურთიერთსაპირისპირო გონითი უნარის მორიგებას. მათი მოთხოვნა ბევრად უფრო რადიკალური და უკომპრომისო იყო. ტერტულიანეს სიტყვებს — „მწამს, რამეთუ უაზრობაა“ — არასოდეს დაკარგვია ძალა“.

თუ თომა აქვინელის ეს მოსაზრება რამდენადმე ნათელი, რაკი ამ შესაძლებელი ჩანს გონებრივი ხედვის სრულყოფა და გაღრმავება, მეორე, საცნობარო და, ამავე დროს, ენციკლოპედიური პასაჟები შეიძლება ბევრი ფიქრისა და ეგანსკის საფუძველი გახდეს, ანუ გარკვეული მსჯელობის ამოსავლად მეორე კატეგორიის მოსაზრებები უფრო შეიძლება გამოგვადგეს.

VI

რელიგიური ღმერთი არ ყოფილა უბრალო ღმერთი, რომელსაც, თავისდა უნებურად, მრავალი და მრავალი გარდასული ხანის და ჩვენი ეპოქის მეცნიერი კერპებს უდარებდა, თუმცა სულ უარმოტტიულეს კერპებშიაც კი არის ჩაბუდებული ხატი იმ ღვთაებისა, რომელსაც დღენიადაგ დაეკრედდა და დაეძებს ადამიანი. ხსენებულ ხატთან მიაღწიოს სულ უფრო და უფრო მეტი ძალით აწიაოებს მას ღვთაების იდეალს, ღვთაების რწმენას, რის მეშვეობითაც სულ უფრო და უფრო მეტი წარმატებით ეძრძვის ცხოველურ, ადამიანის ქვეშა ინსტინქტებს, ებრძვის იმით, რომ სულ მუდამ მიელტვის ადამიანის უმაღლეს გამოხატულებას, ღვთაებად გარდასახულ ადამიანის ხატს და ასე, თავის ბნელ ძალებთან ჭიდელით, გამიცდილებასა და ცოდნასა ნაზიარები, თანდათანობით („თანდათანობით“ ამ შემთხვევაში ეპოქათა ცვლაა) ეზიარება თავის უმაღლეს მოწოდებას.

ზემოთქმული კი, როგორც ჩანს, ასე უნდა დაკონკრეტდეს: ადამიანი რაც უფრო მალე დაადგებს და სძლევს ამ ბნელ ინსტინქტებს, მით უფრო მალე გაუტოლდება სხვა, დედამიწის გარე მოწინავე ცივილიზაციებს (რომელებსაც უნდა გავლილი ჰქონდეთ დაბალი და მაღალი საფეხურები სულიერი განვითარებისა და რაღაც უმაღლესს უნდა იყვნენ მიტანებულნი), რადგანაც მთელი მისი მეცნიერულ-მატერიალური პოტენციალი მოიხსნის ცხოველურ ხუნდებს და არა დამნაგრეველი ომების მასაზრდოებლად იქნება მიმპრალი, არამედ ხორცშესხმისთვის იმ ტექნიკური აზრის, რომელიც უმაღლესი სრულყოფილებით მოიხდენს დედა-ბუნების დაცვასა და ჯერ კიდევ მხლოდ ფანტასტიკის სფეროში მოხსენიებული ენერგიის წყაროების მიკვლევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

როგორც ვთქვით, რელიგიას ახლაც რაღაც მისტიკური არილი, ანუ ის აზრი, რომ რაღაც ბოლოშიდ არ შეიძლება იყოს შეცნობილი. ჩვენი ეპოქა ამ აზრის შეფზარავი დადასტურებაა. საქმე ის არის, ათეისტებს კი ჰქონდათ პრეტენზია წარმოედგინათ თავისი შეხედულება როგორც ჭეშმარიტების სპეციალი ინსტანცია და ამ დროს ღმერთის არსებობას მეცნიერულად „ახალუთბდნენ", ახალუთბდნენ იმას თუ როგორ შეიძლება მეცნიერული ეპოქტების მიხედვით რელიგიის უარყოფა და ამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ეს ფაქტები, თავიდან უნებურად, ზნეობრივ სფერიოებს უგულებელყოფით მოჰყავდათ. ამისა კვალად ათეიზმი უკვე მისტიკაყარილი რელიგია ხდებოდა, ანუ ათეისტებთან უკვე უდაო ფ თვალსაჩინო ჩანდა სიკეთისა და ბოროტების წყარონი, ყველაფერი ცხადად იყო „დასაბუთებული", და რადგან ცხადად იყო „დასაბუთებული", ცხადი დასკვნებიც კეთდებოდა: ახლთიე იყო მათი რეცეპტები ქვეყნის, ხალხის ცხოვრების მოსაწყობად და ეს რეცეპტები, ვიმეორებთ, იმდენად ცხადი იყო, რომ მათ ვანსაბზრიციელებლად შესაძლებელი გახდა გაუთავებელი კაცისკვლა. მარილაცდა, თუ ადამიანი სრულიად ირწმუნებს თავის სიმართლეს, ცხადია, ამ სიმართლისათვის კიდევაც შეუძლია ყველაფერი მოიმოქმედოს, რადგანაც საყოველთაო სიკეთის დამკვიდრების იდეალით ღრმად შენიღბული სუბიექტურ-ეგოისტური სიმართლის ჯოჯოხეთური ნათელში ნინდისი პარალიზებული და დაბრმავებული ბდება.

ახე ალიმპრა XX საუკუნეში კაცობრიობის თავზე ათეიზმის თითქოსდა შეუვალი ეშმარიტების დამოკლეს მახვილი.

VIII

ცნობილია დიდი მწერლების ღვთისმოსაობის ამბავი და მათი დიდად უარყოფითი დამოკიდებულება ათეიზმისადმი.

აქ შეგვიძლია ბევრი მაგალითს ჩამოთვლა, აგრეთვე, აღწერა იმისა, თუ რა ამოძრავებდათ ხსენებული საკითხის გამო, მაგრამ ეს თემა იმდენად დიდი და როუელია, რომ მხოლოდ მონოგრაფიის მეშვეობით თუ შეიძლება მისი რამდენადმე სრულად წარმოჩენა. აქ მხოლოდ კონსპექტურ ხასელობას უნდა დავჯერდეთ.

დიდი მწერლები უფრო არიან ადამიანის სულის მეხაიდუმლენი, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწენი. მათი ინტერესები განსხვავდება პოლიტიკური მოღვაწეების ინტერესებიდან და ამიტომ მათი შეხედულება უფრო ობიექტურია და მოიცავს ადამიანის სულის საიდუმლეთს.

ამ მწერლების აზრით, არ შეიძლება ადამიანის ცხოვრების მოწყობა მხოლოდ გონების მიხედვით, როდესაც თითქოსდა ნანახია რაციონალური გზა საყოველთაო სიკეთის დასამკვიდრებლად.

ზნეობრივი ფაქტორი ყველგან და ყოველთვის უნდა მატარონდეს ადამიანის საკმაოსახასა და მოღვაწეობაში (თუ ვნეიბავთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში და ა. შ.), ხოლო ზნეობა ღვთაების რწმენის გარეშე უმტკიცოა და შეიძლება ისეთი ტრაგიკული ცვლილება განიცადოს, როდესაც სულ ადვილად ირღვევა ადამიანის უფლებები, კერძოდ, მისი უპირველესი უფლება — სიცოცხლის უფლება.

IX

დიდი შეცდომა იყო, როგორც ჩანს, ისიც, რომ რელიგიის წარმოშობას ადამიანის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურს უკავშირებდნენ. ბრავალი მეცნიერის აზრით, რელიგია არ შეიძლება არსებობდეს, ვთქვათ, ველური ტომებში, ამ მოსაზრებას უარყოფს ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ე. ტეილორი, რომელის აზრით, განვითარების რაც უნდა დაბალ საფეხურზე იდგეს ტომი, მას მაინც აქვს რელიგია, ხოლო ის, რომ მეცნიერები არ იზიარებენ ასეთ ტომებში რელიგიის არსებობის იდეას, საფუძველსაა მოკლეზოული და კვლევის მცდარი მეთოდების მოშველიებაშია საძიებელი. შემდეგ ე. ტეილორი ასე გადმოგვცემს ამ თავისი დაკვირვებების შედეგს: „თანაბედროვე ქრისტიანობის აზრებისა და პრინციპების საწუსალი შორეულ წარსულში, ქრისტიანული ეპოქის მიღმა იღებს სათავეს, ადამიანის ცივილიზაციის დასაწყისის ან, შეიძლება, სულაც მისი არსებობის ჩასახვის ხანაში".

გარდა ამისა, ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, ის მნიშვნელოვანი გარემოებაც ადასტურებს, რომ ჩვენს ეპოქაში რელიგიის წარუვალობა და აუცილებლობა თავისთავად უდავო ფაქტია და ამას მტკიცება არც სჭირდება. გამომდინარე აქედან, ლოგიკური დასკვნა ასეთი უნდა იყოს: ის, რაც რელიგიის ესაძირკველება, ერთობ მყარი და შეუვალია და მას დღენიადაგ ახლავს ისეთი ბიბლი, რომლის მოცილება და ადამიანის დაშფაშლება ერთი და იგივეა, და თვით ცხოვრების ხაზრისის ხელყოფის ბადალი ხდება.

X

ისიაკა ცნობილი, მეტი წილი ბოროტების რაციონალურ ახსნას შეუძლებლად თვლიან. ვთქვათ, რა აიძულებდათ ბრავალი ახალი და ძველი იმპერიების მესვეურთ გაჩაღებას, დაწყებას იმ ომებისა, რომლებმაც საბოლოოდ ახალი მიწები შემატეს იმათ ისედაც ვრცელ და უკიდეგანო ტერიტორიებს. დღეს უკვე ვიცით, მტკიცებად არ გამოგვადგება ამ მოვლენის ხაზოგადოების კლასობრივი წარმომავლობით ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნსა, როგორც ჩანს, იმპერიული აზროვნება დამახასიათებელი იყო იმ წყობილებისთვის, რომელიც ცნობილია, როგორც ფეოდალური, ასევე, კაპიტალისტური და სოციალისტური.

როგორც ვხედავთ, ახეთი ახსნა საფუძველსაა მოკლებული. იმპერიალისტური იმპერიაც სახელი გაითქვეს თავის დროზე ფეოდალურმა და მერე კაპიტალისტურმა ინგლისმა, ფეოდალურმა რუსეთმა, დაბოლოს, სოციალისტურმა რუსეთმაც, ანუ სახელების შეცვლის დ., უფრო მეტიც, საკუთრების ფორმის შეცვლის მიუხედავადაც, რაღაც ძნელად მისაკვლევი არსი ოგივე დარჩა, და დღეს თურმე რა ტრაგიკული, გულისმომკვლელი სიცხადითაა გამოშზეურებული — მთელი თავისი ისტორიის მანძილზე თავად ადამიანი კი არ იცვლებოდა, არამედ მოვლენებისადმი სახელების შეცვლით კმაყოფილდებოდა, ანუ არსზე მიუმძღავრებლად მას სხვა სახელებს არქმევდა თავისდა უნებურად და ამრიგად, ეს არსი განაგრძობდა არსებობას და მოქმედებას უკვე სხვა ცნებებითა და სახელებით წარმომდგარი, ანუ სრულიად შენიღბული სახით და ამიტომაც მოხდა საშინელი აღრეცა სიკეთისა და ბოროტების.

ჩვენი ეპოქა ამ საშინელი აღრეცის ნიშნით აღბეჭდილი აღმოჩნდა, რასაც მილიონობით მსხვერპლი მოჰყვა.

ცხადია, ადამიანის ბუნებაში არის რაღაც მკვიდრი თვისება, რომელიც სულ მუდამ თანა სდევს მას და, როგორც ჩანს, რაღაც გარდამავალი, დიდად ხანგრძლივი ეპოქის განვლის შემდგომ მან უნდა განიცადოს ჭეშმარიტი, თავისი არსის სიღრმისეული ცვლილება და, ვინ იცის, იქნებ დაუბრუნდეს იმ იდეალს, რომელმაც აუცილებელი გახადა რელიგიური რწმენა და რომელსაც თავისი დამამდების ღღიდანვე ქმაშეცნეულად, გაუთავისებლად ატარებდა თავის გულში.

XI

ბოროტების ფესვების მიკვლევა, როგორც ვხედავთ, ისევე ძნელია, როგორც მისი წარმომავლობის საკითხის დადგენა-დაზუსტება. ამ აზრის დასტურად მრავალთა შორის შეიძლება თქმულიც ახეთი მაგალითი მოვიშველიოთ: არსებობს თვალსაზრისი, რომელიც რელიგიას ბოროტების სათავედ მიიჩნევს, რადგან ვიცით, რომ ამა თუ იმ რელიგიის ნაზიარები ადამიანის მიერ ხდებოდა სხვა რელიგიების მომდევართა დევნა, რელიგიური ომები, ინკოლიციე... ერთი სიტყვით, მრავალი არგუმენტი არსებობს რელიგიის უარმყოფელთა მხარეზე.

მაგრამ ისიც ვხედავთ, ვთქვათ, რომ რელიგიის უარყოფით შემოსრული აღმოჩნდა ის მძლავრი სულიერი განწყობილება, რომელიც ამა თუ იმ ზომით ესაძირკველებოდა სიკეთეს ქმნის. კი შეიძლებოდა ამის თქმა, მაგრამ თავიდათავი, როგორც ჩანს, სულ სხვა რამეა. რელიგიური გრძნობის რაობა მიუკვლეველია ორივე შემთხვევაში — მაშინაც, როდესაც რელიგია ბოროტების სათავედ მიიჩნდათ და მაშინაც, როდესაც მას სიკეთის სათავედ მიიჩნევდნენ.

რელიგიის არსი ადამიანს ამ უძირითადეს გამოვლინებათა მიღმა დგას და ღ., როგორც ჩანს, რელიგია ადამის ეამიდანვე წარმოგვიდგება ის ბიდიდ, რომელზეც უნდა გაიაროს თავის ზეიმის მწვერვალზე მიმავალმა ადამიანმა, და იქნებ, მართლაც, „ერთი ოიტიც ან ერთი წერტილიც არ გადავა რჯულისაგან, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდებ“ (მათე. 5, 18). ხომ არ შეიძლება აქ ახეთი ვარაუდი გამოითქვას, რელიგიისათვის სიკეთისა და ბოროტების საგანნი მეორეულია (ანე რომ არ იყოს, უკვე კარგა ხანია დასრულებული უნდა ყოფილიყო სიკეთისა და ბოროტების ჭიდელი, ცხადია, პირველის სასარგებლოდ) და ამიტომაც მას არც ძალუძს ბაყოველთაო სიკეთის დამკვიდრება, სანამ არ მოგვაახლოებს იმ რაღაც პირველს, რაც მთავარი უნდა იყოს და მხოლოდ ამის მერე, ამ პირველსაწყისი საფეხურის განვლის შემდეგ არის შესაძლებელი მეორის ძლევა, თუმცა კი ეს პროცესი უკვე თავისთავად მოხდება და უმტკივნეულოდ წარიმართება.

XII

„ახალ აღთქმაში“ შეგვიძლია ახეთი სიტყვები ამოვიკითხოთ, თუ გახსოვთ, ქრისტე განუცაბადებს თავის მოწაფეებს, იერუსალემს უნდა წავიდეო, სადაც მას უნდა დაეთმინა ტანჯვა უხუცესთა, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სასიკვდილოდ მიეცა თავი, და აღმდგარიყო მესამე დღეს.

„ეაშინ გაიხმო იგი პეტრემ, კიცხვა დაუწყო და უთხრა: შორს შენგან, უფალო, ღმერთმა ნუ ქნას ეგ!

ხოლო ის მიებრუნდა პეტრეს და უთხრა: გაშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისაა“ (მათე. 16, 21-22-23).

როგორც ვხედავთ, ქრისტე ანსხვავებს ღმერთისას და კაცისას, ანუ მასთან კაცი რაღაც სიმდაბლის სინონიმია. თუ როგორია ეს კაცი, ადამიანი, ამის სალუტარაციოდ მოეცი ბიბლია გამოგვადგება და ჩვენ აქ ალარაფერს ვიტყვით ამის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII

ღვთაებრივ ფენომენს, ნაწილობრივ, ნათელს ფეენს სერვანტესის „დონ კიხოტი“. დონ კიხოტის კლასიკური სახის მეშვეობით ვხედავთ თუ რა მოუვა ღვთიებას, რომელიც მიტიკიუს საფარველს მოიცვლის, ზეცას დატოვებს და გარკვეული ხნით მიწაზე, ადამიანებს შორის მოიხეტრვებს ცხოვრებას. ცხადია, იმ კაცთა შორის, ქრისტეს რომ ღვთიურ არსებას დაუპირისპირა.

როგორც ჩანს, დონ კიხოტის სრული იმედის გაცრუება, სრული ფიასკო, სრული მარცხი განპირობებული იყო ადამიანთა შინაგანი სუფლიერი მდგომარეობით და რაგვარ ბიმლიური ადამიანის ისტორია დღესაც არ არის დასრულებული, ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, დღევანდელი ადამიანის სულიერი მდგომარეობითაც, რადგანაც იგი კვლავ და კვლავ იძულებულია რელიგიას მიმართოს და მიენდოს ღვთაების რწმენას, არ მოპყვეს თავისი ღვთაებრივი საწყისის განსაცდელ და წარმოჩენას, როგორც ახე გროტესკული სახით შექმნა სერვანტესმა.

XIV

„განა საოცარი არ არის, რომ ჩვენი ცნობიერებისათვის ყველაზე მიუწვდომელი საიდუმლო ცოდვის მეშკვიდრეობითობის საიდუმლოა, სწორედ ის, რის გარეშეც ვერასოდეს შევიმეცნებთ ჩვენსავე თავს?! რადგან ჩვენ გონებას ყველაზე მეტად ოფენებს იმის მტკიცება, რომ პირველი ადამიანის ცოდვამ ყველას უწია და ცოდვილად აქცია ყველ, ვიაც ცოდვის წყარო

ეპოქებს მოიცავს. და ჩვენ იმ ეპოქის შვილები ვართ, როდესაც ჯერ კიდევ ბოგინობს ადამიანის ტკეა-გონებით დაჯილდოებული ცხოველი. მაგრამ XX საუკუნე იმითაა საინტერესო და საგულისხმო, და თუ გნებავთ დიადიც, რომ შეინიშნება რაღაც ახალი ეპოქის მოახლოება და სუნთქვა, როდესაც ადამიანი სრულად იწყებს ამ შემზარავი სახის შეცნობას და ასევე სრულად მიხვდება თავის ხვედრსა და მისიას გახდეს წმინდა, ღვთაებრივი არსება, როშელიც შეძლებს გლობალური მასშტაბებით განთავისუფლებას იმ დროინდელი ცხოველური ხვაჯგებისაგან, „როდესაც უწმინდური სული გამოვა კაცისაგან“ (მათე. 12, 43); როდესაც ადამიანი მოიპოვებს მაღალზნეობრივ, ღვთაებრივი რწმენით გაცისკროვნებულ გონიერებას, როდესაც რწმენისა და ურწმუნოების საშინელი ორთაბრძოლა დასრულდება, როდესაც შეიმუსრება ის მისი ოდინდელი ცხოველური საფუძველი, მაშინ მოიპოვებს ადამიანი ღვთაებრივ სიმშვიდეს, შემდგომ ეპოქებში კი მისი გონიერება მბოლოდ სიკეთის სამსახურში ჩადგება და შეუდგება ამ ახალი ადამიანის უპირველესი დანიშნულების ხორცშესხმას — დედამიწის გარესამყაროს შეცნობას.

რედაქციისაგან: წერილი, ავტორის დაჟინებული თხოვნით, იბეჭდება უცვლელად; მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ინტელექტუალური დონისა და ენობრივ-სტილისტური პოზიციების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრისი...

„ხოლო ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრისი... არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი“.

ბატონიშვილი ვახუშტი

„აფხაზები ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი ან ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაღალ ღობეს და თხრილს. იმიტომ აკეთებენ, რომ შუბნიათ თავდასხმისა. გარეშე ხალნი კი არა, თვით აფხაზები თავს ეხსნიან და ძარცვავენ ერთმანეთს“.

არქანჯელო ლამბერტი

„აბაზგები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ“.

ევლია ჩელები

„ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დაამორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრულნი არიან დიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“.

იაკობ გოგებაშვილი

„ბავშვობიდანვე ვეზიარე იმას, რომ ქართველები და აფხაზები ნათესავები, ძმები არიან. ყოველთვის ამას ვქადაგებდი ამბითონიდანაც. მაგრამ ახლა ეჭვი გამიჩნდა, დიდი ეჭვი: როგორ შეიძლება ძმა იყოს ის, ვინც მოსაკლავად გაგიმეტებს და ტყვეის გესვრის. მე დღით ბსახური ვარ და ღვთისაგე სახელით კაცს ნებისმიერ შეცდომას მივუტევებ, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როდესაც კაცი ჭოანანიებს დანაშაულს და მიტევებას ითხოვს. სამწუხაროდ, აქ ჯერ ვერ ვხედავთ ამას. პირიქით, დანაშავე სხვისთვის სისხლის გადაბრალებას ცდილობს, ეს ორმაგი შეცდომა და მრეხელობაა. ყველაფრის პატიება არ შეიძლება, ამისთვის შთამომავლობა მოგვთხოვს პასუხს. როდესაც დამნაშავეებზე ვლაპარაკობ, მთელ ხალხს როდი ვგულისხმობ, ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყოს. დამნაშავენი პიროვნებები არიან...“

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი

„...საკითხის დასმა, რომ აფხაზეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი და უნდა გამოეყოს საქართველოს, მიგვაყენდა იქამდე, რომ აფხაზეთი დაიშლებოდა, როგორც ქაღალდის ხუთუნა, აგებული ცელქი ბავშვის ხელით“.

ნესტორ ლაკობა

ტექნიკური რედაქტორი ზიული სირაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 7.06.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.10.93 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 878. ტირაჟი 3.250.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

ъ 6/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 500 კუპონი.